ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

8

1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ ჟურნალი

„ცისკარი“

ერთი ნომერი ღირს 2 მანეთი

წლიური ფასი 24 მანეთი

დაიწყო ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 1992 წლისათვის.

ქაღალდის მწვავე დეფიციტის გამო შეიძლება „ცისკარი“ ჯიხურებში აღარ გაიყიდოს!

ამიტომ ვინც ჩვენი ჟურნალის მკითხველი ბრძანდებით, გთხოვთ, დროულად დაიჭიროთ თადარიგი და გამოიწეროთ „ცისკარი“.

ძვირფასო მკითხველო! გახსოვდეს, რომ „ცისკრის“ ბედი, მისი არსებობა, მხოლოდ და მხოლოდ თქვენზე, ხელისმოწერებზეა დამოკიდებული.

იმედი გვაქვს თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარკე

8

აგვისტო

1991

თბილისი

საქართველოს მწერალთა კავშირის სალიტერატურო და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოველთვიური ჟურნალი

№ 808. გამოცემის 84-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

□□□

მთავარი რედაქტორი
იორამ ქეცარაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ბიჟი ალასანიშვილი
თეიმურ ბეჟანიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ბიჟი ბენდელიანი
ზაურ ბაღდასარიანი
ბიჟი ბულაბაური
ეროვნ ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ალანუდ ღვინჯილია
ნუგზარ შატაიძე
ბანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩოგოდელი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ვახტანგ ხარჩილავა
ბერონ ხეფბიანი
ტარიელ ბანტუარია
ბაბა ჯოხაძე

□□□

მორიგე რედაქტორი
ეთერ თეთრაძე

შინაარსი

3. ჩვენი სტუმარია

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ფეინდა ანდრიას სალიტერატურო ჟურნალი

პროზა, პოეზია

80. ალალი ჯორჯაძე — მამონას მონა. რომანი. დასასრული
117. ბიოგრეი ნიშნიანიძე — ლექსები
120. ზაზა ენუქიძე — დაუცველია და მეტად საშიში. რომანი. გაგრძელება

ახალი თარგმანები

130. ალბათ კარლსტ — ცისფერი ლარნაკის საიდუმლოება. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ეთერ ბოლოგრაფიშვილმა

წერილები

142. ქეთევან ნადირაძე — თეიდო ჟორდანიას ერთი წერილის გამო

უცხო თვალით

146. ჯორჯ სოროსი — საბჭოთა სისტემა: თავისუფალი საზოგადოებისაენ. თარგმნა ბიოგრეი მაჭუტაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

St. Andrews Review
Double Issue Numbers Thirty-Eight and Thirty-Nine

ჩვენი სტუმარია „წმინდა ანდრიას სალიტერატურო ჟურნალი“ ამერიკა, ჩრდილოეთ კაროლინის შტატი

ჩვენი სტუმარია ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთ კაროლინას შტატის სალიტერატურო ჟურნალი. ეს ახალგაზრდული, პერიოდული გამოცემა, რომელიც წმინდა ანდრიას სახელს ატარებს, ასევე თავის უახლოეს ნომერს დაუთმობს ქართველ მწერლებს. გამორჩეულ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულა ჟურნალ „ცისკარში“.

ურთიერთსტუმრობის ეს აზრი კი ასე დაიბადა: გასულ წელს საქართველოს მწერალთა კავშირში გვესტუმრა ამერიკელ მოქალაქეთა დელეგაცია, რომელთა შორის იყო მწერალი ჯეფრი გალაგერი ჩრდილოეთი კაროლინას შტატიდან... ეს აზრიც სწორედ მას გაუჩნდა...

ბატონმა ჯეფრი გალაგერმა, როგორც საერთოდ ამერიკელებს სჩვევიათ, სიტყვა საქმედ აქცია, — მალე ამერიკიდან მივიღეთ ფაქიზად შეფუთული ბანდეროლი — ამერიკელ ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებთა ორიგინალები. დღეს ისინი ჩვენს ჟურნალში იბეჭდება.

ალბათ, გაგიკვირდებათ, რომ ჟურნალში ვერ იხილავთ თვით ჯეფრი გალაგერს. ეს ჩვენთვისაც გამოცანაა, მაგრამ მას ასე მონებებია, — მოგეხსენებთ, ამერიკელები ამერიკელები არიან! შეგეცდებით, მისი შემოქმედება ცალკე გაგაცნოთ.

ორიოდე სიტყვა ამ ჟურნალის შესახებ:

როგორც ყველა ჟურნალს, ამ გამოცემასაც ჰყავს თავისი მთავარი რედაქტორი (დამფუძნებელი გენერალური რედაქტორი) ასევე — განყოფილებების რედაქტორები და სხვა... მაგრამ ამერიკული ჟურნალის მუშაობის წესი და დიაპაზონი სულ სხვაა, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

ჟურნალს ამერიკის და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჰყავს მრჩეველი რედაქტორები, მათ შორის — ტოკიოშიც.

გამოცემას ხელმძღვანელობს წმინდა ანდრიას პრესის დირექტორთა საბჭო, რომელშიც შედის თვით დამფუძნებელი გენერალური რედაქტორიც.

ახლა როგორ უყვართ ამერიკელებს თავიანთი ჟურნალი! მას მთლიანად კერძო პირები(!), რიგითი ამერიკელები აფინანსებენ, რომელთა გვარებიც ჟურნალის ყოველ ნომერს აწერია: დაბეჭდილი ჟურნალის ხელისმომწერლებთან მიტანას კი სიამოვნებით კისრულობენ ამ შტატის მფრინავები არა მარტო ამერიკაში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში...

გულსატკენია, რომ ამ დროს... ჩვენს ჟურნალს, „ცისკარს“, სპონსორები და გამავრცელებლები კი არა, ხელისმომწერლებიც უჭირს...

მტკიცედაა დაცული წმინდა ანდრიას სალიტერატურო ჟურნალის ავტორთა საავტორო უფლებანი. ამა თუ იმ მასალის გადმობეჭდვა ან ციტირება დაუშვებელია ავტორის ნებართვის გარეშე.

მა'შ ასე! ახლა მოვუსმინოთ ჩვენს სტუმრებს შორეული ამერიკიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეიმზ სიეი

ჯეიმზ სიეი დაიბადა პანოლა ქაუნთიში, მისისიპში, განათლება მიიღო მისისიპისა და ვირჯინიის უნივერსიტეტებში. მისი ლექსების პირველი ორი წიგნი „არ მისცე ნება გულს“ და „წყლის მაგიდები“ გამოაქვეყნა ვესლეის უნივერსიტეტის პოეტური სერიების გამომცემლობამ, მისი პოეზიის შემცირებული გამოცემა კი ეკუთვნის ირლანდიის დერფილდის გამომცემლობას, პრეს გალერეას და პალაიმონის შემცირებულ გამოცემათა კომპანიას. „უილიამ მოროუ და კომპანიამ“ გამოსცა მისი მესამე კრებული „მათი აღმოჩენილი სინათლე“ 1990 წელს. სიეის პოეზია და კრიტიკული წერილები დაიბეჭდა „ამერიკან რევიუში“, „ანთეოსში“, „ესკვაიერში“, „ერში“, „ჯორჯია რევიუში“ და სხვ. იგი თანაავტორია რეგისორ ჯორჯ ბატლერის ფილმისა „სისხლი“. აღჭაღად ხელმძღვანელობს შემოქმედებითად წერის პროგრამას ჩაპელ ჰილში, ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტში. მას ოფიციალური შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა სალიტერატურო ჟურნალების გამომცემლებთან, წაიკითხა ლექციები მოსკოვის უნივერსიტეტში.

ტვინი და კომპანია

ელისაბედ სპენსერს

როცა ვათვალიერებდი მეგობრის კატალოგს —
1987 წლის მოძველებულ კოლექციას,
უცებ შევნიშნე გულწოთელას კვერცხისოდენა საგანი
და გამიკვირდა, რომ არასდროს მიფიქრია ასეთი რამ
მეყიდა ჩემთვის.
არც არასოდეს მომსურვებია იდეალად წარმომიდგინა
მსგავსი საგნები
და არც ოდესმე ავტუზულვარ
რევოლუციის მოოქროვილ კართან და მსგავსი
სურვილი არასოდეს არ გამჩენია.
კი, მარტოოდენ ისტორიას შეუძლია ახსნას ყოველი.
მოდით, დავბრუნდეთ წარსულში, თვალი შევავლოთ
სამოცდაათი წლის წინანდელ დროს,
როცა სამყაროს მოევლინა დედაჩემი და კიდევ gFK,
რას დავინახავთ, რა ხდებოდა იმჟამად ქვეყნად:
ერთის მხრივ, მაშინ გამოქვეყნდა ფროიდის ახალი ფსიქოანალიზი
და იმავე დროს ვ. ი. ლენინმა შეაბოტა ზამთრის სასახლეში,
ძირითადად კი რა ხდებოდა მაშინ — ჩვეულებრივი
ზამთარი იდგა იქ ტროიში და მისისიპში,
ხოლო გარდაცვლილი დეიდის ხუთი ბავშვი —
საცოდავად ჩამწკრივებულნი კვლავ გადაკვეთდნენ ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო ბაღს და მიდიოდნენ ბებიასთან დასანაყრებლად.
დღეს, ბალშაია მარსკაიაზე რომ მივაბიჯებ
რისთვისღა ვეძებ ძველ პეტერბურღში ფაბერჟეს მაღაზიას,
იქ ხომ ოდესღაც საუზმობდა ვ. ი. ლენინი
აყროლებულ ბოლშევიკებთან ერთად და ფაბერჟეს მაღაზიაც
ხომ იქვე იყო?
ხომ სულერთია უმშვენიერეს ყბედობას
თუ ორმოს მიაფსამ,
თუ კი მაინც ჩაეშვები იმ ხიბლნარევ სიცრუეში —
რომელსაც ჰქვია პრივილეგია,
თითქოს მას მართლაც შეძლებოდა ჩვენი თავმოყრა,
შეპატიჟება თავის პირად Mardi Yras-ში,
თანაც ცხოვრების ისეთნაირ დღესასწაულზე,
როგორიცაა ჯორჯტოუნში ქალთან ერთად დილის საუზმე,
მაგრამ ბალშაია მარსკაიაზე აღარ მოჩანს ძველი ზმანება
სამშაბათის კარნავალისა.
მე კი ვფიქრობდი იმ ფაბერჟეზე, ნამდვილ რუსზე, რომ გაიქცა და
შვეიცარიას შეაფარა ბეხრეკი თავი,
მაშინ, როცა ბოლშევიკები ზღაპრულ ნამცხვრებით გამძღარნი
არისტოკრატებს ანადგურებდნენ და მიხოხავდნენ
მეფის კარისკენ — მათ მხრებზე ხომ ძლევამოსილი
მაიმუნი ეჯდათ
და მათ სიტყვაში ელვარებდნენ ძვირფასი თვლები.
ძალაუფლება კარდახშული სამხედრო საკანი ხომ არ არის?!
მისი შერყევა არ იკმარებს, სამუდამოდ უნდა დაინგრეს.
არ გაელიმა ჩემს მოსკოველ გიდს, როცა ვკითხე
(მე ხომ ვიხუმრე):
არის თუ არა საიდუმლო გვირაბი
კგბ-ს მთავარ სამმართველოსა და
ბავშვთა სათამაშოების უნივერმაღს შორის —
რომელიც იქვე მდებარეობს, ქუჩის გადაღმა.
მაგრამ კრემლში, ერთ იმპერიელ ბობოლას
ახლაც გააჩნია ტრანს-ციმბირული რკინიგზის მატარებელი,
სხვა ბობოლამ კი სულ ახლახან გამოაჩინა
ნიკოლოზის იახტა ოჭროსგან განძარცვული.
უნებლიეთ თვალწინ დამიდგა
გზაჯვარედინები და ლიანდაგები,
მუდმივი სტეპები, ვრცელი სტეპები — ზღვამდე.
ისევ ზღვისა და დედამიწის გადაკვეთას
ვცდილობთ ყველანი.

თარგმნა გივი ალხაზიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეთა უკანასკნელი მოსაზრება

სხვათა ომის ქვემეხები
ჭეხან ჩემი სამშობლოს კარის ზღურბლთან.
თითოეულ ქვემეხს სახელი უნდა დავარქვა
და მოვუთხრო შთამომავლობას,
რატომ გველაპარაკებოდნენ ისინი
ასე ხმამაღლა,
ასე მკაცრად, ასე უხეშად...
რატომ ყეფდნენ ჩვენი კარის ზღურბლთან
დამშეული ნაგაზებივით,
მეფეთა უკანასკნელი მოსაზრება აწერია
ყოველ მათგანს - uetima Ratio Regum
გარდამავალი დღეები ამოხსნიან ალბათ
ამ ლათინურ წარწერებს.
ისინი გვეტყვიან ამ საქვემეხო მიმოწერის
შინაარსს.
ადამიანები წიგნებს ჩუქნიან ერთმანეთს
გულისხმიერი წარწერებით.
მეფეები — ქვემეხებს.
მათთვის წიგნები ქვემეხებია
და თითოეული სტრიქონი ცეცხლისა და სიკვდილის
კვალს ტოვებს სივრცეში.
მეომრები სახელებს არქმევენ თავიანთ ხმლებს,
უკუღმართი ფრანგებიც ასევე არქმევდნენ
სახელებს თავიანთ თოფებს:
ზოგს „მკაცრი“ ერქვა, ზოგს „დაუდევარი“,
ზოგს „შეხედე“, ზოგს „უბის წიგნაკი“,
ზოგსაც „გარიჟრაჟი“ და „სურვილი“,
მათ შუა კი დგანან დამანგრეველი იარაღები
„გზავნილი“ და „განთიადი“
თუ მიუახლოვდებით ამ მდუმარე წყვილს
ორ მწვანე გველს დაინახავთ,
ქვემეხების სამიზნეებზე რომ აცოცებულან,
ერთ-ერთს თავი მომძვრალი აქვს,
ალბათ ყუმბარის გასროლისას მოწყდა.
ან იქნებ რომელიმე ხარბმა მეომარმა
მოამტვრია ეს საინტერესო საგანი?
არ ვიცი, ფაქტი ისაა, რომ იარაღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპატრონოდ გდია დაუმარხავი ცხედარივით.
და არც რომელიმე სამხედროს მუში ახსოვს
და არც ჩატეხილი თავის ქალა.
დავიწყებას მისცემია გველის კუდიც
და ისიც, რომ როგორც კი
დესპანის წერილი გაიგზავნებოდა,
იარაღი მაშინვე გასტყორცნიდა
დამღუპველ შუქს განთიადისკენ...

რწმენა, როგორც კულტურის იარაღი, კულტურა, როგორც თხრობის საშუალება

თვალგაუწვდენელ სივრცეზე ჩვენს ქვემოთ
შავი წყალი ზიმზიმებდა.
ჩვენ კი ფართო ნავში გვეძინა.
ჰეთროუდან მოყოლებული
შავმა დინებამ უგზოუკვლოდ გვახეტიალა
ტორფიან ადგილებში.
ის ხელს გვიშლიდა შეგვეღწია
ყვავილების ბაღის ღია ჭიშკარში.
ტრანსატლანტიკის ტელეფონით საუბრისას
ჩემმა მეგობარმა ბონიმ ჯორჯიიდან,
ახლა უიკენდს საფრანგეთში რომ ატარებს
თავის საქმროსთან,
ასე გვითხრა:
— ჭიშკარი მარჯვნივაა!
ბონის ბებიაც ასე ამბობდა ხოლმე
— უკანა კარის გასაღები
ცოცხიანი ვედროს ქვეშაა.

თარგმნა **ვახტანგ ხარჩილავამ**

ენ დიგონი

●

ამჟამად ვცხოვრობ გრინსბოროში; ჩრდილოეთ კაროლინაში. 1985 წელს ქმარი გარდმეცვალა. მას შემდეგ ვცხოვრობ ჩემს უმცროს ქალიშვილთან ერთად, რომელიც იქვე, მახლობლად, გონებრივად ჩამორჩენილთა სკოლაში მუშაობს მასწავლებლად. უფროსი ქალიშვილი კლასიკის პროფესორია ვილინგტონის უნივერსიტეტში; ამასთან იგი შუა აღმოსავლეთის ხალხთა ეცეკვების ასწავლის.

მე, 1956 წლიდან, ვმუშაობ კეკაკერების ხელოვნების ინსტიტუტში. ვარ პროფესორი და ვკითხულობ ჰუმანიტარულ საგნებს, ეზიელძღვანელობ სამხრეთ-აღმოსავლეთის პოეზიის ცენტრს. შაბათობით რამდენიმე კოლეჯში ვკითხულობ ლექციებს თანამედროვე მწერლობაზე.

სურვილი გამიჩნდა აუდიტორიას დავუახლოვდე უფრო მეტად, ვიდრე ამის საშუალებას ნაბეჭდი ფურცლები და პოეზიის დეკლამაცია იძლევა. დავწერე რამდენიმე პიესა, რომლებშიც მე თვითონაც სიამოვნებით ვითამაშებდი. ახლა მთელი სერიოზულობით ვწერ „ქანთრი მუსიკას“ (სოფლურ მუსიკას) და ბლუზს. ჩემივე სიმღერებს ვმღერი ეკლესიებში, ბარებში... ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მეძლევა.

როცა შესაძლებლობა მაქვს, ვმოგზაურობ სამშობლოშიც და საზღვარგარეთაც. (მოგზაურობებმა — საბერძნეთში, იტალიაში, ინგლისში, ირლანდიაში და, ამ ზაფხულს, ინდოეთში) — უამრავი შთაბეჭდილება დამიგროვა საწერად.

ახლახან ტყეში ავაშენე პატარა ქოხი. ახლა იქ შემიძლია განმარტოებით ყოფნა და წერა. 1992 წელს იქ გავატარებ. ამ დროს მთლიანად წერას დავუთმობ. ჩემს არამეცნიერულ საქმიანობაზეც გეტყვით: ხორცის გამყიდველიდან კაპელდინების წარმოდგენებში მონაწილეობისათვის გავრბივარ. მიყვარს ღამის თევა კარავში, ვესწრები ფესტივალებს ღია ცისქვეშ, ვთვეზაობ ჩემს გუბურაში, ხან კი არცთუ სასიამოვნო საზოგადოებას შევერევი ხოლმე პიანინოს ბარში.

გაფრთხილდი

რითა და როგორ შეიძლება, რომ მეკუბოვემ
არ ითვალთმაქცოს:
მდუმარე ენით —
რომელიც ზოგჯერ მეტ სათქმელს ამბობს,
ვიდრე სიტყვები;
ხმამაღალი ლაპარაკით —
რომელიც ყელის ძარღვებს ასკდება
და ექოდ ისმის თავის ქალაში;
თვალებით —
ლურჯად მოჩანან დანაოჭებულ ღრუბლებში.
უხეში ბნელი სხეულიდან ამოდის მთვარე.
ნურაფერს დაელოდები,
ლოდინის ყინვით ნუ აივსები,
შენს სურვილებს დაენდე,
შენი სხეულის სავანე ნახე.

წმინდა ქვეგის ქვეშ

წმინდა მიჰანის სარდაფში ჩავყევი
ეკლესიის დარაჯს.
იქ სამი გვამი ეწქიათ მუმიად:
მოლაშქრის, მონაზვნისა და ავაზაკის.

მე არ ვარ მოლაშქრე,
თუმცა, ოდესღაც, მეც, ალმით ხელში,
გზაჯვარედინზე გამოვდიოდი.

მონაზონს მოვლილი ფრჩხილები ჰქონდა.
დარაჯმა თქვა:
მისი მოვლილი ფრჩხილები
ღვთისმოსაობას ვერ ეხსნებაო.
მახსოვს, მე, ერთხელ,
პატარა გოგო რომ ვიყავი,
ძირში დავიჭერი ფრჩხილები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბრჭყალებად არ გადამქცეოდა.
ჩემი დაც ასე მოიქცა.
მაგრამ მე მონაზონი არა ვარ.
ახლა მესამე ვნახოთ.
ერთი შეხედვით
ფეხებს არ ეტყობათ, რომ დამნაშავის
ფეხებია.
მან იჭერდა და გაიქცა.
განკითხვის დღეს მისი დაკოჭლებული ფეხები
ვერ აიღწევს მეუფის ტახტამდე.
ხელებიც დაეკრუნჩხება,
ერთმანეთში გადაეხლართება და
აუცახცახდება.

ბოროტმოქმედო! მე შენში ჩემი თავი ვიცანი.
ჩვენ ხომ ორივენი ავაზაკები ვართ;
თუმც, ჯერჯერობით, ჩემი ფეხებით
სწრაფად დავრბივარ,
ჩაბღუჯული მაქვს მოპარული ცეცხლი
ხელებში.
პრომეთე არ ვარ.
მე დიდ საფრთხეში ვიგდებ ჩემს გულ-ღვიძლს:
საკაცობრიო იდეალებს კი არა — სმას
ვეწირები.
ამ დანაშაულს სახელიც კი ვერ გამოვუძებნე,
მაგრამ როდესაც ფეხები წამერთმევა;
რაც კი რამ ხელში მაქვს ჩაბღუჯული —
ჩაიშლება და გადმოიღვრება.
მე ვწევარ წმინდა ქვების ქვეშ.
ვერ გააგრილებს ჩემს ძელებს და ძარღვებს
ჩემკენ ნიაღვრად წამოსული ათასწლეული.

ჯოჯოხეთისკენ

ახლა თუ არა — მერე მაინც.

ჩვენ ყველანი ჯოჯოხეთისკენ მივდიოვართ.
მოღიმარმა ბიჭმა მოაყენა მოტორიანი ნავი
და სასეირნოდ გვეპატიჟება —
სამასი ლირა ღირს.
წყალს გადავცურავთ. ჩვენ ყველანი
ტურისტები ვართ.
ნავის ქვეშ, ბინძურ დედაკაცივით,
ზღვა გაწოლილა.
ნაპირს მივადექით. ველიო კარის გაღებას.
სარკე დაგვყურებს, როგორაც სახლში
შეპარულ ქურდებს.
მსახური ქალი თოკს ეწევა.
შიგნით კი შავი ძაღლი წრიალებს.
უფსკრულის პირას გავივლით და დღის
შუქს ვიხილავთ.
აქ დგას სასახლე — ბედისწერამ რომ
დაგვახვედრა.
დილის ნათელი ჩამოწვება თეთრი ნისლივით.
ღამით მზეს შთანთქავს შავი ძაღლი და
მოისვენებს.

მდინარის შესართავთანაა იგი მიყუჟული.
მისი საწოლი მოტორიზებულია —
ზღვის მოქცევისას აძაგძაგდება და
მირუმდება.
თითქოს გაყინულა აფრა.
მტკნარი წყალი შედის ნავში — მარილიანი
გამოდის უკან.
მას ესმის ჩემი სიმღერა.
დანტე, შენ შეგეშალა —
ჯოჯოხეთში არ არიან მოღალატენი.
სატანა მოგვდევს, სატანა გვდევნავს
და ქორწინების ზეიმიდან მომავალს
ვუჭვრეტთ:
ერთმანეთს ვხედავთ უკვე მიცლილთ და
უკვე
დამცხრალთ.
სულ ზევით მიმავალნი, სულ ქვევით
ვიყურებით —
ვალდებულებებისკენ, გარიგებებისკენ,
აუცილებლობებისკენ.

თარგმნა **მამუკა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენ ლიგონი

ვერცხლის ვაშლები

მოთხრობა

„საქესთან შენ დაჯექი“ — უთხრა ქალმა, — ისევ დენა მაქეს“.

„როგორ გგონია, ყველაფერი რიგზეა?“

„ყველაფერი?“— ქალმა მანქანას წინიდან შემოუარა და შედგა, ხელი გაღებულ კარზე ედო. კაცი შეორე მხარეს იდგა და ყურადღებით უცქერდოდა. მძღოლის კარში — გეგონება ჩარჩოშიაო, ისე მოჩანდა კაცი და ქალი ხედავდა, რა მრგვალი და ცივი თვალები ჰქონდა მას და ზუსტად ისეთი მოლურჯო ფერის, როგორიც V. W. ამ ფერის გამო იყიდა V.W. და ცოლადაც ალბათ ამ ფერის გამო გაჰყვა ამ კაცს.

„იქნებ დავბრუნდეთ კლინიკაში, და ერთხელაც ვნახონ“.

„გუშინ ხომ ვიყავთო? — უთხრა ქალმა. — იქ სასწაულს კი არ ახდენენ, ამორტებს აკეთებენ. დენა კიდევ რამდენიმე ხანს მაინც მექნება“. მანქანისხელა სივრცის იქით ისევ მიშტერებოდა კაცს, კაცის მრგვალო სახე კარის მინაში დახატულივით ჩანდა, ბეისბოლის ბურთს ან ისარს ესვრი, თუ მოარტყამ, თოჯინა კოუპის მოიგებ და თუკი ვერა, წააგებ და დაკარგავ ადგილს. ცხადი იყო, ქალმა წააგო. კაცმა კარი გამოაღო და საჭეს მიუჯდა. გასაღებებს კრიალოსანივით მარცვლავდა, საჭირო გასაღები რომ ეპოვა.

ქალმა სახელურს ჩასჭიდა ხელი, იმაზე უფრო ცხელი ეჩვენა, ვიდრე ეგონა. იმ მცირე ხანში, ვიდრე იგი კართან იდგა, სანდლები ასფალტს მიეკრა და ააცილა, რომ მანქანაშიასულიყო. მანქანა მოატრიალეს და მოტელი უკან მოიტოვეს. ზოსეზე გასვლისას საზურგეს მიეკრა ცოლიც და ქმარიც. ორმოცდაზუთი წუთი უნდა ეკლოთ სამხრეთით, რო[illegible]ტის საზღვრამდე მიეღწიათ, მერე კიდევ ოთხი საათი უნივერსიტეტამდე. კაცი ქალისკენ შეეხედა და გაუღიმა. „ფანი, რა ხანია რაც გავიპარეთ!“ ხმაში ისმოდა ისევ ის სინაზე და — ირონიაც, ერთდა იმავ დროს. ამ ტონით *რასაც გინდა იმას ეტყოდი. თუ ქალი შეხედავდა, თავადაც უნდა გაეღიმა.* ქალმა სარკმელში გაიხედა. ჰო, რა თქმა უნდა, ისევ ისეთი ირონიული ღიმილი იყო. ოღონდ მაშინ პატარა მანქანა ჰქონდათ, თანაც დროებით — იქირავეს. შტატის საზღვრამდეც მხოლოდ ოცი მილი თუ იყო გასავლელი და არც ისე ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული.

ქალი, რაც შეეძლო მიეკრა საზურგეს, ზოსეზე მალიმალ ჩნდებოდა და მერე ისევ ეკარგებოდა თეთრი ხაზები და იმათ უყურებდა. მაშინაც ასე იყო, როცა პირველად შეხვდა — გვერდით ეჯდა, მაგრამ ორივე ჩუმად იყო. ტრამვაი რუხ რელსებზე მირახრახებდა და ცენტრალური კოლეჯისკენ მიჰყავდა ბიჭიც და გოგოც. ეს ბიჭი სასწავლო წლის დაწყებისთანავე შეამჩნია, იგი უფროს კლასში სწავლობდა: მოხდენილი ყმაწვილი იყო, რაღაც იდუმალი გამოხედვით, არა, არც ისე იდუმალით, მაგრამ მაინც, გეგონება, რაღაცას მალავსო. ტრამვაიში სულ ფანჯარასთან იჯდა ბიჭი, ზუსტად ფერადი წარწერის წინ და გოგო მიხვდა, რომ მგზავრობისას იგი რაღაცით ერთობოდა. ეს რაღაც კი მისი ეკეკტის ჯიბესა და ტრამვაის ფანჯრის შუა ხდებოდა. ერთ-ორჯერ გოგო იმის წინ დაჯდა და ბიჭმა გაანდო — დილაობით ხანდახან კენტებით ვ[illegible]სებ ჯიბეს და გზადაგზა ჩუმად არხში ვყრიო. მერე, ტრამვაიდან ჩასვლისას ბიჭი საგორავ ფიცარზე დადგებოდა და მეორე ავენიუთი უესტ ენტისკენ გაქანდებოდა. ეს ახირება გოგოს მოსწონდა, ოღონდ, ცოტა არ იყოს, აკცუნებდა. მაგრამ მაინც უფრო მოსწონდა, ვიდრე აცბუნებდა. დამთავრდა თუ არა სასწავლო წელი, იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამესვე გადაწყვეტეს გაპარვა.

მერე ყველფერი ისე წარიმართა, როგორც ხდება. თვე თვეს მისდევდა, ისე როგორც ეს პატარა თეთრი ზაზები ამ ზოსეზე და როგორც პატარა თეთრი ტამპონები. ცოლი დილით საუზმეს მოამზადებდა და მერე ბანქში წავიდოდა. ქმარი ყოველდღე დადიოდა ლექციებზე და ცოლს სადილსაც აზეკრებდა. ზაფხულში ორი კვირა ბუნების წიაღში გაატარეს. მანქანაში ეძინათ. მონახეს რაღაც გაუსაძლისად ლამაზი ადგილი, რასაც, ცხადია, ის კვირა რომ გათავდებოდა, ვეღარ ერთი ვეღარ ნახავდა. სწორედ აქ, მანქანაში ვერ გაფრთხილდა ქალი. ეს ივნისში იყო, აგვისტოსთვის კი ეშვიც ალარ ეპარებოდა.

„ბავშვი გვეყოლება“, — უთხრა ქალმა.

„ღმერთო ჩემო, — წარმოთქვა კაცმა, „რანაირად დაუშვი ეს?“ იმ ერთხელ იყო, რომ ირონია არ ერია ხმაში, მაგრამ მეორე წელს ქმარს დიპლომი უნდა დაეცვა და ამით გადაწყდა ყველაფერი. პარასკევი იყო, მოტელში, თავიანთ ოთახში გაშმაგებით რომ ისაყვარულეს, ოთახში კონდიცია იყო. ამ ორი თვის მერე ორივე უფიქრელად ცდილობდა არ ხსომებოდათ ეს კოშმარი, ის გააფთრებული ძალები, ანდა იქნებ, რაღაც სიბრაზით ეხვეოდნენ ერთიმეორეს, გაშმაგებით, ლამის დაგლიჯეს ერთმანეთი. შაბათი მშობელთა საერთაშორისო ცენტრში გაატარეს, სადაც ყველა ფორმალობა გაიარეს და კვირას ისევ შინისკენ გასწიეს. მეორე დღეს ქალი ისევ მაღალ სკამზე იჯდებოდა, მოღარის სარკმელთან, და ხალხს ნაკადი, როგორც ჭასთან, ისე მივიდოდა მასთან ჯიბეების ამოსაცვლებად.

ქალი ზედავდა, შუშის კართან ბრბოდ იდგა ხალხი, როგორც ყოველთვის — უიკენდი რომ თავდებოდა. გაიღო თუ არა კარი დარაჯმა, სუფველი უმალ მიაწყდა სალაროებს — სულ ოთხი იყო. პირველად კარგა დიდი თანხა, დეპოზიტი თეატრის შიერიკმა გოგომ შემოიტანა. ის ყოველთვის ორშაბათობით მოდიოდა. ჯინსები კი ეცვა, მაგრამ ყღარუნა საყურეები გაღიზიანებდათ.

„თუ მოვიძიე, შემიხოროცდება და საყურეს ვეღარ გავიკეთებ“, — აუხსნა ერთხელ.

მეორე — გამხდარი, შავკანიანი კაცი იყო, რომელსაც აშკარად ყვავილი ჰქონდა გადატანილი, პრესეიტერიანული ეკლესიის შესაწირი შემოიტანა, იქნება სულაც მოწყალებისთვის გაღებული ფულით სურდა სინდისის დამშვიდება (ქალი თავადაც პრესეიტერიანელი იყო). მერე ხნიერი ქალი მოვიდა, ნაოჭასხმული შალის სამოსი ეცვა, მიეხედავად იმისა, რომ ცხელოდა, ხელებზე კი — გეგონება, წვეულებაზეაო, ლამის მხრებამდე სწვდებოდა მოყვითალო ფერის ხელთათმანები. იფიქრებდით, კაბის კალთის რომელიღაც ნაოჭს შიგნით ჰქონდა დიდი ტილოს აბგა, ისე ასწია და დადო მერხზე, ბეჭედდასმული: „შშშ ბანკი — ღამის დეპოზიტი.

„ძალიან ვწუხვარ“, — უთხრა იმ ქალს, — მაგრამ სულ სხვა ბანკში მობრძანდით“.

„თუ შეიძლება, გახსენით, ძვირფასსო“, თქვა ხნიერმა ქალმა, გეგონება, კარგა ხანია უკვე იცნობსო, ისე უყურებდა თავისი მკაცრი, ლურჯი თვალებით,

ცოტა ხანს მერყეობდა და მერე გახსნა, შიგ ფული არ იყო, მხოლოდ მოთეთრო, ნოტიო, ახალშობილი ბავშვი დაინახა, დაახლოებით რვა დღემის სიგრძის, ქალმა სახვევი გახსნა, ბიჭი იყო. თვალის ფოსოებზე ორი ახლადმოჭრილი მინეტა ედო. ქალს ქვითინი აუვარდა, ყღარუნისა და ჩხარუნის ხმა ჩაესმა — სალაროების ხმაურით დაკეტვის ხმა. მმართველმა სარდაფის რკინის კარი მიაჯახუნა და მთელ შენობაში განგაში გაისმა.

„ბაიოვიძე!“ — გარნი უყვიროდა, თავისი ქმარი. — „არ გესმის, რაღაც დაემართა ამ წყეულ მანქანას!“ ხმაურ უკანა მხრიდან იყო, ღერძი არ გატეხილა, ვიდრე მანქანა გზაზე მიდიოდა, მხოლოდ ყღირიები ისმოდა, მაგრამ მართლა რაღაც სერიოზული კი სჭირდა. გეგონება, კრუნჩხვა უვლისო, უჭირდა სვლა, სულ ერთი იყო, საათში ბევრი-ბევრი — 30 მილით ევლოთ.

„ნელი ატარე“, — ისევ გაოგნებული იყო სიზმრით, ცახცახებდა, ისევ კოშმარი ელანდებოდა. პროფილაქტიკა ნახევარ მილს იქით იყო. „შემდეგი შესასვლელისკენ დაიჭირე, იქნებ მექანიკოსი ჰყავდეთ“.

„კვირა დღეს?“ — გაიკვირვა კაცმა. — „რატომ ფიქრობ, რომ იქამდე მივაღწევთ?“

მაგრამ მანქანა მაინც მივიდა იქამდე. კუსავთთ მიხოხავდა, გადახრილი, სანამ მიაღწევდა. ბედმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუღიმათ, იქაურობა პატარა ფერმერულ დასახლებასაც ემსახურებოდა და სხვა შტატებიდან მოსულებსაც. რამდენიმე კაცი და ბიჭი „პიკ-აპსა“ და ორ მოტოციკლეტს დასტრიალებდა.

გარაჟში უკვე „ალეიმაეს 59“ ეყენათ ერთ დომკრატზე, მეორე თავისუფალი იყო. ქალმა გარნეი მოსალაპარაკებლად გაუშვა და საპირფარეშოს მიაშურა. მთელი ზაფხულის სიცხე იქ იყო, უამრავ მკვდარ ფარაონასთან ერთად — ზოგიერთის ლამაზიც კი ეთქმოდა, და იმაზე კიდევ უფრო მეტი ცოცხალი ბუზი დაბზუოდა გარშემო თუ ენით აუწერელ ჭუჭყიან იატაკზე. როგორც კი დაიხარა, თავბრუ დაეხვა, რაც გულის სისუსტით უფრო ემართებოდა, ვიდრე სისხლის დაკარგვით. ცდილობდა, არ შეხებოდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და უცებ დაეშვა ჭრაჭუნა ფიცარზე. ცოტა არ იყოს, ახლა სასაცილოც კი იყო იმის ცდა, როგორმე სუფთად გადარჩენილიყო.

როცა დაბრუნდა, მანქანა უკვე დომკრატზე იდგა და დაფანგული ფაშვი უჩანდა. სამი კაცი შესჭიდებოდა მარცხენა უკანა საბურავს, გარნეი, ალბათ, საპირფარეშოში იყო, იქ არ ჩანდა, „რა ხდება?“ — შეეკითხა.

„საკისარია დამწვარი, ქალბატონო“, — უპასუხა ერთმა.

„როგორ გგონია, გააკეთებთ?“

„აჰაა, ჯობი წავიდა ჯართის ეზოში, 421-ზე, იქ რამეს შეარჩევს და საკისარს ახალივით გავხდით. დიდი ხანი არ მოუნდება, მაგრამ, ჯობია ოფისში შეხვიდეთ, იქ თავისუფალდ იქნებით, როგორც სახლში“.

როგორც უთხრეს, ისე მოიქცა და ტრიალა სკამზე დაჯდა, სკამს აქა-იქ დახეული ტყავი ჰქონდა გადაკრული. ვენტილაციის ნიავი აფრიალებდა რაღაც ქაღალდებს — იქვე, მერხთან, ქანჩის მოსაჭერებისა და დაცალილი ბოთლების ახლო რომ ეწყო. რამდენიმე წუთში, კაცებისა და გარნეის ბუტბუტში ქალს ეცნო ღრჭიალისა და დაგორების ხმა, ადგა და იმწამს გარაჟისაკენ გაემართა, ორი კაცი ბორბალს უშვებდა, მესამე კი ცემენტის იატაკზე დაფანტულ ნახეკარ დუჟინ ფოლადის პაწაწინა ბურთულებს კრეფდა და გარნეის აჩვენებდა. ორი ცოტათი ჩაშლილიყო, ოთხი კი საღი და მთელი იყო, პრიალა პატინათი ვერცხლის მონეტას წააგავდა.

„მე მომეცით, თუ შეიძლება“, — სთხოვა ქალმა და კაცმა გათხუპნილი ხელისგულიდან სათითაოდ ამოკრიფა ბურთულები, ისევ უკან, ოფისისაკენ რომ მიდიოდა ამ განძეულით, მიხვდა რომ კაცებმა ჩაიცინეს.

რვა წლისა იყო, პაპამ თავისი ავტომანქანის ერთი ძალიან დიდი ბურთულსაკისარი რომ აჩუქა, მარმარილოს ბურთებით თამაში პაპამ სულ პატარას ასწავლა, მაგრამ მაშინ, რვა წლისამ, ერთხელ გაბედა და შეეერთდა წითელი მტვერში მოთამაშე ბიჭებს თავისი ფოლადის ბურთულებით. ბიჭებმა ჯერ იფიქრეს, საყურებლად მოვიდაო, აღტაკებით გვიცქერის, ხაზთან რო ასე ახლო ვისკრითო აქატის ბურთებს, მაგრამ ყველამ რომ მოათავა სროლა, ახლა გოგო გაჩერდა სათამაშო წრეში და ისროლა ფოლადის ბურთულა. ბურთულა მძიმედ დაეშვა ხაზზე, ზუსტად ხაზზე, ცოტა ფტვერიც დააყენა და არც გაგორებულა.

ჰოდა, ჩაერთო თამაშში. გოგო მიხვდა, ბიჭებმა სულგრძელობით კი არ დართეს თამაშის ნება, არამედ იმისთვის, რომ ის ბურთულები სურდათ მოეგოთ.

სამი დღის მერე ცხადი გახდა, რომ ვერც ერთი ბიჭი, თვით მეექვსე კლასელიც კი ვერ აჯობებდა. როცა მეოთხე დღესაც გავიდა სათამაშოდ და წაიხარა, ერთმა ბიჭმა დაიძახა: დავინახეთ! მერე ვიღაც წამოვპარა, ხელი ჰკრა და მტვერში წაადო. გოგოს ისევ მაგრად ეჭირა თავისი ბურთულები. პირველი ბიჭი, გოგომ რომ დაიჭირა, ისე უცბად დაეცა ძირს, რომ სხვებმა სირბილით მიაშურეს მასწავლებელს დასაძახებლად. „რა დაარტყი?“ — შეეკითხა მასწავლებელი, როცა იმ ბიჭს ყურის უკან გაწითლებული დიდი ადგილი გაუსინჯა.

„ჩემი მუშტი“.

იმის მერე ვერც ერთი ბიჭი ვეღარ ბედავდა წაერთმია გოგოსთვის ის, რაც მუშტში ჰქონდა. ეს ამბავი ისე დასრულდა. ამის მერე ბურთებით აღარ თამაშობდა. მაგრამ აღარც არავის უკარია ხელი და დაუგდია ძირს.

ახლა ერთი ისეთი ბურთი ეჭირა ხელში, ისე ახლო, რომ შიგ თავის თავსაც კი ხედავდა. მახეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბმულ ავაზაკს ჰგავდა, მძარცველს, სადმე ბანკში დაჭერილს, უცებ სარკეში რომა ჩნდება. უყურებდა პაწაწინა ქალს, ბურთულის შეუღწეველი ცენტრის სიღრმეში ჩაძირულს და იცოდა — გარეთ გამოსვლა სურდა.

დაახლოებით სამი საათის მერე მანქანა მზად იყო.

„საჭესთან მე დავჯდები, — თქვა ქალმა, — მე წავიყვან“. გარნეიმ თავი დაუქნია და მანქანაში ჩაჯდა. სანამ გასაღებს გადაატრიალებდა, ქალმა ექვსი ბურთული დაიწყო გვერდით. კაცმა გაუღიმა.

„მიხარია, უკეთ რომ ხარ“, — თქვა კაცმა.

ქალმა გასაღები გადაატრიალა. ფრთხილად მძღოლი იყო და კაციც ენდობოდა. ქმარი საზურგეზე გადაწვა, თან სოფელს გასცქეროდა, თანდათან უკან რომ მოიტოვეს. ცოტა ხნის მერე შეამჩნია, რომ იმ ექვსიდან სამი ბურთულიღა იღო ადგილზე. ჭურდულად ეცქეროდა ქალს, ერთიმეორის მიყოლებით ორი ბურთულაც რომ გადაადგმ მანქანიდან.

„რას აკეთებ, რისთვის? — ჰკითხა კაცმა. — მე მეგონა, გინდოდა ის ბურთულები“.

„მე მეგონა, შენ ბავშვები გინდოდა“ — თქვა ქალმა.

„მინდა, ოღონდ ცოტა ხანს უნდა მოვიცადოთ, შენ ეს იცი, უკვე ორი კვირაა, ამაზე ვლაპარაკობთ. შენ რა, გინდა ისევ ხელახლა დაიწყო ყველაფერი?“

„არა, — მიუგო ქალმა, „სულაც არ მინდა ხელახლა დაწყება ყველაფრისა“. ერთი ბურთულიღა დარჩა, ისიც ისროო და სარკეში დაინახა, სიკბისაგან ალმურადგენილ ტროტუართან რომ ჩაიკარგა. აქსელერატორს მაგრად დააჭირა ფეხი.

„რას შვრები?“

„მივქრივარ, — შემოჭრილ ქარს მიაგება ხმა ქალმა. — შენ არ მასწავლე ასე ტარება, აღარ გახსოვს?“

„დაჯახებ“, — დაიყვირა კაცმა.

„შვიდ წელიწადს ცუდი იღბალი, სარკეების დამსხვრევას ითხოვს“, — ყვიროდა ქალი.

„შეიშალე?“ — ყვიროდა კაციც.

ესაფრთხოობის ქმაარი მიაგდო და ცოლს მივარდა, იმწუთას ქალმა მკვეთრად დაამუხრუჭა მანქანა. კაცმა საქარე მინას მიარტყა თავი, მაგრამ არ გასტეხია. კვნესით დავარდა თავის ადგილას. მერე, მთელი ოცდაათი წუთი ქალს ძალიან ფრთხილად, ზომიერი სიჩქარით მიჰყავდა მანქანა. კაცი თერმოსიდან ამოღებულ ყინულს იდებდა მარჯვენა საფეთქელთან.

„მე სარასთან დავრჩები, გარდენდეილში“, — თქვა ქალმა.

„მარტოკა — ძნელი იქნება შენთვის“.

„მე მაქვს სამსახური და მანქანა, ეს იმაზე მეტია, რაც შენა გაქვს“, — თქვა ქალმა.

„ძვირფასო, — თქვა კაცმა, — არ შეიძლება ასე გათავდეს“. ქალმა კაცის უნდობლობით გაოცებული ლურჯი თვალების მზერა იგრძნო. ქალი ისევ გზას უყურებდა. ტრასაზე, წინ, ზუსტად ორ ყვითელ ხაზებშუა პატარა თეთრი რაღაც შენიშნა. მიახლოებისას დაინახა, რომ კნუტი იყო, მკვდარი, მაგრამ მკვდარს არა ჰგავდა, ცოცხალივით იწვა.

„შეხედე“, — თქვა ქალმა, და როცა კაცმა საქარე მინაში გაიხედა, ქალმა უცებ მარცხნით წაიყვანა მანქანა და ბორბლებით ზედ გადაუარა პატარა სხეულს. კაცმა დაიყვირა, ქალის სახელს ყვირიდა სწორედ იმ წუთს, როცა ბორბლებმა პატარა კნუტს გადაუარა. მერე მთელი გზა ხმა აღარ ამოუღია. დროდადრო აკანკალებდა და ამოიოხრებდა. ავტომობილის პარკთან მისვლისას, როცა ქალმა მანქანა გააჩერა, კაცი უხმოდ გადმოვიდა, თავისი ჩანთა გადმოიღო, ფრთხილად მიხურა და მიკეტა კარი. განზე გადგა. ქალმა მანქანა მიატრიალა. მიდიოდა და ამობურცულ სარკეში არეკლილ კაცს ხედავდა — პატარა ჩანდა.

ჯერ 5 საათი და 30 წუთი იყო. კიდევ მოასწრებდა უკან დაბრუნებას და კნუტის დამარხვას. დაღამებამდე კი გარდენდეილშიც მივიდოდა.

ინგლისურიდან თარგმნა მალიკო ხელაშვილმა.

ჯარმენ მირანდას სიკვდილი

მოთხრობა

ჯარმენ მირანდა მოკვდა 1955 წლის 5 აგვისტოს, როცა 8 წლისა ვიყავი. მე ბებია ბოთსის უკანა ეზოში აყვავებული მიმოზის ხეზე ვიყავი გასული, როცა სამზარეულოში წყლის ბაკანის ზემოთ ფანჯრის რაფაზე შემოდგმული ძველი „ფილკოდან“ მოულოდნელად შეწყდა მუსიკა და უცნობმა ხმამ გამოაცხადა: „მოკვდა სამხრეთ ამერიკელი „ბომბშელი“[1]. დღეს გარდაიცვალა კარმენ მირანდა“.

მე წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ვინ იყო კარმენ მირანდა. ჩვენი ტელევიზორი კარგა ხანია არ უჩვენებდა — იმ დღეებში დელმარვას ნახევარკუნძულზე ტელეგამოსახულება უაღრესად ბუნდოვანი იყო, ხოლო ფილმებში, რომლის სანახავადაც ყოველი კვირის შუადღისას მეოთხედ დოლარს ვიხდიდი, კარმენ მირანდა არ ასრულებდა მთავარ როლებს. ამ ფილმებში თამაშობდნენ ლაშ ლარუ, ჯინ ოლრი, მაგრამ არა ბრაზილიური სამპას მოცეკვავე. მე, პირადად, ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა სამხრეთ ამერიკის მდებარეობაზე. ეს იყო სპილოს თავის ფორმის ქვეყანა, რომელიც თითქოს გადმოტრიალებული გოგრის ღეროთი გამობმოდა აშშ-ს ერთი ციცქნა გლობუსზე ჩემს საწოლ ოთახში. გარდა ამისა, მე ვიცოდი, რა იყო „ბომბშელი“. ბიძაჩემი ჯუეველის ბავშვობის მეგობარი, ახალგაზრდა ჯარისკაცი — ჯიმი კუპერი კორეაში „ბომბშელით“ იყო მოკლული.

ჯიმი კუპერი ერთადერთი შვილი გახლდათ ბებია ბოთსის კარის მეზობლების — ჯორჯ და მილდრიდ კუპერებისა; როცა 5 წლისა ვიყავი, ის არმიიდან შვებულებით ჩამოვიდა და სტუმრად გვეწვია; მან სათამაშო ჰიდროთვითმფრინავი მაჩუქა, რომელიც „ფულვერტებისას“ შეეძინა. მე იგი დამამახსოვრდა, როგორც კეთილი და ღიმილიანი ბიჭი, ყველა სხვა მეზობლის დარად, ჩვენი ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრით, ე. ი. ჩემით, რომ იყო დაინტერესებული. „აი, ასე უნდა გაუშვა“, — თქვა მან და ჩაცუცქდა, რათა ჩემთვის ეჩვენებინა ლუჯრ-წითლად შეღებილი თვითმფრინავი; „ჩაუშვი აბაზანაში და უცქირე, როგორ წავა. აი, ეს ტივტივებია, ისინი თვითმფრინავს წყლის ზედაპირზე აჩერებს“.

ერთ-ორ თვეში კვლავ ვეწვივე ბებია ბოთს, რომელიც მარტოდმარტო უჯდა სამზარეულოს მაგიდას, თვალებზე ჭეიჭლის ტილო აეფარებინა. საერთოდ, მას არ სჩვეოდა შუადღისას უსაქმოდ ჯდომა, ახლა კი მუქ ლუჯრ კაბაში გამოწყობილიყო, განსაკუთრებულ შემთხვევებში რომ იცვამდა ხოლმე; ქერა თმა უკან გადაევარცხნა და სადად გამოენასკვა; ვარდის სუნამო ჰქონდა ნაპკურები, რის გამოც ჰაერი დამძიმებულიყო. მე ფრთხილად შევედი სამზარეულოში და ვკითხე, როგორ გრძნობთ თავს-მეთქი. ბებია ისე შემომაშტერდა, თითქოს უეცრად შეეჭრილი ყაჩაღი ვყოფილიყავი.

„რას აკეთებ აქ?“ — მკითხა მან.

შეკითხვამ დამაბნია. თუმცა ჩემი მშობლები ორი კვარტლის დაშორებით ცხოვრობდნენ, მე თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ბებიას სახლში ვატარებდი. ის უხვად მიმასპინძლდებოდა საშქლითა და ტკბილეულით და რადგანაც ერთადერთი შვილი ვიყავი, უზომოდ მანებივრებდა. დედაჩემი ხელს უწყობდა ამ ურთიერთობას, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ოჯახის აგენტი ვიყავი. დედა და ბებია ბოთსი სრულიად განსხვავებული ტემპერამენტისანი იყვნენ. დედაჩემს უფრო სენტიმენტალობისკენ ქონდა მიდრეკილება, რასაც წყობიდან გამოჰყავდა ბებია ბოთსი და ისიც, ერთი ხანობა, ისე ეპყრობოდა ქალიშვილს, როგორც „წვინტლიან რომანტიკოსს“.

„რა დავაშავე?“ — ვკითხე მე, დარწმუნებულმა, რომ რაღაცით ვაწყენინე.

---

1. ინგლისური სიტყვას "bombshele" (ბომბშელ) ორი მნიშვნელობა აქვს: ა). ლამაზმანი, მსახიობი; ბ). ბომბი, ყუმბარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გახსოვს ჯიმი კუპერი, სათამაშო თვითმფრინავი რომ გაზუქა?“

„კი“.

„ის მოკლეს“.

„რანაირად?“

„არ ვიცი, „ბომბშელით“, თუ რაღაც ამგვარით. ის კორეაში იყო, იქ, სადაც ბიძაშენი ჯუეველია ახლა“.

„ბიძია ჯუეველიც მოკლეს?“

„არა, მაგრამ ხომ შეეძლოთ მოეკლათ“.

„ჯიმი კუპერი დაბრუნდება შინ?“

„არა“.

„კარგი ბიჭი იყო, — ვთქვი მე.— ნეტავი დაბრუნებულიყო“.

„შენც დედაშენივით ლაპარაკობ“, — თქვა ბებიამ.

„აეთილი, ისტრვე, რაც გენებოს. ის მკვდარია. შენ აწი ვედარასოდეს ნახავ მას. როცა ვინმე კვდება, ის სამუდამოდ მიდის, რაც გინდა კარგი და კეთილი იყოს. როცა მოკვდები, მკვდარი ხარ. მორჩა და გათავდა“.

მაშინ მივხვდი, რომ სიკვდილი სერიოზული რამ ყოფილა და მიმოზის ტოტებზე ძრომიალისას ჩავუკვირდი მოვლენებს. „სამხრეთ ამერიკელი „ბომბშელი“ მოკვდა?“ რადიოში მუსიკას მხოლოდ ეროვნული უბედურების დროს წყვეტდნენ. დიქტორმა ყურადღება გაამახვილა გეოგრაფიულ მდებარეობაზე; ამას გარდა, „ბომბშელზე“ და სიკვდილზე. დიდი დაკვირვებისა და ბევრი ფიქრის შედეგად იმ დასკვნამდე მივედი, რომ ადრე გამოცხადებული ამბებიდან დიდებული გემის — „Pearl Harbor“-ის დალუპვა იყო ერთადერთი ეროვნული კატასტროფა, რომლის შესახებაც ასე თუ ისე ბუნდოვანი წარმოდგენა მაინც მქონდა. მე მინახავს კინოქრონიკები ცეცხლმოკიდებულ გემებზე და არ იყო უფროსი ჩვენს ოჯახში, რომელსაც არ მოეთხროს, თუ სად იმყოფებოდა იგი, როცა პირველად შეიტყო გემის დაბომბვის ამბავი. ეს გახლდათ მოვლენა, რომელმაც დაღი დაასვა ჩვენს ცხოვრებას. ვინ იცის, რა საშინელ ცვლილებებს მოგვიტანს სამხრეთ ამერიკელი „ბომბშელის“ სიკვდილი?

მე ჩამოვსრიალდი ერთ-ერთ უფრო დაბალ ტოტზე და მიწაზე დავეშვერტყე. ძია ჯუეველ ბოთსი ხის სკამზე ისვენებდა ჭადრის ძირას, რომელიც ჩრდილავდა სამზარეულოს ფანჯარას. ის დედაჩემის უმცროსი ძმა გახლდათ და არმიის საკერიერო სამსახურის ოფიცერი, რომელიც ორჯერ იყო დაჯილდოებული. 40-იანი წლების მიწურულს ძია ჯუეველი დასავლეთის პუნქტში გაამწესეს, სადაც შერიანი თანამოქალაქეების წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოდ, დიდ წარმატებას მიაღწია და კაპიტნის წოდებაც მიიღო, ამჟამად შვებულებაში იმყოფებოდა; ჰავაის გახუნებულ ლუჯ-თეთრ პერანგში, ხაკის შარვალსა და ყავისფერ ფეხსაცმელში იყო გამოწყობილი. ბებია ბოთსის მსგავსად, ისიც ქერა იყო, ფერხორციანი, ჩამრგვალებული და ღაჟღაჟა პირისახისა. ის „გუნტერის“ ლუდს წრუპავდა და „ლიფის“ ნომერს კითხულობდა. მე ფრთხილად მივუახლოვდი; ის ერთ-ერთი იმთგანი იყო, ვინც ვერ იტანდა სულელურ საქციელს.

„ძია ჯუეველ, ვინ არის კარმენ მირანდა?“ — ვკითხე მე.

მან ჟურნალის გვერდი გადაშალა. „კარმენ მირანდა? შენ რაში გაინტერესებს?“

„რადიოში გამოაცხადეს მისი დალუპვის ამბავი და თქვეს, სამხრეთ ამერიკელი „ბომბშელი“ იყოო“.

„მართლა?“

„დიახ, სერ. ომი იქნება?“

ძია ჯუეველმა ლუდის კათხა სკამის სახელურზე ჩამოდო. „ომი? რა სისულელეებს როშავ?“

მოულოდნელი გაღიზიანებისაგან, რომელიც მის ხმაში გამოკრთა, ერთი-ორი ნაბიჯით უკან დავიხიე. „მათ რაღაც თქვეს „ბომბშელის“ შესახებ, მუსიკა და ყველაფერი შეწყვიტეს და მე ვიფიქრე, რომ ესეც „Pearl Harbor“-ის დაბომბვის მსგავსი რამ იყო“.

ძია ჯუეველი დამცინავად შემომაშტერდა.

„და შენ ამას გემის ამბავს ადრი?“

„არ ვიცი. მომეჩვენა, რომ ომი იწყებოდა“, —ვუპასუხე მე და უფრო დიდმა მღელვარებამ მომიცვა.

შემდეგ მან გაიღიმა და სკამზე გაიმართა. „მოდი აქ, შრიმფ“[1].

მივუახლოვდი, ის დაიხარა, ამიყვანა და სკამის საბელურზე შემომსვა; შემდეგ სკამის ზურგზე გადაწვა და გემრიელად მოწრუპა ლუდი.

„რაო, შეგაშინა რადიომ?„ — მკითხა მან.

„დიახ, სერ“, — დავეთანხმე მე.

„ხანდახან ის მეც მაშინებს ხოლმე“. მან მძიმე ხელი თავზე დამადო და თმა ამიჩეჩა. „შენ დღითიდღე სულ უფრო და უფრო ემსგავსები დედაშენს“. შემდეგ გაჩუმდა და კვლავ გამიღიმა. „დარწმუნებული ვარ, რომ სიმღერის — „შრიმფ ბოუთ“[2] გაგონებაზე კვლავაც შეგრცხვება, მაშრა მოგვივ?“

„შრიმფ ბოუთის“ ხსენებით მან ნართაულად გადაჭერა ჩემს ადრინდელ გონებადაბნეულობას, როცა ძია ჯუეველი ამ ორი წლის წინ შვებულებაში იმყოფებოდა. ის მუდამ „შრიმფ“-ს მიწოდებდა; ეს მეტსახელი ხაზს უსვამდა ჩემს მოცუცქნულ აღნაგობას. საუბედურო, ექვსი წლისამ, მე არც კი ვიცოდი, თუ რა იყო კრევეტი; ვიცოდი მხოლოდ, რომ რაღაც პატარასთან იყო დაკავშირებული. მე მიჭამია კიბორჩხალები, თევზები და ხამანწკები, და დიდი რაოდენობითაც, მაგრამ არასოდეს შენახა კრევეტი — მოლუსკი, რომელიც, ჩვეულებრივ, უფრო თბილ მხარეებში ბინადრობს. ასე რომ, ჩემს წარმოდგენაში კრევეტი ოთხ ფუტზე ოდნავ ნაკლები იყო. ეს სწორედ ის ზაფხული გახლდათ, როცა თაღმოთ ქანთრისა და მერილენდის მაცხოვრებელნი მფრინავ თევზებს ხედავდნენ. ნამდვილნი, თუ წარმოსახვითნი, ეს თევზები ფარავდნენ ზეცას გვიანი მარტიდან სექტემბრამდე და მუდმივი დისკუსიების საგანს წარმოადგენდნენ. ძია ჯუეველის აზრით, მფრინავი თევზები კარგი ხუმრობა იყო და სხვადასხვა დროს მაფრთხილებდა: „თუ დალამებისას გახვალ გარეთ, მწვანე „ჯუჯა“ დაგავლებს ხელს, და ღმერთმა უწყოს, სად წაგიყვანს“. ის, რასაკვირველია, მაშაყირებდა, მაგრამ მე სულაც არ მსურდა აღმოვჩენილიყავი მფრინავ თევზში სხვა სამყაროდან ჩამოსულ მწვანე „ჯუჯებთან“ ერთად! ჩემი შიშის და დაბნეულობის გასაძლიერებლად ბებია ბოთსი თავის „ვიქტოლაზე“ ხშირად უკრავდა ჩანაწერს — „შრიმფ ბოუთ“. ფირსაკრავის ნემსი კაი ხანია გაცვდა და მე მეგონა, ჯო სთეფორდი მჯიღდა, „ჯუჯები“ მოდიანო. „ჯუჯები“ ნამდვილად იყვნენ სხვა სამყაროს წარმომადგენლები, რომლებიც იტაკებდნენ პატარა ამერიკელ ბიჭუნებს. სიმღერის სიტყვებს მე გაფრთხილებად, აღვიქვამდი: „უმჭობესია იჩქარო, იჩქარო, იჩქარო შინისკენ... „ჯუჯების ხომალდები“ მოდიან, ამაღამ მოდიან...“

მრავალი წლის შემდეგ აზრი შეეცვალა, მაგრამ 1953 წელს კვლავ ლოგიკურად მომეჩვენა. ჩანაწერის მოსმენიდან ორი კვირის მანძილზე ვაბშობის შემდეგ შინიდან ცხვირს არ ვყოფდი. ამგვარმა უცნაურმა ცვლილებამ ჩემს ქცევაში დაიკმაა ბებია ბოთსი და ცდილობდა რამენაირად გამოვეტეხე. აგვისტოს ერთ საღამოს სახლის აივანზე მაიძულეს ყველფერი დამეფქვა. ძია ჯუეველი და ბებია ბოთსი გაოცებულნი მისმენდნენ, თუ როგორ ვმსჯელობდი მფრინავი თევზების, ჯუჯებისა და ამერიკელი პოპულარული მუსიკის სხვა ბნელ მხარეებზე. როცა ჩემი შინშარავი დასკვნების ლოგიკა საცნაური გახდა მსმენელთათვის, სიჩუმემ დაისადგურა. შემდეგ ძია ჯუეველი არეხრეხდა. „დალაბვროს ეშმაკმა!“ — იყვირა მან და ისტერიკაში ჩავარდა. ბებია ბოთსს ლოყებზე ცრემლი სდიოდა, აქეთ-იქით ირწეოდა და სიცილისაგან სახე ეღაჟღაჟებდა. მას შემდეგ ორმა გრძელმა წელმა განვლო, მაგრამ ვერაფერით დავივიწყე დაკინვით მოყენებული გულისტკენა და ახლა, სკამზე ჯდომისას, ვინატრე, ნეტა სულ არ გამეგო სამხრეთ ამერიკელი „ბომბშელის“

---

1 7 ინგლისურ სიტყვას „Shrimp“ (შრიმფ) აქვს ორი მნიშვნელობა: ა). პატარა კრევეტი; ბ). ჯუჯა.

2 „Shrimp boat“ (შრიმფ ბოუთ) ნიშნავს: ა). თევზმჭერ ხომალდს და ბ). სხვა სამყაროდან (კოსმოსიდან) ჩამოსული ჯუჯების ხომალდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ-მეთქი.

ძია ჯუეველმა კვლავ გემრიელად გადაყლურწა ღუდი. „ე. ი. შენ ფიქრობ, რომ კარმენ მირანდას შეუძლია კვლავ ომი გამოიწვიოს, არა?“

„ასე თქვეს“.

ის წუთით დაფიქრდა. „კი შეიძლება, ხომ იცი. ყოველ შემთხვევაში, საოცარია, რომ შენნაირი ნამდვილი „შრიმფი“ ასე ფიქრობს“.

„მე არა ვარ „შრიმფი“, — შევეპასუხე.

მან გაიცინა. „შესაძლოა, აღარც იყო „შრიმფი“. შენ საკმაოდ გაიზარდე“.

„რას ეულისხმობდა რადიო? მართლა ომი იქნება?“

„შეიძლება; მაგრამ არა იმიტომ, რომ კარმენ მირანდა მოკვდა“.

„მაშ რატომ?“

„ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რომ შემძლოს, უჭკვიანესი კაცი ვიქნებოდი მსოფლიოში“.

„რატომ გამოაცხადა რადიომ, რომ კარმენ მირანდა სამხრეთ ამერიკელი „ბომბშელია?“ რატომ შეწყვიტეს მუსიკა? მაშინაც ასე მოხდა, როცა შენ და ბებია ბოთსმა გემის ამბავი შეიტყეთ?“

ძია ჯუეველის ღიმილი გაუფერულდა, თვალები მოენისლა, თითქოს შორეული მუსიკის ჰანგებმა მოიცვა მისი არსება. შემდეგ სახე კვლავ გაუნათა ძველებურად კეთილმა და ყოველისმომცველმა ღიმილმა. „შეიძლება ითქვას, რომ კარმენ მირანდას სიკვდილი, მართლაც, ჰგავს გემის დაღუპვას, ერთი ეგ არის, რომ მას თმაზე ხილი ჰქონდა დამაგრებული“.

„ვერ გავიგე“, — ვთქვი მე.

„აკარგა, რომ ვერ გაიგე; აღარასოდეს შეგრცხვება იმისა, რაც ამჭეეყნად ხდება. ახლა შეირბინე სახლში და ღუდი მომიტანე. ბოთლები ყინულის ყუთში აწყია. სიცოცხლე გრძელდება, მიუხედავად იმისა, ცოცხალია თუ არა კარმენ მირანდა“.

მე ისე მოვიქეცი, როგორც მითხრეს, შემდეგ ავცოცდი მიმოზის ხეზე და აღარც ჩამოვსულვარ იქიდან, სანამ ვაბშამზე არ მიხმეს და დაბადების დღისთვის გამომეცხადა შოკოლადის ნამცხვრით არ გამომასპინძლდნენ. რამდენიმე დღეში ძია ჯუეველი გერმანიაში გაემგზავრა სამი წლით. მას შემდეგ ორჯერ ვნახე იგი: ერთხელ, როცა გავლით იყო ჩამოსული გზად კალიფორნიისაკენ და მეორედ, როცა სამსახურეობრივი მოვალეობით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიემგზავრებოდა. მე უკვე საშუალო სკოლას ვამთავრებდი, როცა მოვიდა მისი ბრძოლაში დაღუპვის ამბავი.

სეკტემბრის ერთ შაბათ დილას ვიღაც კაპიტანმა და რიგითმა ჯარისაკმა კარზე მოგვიკაკუნეს. იმხანად ჩვენი მისაღები ოთახი მთლად გამსჭვალული იყო ომით, რომელსაც ტელევიზიით გადმოსცემდნენ. ასე რომ მე არ გამოვრიცხავდი მათი გამოჩენის შესაძლებლობას, სამზარეულოში ველოდებოდი და ვაყაკაცურად ვიკვებებდი თავს ბებია ბოთსის რეაქციის მოლოდინში. მე გავიგონე, თუ როგორ დაიხუჭა შემოსასვლელი კარი, ბებია შემოვიდა სამზარეულოში, ჭიქაში გაცლებული ჩაი დაისხა და თქვა: „ამ ორი დღის წინ ძია ჯუეველი მოკლეს“. შემდეგ წყნარად გავიდა თავის საწოლ ოთახში და კარი მიიხურა.

ძია ჯუეველი დაკრძალეს ვეტერანებისთვის განკუთვნილ ალაგას ქალაქის სასაფლაოზე, ჯიმი კუპერის საფლავის გვერდით: დედა ძალზედ მგრძნობიარე იყო და ვერ დაუსწრებოდა დასაფლავებას; ასე რომ, მე ვიჯექი სასაფლაოზე შეუდრეკელი ხასიათის ბებია ბოთსთან ერთად, როცა საზეიმოდ გამოწყობილმა საპატიო ყარაულმა საარტილერიო ბათქი მისცა და თეთრხელთათმანიანმა ოფიცერმა ბებია დაშვებულ ალამთან მიიყვანა.

და თითქოს, როცა ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, სიცოცხლე — როგორც ძია ჯუეველმა აღნიშნა — გრძელდებოდა. დაკრძალვიდან ერთი თუ ორი კვირის შემდეგ დედამ მთხოვა ბებია ბოთსის ბაღში ბალახი მომეთიბა. მე სათიბი მანქანით გარს ვუვლიდი მიმოზის ხის ძირს, როცა უეცრად მანქანა რაღაცას წამოეედო და გაჩერდა. სათიბი მანქანა თხრილიდან ამოვქაჩე და დავიხარე, რათა მენახა გაჩერების გამიმწვევი საგანი. ეს იყო დაკაენგული ლითონი, სათიბი მანქანის მიერ გალუნული და დაგრეხილი, მაგრამ მაინც საცნაური — ჯიმი კუპერის მიერ

ჩემთვის 12 წლის წინ ნაჩუქარი თვითმფრინავის ერთ-ერთი ტივტივა.

ცოტა ხანს ვფიქრობდი ნაპოვნის შესახებ, რომელმაც სათამაშო გამახსენა — უკვე მზად ვიყავი ეს ბედის ირონია უბრალო დამთხვევად ჩამეთვალა — მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ბებია ბოთსის მისაღებ ოთახში რომ შევედი, დავინახე ტელევიზიით ფილმს უყურებდა.

„რას უყურებ?“ — ვკითხე მე.

„ძველ ფილმს კარმენ მირანდას მონაწილეობით“, — მომიგო მან.

კარმენ მირანდა. მეხსიერებაში აღსდგა ძია ჯუეველის სიტყვები და მეც ეკრანს მივაშტერდი. იქ იყო შავ-თეთრებში გამოწყობილი კარმენ მირანდა — თმა ანანასებიო, ბანანებით, ყურძნითა და სხვა ხილეულით დაეხუნძლო. — ის სამპას ცეკვავდა. უეცრად ყველაფერს მოვხედე, ან მომეჩვენა, რომ მოვხედი. ამას ათი წელი დასჭირდა, მაგრამ საბოლოოდ ჩავხედე ხუმრობის არსს. მე ფრთხილად დავჯექი, რადგან თვალი ვერ მოვწყვიტე ეკრანს.

„რა გჭირს?“ — მკითხა ბებია ბოთსმა. — „ისე გამოიყურები, თითქოს მოჩვენება, ან რაღაც მაგდაგვარი გამოგეცხადა“.

„ეს ის ქალია, კარმენ მირანდა. ის მოკვდა, როცა 8 წლისა ვიყავი“.

„რანაირად დაგამახსოვრდა ასეთი რამ?“

„მე მიმიზიზა ხეზე ვიყავი ასული და რადიოში გავიგონე. დიქტორმა გამოაცხადა, რომ სამხრეთ ამერიკელი „ბომბშელი“ მოკვდაო და მე მეგონა, რომ ეს გემის დაღუპვის მაგვარი რამ იყო; მეგონა, ომი დაიწყებოდა“.

ბებიას გაეცინა. „შენ მუდამ ერთმანეთში ურევდი საგნებს და ცდილობდი გაგეერთიანებინა მოვლენები. ზუსტად დედაშენს გავხარ. ის ყოველთვის ცდილობს არაფრისგან შეკერვას რაიმე“. ბებია გაჩუმდა, შემდეგ კი კვლავ ალაპარაკდა: „გახსოვს ის დრო, როცა სიმღერა — ღმერთო, რა ერქვა? — რაღაც პატარა თეგზსაჭერ ხომალდთან დაკავშირებული — „შრიმფ ბოუთ“ — სხვა სამყაროდან მოსულებზე გეგონა და შიშისგან გარეთ არ გადიოდი?“

„ჰო, მახსოვს, მაგრამ ეს უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ის. ძია ჯუეველი იმ დღეს ეზოში იჯდა“.

ამ სახელის გაგონებაზე ბებია ბოთსი გაშეშდა. და სკამზე გასწორდა. „მართლა?“

„მე ვკითხე ძიას ამის შესახებ; ვკითხე, გამოიწვევს თუ არა კარმენ მირანდას სიკვდილი ომს?“

„რა გიპასუხა?“

„მან მითხრა, რომ კარმენ მირანდას სიკვდილი გემის დაღუპვის მსგავსი იყო, ოღონდ თმით, რომელიც დახუნძლული ჰქონდა ხილით“.

ბებია ბოთსი გაფითრდა, ცოტა ხანს უძრავად იჯდა, შემდეგ ღრმად ჩაისუნთქა და სახე ხელებში ჩარგო. მკლავზე შეეხო ხელი; ის უსიტყვოდ გასწორდა და სკამის საზურგე ბალიშზე გადაწვა, თვალები დახუჭული ჰქონდა. მე ველოდი, რომ ის აქვითინდებოდა, მთელი სიმწარე და მწუხარება, რომელსაც შიგნით იგუბებდა, გამოხეთქავდა, მაგრამ მან ფართოდ გაახილა თვალები და, ჩემდა გასაკვირად, გაიღიმა.

„იმ ბიჭმა, — თქვა მან, — იმ ბიჭმა იცოდა, უეჭველად იცოდა“.

„რა იცოდა?“ — ვკითხე მე. — არ მესმის“.

ბებია წამოდგა. ვარდის სუნამოს სურნელმა ჰაერი გაჟღინთა. „შენ შეიძლება არ იცოდე, თქვა მან, — მაგრამ იმან კი იცოდა. შენმა ძია ჯუეველმა მშვენივრად უწყოდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი ამაოა; რომ გატეხილი აღარ გამთელდება“. იგი შეტრიალდა, გავიდა ოთახიდან და დაფიქრების საშუალება მომცა.

თარგმნა თენგიზ ჩალაურმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაკ სალივანი

გალმენტის სააბატო კოლეჯის დამთავრების შემდეგ ემსახურობდი მოხალისედ გადმოსახლებულ მუშებთან ფლორიდაში და სოფლის ღარიბებთან დასავლეთ ვირჯინიაში,— იგონებს ჩაკ სალივანი.

1967—76 წლებში ვიყავი ვარსიტის კალთბურთის ეპისკოპოსი, ეროვნული მწვრთნელი— მძღოლანთა თაკვდიმარე და ჰუმანიტარული ფაკულტეტის თავჯდომარე ვინსტონ-სალემის ბიშოპ-მაკგინესის სასწავლებელში. 1975 წელს მომანიჭეს M.F.L. —ს ჯილდო ლექსებისათვის. ამავე წელს ჩემი პირველი წიგნი „დაკარგული თაობა“ გამოსცა გამომცემლობა „რეედ კლეი ბუკ“—მა.

1976—78 წლებში ემსახურობდი ხელოვნებათა საბჭოში.

ვიყავი კონსულტანტი ხელოვნებაში სტეიტსვილის მიტჩელ კოლეჯში 1978—1980 წლებში. ჩემი მეორე წიგნი „ბულების კატაკლიზმები“ გამოსცა გამომცემლობა „რედ კლეი ბუკმა“ და მიიღო ვინტროპის კოლეჯის მწერალთა პრიზი: “1980 წლის საუკეთესო ლექსების კრებული“.

ალმანეის ტექნიკურ კოლეჯში ორ წელიწადს დავყავი. ამის შემდეგ ვმუშაობდი ინდიანას ბატლერის უნივერსიტეტში. ამ პერიოდში ჩემი მესამე წიგნიც, „ლომების სიზმრები“, დაიბეჭდა.

1984 წელს ვმუშაობდი ჩრდ. კაროლინაში, 1985 წელს კი გავხდი კონსულტანტი ვილკსბოროს ვილეის კოლეჯში.

ფილმი „ლტოლვა ჰარმონიისკენ“ გადაიღო ბლუ რიჯ პაბლიკ-ის ტელეეიზიამ. „ლტოლვა ჰარმონიისკენ“ არის აგრეთვე სათაური ჩემი მეხუთე წიგნისა, რომელიც დაიბეჭდა სეინთ ენდრიუზ პრესის მიერ 1990 წლის დეკემბერში (საშობაოდ).

აკადემიური წლის მუშაობის გარდა, ზაფხულობით, 1979 წლიდან დაწყებული, ვასწავლიდი ფილოსოფიასა და პოეზიას სამთავრობო სკოლაში.

წელს ვარ კონსულტანტი სამხრეთ პაინის სანდაჩილის კოლეჯში.

თავისუფალი სულები

კუნძულისაკენ მიმავალ გზაზე,
იქ, სადაც ახლა
შავკანიანთა სოფელი სახლობს,

ჩვენ ვხვდებით ისევ
ოცნებების
ლამაზ ქარავანს,
რომელიც ხშირ ტყეს
უერთდება ბნელ ხეობაში...

იქ, იმ წამახულ
კლდის ქიმებს შორის
მეგულება დედის საფლავი,
რომელსაც უკვე ბალახი ფარავს
და ყვავილებიც ტალახისგან გადათელინან...

წამით ვჩერდებით
და სევდით ვუსმენთ
ნესტიან სივრცეს შეზავებულ

პანაშვიდის ჩუმ მელოდიას
და წვიმის წვეთებს
დაღვრილს
ყვავილთა
წარმავალი სილამაზიდან...

ჩვენ ვართ ბავშვები
და ტუჩები იმეორებენ
დიდი ხნის რწმენას,
ბავშვურ სუნთქვიდან ამოზრდილ და
შეურყვნელ ლოცვებს,
ჩვენ ამ ლოცვებით
მოვდიოდით დასაბამიდან...

ხოლო ახლოდან
ისმის ქარის ხმა,
რომელსაც მიაქვს გარდაცვლილთა
სულები ცისკენ...

გულაგის მუმნეგალობა

დილის სხივები იღვრებოდნენ
მწვანე მინდორზე,
ალმოდებულ არყის ხეებთან,
ხოლო სტალინი გულმოდგინედ
მავთულხლართებს ავლებდა გულაგს,
ნამგლის და უროს
ბრმა შემართებით
ანადგურებდა თავის ჩიტუნებს...

ოდეს ლაჭუცა მისმა „პროებმა“[1]
მისივე ნებით შექმნილ ქვეყანას
შემოავლეს მაღალი ღობე
და სიყვარულით გაუღიმეს ნაცად მეგობარს,
ვერც ერთი კაცი ვერ გადურჩა
იმ სიყვარულის იდუმალ თამაშს...
მისი წყალობით
და მის ძარღვებში მჩქეფარე სისხლით
უსახელონი გახდნენ ყველანი,
საკუთარ თავის
და ბნელით მოკცულ სახელმწიფოს
განსადიდებლად
ცივ სამარეში ისტუმრებდა
თანამებრძოლებს...

და სანამ იგი თამაშობდა
აკრძალულ თამაშს,
პირველყოფილი მთელი სიმწვანე
„წითლად“ შეღება
და ცემბირის ცივ ბორკილებში
გამომამწყვდია ტკივნგამოცლილი დედა
რუსეთი...
ბუნების ნებით
თუ საკუთარ გულის კარნახით
წამოიწყო მრავალი საქმეც
და ისტორიის ბნელ დინებებში
გახდა უძლეკი, ბურთისა და მოედნის მეფე...

მისი სურვილის უარმყოფელთა
თავები ისე მიგორავდა
უსახელო ორმოებისკენ,
როგორც ბურთები უსარგებლო და
დაჩუტული...
და როგორც ვინმე ჯადოქარი
იქ, ჯოჯოხეთშიც კვლავ შეთხზავდა
დასჯის, წამების მილიონ ხერხს,
თავის ხელჯოხით კვლავ გაიკვლევდა
მწვერვალისკენ მიმავალ ბილიკს
და ხელმძღვანელ ამხანაგთ შორის
კვლავ იქნებოდა ღვთაებრივი და
ყოვლისშემძლე,
ძაშინ, როდესაც „ამერიკის ხმა“
გადმოსცემდა „შეიქ, რეთლ ენდ როლ!“[2]

თარგმნა ბალათერ არაბულმა

1. პროები — სიტყვისგან “PVO“; რაც ნიშნავს მომხრეებს.
2. პოპულარული მელოდია, რომლის სათაურიც შემდეგნაირად ითარგმნება „ლეკვე, იმღერე და ითამაშე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილ მაკკორქლი

ძალიან მოუცლელი ვარ: — ამბობს ჯილ მაკკორქლი, მე ხომ ერთდროულად მეუღლეც ვარ, დედაც, მწერალიც და მასწავლებელიც. დროც ამისდა მიხედვით მაქვს განაწილებული. ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტში, ჩეპელ ჰილში, ვასწავლი მწერლობას. ჩემი საშუშაო მეტად ღირსეულ საქმედ მიმაჩნია, თუმცა ძალიან მიყვარს ზაფხული და არდადეგები, როცა ჩემს პატარას მომყვლელი ჰყავს და მე, ლექციების წაკითხვის ნაცვლად, წერის საშუალება მეძლევა.

ადრე მუშაობას უამრავ კრურწმენას ვუკავშირებდი ხოლმე. წერა მხოლოდ გარიჟრაჟზე შემეძლო ან კიდევ მაშინ, როცა ამ საქმისთვის რამდენიმე საათი მქონდა დაბეებებული და კიდევ, ვინ მოსთვლის, რას ალარ ვუშვებდი ანგარიშს. მაგრამ, როდესაც დედა გავხდი, აღმოვაჩინე, რომ ამ შეხედულებებიდან არც ერთი მართალი არ იყო. შემიძლია ვწერო დღის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც კი დროს მოვიხელთებ. წერა სიამოვნებას მანიჭებს და ღირსებას მმატებს. ამიტომაც ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი ვიმუშაო. თუკი ოდესმე წერა მძიმე ტვირთად დამაწვება, ალბათ, სხვა საქმეს მოვკიდებ ხელს. ვწერ, რადგან მიყვარს წერა და ეს პროცესი ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ბუნებრივი ნაწილია.

ფერის ბიიჩი

(ნაწყვეტი რომანის „ფერის ბიიჩის“ შესავალი ნაწილიდან)

მას შემდეგ, რაც მისთი როდესი და მისი ოჯახი ქუჩის მეორე მხარეს დასახლდა, ჩვენმა მეზობლობამ ნირი იცვალა. დედაჩემი და მისის ტერეზა ფუული საფერმე მიწებს ან ოდესღაც, 1800-იან წლებში აშენებულ თავლებსა და ფარდულებს რომ მისტიროდნენ, მე სიხარულით ალარ ვიცოდი, რა მექნა, რადგან ძლივს ვეღირსე სამეზობლოში ვინმე ჩემი კბილა გადმოსულიყო. ამით დასრულდებოდა ის დღეები, როცა თვალებს ავიხვევდი ხოლმე და თითქოს ელენ კელერი ვყოფილიყავი, ჩემს ოთახში დავბორიალებდი ანდა ანი სალივანის როლის თამაშისას, საკუთარ ხელზე ვმარცვლავდი სიტყვებს.

„მალე ერთმანეთს მიდგამენ სახლებს“— განაცხადა მისის ფუულმა ისტორიული საზოგადოების შეკრებაზე, სადაც მან, დედაჩემმა და კიდევ რამდენიმე ადამიანმა სცადა ჩვენი სახლების წინ გადაშლილი მიწების გაყიდვას წინ აღსდგომოდა. თუ მას აქამდე საქველმოქმედო საქმიანობითა და თეთრი ლინკოლნ კონტინენტალით იცნობდნენ, მისის ფუულმა ახლა ამ საჯარო განცხადებით გაითქვა სახელი.

ჩვენი საკუთარი სახლი ადრეუულ, 1800-იან წლებში აუშენებიათ და დედაჩემი მეტისმეტად ჩაუღრმავდა მისი ისტორიის შესწავლას. იყო დრო, აქ ათი მილის მანძილზე ერთი შენობაც არ იდგაო,— უთხრა შტატის ისტორიკოსმა, როცა დედამ მიაკითხა, ჩვენს სახლს სურათი გადაუღეთ და შტატის ისტორიულ ძეგლთა ნუსხაში შეიტანეთო. ისტორიკოსმა მიაწოდა უამრავი ცნობა, რაც ყურადღებით გადაბეჭდა სქელ ქაღალდზე და სხვა ისტორიულ ცნობებთან ერთად ჩაკრა საქაღალდეში. დედაჩემი ბოსტონში გაიზარდა და ვიდრე ვირჯინიის გოგონათა სკოლაში გაგზავნიდნენ, სამხრეთში არ უცხოვრია. ჰქონდა საგვარეულო ქაღალდების მსგავსი რაღაც ფურცლები, რომლებშიც ამა თუ იმ წინაპრის ამბავი იყო მოთხრობილი. დროთა ვითარებაში ეს ძაფები ინტერესი გაუნელდა და წლების წინ ჩაკრული ქაღალდები იშვიათად თუ იხილავდნენ დღის სინათლეს, ისიც მაშინ, როცა დედა საუბრობდა ეზოს მოცოცხვაზე, ბანქოზე ან ცხოვრებისეულ სიძნელეებზე.

„ნახე, მერი ქეთრინ, ორივე მხრიდან საუკეთესო მონაცემები გაქვს,“ — მითხრა დედამ იმ დღეს, როცა ერთად ვეძებდით კონფედერაციის ბავშვთა კლუბში მისაღებად აუცილებელ საბუთებს. იმ კლუბში შესვლით დიდად აღფრთოვანებული არ ვიყავი, მაგრამ ეს ამბავი იმ დროს ზღებოდა, როცა დედასთან ურთიერთობა იოლი იყო. გამოსადეგი ნათესავები ორივე მხრიდან ჰყავდა, საჭირო საზელის პოენი კი ისევე ადვილი საქმე იყო, როგორც წკაპურტით წიგნის გადაშლა. ასე მგონია, დედაჩემს უდიდეს პატივმოყვარეობას უკმაყოფილებდა ის ამბავი, რომ შაფხლუის ყოველ დილას მასთან ერთად მეც ვესწრებოდი ხოლმე პატარ-პატარა შეხვედრებს, თან ისე ვიყავი მორთული, თითქოს აღდგომა დღე ყოფილიყო.

დედა ისტორიული ორგანიზაციებისა და ბროშურების მოყვარული გახლდათ. მიჩვენებდა ხოლმე ნაირნაირი მოწმობების, სკოლაში დაწერილი ესეების, მასწავლებლობის დროს წაკითხული ლექციების კოლექციას და ამასობაში სრულიად უგულვებელჰყოფდა მამაჩემის წვლილს ჩემს არსებობაში, მის წარმოშობას, რაც, მამაჩემის თქმით, შოტლანდიურ-ირლანდიურ-პოლონური და სამხრეთ კაროლინაში გავრცელებული მრავალი სხვა ეროსაგან იღებდა სათავეებს. მამა ფერის ბიიჩის გაღმა მდებარე პატარა ქალაქში იყო გაზრდილი.

— ნახეგრად შოტლანდიელი ხარ და ნახეგრად სოდაო, — მითხრა მამამ და ჭიქა ასწია. დედას გაყვითლებული მოწმობებიდან თავი არ აუღია. ფართო, გაძვალტყავებული მხრები ოდნავ ეხრებოდა დაბლა, როცა რბილად აყოლებდა თითებს რომელიმე საბუთს ან მაგიდის პლასტიკატის ზედაპირს. ზოგჯერ თითქოს საერთოდ ვერ აშჩნევდა მამის არსებობას. ასეთ დროს სქელ თმას არც იკრავდა და არც იხვევდა და ღიღინით აზრობდა მამაჩემის ხმას. ერთ დროს მუქი ფერის, მაშინ კი თითქმის მთლიანად გაჭაღარავებული, უკან მეტისმეტად გადატკეცილი თმა ასაკს მატებდა.

ჩემს მშობლებს ყოველთვის ისე ეჭირათ თავი, თითქოს ორივენი ერთად არაფრად მერეგზონენ. ასე იყო თვით საქორწინო სურათშიც კი, უცვლელად რომ იღგა სასტუმრო ოთახის ბუხარზე. მე კი ნამდვილი მეუღლეები სულ სხვაგვარად წარმომედგინა. მამაჩემი გამხდარი კაცი იყო, თხელ თითებში განუყრელად ეჭირა სიგარეტი. სწრაფად და მხნედ მიმოდიოდა სახლში, განუწყვეტლივ ბოლთას სცემდა. მართალია, დრის უმეტეს ნაწილს ადგილობრივ საზოგადოებრივ კლუბში მაიმატიკის სწავლება ართმევდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ წერდა კვლევლობათა შესახებ ნაშრომს მისტერიებს, რომელთა სიუჟეტის გახსნა ხოლოდ და ხოლოდ მათემატიკის მეშვეობით შეიძლებოდა. მისგან არც ის უნდა გაგკვირვებოდათ, რომ ანაზდად წამომიტარიყო და გაკვლეულიყო ციფრების მთელი სერიის ჩასაწერად. დედაჩემი კი ამ დროს თავს გადაკვნეფდა და ჭერს ახედავდა. დედა მაღალი, ძვალსსხვილი ქალი იყო. ჩვეულებრივ, ოთახში მყოფთა შორის ყველაზე მაღალი იყო ხოლმე. მაგრამ უჭკუსლო ფეხსაცმელს მაინც არასოდეს ატარებდა. მამაჩემის ყოველ მტკიცე ნაბიჯს დედაჩემი მშვიდად და თავშეკავებით ხვდებოდა. მხოლოდ მაშინ კარგავდა სიმშვიდეს, როცა ჩვენს სახლში გამოჩნდებოდა ჩემი მამიდაშვილი ანჯელა, მამა კი დაიძვრენდა თავს და სასტუმრო ოთახის დაკეტილი კარის უკან, ან გარეთ, სიბნელეში, ტერასაზე ესუბრებოდა მას. ეს საუბრები განუმეორებელი და ამოუცნობი იყო.

სინამდვილეში, თუკი რამ ვიცოდი ანჯელაზე, მამაჩემისგან, თურმე მამიდაჩემს ჩვიდმეტი წლისას, ჯვარდაუწერლად, შვილი გაუჩენია. შობიაობა გართულებული და მალე გარდაცვლილა. ახალშობილი მამაჩემის დედას გაუზრდია და ამიტომაც მამას ანჯელა თავის უმცროს დაიკოდ, უფრო მეტიც, საკუთარ შვილად მიაჩნდა. ბებია არ მახსოვდა, მაგრამ მამა ისე ხშირად მიამბობდა მასზე, რომ ჩემმა წარმოსახვამ იგი მაგიურ სამოსელში გაახვია. ამ ტანმორჩილ, ჭაღარა ქალბატონს ცხელ ამინდში აკაფებულ ტალღებში თევზაობისა თუ თოკზე გაფენილი ქათქათა ზეწრებიდან ქვაშის ჩამობერტყვისაგან გარუჯული ხელები ჰქონდა. მის ქმარს თურმე ერთი პატარა ნავი ჰქონია. როცა ჩემს თავს ამ სამყაროზე ამაღლებულ პატარა გათხოვილ გოგონად წარმოვიდგენდი, ერთადერთი ბებია იყო, ვინც ჩემთან მოდიოდა. მამაჩემი მიამბობდა, ბრწყინვალე ქალი იყოო. მისი თქმით, ბებია იყო პატარა ნიკარაგუაში ჭეიდრიდ ჩაგმანული პოეტური სული. დედაჩემი კი აღწერდა როგორც ერთ საცოდავ, სევდიან ქალს, რომელმაც მეხსიერება დაკარგა.

მამაჩემს ერქვა ალფრედ ტენისონ ბერნსი, ისე კი ყველა ფრედს ეძახდა. ბებიას უთქვამს, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელი ლორდის, აზნაურის სახელის მიხედვით დაგარქვეო. თვითონაც ლორდზე ოცნებაში გაუტარებია თურმე მთელი ცხოვრება. წარმოიდგენდა, ცხენზე ამხედრებული პოეტური ლორდი ან რაინდი როგორ გაიტაცებდა სანაპირო დაბლობზე, როგორ აადგაფუნებდა ზღვის მოჭეკვილისგან დატბორილ გუბეებს და უკან ქვიშის კორიანტელს დააყენებდა. უუბველად რაინდის სახელის დარქმევა სურდა. თავდაპირველად არჩევანი სერ არტურ კონან დოილზე შეუჩერებია, მაგრამ ბოლო წუთში გადაუწყვეტია, ფრედი არტს მირჩევნიაო.

„ნეტა, რობერტი რატომ არ დაგარქვა?“ — ჰკითხა ერთხელ დედაჩემმა „რობერტ ბერნსი“. პოეტური სახელის დასარქმევად ეს ხომ ყველაზე იოლი გზა იყო?“

„ლორდი ან რაინდი უნდა ყოფილიყო“, — მიუგო მამამ. „ნებას გაძლევთ „ბატონობიით“ მომმართოთო:

„ესეც თქვენი ბრწყინვალე ქალბატონისაგან, თქვა დედამ, თავი გააქნია და შემომხედა, „ხომ იცი, რასაც ვგულისხმობო“, თან თმა გაიშალა, ოქროსფერი სარჭი ვარდისფერი ტუჩებით დაიჭირა და უფრო მჭიდრო ნასკვში ჩაარჭო.

მეორე მხრივ, მამაჩემი დარქმეული თუ თითქმის დარქმეული სახელებით იყო დაავადებული. გამუდმებით კითხულობდა ციტატებს ტენისონიდან ანდა მოზრდილ მონაკვეთს მიამბობდა შერლოკ ჰოლმსის სიუჟეტზე. ტომას ჰარდს თითქმის აღმერთავდა. მე რომ დავბადებულვარ, ჩემთვის არაბელას დარქმევა განუზრახავს, მაგრამ დედაჩემს უარი უთქვამს. ვფიქრობ, ჩემი ბედი სულ ხვაგვარად წარიმართებოდა, სხვა სახელით რომ დამეწყო ცხოვრება, ისეთი შთამაგონებელი სახელით, როგორიცაა მადამ მარია სკლდოვსკა კიური ან ჯოანი, ან ამელია ერჰარტი. ჩვენი საბლის შემოსასვლელში სარკის წინ მდგარი ვჩურჩულებდი ამ სახელს. მისი წარმოთქმისას ტუჩების მოძრაობა სექსუალური მეჩვენებოდა, განსაკუთრებით სიტყვის ბოლოს ღიად დარჩენილი პირი. ვუცქერდი ჩემს ულამაზო სახეს, წარმოვთქვამდი ამ სახელს და ამაში თითქოს რაღაც სხვა იმალებოდა. შემეძლო მეთქვა „ანჯელა“ და პირი იმავე ფორმამ მიიღებდა, ენა ნუნებს მიეკრობოდა, რომ ბგერა „ლ“-ს სიმშვიდე შემოეხაზა, როგორც „ბელას“ წარმოთქმისას. დედაჩემის სახელს — „ქლევას“ რომ ვამბობდი, კბილები მტკიცედ უჭერდა ტუჩებს იმ გრძელი „ე“-ს წინ. ხოლო ჩემი საკუთარი კაატი ან ქეითი ბასარ „კბენას“ მაგონებდა.

ხუთი წლისა ვიყავი, პირველად რომ შევხვდი ანჯელს. მამაჩემმა წამიყვანა ფერის ბიირზე და რამდენიმე საათი იქ ვისხედით და ვუსმენდით აქფეტული ტალღების ღრიალს. ფეხები გრილ ქვიშაში გვქონდა ჩაფლული. ბოლოს ქვიშის დიუნის წვერზე ანჯელაც გამოჩნდა. სქელ, წითურ თმას ქარი უფრიალებდა. მამამ ხელი მომიჭირა და ხმამაღლა გაიცინა, აქაფებული ტალღაზე ხმამაღლა გამოუვლიდა. „აი, ისიც“, შესძახა და კიდევ ერთხელ, თითქმის ჩურჩულით გაიმეორა: „აი, ისიც“. ანჯელა ისე მომესალმა, როგორც დიდ ადამიანებს ესალმებიან. გრილი თითები ნაზად შეეახო და დამიფარა მთელი მარცხენა ლოყა და კისერი, სადაც ღვინისფერი ხალი მქონდა. „შენი ბრალი არ არის, ქლევა, ამაში ღვთის ხელი ურევია, რომ ამგვარი ნიშანი გამოჰყავ“. ამას წინათ ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ამშვიდებდა მისის ფუული დედაჩემს. ანჯელამ ტუჩები მომადო იმავე ლოყაზე და მერე, როცა კალათში ჩაწყობილ შემწვარ წიწილებს შევექცეოდით, ყელზე მძივის გრძელი ასხმა დამკიდა.

„იცი, ფრედ, რას ვფიქრობ?“ — მიმართა მამაჩემს. „ბავშვისთვის რაიმე დასალევის წამოღება დამავიწყდა“. შემდეგ ანჯელას გვერდით ვიჯექი გახუნებულ გადასაფარებელზე, მამაჩემი კი ამასობაში ნაპირ-ნაპირ გაუყვა და დიუნების გავლით ძველ, ზზისპირა მაღაზიაში შევიდა ერთი კოლოფი რძის საყიდლად. ანჯელამ ბოთლს საცობი მოხხრახნა და ჭიქა ბუტრგუნდიუნით ბავსო. ის დღე საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ისე გამახალისა ოკეანის პირველად ხილვამ, რომ ყველაფერი წვრილად ჩავუკაკლე დედაჩემს. ყურში ვუჩურჩულე. ჩემმა ნათქვამმა დედაჩემის ყურიდან მის გულში დაიდო ბინა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ მისის ფუულმა და მისმა ეკლესიის რამდენიმე მეგობარმა

დაგვპატიჟა პიკნიკზე ჩერი გროუვ ბიიჩზე. მისის ფუტულის თქმით, ეს ადგილი ფერის ბიიჩს ბევრად სჯობდა. ქალები დედაჩემზე ცოტათი უფროსები იყვნენ, ამდენად ერთადერთი ბავშვი ვიყავი იქ. ქალებს საბანაო კოსტუმებიც კი არ ეცვათ, გამოწკეპილები ისხდნენ დიდი, ზოლიანი ქოლგების ქვეშ და მთელი დღე ისე ზედმეწევნით ზუსტად ჰქონდათ დაგეგმილი, რომ ერთი პირობა ვიფიქრე, ნეტა თავში ზარი ხომ არ უყეფნათ მისანიშნებლად, ახლა სხვა საქმეზე გადადითო. აბა, ფეხსაცმელი არ გაიხადო — ნიჟარები ისე ბასრია, ძვლამდე ჩაგიჭრის ფეხსო; ახლა ადგილები შეარჩიეთ და მისთვის ადგილის მოძებნა არ დაგავიწყდეთო; ღმერთს მადლი შესწირეთ, რომ ამ ცივ შემწვარ წიწილას მიირთმევთ და კვარტ რძეს აყოლებთო; თუკი ვერ ითმენ, ის თბილ, პარილთან ზეყალში საბანაო კოსტუმს გაიხდი და მოშარდავ, გახსოვდეს, რომ მისი თვალი იქაც მოგწვდებაო? თუკი ფიქრში გგიელვეს, რა საამო იქნება დედიშობილს სხეულზე შენივ ხელები როა ფელშუნებოდესო, გწამდეს, რომ მის თვალს ესეც არ გამოეპარებაო და ოჰ, ღმერთო ჩემო, ნურც მარცხნივ გაიხედავ, თუკი არა გსურს დაინახო საბანაო კოსტუმი, რაც გამოკვალთავს ყველაფერს, თუკი ქალს რამე საჩვენებელი აქვსო.

დღის უმტკესი ნაწილი წყლის პირას, ქვიშის თხრაში გავატარე. ფეხებს ვფლავდი შიგ და შემდეგ ტალღებს ვაბანინებდი. ქალები ისეთ რამეებზე საუბრობდნენ, რასაც ჩემთვის მთელ მომავალ ცხოვრებაზე უნდა აეხილა თვალი. ეს იყო სიკვდილი და ავადმყოფობა, საკუთრება, სადაზღვევო პოლიტიკა და ის, რომ მას მიეგება მისაგებელი. არადა ცოდვის ჩადენას რა უნდოდა. საკმარისი იყო ტყეული გეთქვა, ან შეგდგნია ანდა გეთქვა, ადამიანი მაძღუნისგან არის წარმოშობილიო ან კინოვარსკვლავისთვის გეკოცნა აფიშის პრიალა ქაღალდზე. ნეტა, როგორ აფასებდა ყველაფერ ამას ღმერთი, ან ლოცვებს ტყვიებივით სწორხაზოვნად რომ იყო მისკენ მიმართული, ჯვარედინად, რიკოგეტით, სპირისპიროდ, უარყოფითად. ვიმედოვნებ, რომ იცოცხლებს, ვიდრე ახალგაზრდა ოუენი კოლეჯს დაამთავრებს. იმედი მაქვს, უცებ და უწმაწილლად, მშვიდად მოკვდება. როგორ უნდა უნატრო ასეთი სიკვდილი? მე მხოლოდ იმაზე ვლოცულობ, რომ კიბოს წამალი გამოიგონონ. ვლოცულობ იმ ექიმებისთვის, რომლებიც ლაბორატორიებში მუშაობენ. ერთი ბიძაშვილი მყავს, მისი სიძე ლაბორატორიაში მუშაობს, ვლოცულობ, რომ არ განქორწინდნენ, თუმცა ჩემი ბიძაშვილი პირიქით, გაყრაზე ლოცულობს, ორივესთვის ასე სჯობსო. ღმერთს რომ თვალი სწორედ ჩერი გროუვის სანაპიროზე მდგარ იმ სამ ზოლიან ქოლგაზე სჭერიდა, მაინც ვერ აუხდენდა მათ სურვილებს, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ადგილებზე მთელს მსოფლიოში, გაზაფხული იდგა, კვირა ნაშუადღევი იყო და ამ ლოცვების დახარისხებაზე ფიქრიც კი თავბრუს მახვევდა. სწორედ იმ დღეს დავაკავშირე ყოველივე ლამაზი, სიცოცხლით აღსავსე და კარგი ანჯელას სახელთან. ანჯელა იყო სიტყვების ნაკადი, მუსიკა, ტალღები, გრუხუნით რომ ეცემოდნენ ჩერის ბიიჩზე, მე კი ვიგრიხებოდი, რადგან ჰაერი არ მყოფნიდა, ხოლო თოლიები მიქროდნენ და ძაღლებივით ყეფდნენ. ანჯელა ენერგია იყო, მსოფლიოს მარადიული სრბოლა, ჩემს ძარღვებში მოჩუხჩუხე სისხლი და შიშველ ზამთარში ტოტებს შორის ღამ-ღამობით მშობლიური კერის ძებნაში ილაჯგაწყვეტილი მოჩვენებებით მოჭრიალე ქარი. იგი იყო ლოცვის პასუხი და მე უსასრულოდ ეფიქრობდი იმ ერთადერთ დღეზე, ფერის ბიიჩზე რომ გავატარეთ, აღვიდგენდი თითოეულ სიტყვას, თითოეულ მოძრაობას, ვიდრე ძილი წამართმევდა თავს.

იმ დროისათვის, რვა წლისა რომ გავხდი და ანჯელას სახე თანდათან გაფეკრმკრთალდა ჩემს მეხსიერებაში, წარმოვიდგენე, თითქოს ჩემი ხელი ეჭირა და ზედ იდუმალ ნიშნების კითხულიდა. მაშინ უკვე ცხრაჯერ მქონდა წაკითხული ჰელენ კელერის ბიოგრაფია. ყოველი გადაკითხვისას რაღაც ახალს აღმოვაჩენდი ხოლმე, ვვარჯიშობდი ბოლო გვერდზე მოთავსებული ანბანის კითხვაში, აღვიდგენდი მეხსიერებაში, რაც კი ანჯელას ხსოვნიდან შემომრჩენოდა.

„წელს ამ წიგნს ვეღარ გამოიწერ“, მითხრა ბიბლიოთეკარმა, როცა მეათედ მივადექი ამ წიგნის გამოსაწერად. — იქნებ სხვასაც უნდა ჰელენ კელერზე წიგნის წაკითხვა“. იგი გაღიზიანებული ჩანდა რვაწლიანთა საკასოო ოთახში დამდგარი გნიასისაგან.

„თუ შეიძლება, ბოლომდე დავიცდი, იქნებ არაავინ გამოიწეროს?“

„სხვა კლასებიც ხომ არის?“ მითხრა და ტუჩები ისე გამობერცა წინ, როგორც იმ მულტფილმებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც North Wind*-ის ქარის ამოსაგდებად ემზადება. შემდეგ ერთი ნაბიჯი გადადგა და მკლავზე მოჰქაჩა მერლი ჰაქსსა და რ.უ.ქვინსის — მორჩით ოთახებსა და დერეფნებში დაფენილ ხალიჩებზე ფეხების წმენდას და კიდევ, სხვებს ხელს ნუ ჰკრავთ შესაშინებლადო. ეს იყო და ეს. სხვა ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა ბიბლიოთეკაში. „მთლად ხომ არ უნდა გაცვითოთ ეს ხალიჩა“, თქვა მან. სქელი მკლავების ქვეშ ოფლის წრეები ემჩნეოდა. თუმცა ზამთარი იყო. „სკამი მოძებნე“. იგი მერხისკენ მიტრიალდა, ბავშვებმა კი, ყასიდად გაოცებულებმა, აქაოდა სკამი ვიპოვეთო, უკანიდან შემოუბრინეს. რ.უ.ქვინსის** სახელს ვერავინ გამოთქვამდა ისე, როგორც მასწავლებელი გვთხოვდა. „აარ. დაბლიუ“, ამბობდა მასწავლებელი, ბიჭი კი პასუხობდა, დედაჩემს რომ „აარ. დაბლიუს“ დარქმევა ნდომოდა, „აარ. დაბიას“ არ დამიძახებდაო. ბიბლიოთეკარშაც რომ ჩვენსავით წარმოსთქვა ეს სახელი, მასწავლებელმა შუბლი შეიკმუხნა. რ.უ.ქვინსი ჩვენს კლასში ყველაზე მაღალი ბიჭი იყო, რადგან ერთხელ პირველ კლასში დარჩა, მეორედ — მეორეში, ყელზე ჭუჭყიანი ანანავთ პატარა ლურჯი ავგაროზი ეკიდა, მერლი ჰაქსი, შავ, წითელთვლიან ავგაროზს ატარებდა, ბედნიერების მომტანიაო.

„მაშ, შემიძლია წავიკითხო ჰელენ კელერი?“ — ვთქვი ხმადაბლა.

„შენ რა, ყრუ ხომ არა ხარ?“ — მიყვირა, ხოლო რ. უ. ქვინსმა, იქვე რომ იდგა და მანქანების შეჯიბრის შესახებ უნდოდა წიგნის გამოწერა, ჰკითხა: „რაო? რა ბრძანეთ, მისის ბიბლიოთეკარო?“.

ინგლისურიდან თარგმნა მარინე ბართაიამ

---

* ჩრდილოეთის ქარი

**R.W.Quincy - დამარცვლით იკითხება აარ. დაბლიუ. ქვინსი (მთარგმნელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობინ ჰემლი

ᲕᲬᲘᲠᲛᲘᲡ ᲩᲐᲠᲚᲝᲢᲘᲡ, ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲗᲝᲔ ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐᲨᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲑᲔᲕᲠᲘᲡᲗᲐᲜ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲝᲠ ᲫᲐᲦᲚᲔᲗᲐᲜ, ᲝᲠ ᲙᲐᲪᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲭᲐᲜᲐ ᲝᲗᲣᲗᲘᲐᲣᲨᲘᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲔᲕᲔᲚ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲚᲔᲜᲓᲐ.

ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲗᲝᲔ ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲘᲡ ᲩᲐᲠᲚᲝᲢᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲘᲛᲝᲛᲭᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲘᲝᲗᲮᲣᲠᲝᲑᲐ. ᲐᲮᲚ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘᲗ ᲐᲗᲐᲡᲘᲗ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲕᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲐ. ᲒᲐᲜᲓᲔᲒᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲐᲠᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲨᲘᲜ ᲛᲐᲫᲚᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ—ᲐᲮᲚᲐᲠ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲕᲛᲣᲨᲝᲑᲓᲘᲗ ᲐᲜ ᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘᲗ ᲒᲣᲙᲘᲠᲙᲘᲢᲔᲑᲘᲗ (ᲒᲠᲗᲝᲜ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲐᲒᲘᲡᲢᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘ). ᲛᲘᲛᲘᲯᲐᲠᲡ ᲓᲘᲛᲘᲓᲐᲛᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲒᲒᲝᲑᲠᲘᲗᲝᲜᲡ ᲒᲐᲕᲔᲪᲐ, ᲗᲘᲗᲝᲛ ᲙᲐᲗᲮᲐ ᲚᲣᲓᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲙᲐᲖᲔ ᲗᲐᲣᲑᲐᲠᲘ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲗᲜᲐᲪ ᲕᲐᲓᲣᲦᲔᲑ ᲚᲣᲓᲣᲚ, ᲛᲔᲢᲬᲘᲚᲐᲓ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲕᲣᲠᲘᲒᲒᲐᲑ.

ᲩᲐᲠᲚᲝᲢᲘ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ, ᲓᲐ ᲛᲔ ᲕᲔᲥᲣᲗᲜᲘᲗ ᲘᲛ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲐᲛᲘᲠᲘᲙᲐᲨᲘ, ᲕᲘᲜᲪᲘ ᲛᲐᲜᲘᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ. ᲐᲛᲘᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲧᲕᲘᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲪᲓᲐᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲛᲐᲜᲘᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲕᲣᲗᲮᲚᲜᲘ, ᲠᲐᲢᲛᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲔᲓ. ᲛᲔ ᲝᲚ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲤᲘᲖᲘᲗᲝᲛ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗᲝᲛ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲜᲐ ᲛᲘᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ. ᲓᲦᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ ᲩᲘᲛᲗᲘᲡ ᲘᲚ ᲐᲠᲝᲜᲘ ᲛᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲠᲒᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲤᲘᲖᲘᲗᲝᲛ ᲒᲐᲕᲓᲘᲒᲐᲠ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲘᲛᲘᲡ ᲤᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲕᲘᲪᲘᲛ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲮᲠᲐᲑᲘ ᲛᲝᲛᲓᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲐᲜ ᲛᲝᲛᲘᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲓᲐᲒᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲘ.

ᲨᲝᲚᲢᲖᲔ ᲢᲠᲘᲐᲚᲘ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

ᲩᲔᲛᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲨᲘᲛᲝᲛᲭᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲐᲡᲗᲐ, ᲜᲐᲢᲐᲚᲘ ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲓᲘᲡᲬᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲜᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲬᲐᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲜᲐᲢᲐᲚᲘ ᲛᲘᲯᲐᲕᲠᲝᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲓᲘᲡᲬᲣᲚᲘ, ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘᲗᲝᲓ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲓᲝᲜᲐ ᲠᲘᲪᲮ ᲙᲘ ᲛᲘᲣᲧᲐᲠᲓᲐ,— ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲑᲝᲠᲑᲐᲚᲔᲑᲘ ᲢᲠᲘᲐᲚᲘᲡᲚᲐᲡ ᲠᲘᲪᲮ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲩᲐᲛᲔᲯᲗᲮᲓᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲕᲘᲭᲠᲝᲑᲓᲐ, ᲜᲔᲢᲐ ᲙᲘ ᲨᲔᲣᲨᲘᲜᲔᲑᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲯᲘᲠᲓᲔᲡᲛᲔᲗᲯᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲑᲝᲠᲑᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲨᲐᲜᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲘᲧᲝ. ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲗᲝᲛᲘ ᲤᲣᲢᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲙᲘ, ᲐᲮᲐ, ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ.

ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲑᲚᲔᲠ ᲓᲐᲒᲔᲕᲨᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲬᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲒᲘᲨᲕᲐ, ᲠᲘᲪᲮᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲙᲚᲯᲐ ᲩᲐᲑᲔᲯᲣᲯᲣᲚᲘ ᲛᲭᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲣᲫᲙᲘᲓᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ.

—„ᲝᲰ, ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲗᲔᲠ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲮᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲪᲐᲠᲔᲑᲗ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ“ — ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐ ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲛ. „ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘᲑᲔᲣᲚᲝᲐ! ᲙᲐᲠᲜᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲠᲐᲤᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲓᲠᲘᲗᲐ, ᲐᲠᲐ?“

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲘᲜᲓᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲔᲗᲥᲕᲐ, ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲮᲐᲠᲐ, ᲛᲔᲬᲧᲘᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲘᲛ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲙᲘ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲒᲣᲚᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲪᲐᲜᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲤᲘᲠᲘ ᲡᲘᲡᲘᲙᲔᲗᲘᲗ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲡᲐᲦᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘ ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲪᲮᲐ: „ᲜᲣᲠᲐᲤᲘᲔᲠᲘᲗᲘ ᲬᲣᲯᲐᲠ, ᲰᲝ, ᲯᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲡᲣᲚᲘᲔᲚᲘ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲐ, ᲐᲛᲘᲗ ᲛᲐᲡ ᲡᲣᲠᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲪᲘᲧᲠᲝᲗ“.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲩᲘᲛᲘ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲩᲘᲒᲣᲚᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲙᲐᲠᲜᲐᲕᲐᲚᲘᲪ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲮᲛᲘᲡᲙᲘᲪ. ᲛᲘᲪᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲐᲜᲐᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲥᲪᲘᲗᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲒᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘᲡ ᲯᲘᲮᲣᲠᲘᲡᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲒᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲘᲪᲮᲐᲡ ᲛᲘᲕᲘᲪᲘ. ᲢᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲕᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲡᲘᲪᲘᲚᲘ ᲛᲐᲒᲠᲘᲓᲐ. ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲜᲔᲜᲝᲚᲘ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲣᲜᲐᲕᲓᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქირავებული მუშები ბილიკებიდან შეძახილით გვამხნევებდნენ. ტირის თოფები სამიზნეების ხვრეტდა და ჩვენს გარშემო ერთდროულად იმდენი ადამიანი კიოდა და იცინოდა, რომ საერთო მხიარულებაში ძლივს ჩავერთე. ვიდექი და ვგრძნობდი, რომ ხალხის ხალისიანი განწყობილება თანდათან მეც გადმომედო და ძლივს ვარჩევდი რიტასა და ნატალის ნათქვამის აზრს. „წამო, ჯი", დამიძახა რიტამ. ხელზე მომქაჩა. „მოდი, შოლტზე დავჯდეთ", „შოლტი". ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავდა. „შოლტი" ჩემთვის არ იყო რაიმე სასეირო. ეს იყო ტკივილის მომგვრელი რამ, მძიმედ რომ ეშვებოდა პატიმრების ზურგებზე და ზედ ნაიარევს ტოვებდა. ასე მქონდა ფილმებში ნანახი.

„შოლტზე ვერ დავჯდები", — დავუყვირე ამ საერთო გნიასში. გამიკინა და მითხრა: „რატომ არ გინდა? ნუ გეშინია, თავდებად დაგიდგები, რომ არაფერი მოგივა".

„ხომ ერთობი, ჯი?" — მკითხა ნატალიმ. „შენს მშობლებს უნდათ, რომ გახალხდე და დარწმუნებული ვარ, ჯულიას სურვილიც ეს არის".

არაფერი მითქვამს, თუმცა კარგად გავერთე, ყველაფერი უფრო კაშკაშა და მყვირალა მეჩვენებოდა გარშემო, ვიდრე ამ ორიოდე წუთის წინ. ერთი გოგონას ხმა გარკვევით ჩამეცმა, ეშმაკის ბორბალიდან ვიღაცას ეუბნებოდა: „თუ იცოდი, რომ ასეთი საყვარელი იყავიო". ერთ-ერთ ჯიხურში მდგარი მეკარნავალე ისე გამოირჩეოდა ამ ბრბოში, როგორც გოლიათი დეტალი რომელიღაც ნახატში. ზონარების მთელი ასხმა ეჭირა ხელში, ზონარები ტბოველების ფიტულებზე მიემაგრებინა და მთელი ხმით გაჰყვიროდა: ყველა იგებს, ყველა იგებსო.

კარნავალი ნაირფერ ნახატს ჰგავდა, ლარნაკში ჩაყრილ ყვავილს ფერცლების გროვას მაგონებდა და ჯულიაზე ფიქრს აღმიძრავდა. ჯულია მხატვარი იყო და, მეტწილად, ნატურმორტების ხატავდა, თუმცა, თავი კარგ მხატვრად არ მოაქონდა, მშობლებმაც თავგზა აუბნიეს. ერთხელ მისი ერთი დიდი ნახატი შევიძინე. რვეულიდან ამოჭრილი ქაღალდის ფურცლი. კარნავალიდე ერთი კვირით ადრე ჯულია ჩემს ოთახში შემოვიდა და ნახატი სულ ნაკუწებად აქცია. „ვერ არის თავის ჭკუაზე, მაგრამ ხომ იცი, როგორ უყვარხარ", —მითხრა დედამ.

უკვე შოლტის ჭიშკართან ვიდექით. რიტამ ცხოველის ფიტული ნატალის მისცა და იმანაც ისეთი რუდუნებით ჩამოართვა, თითქოს ახალი საზრუნავი გაუჩნდაო, კაცმა ჩვენ-ჩვენს ადგილებზე ქამრებით დაგვაბა. რიტამ მკითხა: „რა დაღვრემილი ხარ, რაო, არ მოგწონს?"

„როგორ არა, არ მეტყობა?", — მივუგე მე.

„შენი და ხომ არ გაგიყდა?" — მომიბრუნდა რიტა. „რაც ჩაიდინა, იმაზე გეკითხები".

ვიცოდი, რომ არ უნდა მეპასუხა, უნდა მიმეფურთხებინა ყველაფრისათვის და შინ წავსულიყავი.

„იგი სხვანაირად ხედავს საგნებს", — ესღა ვთქვი.

„როგორ?"—ჩამეძია რიტა და ისე უცნაურად ჩამაშტერდა, თითქოს მეც სხვაგვარად ვხედავდი საგნებს. არა და არ მინდოდა სხვაგვარად ხედვა, არ მინდოდა ჩემს დას დავმსგავსებოდი.

„მართლა გიჟია", — ვთქვი მე. —„არა ვნაღვლობ, რაც უნდა მოუვიდეს".

მერე ტრიალი დაიწყო. ვიცინოდით და თან ვკოდით. ისე ვტრიალებდით, თითქოს უკვე ადამიანები კი არ ვიყავით, არამედ სხვადასხვა წყაროდან დამუხტული ელექტროდენი.

შეა ტრიალისას თავში რაღაც მომხვდა. ერთ-ერთი ბრუნის დროს ლითონის ძელკი გახსნილიყო და ყოველთვის, როცა მის გარშემო ვტრიალებდით, თავზე მხვდებოდა. მართალია, ოდნავ მეხებოდა, მაგრამ სწრაფი ტრიალის დროს ეს შეხება ქვაშით სავსე ტომრის დაჯახების ტოლფასი იყო. ჩემს გარდა არავის ხვდებოდა. რამდენჯერმე ვცადე, ამეკიდინა, მაგრამ მიბმული ვიყავი და თავის არიდების საშუალება არ მქონდა.

ბოლო წრეზე ამ დარტყმებისაგან მთვრალივით ვიყავი დარეტინებული და ლაპარაკის თავი აღარ მქონდა. ჩემი გამომეტყველება რიტამ, შეცდომით, სიამოვნებად აღიქვა და ნატალისაკენ გამიძღვა.

„რა კარგი იყო", თქვა რიტამ, „მოდი კატა-თაგვობანაზე წავიდეთ". თვალთ მიბნელდებოდა, ფეხი ოდნავ მერეოდა.

„ისევ შოლტზე მინდა", — ვთქვი მე.

ნატალიმ და რიტამ ერთმანეთს გადახედეს. ნატალიმ ხელი გამომიწოდა, მაგრამ მე თავი

ავარიდე. „ჯეი, სისხლი გდის“, მითხრა მან, ხელი შუა გზაზე გაუჩერდა, და ისე შემომხედა, თითქოს გამოფენაზეა და ცდილობს, უცნაურ სურათს უკეთესი წერტილი შეურჩიოს სამზერადო.

გოგონებს თავი დავაღწიე, ხალხს შევერიე და უკან, შოლტისაკენ გავიკვლიე გზა, გადავიხადე ფული, მოვძებნე იგივე ადგილი, ვიცოდი, რომელიც იყო, რადგან სხვებზე მეტად იყო ჩაჩეჩქვილი, და რამდენიმე ნაჭდევი ემჩნეოდა, თითქოს ვიღაცას გრძელი დანით განგებ დაუსერავსო.

ინგლისურიდან თარგმნა მარინე ბართაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზაბეტ კოქსი

ვცხოვრობ ჩრდილო კაროლინის ქალაქ დერჰემის გარეუბანში, — ამბობს ელიზაბეტ კოქსი. — კვირაში ორჯერ მაქვს ლექციები დიუკის უნივერსიტეტში, რომელიც ჩემი სახლიდან სულ რამდენიმე მილზეა. აგერ უკვე ათი წელია, ყოველ დილა ვწერ ლექციებს, მოთხრობებსა და რომანებს. მყავს ორი შვილი, ვაკი ბრძანებელმში მუშაობს, ქალიშვილი კი — კოლეჯში სწავლობს. ბრეველად ჩემს ცხოვრებაში მარტო ვცხოვრობ. ჩემი ყოველი დღე სავსეა სიმარტოვით, თავისუფალ დროს ვუთმობ ჩემს ან სხვა რაიონების უსახლკაროებს, ვიმედოვნებ, დაეწერ მოთბრობებს, რომლებშიც აღვწერ მათ ცხოვრებას. ხშირად ვსეირნობ, მიყვარს გარეთ ყოფნა, ვარჯაში, მყავს ერთგული მეგობრები. ვკითხულობ, სულ ვკითხულობ. ღრმად მორწმუნე ვარ!

გოუენის მიწა

მოთხრობა

სარა, როგორც დედას, შეეძლო მხოლოდ ეამაყა საკუთარი თავით. მუდამ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მისი სურვილები შვილებისაზე უფრო ძლიერი იყო, ხოლო უბედურება თუ დამცირება, მათ მიერ განცდილი, მას უკვე განეცადა. მისი ღია წაბლისფერი თმა, მზეზე ქესა ჩანდა, ხოლო ფერმკრთალი კანი კი ბრეშუმივით ნაზი და სრიალა ჰქონდა. ახლა თმა ორ გრძელ ნაწნავად დაიწნა და კეფაზე გვირგვინივით დაიდგა, ისე როგორც ამას რაღაც განსაკუთრებული შემთხვევებში აკეთებდა. იგი ძალზე წაადავდა დედის ან ბებიის იმ ხატს, რომელიც ბავშვის გონებაში უცვლელი რჩება მას შემდეგაც კი, რაც სიბერე თმასაც გააჭაღარავებს და სახესაც დაჭკნობს. მეგრამ სარას ბავშვები არ ჰყავდა, უფრო სწორად ჰყავდა ერთი ბავშვი, ჯესი, რომელსაც ახლა ელოდა.

მან ორი პატარა ნიჟარა ფანჯრის რაფიდან აიღო. საწოლის გადასაფარებლის გადასასწორებლად დაიხარა. ბალიშები თავის ადგილზე დაალაგა, საწოლს სუფთა, ბოლოში თეთრით გაწყობილი გადასაფარებელი გადააფარა და ხელის ერთი მოძრაობით ფიჩეში ისე გაასწორა, კაცს იატაკში ჩაზრდილი ეგონებოდა. ეს ყველაფერი დიდი ხელოვნებით და სრულიად გაუცნობიერებლად გააკეთა. დაჯდა. რამდენიმე წლის წინანდელი ჭარიშხალი გაახსენდა, რომელსაც ახლა მხოლოდ დროის მანიშნებლად თუ მოიხსენიებდნენ (ქარიშხალმდეო, ამბობდნენ). იმ დილას დარიანი დღე გათენდა და არავითარი ავის მომასწავებელი ნიშანი არ ჩანდა.

ოთახს კიდევ ერთხელ შეავლო მზერა. ზეწრები მზეზე გააშრო, ასე რომ ახლა ირგვლივ სასიამოვნო სუნი იდგა. ფასადის თავზე ჯესის საყვარელი სათამაშოები შემოაწყო. ბიჭი შაბათ-კვირას შინ ატარებდა და სარაც ჩვეულებისამებრ ემზადებოდა მის დასახვედრად. აგერ უკვე ერთი თვეა მზად ვარო, გაიფიქრა. წამოდგა. ნეტავ რამდენს ვიცოცხლებო, გაუელვა. ზოგჯერ ეგონა, რომ მისი სიცოცხლე განუსაზღვრელად გაგრძელდებოდა. იგი ოცდაცამეტისა იყო. მთელმა მისმა ოჯახმა ოთხმოცს იქით იცოცხლა. ეს არცთუ ისე ცოტაოა, იფიქრა. სახეში მზემ შემოანათა. მანაც მზეს თვალი თამამად, გულღიად გაუსწორა.

იმ დღეს,ქარიშხალი რომ ამოვარდა, წვეულება ჰქონდათ. ადგილობრივი გოლიმთის სახელობის ბაპტისტურ ეკლესიას საკმაოდ დიდი ტერიტორია ეკავა და ყოველწლიურად მთელი ქალაქი იქ იკრიბებოდა წვეულებაზე. ადგილობრივ ეკლესიაში თითქმის არავინ შედიოდა. იმ წელს სარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ელოდა ამ დღეს. ეკლესიამდე გზა იყო ასასვლელი, რომელზეც იგი, ვინ იცის, რამდენჯერ ასულა ბავშვობაში, ისე რომ — მისი თითოეული ღარტაფი იცოდა. და ყველა იმ ცვლილებებს ამჩნევდა, რომლებიც სხვებისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. ჯერ ნელა მოიზღაზნებოდა, ძოდიოდა, მაგრამ მერე ფეხს აუჩქარა, მიწას ეფიარე გრძნობდა, გეგონება გლუვ ზედაპირზე მდინარეა. ისევთ გრძნობა ჰქონდა, რომ ვიღაც ბაწრით ეწევიდა მთის წვერისკენ. ჯესი უკვე ათი წლისა იყო, მაგრამ არასოდეს ენახა, რომ დედამისი გაქცეულიყო და დაეძახა. სარამ ვერ გაიგონა. მთის წვერზე ასულმა ხელით ანიშნა ჯესის და მის მეგობრებს და ისინიც სირბილით გამოეკიდნენ, თითქოს ის ბაწარი ახლა მათ ეწევოდათ. მთაზე სიცილ-კისკისით და ერთმანეთის გადასწრებით ავიდნენ.

მთის ბოლო შუბათი იყო და წვეულებაზე მთელი ქალაქი მივიდა. იმ გაცრეცილ დიღლს ხალხი ისე დაბორიალებდა, თითქოს იქაურობას პირველად ხედავდნენ. ტყეში მიმოიფანტნენ. პატარები გაბმას ეძებდნენ მის წასალებად — კენჭსა ან ხის ქერქს, რომელსაც ფანჯრის რაფაზე შემოდებდნენ და ზამთარში გაიხსენებდნენ, რომ ის გასული წლის წვეულებიდან წამოიღეს. წვეულების თითქმის ბოლომდე ავის მომასწავებელი არაფერი შეუნიშნავთ. ჯესის მინდვრიდან თხა მოიყვანა. ეკლესი უკვე თავიანთ გადასაფარებლებს და სუფრებს აალაგებდნენ. ზოგნი ვარიის დარჩენილ ნაჭრებს ან ნაძაღლარა შეეკვეთნენ. ტბიდან ბავშვების ყივილ-ხივილი ისმოდა, მაგრამ როცა ცას ღიმწყანნი ფერი გადაეკრა, თამაშის ხალისი უმალ გაუქრათ. ისევთ სირეკვე ჩამოვარდა, რომ ძოხტეები შეშინდნენ. სარამ დაინახა, როგორ ჩამოწვა შავი ღრუბელი, მოეთითა კიდეც იმ ადგილზე, სადაც იგი გამოჩნდა და რაღაც ყრუ, მაგრამ საცნაური გუგუნით გოლეგოთის ეკლესიისკენ წამოვიდა. ჩიტები შემაშფოთებლად ახმაურდნენ, თითქოს განგაშს ტეხდნენ.

ბავშვებმა ეკლესიის სარდაფის ფანჯარა ჩატეხეს, ეხაროდათ მშობლების თვალწინ ონავრული აჩქეიფილის ჩაღება, მაგრამ მალე აღმოაჩინეს, რომ ამან არცთუ ისეთი სიამოვნება მიანიჭათ, როგორსაც ელოდნენ. ეკლესიაში ფანჯრიდან შეძვრნენ და უკანა კარი გააღეს, რომ სხვებიც შესულიყვნენ. ხალხმა იხუკუნა და ნაიოვარიები შიგ შევარდა. ჯესი გულმოდგინედ ექაჩებოდა სადღაც ნაპოვნ თხას.

„ამ თხას აქ ვერ შემოიყვანთ", ეუბნება ბობ-თომმა, რობერტ ფიგასი, რომელსაც ყველა ბობ-თომას ეძახდა, ჯესის საუკეთესო მეგობარი იყო. „ეკლესიაში შემოდგომაზე ისინი ერთად თევზაობდნენ და ნადირობდნენ ხოლმე. ჯერ კიდევ ჯესის აკადემიურობამდე (რომელშაც იგი სამუდამოდ ბავშვად დატოვა), ბობ-თომი მასთან შინ დადიოდა სათამაშოდ. მოგვიანებითაც, როცა ბავშვები წამოიზარდნენ და ჯესისთან ალარ მიდიოდნენ, იგი ძველებურად ექცეოდა. ჯესის და ისე ეამბობდა, რომ სარა გაკვირვებას ვერ ფარავდა.

„დიახაც შევიყვანთ", — მიუგო ჯესის, მეგობარს ხელი გაუშვებინა და ეკლესიაზე მიუთითა, თითქოს მისგან დალაპარაკებას ელოდა. მერე ხელი ჩამოუშვა და იგრძნო, რომ თავისი გაიტანა.

ჯესი ეფუვნების წკრიალში მიიზიდა. საძოკარზე თხები დაინახა და როდესაც ფანი პერანგსა და ძარღვის ჯიბეზე დაეჭიდნენ, ეს მოფერებად ჩათვალა. მერი ლილი დაინახა, რომ იგი თხებს დასდევდა. გოგონა ჯესის ხნისა იყო, მაგრამ ოდნავ უსწრებდა სიმაღლეში. მერი ლილი მუდამ ეუბნადლებოდა აქცევდა ჯესის, მაგრამ დიდად განწყობილი მისდამი არასოდეს ყოფილა.

„მოიფერე, ჯესი. თუ გინდა, რომ მოგვიახლოვდნენ, არ უნდა სდევ", — უთხრა მან. მაგრამ ჯესი მას არ ენდობოდა, ისანაც თხების კიკინი და ეყვნების წკრიალი კიდევ უფრო იზიდავდა.

თხებს „ბავშვებს" ეძახდა, თუმცა ისინი კარგა მოზრდილები იყვნენ.

ეს ალბათ ავადმყოფობამდე დაიმახსოვრიო, „ფეხობდა სარა, ვინაიდან ბიჭმა თხები მხოლოდ ჯორჯის შტატში მატარებლით მოგზაურობისას ნახა. მაშინ ის სამი წლისა იყო და, ალბათ, დაახსოვდა, როგორ აიყვანეს თხები მეორე მატარებელთან მდგარ მანქანაზე. მათი მატარებელი გაჩერდა და თხებმა ფანჯრების ქმენ გაიარეს. ისეთი სუნი დადგა, რომ მგზავრები აღარ ჩავიდნენ ქალაქის პარკებში მოთავსებული საუზმის ამოსატანად, რომლის საფასურიც ადრევე გადიიხდეს. ამიტომ კონდუქტორს თავად მოუხდა აქ პარკების ამოტანა. მან ძლივს აუარა გვერდი ჯესის, რომელიც ბაქნის ბოლო საფეხურზე იდგა, რათა რომელიმე თხას მისწვდომოდა. იგი მათ კიკინს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაძავდა. თავის ადგილზე რომ დაბრუნდა, დედამ მუხლებზე ფაქიზად გაუშალა საუზმე და უთხრა, რომ იატაკი თხებს ბავშვებს ეძახდნენ.

ჯესი, — კლავდ დაუძახა მეგობარმა, მაგრამ იგი მაინც ჯიუტად ეწეოდა თხას, ასე რომ ბობ-თომმის ცალი რიგიანად დაეკოლეინა, ამაო ჩანდა.

„ნუთუ ვერ გრძნობ, რომ ყარს?"

„თავი გაანებე", — მოუღლიერდელად დაიცვა ჯესი მისის ლიზმა. ალბათ, იმიტომ რომ მერე სალაპარაკო ჰქონოდა, ქარიშხლის დროს ჯესიმ თხა ეკლესიაში შეიყვანაო. წლების განმავლობაში სულ იცას იძახებდა: „გახსოვთ, ჯესიმ თხა გოლგოთის ეკლესიაში რომ შეიყვანა" და ყველანი გაიცინებდნენ.

ვიღაცამ დაუძახათ. ჩქარაო. ეს ჯესის მამა იყო, გრანალინი. იგი ორივე ხელს უქნევდათ. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაიქცნენ. ბობ-თომი ჯესის ეწეოდა, ჯესი კი — თხას. ხეებს კენ მიმავალი სარა ბავშვებს ეძახდა. ამ დროს დაინახა კიდეც, რომ ისინი მინდვრიდან მისკენ მირბოდნენ. რაღაცით ბაბუაისის ბეჭედნეულ მონეტაზე ამოტეიფრულ სცენას აგონებდნენ.

ახლა თითქმის ყველანი ეკლესიაში იყვნენ. და ქარმაც არ დააყოვნა. ხეებს ეხეთქებოდა, არხევდა, ალაწყვეტდა. თხას ჯიუტად არ სურდა სარდაფის კიბეზე ჩასვლა და ცხადი გახდა, რომ ჯესი მას არ მიატოვებდა. ამიტომ ფრანკლინმა და ბობ-თომმმა იგი ფეხებიით ასწიეს, ჯესი იცინოდა, მოსწონდა მისი კოკინი.

გუგეგნი ახლა უფრო მოახლოვდა, ადამიანები უკვე შინაგანად გრძნობდნენ მას, იგი ჩიტების ხმებსაც შეეერია. ეს ორივე ხმა რაღაც უხილავი წყაროდან მოიდინებოდა, აღიწევდა ადამიანებში, თითქოს ამშვიდებდა, ძილ-ბურანში ჰხვევდა მათ.

კარი გაჯახუნდა და ქარი ნაჯახივით ეცა ეკლესიას, საკურთხეველი და სკამები ააყირავა, ვიტრაჟები აანრიალა, ჩაამსხვრია, ავეჯს ნამსხვრევები კედლებს შეაყარა, პიანინო ჰაერში აფიმარნდა და შემდეგ ისეთი ძალით დაიგუნეა, რომ იატაკი ჩიტანა. ეკლესიის შპილი ისე გადატყდა, როგორც შაქარყინული ბავშვის ხელში. მერი ლიზი იმ დღეს ძლიერ დაშავდა, ასე რომ ეკლესიაში შემოყვანილი თხის გახსენებაზე აღარასოდეს გაუცინია. ბობ-თომმს ფანჯრიდან მოტეხილი ლიმონნის ნამსხვრევი მარცხენა საფეთქელში მოხვდა, თავის ქალაში გაატანა და იქვე მოკლა.

თხეების პატრონი ფერმერიც დაიღუპა. მისმა ცოლმა თავისი ქმარ-შვილი იმ ნანგრევების გროვაში იპოვა, რომელიც სულ ახლახან მათი სახლი იყო. სახლი ქარს ეზიდან ორი მილის დაშორებით გადაესროლა. სარას სახლს კი ნახევარი სახურავი მოგლიჯა და ყველა ფანჯარა ჩაუღუნა. სახლის ირგ დარგული მაჩრდილობელი ხე ძირფესვინად ამოგლიჯა. ფრანკლინის ერთ-ერთ მინდორში მთელი მოსავალი ისე გაჩანაგდა, გეგონებოდათ, ვიღაცას უხეირო სახნისით ღრმა ნხული გაუვლიაო.

სარას მამიდა დაეკა და ფეხი მოტყდა, ფრანკლინსაც რამდენიმე მკირე ჭრილობა ჰქონდა. მხოლოდ ჯესი და მისი თხა გადარჩნენ უვნებლად. ქარიშხალმა ისინი რაღაცნაირად შეაკავშირა, ასე რომ ქარი რომ ჩადგა, ჯესიმ თხის სახლში წაყვანა მოითხოვა და უარი არავის უთქვამს. ქარიშხალი რომ არა, დედა თხის წაყვანაზე არ დათანხმდებოდა. ამით მაინც იყო კმაყოფილი.

მეორე დღეს პანაშვიდში გადაიხადეს. ჯესი ბობ-თომის კუბოსთან იდგა და თვალ-ყურს ადევნებდა, როგორ უშვებდნენ სამარეში. სარამ აუხსნა, რომ ბობ-თომი ეუნდა დაესაფლავებინათ, მაგრამ ჯესიმ არ დაიჯერა, რომ მისი მეგობარი ამ ყუთში ი ყო, ამიტომაც არ ნაღელობდა. ის კი არა, შეკრებილ ხალხს თვალი გადაავლო, რადგან მათ შორის ბობ-თომიც ეგულებოდა. ადამიანები კუშტად გარინდებულიყვნენ. მხოლოდ უკანასკნელი ლოცვის შემდეგ შემჭიდროვდნენ და მსალვების ფხოჯნა დაიწყეს, თითქოს ახლაღა გამოეფიძათო.

ჯესიმ მეგობარი მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ მოისაკლისა და თავის ოთახში ჩაიკეტა. სარას საჭმელი შეჰქონდა ხოლმე და გლოვას აცლდა. სამი დღის შემდეგ, საუზმემდე ბიჭი გარეთ გავიდა და თხაც თან წაიყვანა. ჯესი გოლგოთის სახელობის ბაპტისტური ეკლესიისკენ წავიდა, რომლის ნანგრევებიც ჯერ კიდევ ირგვლივ ეყარა და ცქერა დაუწყო იქ მომუშავე ხალხს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ცდილობდნენ აღედგინათ, რისი აღდგენაც კი შეიძლებოდა. ისე კი იხტიბარს არ იტეხდნენ, აჭა-იქ ოხუნჯობდნენ და იცინოდნენ კიდეც.

ჯესიმ მთელი დღე მათ ცქერაში გაატარა.

ეს სამი წლის წინ მოხდა. ზოგი მაშინ წაქცეული ხე ჯერაც ძირს ეგდო. ტინერის მაღაზიის უკან დავარდნილი თეთრი ნეკერჩხალი სულ მთლად დარბილდა და დალპა, რადგან ტბის მახლობელ ჭაობიან ადგილას მოხვედრილიყო. მაგრამ ტენესის შტატის ქალაქ მეისონში მრავალი ხე — ნეკერჩხლები და ალვები — უვნებლად იდგნენ, ქარიშხალი ყველას ვერ მოერია.

სარა იდაყვებით ტაშტს დაეყრდნო და წაქცეულ ხეს დააცქერდა, რომელიც ისე საცოდავად იყო ამოგლეჯილი მიწიდან, რომ მის შემხედვარეს ტირილი უნდებოდა. ფერმერები, რომელთაც მიწა მოსავლისთვის გაეწმინდათ და მხოლოდ ერთი-ორი ხე თუ დაეტოვებინათ საჩრდილობლად, განსაკუთრებით ნაოვლობდნენ იმის, რომ მათი სახლები ისე გაშიშვლებული დარჩა გზის პირზე და ყველა გამვლელ-გამომვლელს შეეძლო მოურიდებლად ეცქირა.

სარას სახლის გვერდზე, სამზარეულოს წინ, წაქცეულ ხეს ტოტები დამტვრეოდა და მწერებსა და წვიმას მთელს ზროზე ხვრელები წარმოექმნა. გამხმარი და დაშაშრული ფესვები სამზარეულოს ფანჯრისკენ აწეულიყვნენ, მიწისკენ აღარ მიისწრაფოდნენ, გამხმარ-დაღვლარჭნილნი ერთბაშად შეკუმშულიყვნენ. სარას კარგად ახსოვდა ეს ხე, როცა ისინი ორივენი პატარები იყვნენ და მამამისი ჭოკს შეუყენებდა ხოლმე, რომ სწორად გაზრდილიყო.

ხე საშეშედ დაენანა და ამიტომაც არ წაიღებინა. იქვე დატოვა. სამი წელი სულ იმას ფიქრობდა, რომ როგორმე წამოეყენებინა და ჭოკთან და თოკებთან გაემგარებინა, თუმცა იცოდა, რომ ფესვები ხეს ვეღარ დაიჭერდნენ. ამას ისევე შეეგება, როგორც ჯესის. ეკმიებმა აუხსნეს, რომ ტკივნის დაზიანებული ნერვების დაბოლოებებს ვეღარაფერი უშველდა და იგიც ადვილად წარმოიდგენდა ხოლმე ამ გამხმარი ფესვების მსგავს შეკუმშულ პაწაწინა სადინარებს.

გარეთ მანქანა გაჩერდა და სარამ ფანჯრიდან ჯესის სახე დაინახა. ექვსი თვეა რაც იგი ავადმყოფ ბავშვთა თავშესაფარში ცხოვრობდა და ეს პირველი შაბათ-კვირა უნდა გაეტარებინა მშობლებთან ერთად. ახლა სარას იგი დაბერებული ეჩვენა, დედაზე უფროსი, საერთოდ ყველაზე ხნიერი ჩანდა. ჯესი კარებში შეჩერდა და ნელ-ნელა რაღაცის წარმოსათქმელად მოემზადა.

„სადგურზე არავინ დამხვდა“, — თქვა მან თითქმის გაჯავრებით. მაგრამ ქალმა, რომელმაც მოიყვანა, უმალ შეუსწორა: „არა, ჯესი, შენ ხომ მატარებლით არ ჩამოსულხარ. მე მოგიყვანე. ხომ გითხარი, მეორედ მატარებლით იმგზავრე-მეთქი“. ქალი მოტრიალდა და კართან დაყენებულ ცისფერ მანქანაზე მიუთითა. ეს ყვითელთმიანი ქალი ქალბატონი ჰარისი იყო.

ხელებგაწვდილი სარა ჯესისკენ გაემართა. უნდოდა ეთქვა, სადგურზე მე დაგხვდებიო. ბიჭს სხეული მოხრილი ჰქონდა, ცალ მხარეს გადაზნექილი. სარამ თავი მიადო და მისი გულისცემა გაიგონა.

— „ამ რამდენიმე თვეში გაიზარდა, არა?“, — თქვა ქალბატონმა ჰარისმა, რომელიც მუდამ იბნეოდა, როცა ბავშვები შინ მიჰყავდა ხოლმე. ჯესის საღამომდე მშობლებთან ტოვებდა. არასოდეს ყოვნდებოდა, მაგრამ თვლიდა, რომ წასვლამდე უთუოდ რაიმე უნდა ეთქვა. „ეს შარვალი, თქვენ რომ გამოუგზავნეთ, უკვე დაუშოკლდა“. ბიჭს მართლაც კოჭები უჩანდა და სიამოვნებით გაეღიმა, რომ შენიშნეს, როგორ გაზრდილიყო.

„მშვენივრად გამოიყურება, მშვენივრად“, — გულწრფელად უთხრა სარამ.

ჯესის თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი და ეს მკაცრ გამომეტყველებას ანიჭებდა. თვალებს ფრინველივით აქეთ-იქით აცეცებდა. არანაირი ხმაური თუ მოძრაობა არ გამოუპარებოდა. სარას არ ალიზანებდა მისი მოუსვენრობა, მაგრამ თვალ-ყურს ადევნებდა, რომ არაფერი გამოპარვოდა. იგი ამ სტუმრობას საგულდაგულოდ იმახსოვრებდა, რათა ზაფხულის ცხელ დღეს თავისი სიმარტოვე შეევსო. ბიჭის ყოველ მოძრაობას ისევე ინახავდა, როგორც ციყვი ზამთრისთვის კაკალს, რომ მერე ჭურასთან, მაგიდასთან ან საწოლში ბოლომდე ეგემა თითოეული მათგანი.

ფრანკლინი იდრე საუზმისთვის დაბრუნდა. ქმრის ხმის გაგონებაზე, სარამ კაბა გაისწორა და ჯესის ანიშნა, ადექიო. წელს ცამეტისა გახდა და კაცობა დაეტყო. ზედა ტუჩზე საკმაო ღინღლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოუვიდა და მამის ფეხსაცმელს კარგად ირგებდა. ფრანკლინმა ჯერ დააპირა ხელი ჩამოერთვა, მაგრამ მერე მოეხვია. ჯესიმ თავის შარვალზე მიუთითა. მას ეამაყებოდა, რომ სიმაღლეში მოიმატა, თუმცა გონება ოთხი წლის ბავშვისა ჰქონდა. ფრანკლინმაც აღინიშნა, გაზრდილხარო.

ჯესი კვლავ მაგიდას მოუჯდა, რომელზეც მორებით დატვირთული სათამაშო მანქანით ერთობოდა. მორებს ხან იღებდა მანქანიდან, ხან ისევ აწყობდა. მოძრაობები დინჯი, დაკვირვებული ადამიანივით ნელი და მოზომილი ჰქონდა.

სარამ მექანიკურად გადაატრიალა ვარიი ტაფაზე, შიშხინით მიხვდა, როიკა მზად იყო. ფრანკლინი გარეთ ხელ-პირს იბანდა.

„ჯეს, ახლა ყველაფერი აალაგე და სუფრა გავშალოთ“, — უთხრა სარამ და სამი თეფში და ხელსახოცები მიაწოდა. ჯესი ერთხანს გაჩერდა. გონება მოიკრიბა, თავისი ადგილისკენ გაეშურა და დანა ისე დადო, თითქოს რაღაც ფორმაში დებდა. სარა სამი თვე ასწავლდა ამის გაკეთებას, მაგრამ ხანდახან კიდევ ეშლებოდა. თუმცა დღეს ყველაფერი სწორად დაალაგა და მამამისმა შეაქო.

„მორჩი?“, — ჰკითხა სარამ და ღუმელიდან ორცხობილების გამოსაღებად დაიხარა.

— არა, ერთი-ორი მორი კიდევ გვაქვს დასაწყობი,— უპასუხა ფრანკლინმა და მაგიდას მიუჯდა. ჯესი ჯერ კიდევ დანა-ჩანგალს აწყობდა. სარამ საჭმელი დიდი მათლაფებით მოუტანათ. ფრანკლინმა ჯესის თეფში გაუვსო და ზედ სარას სოუსი გადაასხა. ბიუს ასე უფრო უყვარდა, მამამ მაგიდის კუთხეში დაწყობილ სათამაშო მანქანებს შეხედა და სარას უთხრა, იქნებ ნაშუადღევს ჩემთან ერთად წამოვიდეს მინდორშიო. სარამ არაფერი უპასუხა.„ — იქ კარგად იქნება. მუშაობა ესაჭიროება“, — თქვა ფრანკლინმა და ცოლს ხელზე მოუთათუნა. მორიგდნენ.

ჯესი ოთხისა იყო, ავად რომ გახდა. პირველად გრიპი ეგონათ, მაგრამ ერთ ღამეს სიცხემ აუწია და როიკა საავადმყოფოში მიიყვანეს, ექიმებმა ენცეფალიტი დაუდგინეს. მათ არც კი იცოდნენ, ეს რას ნიშნავდა, ვიდრე ერთი კვირის შემდეგ ექიმ-ინტერნმა არ აუხსნა, თუ როგორ შეიცვლებოდა მთელი მისი შემდგომი ცხოვრება; რომ ჯესი მოზრდილობაშიც ბავშვი იქნებოდა და ბოლოს და ბოლოს სპეციალურ დაწესებულებაში მოუხდებოდათ მისი მოთვსება, სარა ექიმს კითხვებს უსვამდა, ფრანკლინი კი ოთახიდან გავიდა, სარამ შინ დაურეკა, უთხრა, სამოგზაუროდ მიდდივარო და დაუმატა, ჯესი ჩემი შვილიაო.

სარა ჯესის საავადმყოფოდან გამოწერამდე მასთან დარჩა. ფრანკლინი სამ კვირას არ დაბრუნებულა.

შინ აპრილის ბოლოს, მზის ჩასვლისას დაბრუნდნენ. სარამ საჭანაო სავარძელი კარის ზღურბლთან დადგა და ჯესი კალთაში ჩაისვა. ბიჭი ფეხებს მიწას ვერ აწვდენდა, დედას ლოყა მკერდზე მიადო და სარამ ისეთი დაღლილობა შენიშნა, როგორიც არასოდეს შეუმჩნევია მისთვის, მაგრამ იფიქრა, რომ ამას იქით ეს ჯესის ბუნებრივი მდგომარეობა იქნებოდა. იგი ასწავლიდა ბავშვს, უწონდელ სიმღერებს უმღეროდა, თუმცა არ იცოდა, ახსოვდა თუ არა მას ისინი. ასე დაეძინა. ჯესის სუნთქვას ჯერ კიდევ ავადმყოფობის სუნი უდიოდა.

სარა მზის ჩასვლას შემოღამებამდე აკვირდებოდა. ფრანკლინზე ან მის დაბრუნებაზე არ ფიქრობდა, უფრო მინდორსა გასეტეროდა, საიდანაც მანქანების ხმა ესმოდა. ფიქრობდა იმ ოჯახებზე, რომლებიც მანქანებში ისხდნენ და შინისკენ ან შინიდან მიიჩქაროდნენ. „— ნეტავ მათაც ჰყავთ ჯესისნაირი ვინმე? “ — გაუელვა ქალს.

ბავშვობაში ლუიზას, მოხუც ზანგ ქალს, ასევე ეჭირა სარა, ეთამაშებოდა, ამავე სავარძელში არწევდა. ლუიზას კალთა ბალაშივით რბილი იყო და იქიდან სარა უყურებდა მის მაღალ, გლუვ შუბლს, აზრით განთავებულ თვალებს და პირს, რომელიც მუდამ სიმართლეს წარმოთქვამდა.

„მოლ, მარმარილოვანი გითამაშია?“,— ეტყოდა ხოლმე ლუიზა და უმალ თამაშის წესებს შესთავაზებდა. სარამ იმთავითვე იცოდა, რომ ლუიზას თამაშზე მეტად თვითონ მარმარილო უყვარდა, რომელსაც ლოყაზე მიიდებდა ხოლმე და იტყოდა „სულ მინაა, მთლიანად. მათი გატეხვისა ნუ შეგეშინდება. უბრალოდ იშლებიან“. და მარმარილოს ისე დააცქერდებოდა, თითქოს თავისივე სიტყვებისა არ სჯერაო. „ვერაფრით ვერ გატეხავ“. მაგრამ სარამ ერთხელ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატეხა. ზუსტად შუაზე გააპო, ისე რომ არც ერთი ნაწილი არ დაიბზარა. ერთი თავის საწერ მაგიდაზე მოათავსა, მეორე კი ლუიზას მისცა.

დღიმდა. სარა უკვე ვეღარ ხედავდა ოჯახებს მანქანებში, მხოლოდ ნაწვიმარზე მოსრიალუბული საბურავების ღრჭიალი ისმოდა. ვერც იმას ხედავდა, ვინ მართავდა მანქანას — ქალი თუ კაცი. წარმოიიდგინა, რომ ჯესი ისეთივე ჩვილი იყო, როგორც ოთხი წლის წინ, მშვიდი, გახსნილი, კოკორისებრი სახით. მაშინ ხელებს სულ ამოძრავებდა, ახლა კი გახსნილი ხელის მტევნები უმოძრაოდ ეწყო, თითქოს რაღაცის მიღებას ელოსო. იგი ვეღარასოდეს ვერაფერს ვერ იტვირთებდა, არადა მთელ ტვირთს დედამისს აჰკიდებდა, ასე რომ სარას იმაზე მეტი უნდა ეზიდა, ვიდრე შეეძლო. ფრანკლინიც წასული იყო.

დილას გამოეღვიძა. მზემ ისე შემოანათა, თითქოს წყალი გადაასხესო. ჯესის კვლავ ეძინა. სარამ დაბუჟებული ფეხები გაჯიმა და დაფიქრდა, როგორ მოეწყო თავისი ცხოვრება.

დაბრუნებულ ფრანკლინს ცოლ-შვილი სამზარეულოში დახვდა. სარამ დაინახა, როგორ შემოუხვია მისმა წითელმა „პიკაპმა“ მათი სახლისაკენ. იგი არ შეტრიალებულა, როცა ქმარი შევიდა და კეფაზე აკოცა.

„გშია?“, — ჰკითხა სარამ.

„არა. ის მუშები დავიჭირავე, შენ რომ ელაპარაკე“.

ვიდრე ქმრისკენ შებრუნდებოდა, ხმა საქმიანი ჰქონდა. „გარეთ მიწას ასუფთავებენ“. სარამ დაინახა, რომ ფრანკლინს ნაოჭები ტუჩების გარშემო გაღრმავებოდა და იფიქრა, ნეტავ მეც თუ ასე მოვხუცდიო. „კარგია“, თქვა ფრანკლინმა, ლოყაზე აკოცა და ბოდიში მოუხადა. წითელი თმა და ძვალმსხვილი სახე მას რაღაც უწონადობის იერს ანიჭებდა. სარა მისკენ შებრუნდა და მიხვდა, რომ ქმარს მისთვის სხვა არაფერი ჰქონდა სათქმელი.

„კარგი ბიჭია“, თქვა სარამ და ქმარი იქით წაიყვანა, სადაც ჯესი იწვა. ბიჭს კუბები აქეთ-იქით მიმოეფინტა და არაფერს აშენებდა. მამისკენ შეტრიალდა, მაგრამ ვერ იცნო და ისევ სათამაშოებს მიუბრუნდა. ფრანკლინმა სამუშაო ტანსაცმელი ჩაიცვა, ჭუდი დაიხურა და მინდორში წავიდა. გაზაფხული იყო და თესვა უნდა დაეწყო.

კარგად ისაუბზმეს. საკმელი გაუტანა ჯესიმ ეზოში თავისუფლად გაშვებულ თხას, რომელსაც ყველა „ქიდს“* ეძახდა. ბიჭს უნდოდა თხა ავადმყოფ ბავშვთა თავშესაფარში თან წაეყვანა, მაგრამ იქ ცხოველებს არ უშვებდნენ. თხას დედამისი უვლიდა და როცა ოთხი წლის შემდეგ იგი მოკვდა, ახალი იყიდა. მას შემდეგ სულ ასე იქცეოდა და ყველი თხას „ქიდს“ არქმევდა. ჯესი ხვდებოდა, როცა შინ ახალი თხას აბვიდრავდნენ და საგულდაგულოდ ეძებდა მასზე ძველისგან განსხვავებულ ნიშანს, ასე რომ ვერ მოატყუებდი. თითოეული თხა მას იმ დროსთან აკავშირებდა, როცა ჯერ კიდევ ჯანმრთელი იყო. ხანი გადოდა და იგი სულ უფრო გრძნობდა, რომ სხვებისგან განსხვავდებოდა, მაგრამ ამ ცოდნის ტვირთს ზოგჯერ თხის ნაცნობი კიკინი უმსუბუქებდა. ამ დროს იგი ცნობისმოყვარეობით დაიკქერდებოდა ცხოველს და სარაც ეჭვობდა, რომ თხა მას უწინდელ ცხოვრებას აგონებდა. ჯესის ასეთი ყურადღება გაელვებასავით წამიერი იყო, მაგრამ სრულიად ქმაროდა იმისთვის, რომ ბიჭს თხა ყველზე მეტად ჰყვარებოდა.

მას ყოველი მომდევნო თხა უყვარდებოდა, ისე რომ უწინდელის დაკარგვის მაინცდამაინც არც ნაღვლობდა. ზოგჯერ თუ შეეკითხებოდა მამას ძველი თხის ამბავს და ფრანკლინიც პასუხობდა, სიბერით მოკვდაო.

სარამ იცოდა, რომ ფრანკლინს სასწაულის იმედი უკვე გადაეწურა. ამაღამ ჯესი მამას ბაყაყების დასაჭერად მიჰყავდა. ეს ორივეს მოსწონდა. ისინი ტბასთან იდგნენ ხოლმე, მზის ჩასვლას უცქერდნენ.

ჯესი ბაყაყებს იჭერდა და შემდეგ ისევ უშვებდა. მაგრამ იმ საღამოს ზაფხულის წვიმა წამოვიდა. მსხვილ-მსხვილი წვეთები მიწაზე ეცემოდა და მამა-შვილს მხრებს უსველებდა. ფრანკლინმა ჯესის ხელი მოხვია, ნუ გეშინიაო, მაგრამ ბიჭს არასოდეს ეშინოდა.

---

* Kid - ბავშვი (ინგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარამ დაინახა, როგორ უახლოვდებოდნენ სახლს. იმ დროისთვის წვიმამ უკვე გადაიღო. სულ მთლად გაწუწულები უდარდელად იკინძნენ. სახეებზე წვიმის წვეთები შერჩენოდათ. ტანსაცმელი გაიბერტყეს და სარამ პირსახოცები მიაწოდა. გვიანობამდე საუბრობდნენ და ჯესის საყვარელი თამაშებით იქცევდნენ თავს. შორიდან ჭეშ-ქუხილის გრგვინვა ისმოდა და ფოთლებიდან მოწანწკარე წყალი დამამშვიდებლად მოქშედებდა მათზე.

მეორე დილას სარას აღრიანად გამოეღვიძა. ზოგჯერ ბავშვის წკრიალა ხმა ჩაესმოდა, ჯესისკენ გაემართებოდა, მაგრამ უკეს ბაახსენდებოდა, რომ ჯესი იქ არ იყო. იმ დილას მიუხედავად იმისა, რომ კვირა იყო, ჯესი მინდორში წავიდა სამუშაოდ, თხაც თან გაიყოლა. სარა სამზარეულოს ფანჯარასთან მივიდა, საიდანაც მუდამ აკვირდებოდა, როგორ გამოიცოცხლებოდა ხოლმე გარემო და მერე კი, საღამოსთვის, ნელ-ნელა მიყუჩდებოდა. ნიჟარას დაეყრდნო და სახე ნიავს შეუშვირა, რომელიც ამ ადგილას მუდამ ერთი მიმართულებით ქროდა.

სარა თვრამეტისა იყო, როცა ფრანკლინს შეხვდა, რომელიც მასზე ოთხი წლით უფროსი იყო. ორი წელი კენტუკის შტატში, სამხედრო სამსახურში გაეტარებინა. სარას სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა და პატარა მაღაზიაში მუშაობდა. ფრანკლინი მაღაზიაში ქაღალდის საყიდლად შევიდა (როგორც შემდეგ აუწსნა, თავისი შეყვარებულისთვის წერილის მიწერას აპირებდა). სარას დანახვაზე მაღაზიაში მთელი ნახევარი საათი, საუზმემდე შეყოვნდა, რათა სარა დაეპატიჟა. ქალაშვილს უარი არ უთქვამს.

ჰამბურგერები აიღეს და ფრანკლინმა ყურადღება მიაქცია, რომ სარას ზუსტად ის შეხედროდა, რომელიც უნდოდა. შემდეგ ქალაქგარეთ გაიყვანა. მანქანამ ნაცნობ სახლებსა და ხეებს ჩაუქროლა, მაგრამ სარა ახლა სხვა თვალით უცქერდა მათ: ეჩვენებოდა, რომ არასოდეს ენახა, უცნობ ქალაქში მგზავრობდა. ახლა ის კაცი რომელიც იმ დღეს პირველად ნახა, უკვე თვრამეტი წელია მისი ქმარი იყო.

ფრანკლინი ისეთ რაღაცებს ეკითხებოდა, რაზეც არასოდეს უფიქრია და ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, რომ ფრანკლინ პ. ჰოლდენი მას ყველაზე უკეთ იცნობდა.

—„გთხოვილი ხარ?“ — ჰკითხა ფრანკლინმა.

— არა. არავის უთხოვია, ცოლად გამომყევიო.

კაცმა ალმაცერად გადახედა, ისე, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ამ გოგონას ყოველი დღე ვინმე ცოლობას სთხოვდა. და შინ დაბრუნებულს ხელის მთხოვნელთა რიგი უნდა დახვედროდა. იგი ისე უყურებდა, თითქოს მასზე უფრო ნაზი სახე ჯერ არსად ენახა და ეჩვენებოდა, რომ შეხებისას მისი თმა ხელიდან წყალივით ჩაეწრიტებოდა.

ორღობეში გადაუხვიეს.

„ეს მოხუცი მაკენინის ადგილია, — უთხრა სარამ. — როდისმე ყოფილხარ“.

„არა. ისე შემოვუხვიე“.

„იგი გარდაიცვალა. აქ სადღაც ძველი აბაზანა იდგა ხოლმე“, — თქვა სარამ და ხელი ხეებისკენ გაიშვირა, თითქოს აბაზანა იქ ეგულებოდა.

„მგონი იქ უნდა იყოს“, — თქვა სარამ და ნაძვებისკენ მიუთითა. — ერთი ძველისძველი აბაზანაა მოძრავი გადმოსახურით. ერთხელ შიგ ჩავჯექი. ძალიან ღრმაა“.

მანქანიდან გადავიდნენ და ნაძვებისკენ გაეშურნენ.

„მახსოვს, ერთხელ ბებიაჩემი ვნახე ამისთანა აბაზანაში. დიდი ქალი იყო, მაგრამ იქ პატარა ჩანდა, თითქოს აბაზანამ ჩაყლაპაო,“ თქვა ფრანკლინმა.

სარამ გაიცინა და ნაძვებს შორის თვალსაჩინოდ დაყენებული აბაზანაზე მიუთითა.

„აი ეს არის. ალბათ, დატოვება მოუხდათ. ძალიან ძმიმეა“. .

ფრანკლინმა ფოთლები და ტალახი ამოწმინდა.

„ჩაჯექი,— უთხრა მან ქალს და ხელი შეაშველა, ვიდრე სარა ფეხსაცმელს იხდიდა და აბაზანაში ჩადიოდა. — დაჯექ“, — მოუალერსა კაცმა და თვითონაც გვერდზე დაუჯდა. მკლავები გარეთ ჰქონდა გადაკიდებული. სარამ ქვედა ბოლო ამოიკეცა.

„ამისთანა რაღაცაში უნდა დავიმარხო“, — თქვა ფრანკლინმა და ტყისკენ მომზირალ სარას

ხელი ჩაჰკიდა. კაცი აკანკალდა, მერე ეს კანკალი სარასაც გადაედო.

„კენტუკიში შეყვარებული მყავს“, — თქვა ფრანკლინმა. სარამ შეხედა. აქამდე ეგონა, რომ იცნობდა, მაგრამ თურმე შეცდა. „დღეს წერილის მიწერას ვაპირებდი. მაღაზიაშიც ქაღალდის საყიდლად შემოვედი და დავინახე?“. ეს ისე თქვა, გეგონებოდათ, სადღაც უკვე წინასწარ ქვეცნობიერად გადაწყვეტილი ახლა შეგნებით გადაწყვიტაო.

სარამ ხელები გააშვებინა და მხრებზე ისე ნაზად შეეხო, რომ ფრანკლინმა შეხედა, რათა ამაში დარწმუნებულიყო. ხელი ბარძაყზე მოუსვა. სარამ თვალები დახუჭა. სწორედ ამ დროს კაცმა აკოცა. შემდეგ იმ ადგილას შეეხო. სარამ მისი დანახვისთანავე იცოდა, რომ ამის ნებას მისცემდა. საცვალი სველი ეცვა და ქალმა თითქოს ბოდიში მოუხადა, მაგრამ ეს სრულიად არ იყო საჭირო. ფრანკლინმა წამოაყენა და გახდა დაუწყო. ქვედა ბოლო ადვილად გაამრო. თავადაც შარვალი გაიხადა. მეტი არც არაფერი ეცვა, რადგან საცვალს არ ხმარობდა, ხოლო აბაზანაში ჩაჯდომამდე ფეხსაცმელი და წინდები გაიხადა.

„ვინ არის ის გოგო?“ — ჰკითხა სარამ ფრანკლინს, რომელიც მის ტანისამოსს აბაზანის გვერდით ალაგებდა.

„რომელი გოგო?“ — გულწრფელად შეეკითხა ფრანკლინი. სარას სხეული გამხდარი ჰქონდა, ხოლო წვივები და ბარძაყები სრული, კაცს ეს მოსწონდა. ბარძაყებზე შეეხო.

„შენი შეყვარებული კენტუკიში“.

ფრანკლინი აბაზანას მიეყრდნო.

„ისე, ვიცნობდი“, მოუგო ფრანკლინმა და სარა თავისკენ მიიზიდა.

სარამ გაიღიმა და გვერდზე მიუწვა. ფრანკლინმა თავისი შარვალი დაკეცა და თავქვეშ ამოუდო.

„ასე სწრაფად არასოდეს გამომსვლია. ყოველ შემთხვევაში, შენისთანა გოგოსთან“.

სარამ კინაღამ უპასუხა, არც მეო, მაგრამ მიხვდა, რომ ფრანკლინმა ეს თავად იცოდა.

კაცმა ბარძაყზე თითი დააჭირა. სარა ჭაშანაურის ცივ აბაზანას გაეხახუნა. აქმის დროს სარამ კინაღამ დაიყვირა, მაგრამ პირი მხარზე მიადო და მოულოდნელად სრულიად უცნობ სამყაროში აღმოჩნდა. მას შემდეგ, ყოველი აქმის დროს, დასაწყისში, თითქოს დაკივლება უნდებოდა. ფრანკლინმა აუხსნა, ეს იმიტომ, რომ სექსი მოგწონსო, მაგრამ სარა ფიქრობდა, რომ უბრალოდ ფრანკლინი უყვარდა.

შუადღე გადასული იყო. სარა მაგიდასთან იჯდა და თვალ-ყურს ადევნებდა ფაშატსა და ახალგაზრდა ულუყს, რომლებიც შემოღობილში ტრიალებდნენ. ფრანკლინი და ჯესი მინდორში იყვნენ, ხოლო თავად იგი პერლოს ელოდა, რომ ყავა მასთან ერთად დაელია. ის და პერლი თხუთმეტი წლის წინ დამეგობრდნენ. ის-ის იყო ჩაიდანი ადუღდა რომ პერლმაც კარი შემოაღო.

„ჯესი მინდორში მუშაობს?“ — იკითხა მან. ვინაიდან ბიჭი იმ კუთხეში ვერ შენიშნა, სადაც ჩვეულებისამებრ თამაშობდა ხოლმე.

„ჰო“, — მიუგო სარამ და წამოდგა. „ფრანკლინი მეუბნება, ცუდია ბავშვვით რომ ვეპყრობითო. ხომ იცი, ახლა თითქმის დიდია.

სარამ მაგიდაზე ნაყინი დადო.

„ვიცი, — მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა პერლმა. — უბრალოდ, არ მეგონა, რომ შენ იცოდი ეს. — პერლს შვილები ჰყავდა.

სარას პერლის პირდაპირობაზე გაეღიმა. „ვიცი, ამას უკანასკნელი დარტყმა მოჰყვება“, — თქვა პერლმა და სარას დააკვირდა. სარამ მიიხედა.

— კარგი ხანია ამას ველი, — თქვა მან და რაღაცნაირად [illegible] გადაიხარა, თითქოს სურდა ნათქვამისთვის უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭებინა. სურდა, რომ მსმენელს მთლიანად გაეაზრებინა სიტუაციის სერიოზულობა. ვინაიდან ის რასაც იგი განიცდიდა, იმდენად ძველი და მტკივნეული იყო, რომ ვერავინ გაიზიარებდა. ეს შეიძლება ბავშვობისდროინდელი განცდა იყო ან რაიმე უსიამოვნო შემთხვევა, რომელიც მის შშობლებს გადახდათ და რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სხვებთან ურთიერთობაზეც ახდენდა გავლენას. მოხუცებულობამდე ვერ მიხვდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს ტკირთი ასე დიდხანს არ უნდა ეტარებინა, არ უნდა დაესვა დიდი მთელი თავისი ცხოვრებისთვის. მხოლოდ სამოცდაათი ან ოთხმოცი წლის ასაკში მოიშორებს თავიდან, ისიც არა მთლიანად.

სარამ თავი გააქნია და ნამცხვრის ნაჭრებს ნაყინი დაადო. პერლმა მაგიდაზე დაალაგა ყავით სავსე დიდი ფინჯნები. ორივემ ცხენებს დაუწყეს ცქერა, თან ნამცხვარს შეექცეოდნენ.

ფაშატმა ულაყს ფრუნჩში თავი წაუკრა, თან ხან უახლოვდებოდა, ხანაც უკან იხევდა. შემდეგ ისე დადგა, რომ ულაყი ადვილად მისდგომოდა. ქალები სდუმდნენ. ეს სანახაობა ადრეც ენახათ. ულაყი მოხერხებულად დადგა და ფაშატს ისე უტია, რომ ქალებს შეშურდათ. ფაშატი წყნარად იდგა, მხოლოდ ხანდახან თავს გააქნევდა, დაიმიზეზებდა. და ფლოქვებით სუსტად სცემდა მიწას. ულაყმა წინა ფეხების ფლოქვები გვერდებზე შემოაჭდო და მასზე აღიმართა. ცოტა ხანში ყველაფერი დამთავრდა და მისი უზარმაზარი ასო დაიმალა. ქალებმა თავები დახარეს.

„დღეს კარგად ისაამოვნა“ — შენიშნა პერლმა.

„—ერთ წელიწადში კვიცი გაუჩნდება, — გაიცინა სარამ და ჩანგლით თავისი ნამცხვარი აიღო. — კარგი ცხენია. ეს უკვე მესამე თაობა გაიზარდა, რაც ამ ფერმაში გადმოვედით. ვიდრე შევეულლებოდით, ფრანკლინი მოვიყვანე და აქაურობა დავათვალიერებინე, რათა გადაეწყვიტა, უნდოდა თუ არა ამ სახლში ცხოვრება. მეც ხომ აქ დავიბადე. მას მოეწონა. ეს გოშენის მიწაა და ჩვენს ნებაზე შეგვიძლია მოვიქცეთო. მართლაც ასე გამოვიდა. საქმე კარგად წაგვივიდა. ამ ფაშატის დიდდაც მაშინ მოიყვანა. კარგ ფეხზე მოვიდა“.

ფაშატი ისევ შემოღობილში წრეს უვლიდა, ულაყი უკან მისდევდა. სულ მალე ფაშატის სიხარულისა თუ ტკივილის გამომხატველი ჭიხვინი მოისმა.

ტრაქტორმა სახლისკენ შემოუხვია და სარამ ჯესის სიცილი გაიგონა. ფრანკლინმა შინ შემოაგზავნა თავის მოსაწესრიგებლად, ვინაიდან საცაა ქალბატონი ჰარისი უნდა გამოჩენილიყო. პერლი სარას გამოეშმეიდობა და ჯესის მოუბრუნდა.

ბიჭს ხელში ათდოლარიანი ეჭირა.

„მგონი ხელფასი აგიღია, არა?“ — უთხრა დედამ.

ჯესის ბედნიერებისგან თვალები უბრწყინავდა.

„იბანავე და მერე აქ მოდი. შოკოლადის ნამცხვარი გაგიკეთე.

„კარგი“ — მიუგო ბიჭმა.

სარას კარგა ხანს წყლის ხმაური ესმოდა. შემდეგ ჯესიც გამოვიდა. სუფთა ტანსაცმელი ეცვა, რომელიც დედამ წინასწარ მოუმზადა. კალთაში ჩაგიჯდებიო, სთხოვა ჯესიმ. სარამ ერთი კი დააპირა უარი ეთქვა, დიდი ხარო, მაგრამ შეხედა, როგორი მუდარით უყურებდა შვილი და დაეთანხმა. თითქმის დღიამდა. მალე ის ყვიოლთმიანი ქალიც უნდა გამოჩენილიყო. სარამ იფიქრა, ნეტავ სხვასაც თუ უჯდება კალთაშიო. ალბათ, არა. მაგრამ დღეს კი დედას ეჯდა. ის ღამე გაახსენდა, როცა საავადმყოფოდან დაბრუნდნენ და კვლე მანქანაში მსხდომი ოჯახები წარმოუდგა.

ჯესის ფილტვების ანთებით სიკვდილამდე თექვსმეტი წელი რჩებოდა. მაშინ სარა უკვე თითქმის სამოცდაათისა იყო. იგი საავადმყოფოში წავიდა, ოთახში შესვლისთანავე ჯესის ქოშინი გაიგონა და ექნინები დაინახა, რომელთაც ავადმყოფის პირთან ანანგბადის ბალიში მიეტანათ, თითქოს ვერ გადაეწყვიტათ, ჩაესუნთქებინათ თუ არა. სარა უკვე მოახლოებული სიკვდილით დამძიმებულ მის ხელს შეეხო.

— გარდაიცვალ — ჰკითხა მან ექთნებს. ჯესის ყელიდან ამოსულმა ხროტინმა მიახვედრა, რომ უკანასკნელი გაბრძოლება იყო.

ფრანკლინს დაურეკა. მიმართვისთანავე სასასუხო დუმილმა აგრძნობინა, რომ ქმარმა უკვე იცოდა.

„ჯესი გარდაიცვალა ახლა“.

„ახლა? შენ მასთან იყავი?“.

„ჰო“.

სარამ გაიფიქრა, კიდევ რა ვუთხრაო.

„უმტკივნეულოდ“ — დაუმატა მან, თუმცა არ იცოდა მართალს თუ ამბობდა.

„კარგია“.

ეს სიტყვა მან ორჯერ გაიმეორა, თითქოს ამის გაგონებამ თავისივე სიკვდილის შიში დაუოკა.

„არ უშველია“.

ფრანკლინს ხმა უწყდებოდა. უთხრა, რომ უმალ მოვიდოდა, დამიცადეო.

„დაგელოდები“ — უპასუხა სარამ.

ყურმილი დადო და აყვავებულ შვინდის ხეს დააკქერდა. ორივე ეკთანი ოთახიდან გასულიყო ცრემლი ერთხელაც არ მოსდგომია თვალზე. მის უკან საავადმყოფოს თეთრი გადასაფარებლის ქვეშ ჯესი იწვა.

მალე უფროსი ეკთანი შემოვიდა. სარას არც დალაპარაკებია, ისე მივიდა საწოლთან და გარდაცვლილს გადახადა. სარამ პირველად დაინახა სიკვდილის მძიმე დაღი ადამიანის პირისახეზე. ჯესის პირი ღია ჰქონდა, თითქოს რაღაცას ყვიროდა, მაგრამ სარას გარდა არავის ესმოდა, ეს ხმა მუდამ მასთან დარჩებოდა. ისევ თხა გაახსენდა.

სარას ჯესი კალთაში ესვა და მაღლა მოსრიალე ძერას უცქერდა, რომელიც თანდათან დაბლა ეშვებოდა. — ძერა ჯერ წრეს აკეთებს, ვიდრე დაეშვებაო. — უთხრა ერთხელ ლუიზამ. „ის ტყუილად არ დაეშვება, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ, რაც მას უნდა, მართლა იმ ადგილსაა“.

ლუიზამ შეშფოთებულ ბავშვს გაუღიმა და ხელი ჩაჰკიდა. სახლთან ახლოს მდებარე საძოვრისკენ გაემართნენ. სამი ძერა თავს დასტრიალებდათ და იქ ბუჩქებისკენ ეშვებოდნენ. ლუიზამ მკვდარი ძაღლის ლეშს ფეხი წაჰკრა, რომ ბავშვს არ დაენახა. ძერებს მისგან ძვლები და ტყავიღა დაეტოვებინათ. ტყავი მწვანე გამხდარიყო და ძვლებს ადვილად სძვრებოდა. ძაღლს ბრაზიანი გამომეტყველება ჰქონდა, გეგონებოდათ, ეს-ესაა წამოხტება დამეცემო. სარა შეცბა, უკან დაიხია, მაგრამ ლუიზამ არ გაუშვა, თითქოს სურდა მისთვის რაღაც ისეთი ესწავლებინა, რაც ცხოვრებაში გამოადგებოდა.

„ნუ გეშინია, გენაცვალე. ეს ძაღლი არაფერს დაგიშავებს“.

ისინი იქვე ბუჩქებთან გაჩერდნენ. „აი ძერებისა კი უნდა გეშინოდეს“. ფრინველები უზარმაზარი ფრთების ტყლაშუნით ძირს მოეკენჭნებოდნენ, ძაღლს გამხმარ ხორცს აგლეჯდნენ და კვლავ ცას უბრუნდებოდნენ. ლუიზა მათ უყურებდა, სარა კი ძაღლს ვერ აშორებდა თვალს. „ვისი ძაღლია?“ — იკითხა მან ბოლოს.

ლუიზას ხელი ჰქონდა მისთვის ჩაკიდებული და პატარა ხელისგულზე ცერით წრეებს ხაზავდა, თითქოს ცერი ფრთა ყოფილიყო და რომ არა მისი ზორბა სხეული, იგიც ძერასავით იოლად აფრინდებოდა მაღლა.

„სიმღერასავით მოძრაობენ“, — ჩაილაპარაკა მან, ვინაიდან ბავშვის შეკითხვა ვერ გაიგო. „თითქოს სიმღერა სწევთ მაღლა და სიმღერავე უშვებდა მიწაზე. თითქოს მათ თავად არაფერი ესაქმებათ ფრენასთან. გეგონება ვიღაცის სიმღერა აჩერებთ ჰაერში და ვიდრე იგი არ შეწყდება, მათ არაფერი უჭირთ“.

ლუიზამ რაღაც სიმღერა წამოიწყო, რომელიც სარას არასოდეს გაეგო. როცა დამთავრა, სარას მიუბრუნდა და ახლა სარამ წამოიწყო საშობაო სიმღერა.

სარას ჯესი კალთაში ეჯდა, ახლაც საშობაო სიმღერას მღეროდა და თან თვალუწვდენელ სიშორეში მოსრიალე ძერას გასცქეროდა.

ინგლისურიდან თარგმნა მაკა მაისურაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქლაიდ ეჯერტონი

ქლაიდ ეჯერტონი დაიბადა 1944 წელს. ბავშვობა ბეთეზდაში (დარემის მახლობლად პატარა დასახლებაში) გაატარა. ოჯახში ხშირად ესმოდა უამრავი საინტერესო ამბავი, მათ ახლობლებს, მეზობლებსა და შინაურებს რომ გადახდენოდა. სწორედ ეს ამბავი დაედო საფუძვლად მის რომანებს. სოფლური ყოფის სურნელი გახდა მიზეზი მათი ესოდენი პოპულარობისა.

უმაღლეს'ში სწავლისას ქლაიდ ეჯერტონი იუმორისტულ წერილებს წერდა სასკოლო გაზეთისათვის. შემდეგ ხუთი წელი საპაერო ძალებში გაატარა. ვიეტნამის ომის დროს სადაზვერვო თვითმფრინავს მართავდა. შინ დაბრუნებულმა ხარისხი მიიღო და კოლეჯის მასწავლებელი გახდა.

მრავალი უარის შემდეგ, ბოლოს, როგორც იქნა, მის ნოველებს ბედმა გაუღიმა. ავტორმა მათ თავი მოუყარა ერთ დიდ რომანში „რენი", რომელიც გულთბილად მიიღეს მკითხველებმაც და კრიტიკოსებმაც. ხოლო 1989 წელს გაგენჰეიმის მწერალთა გაერთიანებამ პრიზითაც დაჯილდოვა.

თადარიგიანი მწერალი წერს ყოველდღიურად, როგორც ფანქრით ასევე კომპიუტერით. წინასწარი გეგმის შედგენა არ სჩვევია. წერას იწყებს და თანდათანობით აწყობს სათქმელს. „მე მომწონს ჩემი მოთხრობების თავიდან გადაკითხვა, სანამ ისეთი არ გახდება, როგორიც მინდა რომ იყოს", — ამბობს იგი.

ქლაიდ ეჯერტონი წერს ქანთრის სტილის სიმღერებს, იგი ხშირად თავადვე ასრულებს ამ სიმღერებს და თავის ცოლთან, სუზანა ქეჩინთან, (ისიც მწერალია) ანდა მუსიკოს მეგობრებთან ერთად გრამფირფიტებზე იწერს.

ჭა

მოთხრობა

(ამ მოთხრობის სიუჟეტი ავტორს მაშინ ჩაესახა, როცა ერთ დღეს აღმოაჩინა, რომ სამზარეულოს იატაკი ერთგან ჩამპალიყო. ფეხის დაბიჯებაზე ფიცარს ჭრიალი გაჰქონდა. მიზეზს რომ ჩაეძია, სამზარეულოს იატაკქვეშ მიტოვებულ ჭას მიაკვლია — ფიცარი სწორედ ჭის სინესტეს დაელპო. სახლში ამოსვლისთანავე დაუწერია მოთხრობის პირველი წინადადება, რომელიც მისი შემოქმედების დასაწყისად იქცა. მოთხრობა გამოქვეყნდა ვერმონტის ერთ-ერთ ჟურნალში. იგივე სიუჟეტი გამოყენებულია მისივე რომანში „ჰიდროლანის ჩანაწერები").

მერედიტის მეტი ჭაში სხვა ვინ ჩავარდებოდა! ჩემი თვალით ვნახე, როგორ ამოათრიეს, ამოსვლაშიც მივეშველე. ვინმეს მანამდეც რომ ეთქვა, სამზარეულოს იატაკის ქვეშ ჭაში კაცი ჩავარდაო, მე, რა თქმა უნდა, მერედიტზე ავიღებდი ეჭვს. რაღა მაინცდამაინც მერედიტს დაადგი თვალიო, იკითხავთ ალბათ. საქმეც ისაშია. უბედურის ერთია. ახლაც იქამდე არ მოისვენა, სანამ ჭაში არ ამოყო თავი. ჭის თავზე სამზარეულოს იატაკის ფიცრები ნესტისაგან ჩამპალიყო და ფეხის ყოველ გადადგმაზე გულისგამაწვრილებლად ჭრიალებდა. მერედიტიც დღედაღამ არ ჩერდებოდა. ჰოდა, იატაკიც განუწყვეტლივ ჭრიჭინებდა და ჭრიჭინებდა.

ერთხელაც ეზოდან შემოვიდა, მაშინვე ამ ადგილს ეცა და იმდენხანს უბაგუნა ფეხი, სანამ იატაკი არ ჩაუტყდა. თვალსა და ხელს შუა გაჰქრა საწყალი,. ერთიღა შემომხედა და ისე გაიპარა, თითქოს მიწამ პირი უყოო.

ეგრეც მოუხდება.

ეს ჭა ექვსი თუ რვა წლის წინათ გავაუქმეთ. სწორედ იმიტომ, რომ მერედიტმა შიგ კნუტები ჩაგვიყარა. კარგად მახსოვს, მამამ სთხოვა, კნუტები კარტოფილის ტომარაში ჩაესხა და ჭაობში

დაეხრჩო. მაგრამ თავს როგორ შეიწუხებდა. ჭა იქვე არ იყო?! ჰოდა, ადგა და კნუტებიც სათითაოდ შიგ ჩაუძახა. დედამ ჭიდან წყალი რომ ამოიღო, ვედროში დამხრჩვალი კნუტი დაკურავდა — დამბალ შავ წინდას ჰგავდა. დედაჩემმა ისე იკივლა, ეროთი მილის იქეთაც გაიგონებდნენ. დაიფიცა, რომ ჭას ახლოსაც აღარ გაეკარებოდა და დაიფინა, ახალი ჭა ამოვთხარითო. თან წყალსაქაჩის დაყენებაც ირჩია — უკვე ყველა მეზობელს უდგას და ჩვენც ვიზრუნითო. ეს შენი წყალსაქაჩი მორიგი ხეშტერია და მეტი არაფერია, უთხრა მამამ. დედამ მაინც თავისი გაიტანა. მალე ძველი ჭის თავზე მამას ახალი სამზარეულო მიაშენებინა.

ასე რომ მამამ ახალი ჭა მაინც გათხარა, ძველს თავი მოუნგრია, ორმო დაფარა და ზედ ახალი სამზარეულო ამოაშენა.

იატაკის დალაობა სხვადასხვა მიზეზებმა გამოიწვია. პირველი ის გახლდათ, რომ კოჭები ორის მაგიერ ოთხი ფუტის დაშორებით გამართეს. ამაზე მისტერ ჰუვერმა მამა აღრევე გააფრთხილა, მაგრამ მას ყურადღება არ მიუქცევია. მეორე მიზეზი ის იყო, რომ იატაკი უკანა ეზოსკენ ხუთი გრადუსით დაქანებული აღმოჩნდა და თუ რაიმეს — მაცივარს ანდა ონკანის ნიკაარას — წყალი გაუვიდოდა, ზუსტად ჭის თავზე დაგუბდებოდა.

აქვე, შუაში, ბოძი იყო დაყენებული, იატაკი რომ უნდა დაეჭირა. მაგრამ ლურსმანი ისე დაერტყათ, უახლოეს კოჭამდე ერთი ფუტი მაინც რჩებოდა და ბოძიც აბა რისი დამჭერი იქნებოდა.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ მერედიტი სამზარეულოს ქვეშ ძრომიაღს არ იშლიდა, ჭაში რაღაც-რაღაცების ჩაყრისას სახურავი მუდამ ახდილი რჩებოდა, და მაცივრის წინ იატაკიც სულ უფრო და უფრო ნესტიანდებოდა. მერედიტი ხომ ჭას ზედმეტი ნივთების თავიდან მოსაშორებლად იყენებდა.

ასე რომ ჭიდან ამოსულმა ნესტმა და კიდევ იმან, რომ ყველანი წამდაუწამ მაცივრის წინ ვჩერდებოდით და კოჭებს შორის მაცივრიდან ჩამონადენი წყალიც გროვდებოდა, იატაკი ისე დაალბო, რომ ჩვილის ყიფლიბანდივით ჩარბილდა. მხოლოდ მერედიტის მეცდელობა, რომ იატაკს რაც შეიძლება მეტად ეჭრიალა და ეკვნესა, რა თქმა უნდა, ფიცრებს ასე ვერ დაეზიანებდა.

იმ ღამეს, ეს ამბავი რომ მოხდა, ონკანთან ვიდექი და ბრასს ვრეკავდი. დედა, მამა, მერედიტი და ჩემი პატარა დაიკო, ნორეული, სასტუმრო ოთახში ფილმს უყურებდნენ.

მამას კბილების პროთეზი გამოეღო და ჩიფჩიფით ლაპარაკობდა: სვილო, წადი და სოტა ნალები მომიტანე. დედას არ უყვარს, მამა რომ პროთეზს იღებს და ჩიფჩიფებს. და აი, მერედიტი ბურდღუნ-ბურდღუნით ნალების მოსატანად მიდის. ბიჟამო აკვია, სანამ მაცივრის კარს გამოაღებდეს, მიშველი ფეხი იატაკის დამპალი წერტილისკენ გაურბის და მის აკვნესებას ცდილობს; ნალებს იღებს, მაგრამ ფეხს მაინც არ ასვენებს. მოულოდნელად ჭრიალის ხმა საშინელმა ბახანმა შეცვალა და აი მერედიტიც ნალების ქილით ხელში ქვვეთკენ მიექანება. წამიერად ამომხედა და ამის თქმაღა მოასწრო: ღმერთო ჩემო, მაინც ჩატყდა!

უცნაური დაფფუნის ხმა გაისმა.

მე არ აეჩქარებულვარ, ისევ იქვე ვიდექი.

მამა, დედა და პატარა ნორეული სირბილით მოვარდნენ. მამაჩემი მაშინვე ორმოში ჩაეყუდა და ჩასძახა: სადა ხალ?

— როგორ გგონიათ, სად ვიქნები? ექომ მერედიტის სიტყვებს უცხო ხმოვანება შესძინა.

შემდეგ ტყაპატყუპი გავიგონეთ, თითქოს წყალში მოძრაობენო. მე ორმოსკენ გავწიე.

„კოჭები ერთმანეთის ძალზე დაცილებულია“, — ვეთხარი მამას.

„ჰო, კოჭები ერთმანეთს ძალზე დაცილებულია!“ — გვიყვირის ქვემოდან მერედიტიც.

დედამ ერთი კი შეავლო თვალი მამაჩემს და ორმოში ჩაეყუდა. პანიკურმა შიშმა მოიცვა. მე კი სულაც არ შემშინებია — მერედიტს ისეთი ქვასავით თავი ჰქონდა, ჭაში ჩავარდნა ვერაფერს დააკლებდა.

„ელექტლოფალანი მოიტანეთო“, იყვარა მამამ. რაკიღა უცბად ვერ ვიპოვეთ, ასანთი გაჰკრა, მუხლებზე დაიჩოქა და ჭაში ჩაანათა სადამდინაც შესძლო. ამან შედეგი ვერ გამოიღო. „თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოგბობღდები“, — ყვირის მერედიტი.

ამასობაში მამამ საკუჭნაოში მიაგნო ფარანს, დაბრუნდა და შიგნით ჩაანათა, დავინახეთ როგორ მოიწევდა ზემოთ მერედიტი, ხელებითა და მუხლებით ჭის ქვიან კედლებს ეპოტენებოდა — ჯერ ერთ ხელსა და მუხლს მიაბჯენდა, მერე მეორეს. მის ქვეშ ჭის შუქი წყალი მოჩანდა, დროდადრო შიგ ფარნის შუქი ირეკლებოდა: ლურჯი პიკამო, რომელზეც გადაჯვარედნებული თოფები ეხატა, მთლად დასველებოდა და მხრებზე მიწებებოდა. სხეულის ზოგიერთი ნაკვთი ზუსტად ილანდებოდა. მერედიტი ბეისბოლის ვარჯიშზეც ამ პიკამოთი დადის.

„ელთ წუთს დაგველოდე და თოკს ცამოგიგდებთ“, — ჩასძახის მამა.

„არა უშავს, — ღრუტტენებს მერედიტი. — ასეც მოვახერხებ“.

„სად ალის თოკი?“ კითხულობს მამა და აქეთ-იქით იყურება, თან ფარანს ისევ მერედიტს უმარჯვებს.

მერედიტი დროდადრო მოჩანს. სახე თეთრად და წითლად აფორიაჯებია. მამას ეუბნება, შუქი ჩაკქრე რომ კარგად შევხედო რამდენი დამრჩაო ამოსასვლელი. მამა ფარანს აქრობს და იქვე აგდებს. ფარანიც არ აყოვნებს, გორდება და, სანამ ხელის ტაცებას მოვასწრებდეთ, შავ ორმოში ინთქმება და მერედიტს შიგ თავში ხვდება. თან ისეთი ხმები გვესმის, თითქოს ხეზე ჩაქუჩს ურახუნებენო. — ისევ გაისმის მძიმე დგაფუნი და სიჩუმე ჩამოწვება. მერე ისევ ხმაურიანი ტყაპატყუპი.

„ეს რაღა ჯანდაბა იყო? “— კბილებშუა სკრის მერედიტი.

„ფალანი. ლაში გალგია?“

„რაო, ფარანი ჩამოგიკარდათ?“

„კალგად მოათვალიელე. ალბათ, მანდვე დაკუღავს.

მერედიტი იგინება. — არ იცი, სახლში შეგინება რომ არ შეიძლება? — ჩასძახის ნორელი.

„კი მაგრამ“ ამას სახლი ჰქვია? მე ხომ ჭაში ვზივარ, ჭაში. დედა ნოტელის სახანძრო რაზმის გამოსაძახებლად აეზავნის. სახანძრო რაზმი არ გეჭირდებაო, ამბობს მამა. მერე ახსენდება, რომ სატვირთო მანქანის წინა სკამზე თოკი უდევს და მის მოსატანად მეზავნის. მე ვუხსნი, რომ თოკი მხოლოდ ხუთი-ექვსი ფუტის სიგრძისაა. მერედიტი კი კარგა ოცდახუთი ფუტის სიღრმეზე ტივტივებს.

ამის გაგონებაზე მამაჩემს ახალი იდეა ებადება: თოკზე ზეწლები გამოაბით! სანამ სატვირთო მანქანიდან თოკს მოვიტანდი, დედამ საწოლებიდან ზეწრები წამოკრიფა.

წუთის შემდეგ დედა და მამა ერთმანეთზე ჩანასკვულ ზეწრებს ჭაში უშვებენ. ის იყო ზეწრები თვალს მოეფარა და მხოლოდ თოკიღა მისრიალებდა იატაკზე, რომ მერედიტმა ამოგვძახა: „ოკეი, ახლა ეგ მეორე ბოლო მანდ რამეს გამოაბით. ამას კი მე მოვგდაუჭები“.

თოკის გამოსაბმელის აქეთ-იქით დავუწყეთ ძებნა.

და აი, ბოძიც ვიპოვეთ.

მამამ ჭიდან მოშორებით, ბოძისკენ გადაინაცვლა. თოკი ზედ შემოახვია და მაგრად ჩანასკვა. მერე ბოძს ფეხი მიაჭირა და თოკის დარჩენილი ნაწილი თვითონ დაიხვია ხელზე. მე ეჭვი შემეპარა, მაგრამ გაჩუმება ვამჯობინე. ნორელიმ კი წამოიძახა:

„ბოძი რომ მოირყეს?“

„აბა ბოძი ლოგოლ მოიღუეკა?“ — უპასუხა მამამ და ამას ყბების ჩვეული მოძრაობა მოაყოლა. ასეთი ჩვეცა აქვს, პროთეზს რომ ამოიღებს, ტუჩს ჩაიკვნეტს და ქვედა ყბა ლამის ცხვირთან მიაქვს. ამ დროს სახის ქვედა ნაწილი მთლიანად ზედა ნახეკარში უჩინარდება. გარდა ამისა, იმ დღეს გაუპარსავიც იყო.

„არა, ხომ შეიძლება მაინც მოირყეს?“ — არ ისვენებს ნორელი.

მამას მისთვის აღარ სკალია. ისევ მერედიტს უბრაწნდება და ჭაში ჩასძახის: „კალგი, კალგი, აბა შენ იცი, ლოგოლ ამოცოცდები“.

„მეორე ბოლო ბოძს გამოაბით?“ — აზუსტებს მერედიტი.

„თოკი მოვახლაფოთე, მელედიტ — უყვირის მამა— „აბა, მიდი, ღლოზე“.

„რაო, რა ვქენიო?“

„მოვაქლაფოთე“.

რაა?

თავადაც არ ვიცოდი ამ სიტყვის მნიშვნელობა.

„მოვაქლაფოთე, მოვაქლაფოთე. აბა ახლა მაღდად, ლოგოლეც გითხალი“.

თოკი დაიშმა და ბოძს ჭრიალ-ჭრიალი დაიწყებინა. მამამ კარგა ხანს გაუძლო, სანამ მერედიტი ნახევარ გზას ამოივლიდა და უცებ თოკი დაუსხლტა. კიდევ კარგი, ნასკვმა დაიჭირა. მერედიტი წყლის ზედაპირთან დაეკიდა. ალბათ, ასე ხუთიოდე ფუტით ჩავარდა.

კარგი განასკვა ვიცი, მამამ უნდა თქვას!

„რა მოხდა?“ — გვიყვირის აკანკალებული მერედიტი.

„—ალაფელი, ალაფელი, — პასუხობს მამა. — მიდი, განაგლძე...“

ის იყო ეს სიტყვები ამოუშვა, რომ ზეწარამაც ნელნელა ფხრეწა დაიწყო და ჩვენი მერედიტი წუთის მერე ისევ სიბნელეში ჩაინთქა.

კვლავ ძლიერი დგაფუნი.

„ემ იქიდან ვეღარც ამოვა“, — ასკვნის ნორელი.

დედამ დრო იხელთა და მამას ეცა. „ხომ გეუბნებოდი, ალბერტ, ეს სამზარეულო რა ხანია დალპა-მეთქი და აი შედეგიც. ეხლა ხომ ხედავ, რა დაგვემართა. იატაკს სულ სხვანაირად უნდოდა დაგება. ჯო რეი ჰოვერმა აკი გაგაფრთხილა კიდეც.

მამამ პირი დაადჭინა და დედას ამღვრეული თვალებით გადახედა. მერე ყბები აუცაცაცახდა, შეტრიალდა და უკანა კარში გაუჩინარდა.

„მამიკო, ხომ გითხარი ბოძი ამოძერება-მეთქი“, — წამოიკივლა მერედიტმა.

„მამა აქ აღარ არის, მერედიტ“, — ჩავძახე მე.

უცებ ეზოში სახანძრო მანქანა შემოგრიალდა — მოტორის ხმამაღალ თუხთუხზე ვიცანი. მეხანძრეებმა სირენა გამორთეს.

— რა საჭიროა სახანძრო მანქანა?! — ყვირის მერედიტი. უკანა კარის ზღურბლს გადავაბიჯე და ეზოს გავხედე. სახანძრო მანქანის შუქფარები ზუსტად მამას ანათებდნენ — მკაფიოდ იკვეთებოდა სახლის გვერდით მიმჯდარი და ხელებში თავჩარგული. მეხანძრეები, ერთი მაღალი და მეორე კონტრასტულად დაბალი, სწორედ მისკენ წამოვიდნენ. მამამ სამზარეულოსკენ უხმოდ მიუთითა. შემოსვლისთანავე სახანძრო კიბის ერთი ბოლო ჭაში ჩაუშვეს, მეორე კი ჭის თაღს ამოსდეს. მერედიტი თვალისდახამხამებაში ამოძვრა. პიჟამოდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. კინკრიხოზზე წითელი კოპი აჯდა.

ასეც მოუხდება!

„მამა სადაა?“— იკითხა მან.

„უკანა ეზოში გადავიდა“. — მივუგე მე.

„თქვენ რაღას მოდიოდით. — მიუბრუნდა მეხანძრეებს. — განა მე თვითონ ვერ ამოვიდოდი?“

„მაშინ უკანვე ჩახტი და ვნახოთ, შენით როგორ ამოხვალ! — ნიშნის მოგებით ვუთხარი მე.

ინგლისურიდან თარგმნა მაია კოპალიანიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთრინ ბაიერი

ჩემი ცხოვრება სულაც არა ჰგავს პოეტისას, როგორადაც წარმომიდგინა, როცა პირველად დავიწყე ლექსების წერა. ვცხოვრობ ერთ მაღალმთიან ქალაქში, სადაც, არც ღია კაფეები და არც ლიტერატურული ან საზოგადო ცხოვრება ჩქეფს. ვასწავლი სტუდენტებს, რომლებიც, არა მგონია, ძალიან იყვნენ დაინტერესებულნი პოეზიით. მყავს მეუღლე, ისიც ლიტერატურას ასწავლის უგულო სტუდენტებს. მყავს 13 წლის ქალიშვილი, რომელმაც თავისი პირველი ლექსები ადრეულ ასაკში დაწერა, ახლა კი პოეზიაზე ფიქრიც არ უნდა. ჩემი ცხოვრება ჩემს ოჯახებს დასტრიალებს, ორიავეს, აკ და სამხრეთ ჯორჯიაში, სადაც დავიბადე

გასეირნეზა ყანაში

ზაფხულის სიო მიმიძღვება ბაღის
ბოლოსკენ,
სადაც თავთავებს მზე უპყრიათ მწვანე
ხელებით,

და მეძახიან ეს ხელები,
და ვიხრები გრილ სიმშვიდეში...
შორიდან მესმის მარცვლის ჩურჩული:
ჩემთან მოდი, ჩემთან მოდიო! -
მომლოდინეა მათი სუნთქვაც,
მათი სხეულიც.

ფრთხილად ვაბიჯებ თავთავებს შორის,
და მახსენდება პაპაჩემის კოპწია ფერმა
იქ, შორეულ ჯორჯიაში, შუა ზაფხულში...
ყანა ლივლივებს,
აღარ ჩანან არც ღობეები,
არც თამაშით დაქანცული ბიძაშვილები,
და მე მარტო ვარ,
ქვეყნიერება სადღაც დარჩა,
მთელი სამყარო მოხაზულია
თავთავების სასაზღვებით,
მოკირწყლული — მარცვლის ქუჩებით,
მე კი ლამაზი, თავაღერილი
ხორბლის სამეფოს ნაზი ქალწული, —
დავფარფატებ ამ სურნელით
გაბრუებული.
თითქოს სიყვარულს ვნებდებიდი,
იმგვარად ძგერდა ჩემი გული
ყანის სიღრმეში,
და ვერ ვამჩნევდი
უცაბედად მოქუფრულ ზეცას,
ელვის მაკრატელს —
ულმობელად გზას რომ მიჭრიდა;
მე არ მესმოდა ჩემი კბილა,
ბიძაშვილების წკრიალა ხმები
და არც ბებიას ტკბილი ძახილი, —
როგორც ზარების გაბმული ხმობა.
ო, რა მშვიდად ვიკარგებოდი
ყანის სიღრმეში,
სადაც, შემეძლო თავთავებთან
ერთად მეძღერა,
მემღერა დიდხანს, ხმის ჩაწყვეტამდე,
მაშინ ყოველი მარცვლის სული
ამ სიმღერისთვის მაქეზებდა.
და სამყარიც თავად იყო ჩემი სიმღერა,
მე ვიზრდებოდი მარცვლის სხეულში
და ჩვენ ვმღეროდით.

ჩემი ლამაზი ბებია

როცა გარდაიცვალა —
ის იყო შიმშილისგან გალეული,
დაუძლურებული მოხუცი,
თითებდაჩხვლეტილი შავი ხელებით,
რომელთაც აღარ ეტყობოდათ
ალრინდული სინაზის ვვალი.
სიკვდილის წინ, უკანასკნელად აიღო ნემსი
ვარდისფერი ყვავილების ამოსაქარგად
და მათ ნაცვლად,
ეკლის ღეროებსია ბლანდავდა,
შემაზრზენს და უსახურს.

მას უნდოდა წასვლა ამქვეყნიდან.
და აღარავის უსმენდა.
ჩამავალ მზეს ეპოტინებოდა
გამხდარი ხელებით,
რომ ჩაჰყოლოდა სამუდამოდ
და დაესვენა.
მიწას ჩასაკერდა თვალდაშრეტილი,
იქით უნდოდა, იმის წიაღში,
თითქოს წარსული ეძახოდა და მიიწევდა.

ჯორჯიაში ახლაც ახსოვთ მისი სიტურფე,
ახლად გაშლილი ყვავილივით უზადო სახე,
მისი კაბის მაქმანები ისრუტავდნენ
თვალებადქცეულ ყმაწვილაცთა
მომნუსხველ მზერას...
და იხსენებენ — მიწას ფეხს კი არ აკარებდაო,
ნისლივით უხმოდ დასრიალებდა,
მისი სიცილი ჰგავდა იოდელს —
ტროლელების სიმღერების უძველეს ჰანგებს.

ზმანებას ჰგავდა მისი ცხოვრება
და როცა ქალწულს შეუყვარდა ჭაბუკი კაცი,
თურმე, წერილებს ქუდების ყუთში ინახავდა.
დიდი ხნის მერე
მე გავხსენი ის ძველი ყუთი,
და გაკრეცილ ქაღალდის გულზე ამოვიკითხე:
„ძვირფასო, ვითვლი წამებს, როცა
ჩვენ შეკვუღლდებით!“
გარდასული ხსოვნის ფურცლები,
სადღაც გამქრალი წარსულის ჩონჩხი,
თითქოს თაგვებს ამოეჭამოთ
სიტყვების აზრი.

წლები გავიდა, და როგორც ხდება,
მერე ისიც გადაივწყეს.
მე მოვეკლინე ახლა ქალაქს
იმის სანაცვლოდ,
მე, რომელსაც წლები დამჭირდა
გამოვქცეოდი იმ პატარა ჯორჯიის ქალაქს,
სადაც ცხოვრობდა მშვენიერი ჩემი ბებია.

თარგმნა ბორენა ჯაფარიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეკი შელტონ გრინი

დავიბადე ეფლანდში, ჩრდილო კაროლინაში. მე ვიყავი ერთ-ერთი იმ ათასობით შავკანიანი ბავშვიდან, რომელიც პირველად მიხედა, რომ სამყარო ყოველთვის არ იყო უსაფრთხო, კეთილი და მოსიყვარულე. ვიზრდებოდი პატარა გამორჩეულ ოჯახში, სადაც აქცენტი ყოველთვის განათლებაზე და სიკეთის კეთებაზე იყო გადატანილი.

უმაღლესი სკოლა დავასრულე ჯორჯო სკულში (კვაკერების პანსიონში). ბებიაჩემის, დეიდებისა და ბიძების მოთხრობები და ხალხური თქმულებები, ბავშვობაში რომ ვისმენდი, მეტად გამომადგნენ და ღრმა კვალი დატოვეს ჩემს ნაწერებში, მათი ცრემლები, კვნესა თუ სიცილი ათბობს ჩემს კალამს. ყველაზე მეტად ლექსების წერა მიყვარს. დიდი ხანი არ არის, რაც პატარა მოთხრობებისა და პიესების წერაც დავიწყე, მაგრამ პოეტური უფრო ჰარბობს ჩემში. ასე, რომ ჩემს მოთხრობებშიც გარკვეული ადგილი ლექსებს უჭირავს. მე ყველას ვურჩევ რომ წერონ, მაგრამ არა ის, რისი თქმაც არ შეუძლიათ. წერეთ იმაზე, რაც გაკრთობთ, წერეთ სანამ თავისუფლები ხართ, იმდენად თავისუფლები, რომ გესმით საკუთარი თავისა და ხვდებით, რა უნდა წეროთ.

უსათაურო

(კარლს, რაულს, ჯონს, ვილის, ბარკს, შენონს)

ეს მეწამული თმის ბულული
რატომ გინდათ ჩამომიშალოთ?
იგი სისხლია
ისტორიიდან ჩამოყონილი,
თითქოს მოშლილი ონკანი წვეთავს...
უსიერია ბილიკები ამ ხეტუტ თმათა.
მათში ჩირდილთა სუნთქვა ისმის
და ისმის კვნესაც.
ეს ბულულები ცრემლითაა გაჯერებული,
შიგ ჩაწნულია
წინაპართა ნებაც და გონიც...
აი, მორჩილად დაუშვიათ ხელები დაბლა,
სხვა კი უმწეო ბავშვის ჩვრებში
დანასა მალავს
და უნაზესი ენძელას ნაცვლად
ბაღში რგავს ბარდას.
ამ თმის ბულულში,
ამ მეწამულ, მთრთოლვარ გროვაში,
შენივთულია თქვენი შიშიც,
თქვენი ურიცხვი დანაშაულის
თეთრი წლებიც შიგ მოქცეულა,
თქვენი შავი ღამეები
როგორც კონიაკგარეული ყავის ნალექი.
იგი სავსეა შავი ქალის
ვნებიან ტრფობით -
შავი დალალი გადაშლილა შავ
სარეცელზე...
ეს მეწამული თმის ბულული
მკაცრი მიზღვაა,
არავისი მპატიებელი.
ტყუილად ფიქრობთ
ამ გზის გავლით
ღრუბლებთან ასვლას,
ტყუილად ლამობთ
ბედის ვარსკვლავის ჩამოწყვეტას
მეშვიდე ციდან,
ტყუილად ლამობთ თავის დაძვრენას —
ეს მეწამული თმის ბულული
უმალ მოაშთობს
თქვენს უსუსურ თავის მართლებას.
ამ მეწამულ თმაში ჩაწნული
ჩვენი ტკივილი
თან მიჰყვება შთამომავლობას.
ამ გზაზე მხოლოდ მიხოხავენ
თავაუღებლად...

ახლა მე გაგზავნ
ამ მეწამულ თმის სასთუმალში,
ნანას გიმღერებ,
შეგახვედრებ მზის ამოწერვას,
რომ წითელი გველების როკვა,
მათი შეჯიბრი,
სისხლიანი მათი დაკემა,
რომ მზის ჯვარცმა იხილო დილით.

ბებიების გახსენება

ბებიაჩემი,
მარტინ, ცხადია,
ძალიან ჰგავდა ბებიას შენსას,
ნაქანდაკარი
მაღალი ყელით
და ამოყრილი ყვრიმალებით,
ბრინჯაოსფერით,
ზედ ჩამოდვრილი
კალისფერი ჭაღარა თმებით.
გაუტეხელი
და ყოველთვის წელგამართული,
მუდამ საბრძოლოდ შემართული,
თავგანწირული,
რათა სიმშვიდე,
მყუდროება ჰქონოდა ოჯახს.
ბებიაშენიც,
ისე, როგორც ჩემი ბებია,
ქომაგად გედგა,
შენს ღირსებას იცავდა მუდამ.
გატეხილ შუბლზე
ცხელ საფენებს გადებდა ხოლმე
და გულგატეხილს
გამშვიდებდა, განუგეშებდა.
მისი წინსაფრის ჯიბეებს ხომ
რაღაც ნუგბარი
ყოველთვის ჰქონდა გამოულეველად.
შენს ფიქრებს, ნატვრას
შენს სურვილებს
რაღაც გუმანით
საგვარეულო ფარდაგში წნავდა
და სიტყვებს შენსას
ჩურჩულს
და ლოცვებს
ლამაზ ფარდებად
კიდებდა მაღლა.
ბებიაჩემიც,
ისე როგორც შენი ბებია,
მუდამ ცურავდა
ჩვენს ცრემლებში,
ინაწილებდა
ჩვენს ბალღურ ტკივილს
და მათაც,
როგორც ქვეყანაზე
ყველა ბებიამ,
კარგად იცოდნენ თავის საქმე,
ღამეთა თევა,
თავის განწირვა,
გაჭირვების
ტანჯვის ატანა.
ეს მან შეიძლო,
მორყეული თავის კბილებით,
შენი კაცობა
ღირსეულად გამოეტანა.
მათი ნათევი ღამეების
ხატი შენა ხარ
ბაღების,
ბამბის პლანტაციების,
ახლადმოხნული მინდვრების წიაღ
შენც მათთან დახვალ,
შენც მათთან ერთად
ექვს მილს გადიხარ
გველებით სავსე ბილიკებზე
თეთრ ქალბატონთა სასაბლეებში,
რათა აკრიფო ჭუჭყიანი მათი სარეცხი,
მერე იმავ გზით
დაბრუნდე უკან,
ისევ ტყეები,
ბილიკები,
მტვერი
და სიცხე,
რეცხვა,
გაშრობა,
გახამება,
გაუთოვება
მკლავზე კალთით
კვლავ იგივ გზის განმეორება,
რათა გექციათ ორიოდ გროში
საგანძურად, მემკვიდრეობად.
და ასე იქცა სიარული
ბრძოლად, ზეიმად
და უაზრობა — აზრად,
ლამის დღესასწაულად.
ის ჩვენი ტკბილი ბებიები
მარტინ, მე ვიცი,
საოცრად ჰგავდნენ კვირადღის დილას
ფეტრის ქუდებით, მოხატულით,
მოატლასულით,
და სირაკლემას ფრთებით მორთულნი,
თან ატარებდნენ უბეებით
წითელ ბიბლიებს,
მისიონერნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდნი,
წყნარად მოღუღუნენი,
ტკბებოდნენ თქვენი დავაჟკაცებით
რომ იქცეოდით მეომრებად,
მაღალ ძეგლებად,
ისტორიულ პიროვნებებად,
რომ ცხოვრებაში კვალსა სტოვებდით.
ისინი ძალზე ჰგავდნენ ერთმანეთს —
შვილიშვილების მოყვარული,
მათი ტკივილის შემნახველნი,
ხშირად შვილების დამკარგველნი,
მარად მგლოვარნი
მაგრამ მარად იმედიანნი,
განთიადისას,
ცისკრის ლოცვაზე
წრეში ჩამდგარნი,
რომელთაც მუდამ
ჩვენც თან მივდევდით.

თარგმნა თედო ბეჭიშვილმა

⊠

ა. რ. ამონსი

დასახლებები

იქ, სადაც ხშირი მიწისძვრა იცის,
სიმედიცა დაწნული ქოხი.
შეიძლება, იგი შეირყას, მაგრამ წკნელები —
მჭიდროდ ჩაკრული ერთი-მეორეს —
არასოდეს დასცილდებიან.
შეიძლება

ქარმა ქოხის კარი არყიოს,
ამით არარა დაშავდება.
ანდა — სახურავს შეყენებული ჭოკებიც რომ
მოირყას და
წაიქცეს კიდეც
ან ჩალის და დაფნის კედელი

და მიწისძვრისგან ათრთოლებულ იატაკზე
აცეკვდეს კიდეც.
ან ჩალის და დაფნის კედელი
შეიძლება, სწორედ მაშინ გადმოიქცეს, როცა
ოჯახი შინაა,
მაგრამ
ერთი-ორი განაკაწრის მეტს არვის
არაფერს არ დაუშავებს.
(მოკურტულები ბლოკის კედელი, მძიმე კოჭები
—
ადამიანებს სამუდამოდ ჩამარხავს ხოლმე).
გორილებს სახლი არ გააჩნიათ, არც
მაგიდასთან სხდებიან ხოლმე სასადილოდ.
ხის კენწეროთა გადაჭდობილ ტოტებზე
სძინავთ.
დაწნული ქოხები,
—
სწორედ დაწნული ქოხები სჭირდებათ
საწყაღ, თავმდაბალ, მოკრძალებულ
და უპოვარ ადამიანებს,
პილიგრიმებს
და
ცაში მავალთ.

რელიგიურობა

თითქოსდა ხორბალს ანიავებენ, თითქოსდა
საცრით ცრიან, ისე
იყრება თოვლი. გამთენიიდან
ირხევა თოვლის თეთრი ქსოვილი,
ბუჩქებს ზემოდან ეფინება, რომ ძირს
განართხოს.
რა სასაცილოდ დათოვლილა ცისფერი ნაძვი:
ყველაზე გრძელი ქვედა ტოტები მკლავებივით
ძირს დაუშვია: შუა
ტოტები დათოვლილი
მკლავებივით გაუჭიმავს, შეფიფქული ზედა
ტოტები
ხელებივით ზე აღუპყრია — და მთელი ნაძვი
ერთ უცნობ ფორმად ერთიანდება.
წესრიგისაგან განძარცვული შემთხვევითობა
აი, ეს ნაძვიც
შემთხვევითობის კანონს მაგონებს —
მშვიდად, უშიშრად ეგებება წაქცევასაც —
თავის აღსასრულს.
რელიგიური გრძნობები კაცს ნაძვს
ამსგავსებენ,
კაცს, რომელიც ისე მოწყალე, მორწმუნე და
სასაცილო არასდროს არის,
ვიდრე ტრფობის ჟამს, ოდეს სისხლი
აუჩქროლდება,
გული უძგერს, სხეული მღერის,
ექსტაზი კი უფრო და უფრო ერევა ხოლმე.
მთელი ძალით ებრძვის თავის ტვირთს
და მთავარი გზისკენ მიიწევს.
მერე კი მიდის საყასბოდან გამოსულივით
შხაპის და ტალკის
და სუნამოს მაძიებელი,
კოსმეტიკა უფარავს სახეს.
ნაძვის ტანი კი საკუთარ ტოტებს ჩასჭიდებია
მძიმე თოვლქვეშ,
დროდადრო წიწვებს ვედრება უვლის —
ერთი სულს როდის მოვითქვამო: ვარსკვლავთა
შუქი
მის თოვლის სამოსს ამაღამ თეთრად
ააელვარებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ კი იქნებ მზემ დაიხსნას მისი ლოცვა,
მისი ვედრება.

მეორეხარისხოვანი სრულყოფილება

ისინი, ვისაც არასოდეს უგემია
ლექსის ბოჰემა,
განსაცვიფრებელ ლექსებს წერენ:

—

ხოლო ისინი,
ვისთვისაც მათი ლექსი იქმნება
შორს, საქმეებზე გაკრეფილან

—

სხვადასხვა როლის შესასრულებლად:
კოჭლი გვიდგენს, როგორ ვიაროთ,
ბრმა კი გვასწავლის, როგორ ვიყუროთ.

—

ინსტინქტები მხოლოდ ფარულად,
მხოლოდ უსიტყვოდ,
მხოლოდ და მხოლოდ ათასში ერთხელ—

აღსრულდებიან: სიტყვები ჰგვანან
ლამაზ ასკილებს: დაღეჭავ და,
პირი სისხლით არ აგევსება.

თარგმნა დალილა გედიანიძემ.

როჯერ სოლზი

ძალიან ძნელია აღწერა იმისა, თუ როგორ ვცხოვრობდი მე ჩრდილოეთ კაროლინაში. ხანდახან ხდება ქვეყანაზე ისეთი ამბავი, რაც მფფორიაქებს და ლექსს მაწერინებს. ხანდახან ფიქრი—რომ მე უფალი მწამს— ქვეშ მომიყოლიებს და მის სიმძიმეს ვგრძნობ მთელი არსებით. ვცდილობ, რომ ვიგრძნო და გავიცნობიერო ამ იდუმალების ძალა და ხიბლი. ხშირად სიტყვებთან ერთადა ვარ გარიყული სიმარტოვეში და ჩემს გულსა თუ გონებაში დავანებულ შეუცნობელ წყვდიადს ვაკვირდები. ამ ტკივილიან და შინაგან ძიებას საერთო არაფერი გააჩნია პოლიტიკასთან თუ ტექნიკურ პროგრესთან. ჩვენ ეს ძიება უფრო იმას გვაფიქრებინებს, რომ ყველგან, მატერიის საფარველის ქვეშ, ფსიქიკური და სულიერი ცხოვრება არსებობს. ეს რთული და ლამაზი ამბავი უფრო მეტია, ვიდრე შრომა თუ ეკონომიკა. ზოგჯერ კი იგი ჩვენს არსებას იპყრობს მთლიანად.

შეჩერება ყავის დასალევად

საღამოს ბინდში გახვეულმა შარაგზამ
მარცხნივ გადაუხვია
და მეც შევჩერდი — გზისპირა ვაგონ-
რესტორნის შუქმა
გამომიჭირა. შევედი შიგნით და მოვნახე საჩერო
ადგილი.
დაგლეჯილ ფრაგმენტებად მქცეოდა ნერვები,
ხოლო ჩემი არსების ნაწილები
სადღაც მაღლა იწეოდა და იფანტებოდა,
როგორც ნამცეცა ველოსიპედები ნაცრისფერ
სინათლეში...
და მე მაშინ ხმამაღლა წარმოვთქვი
(არავისთვის არ მიმიმართავს),
რომ სიკვდილს ზოგისთვის
მოაქვს სიტკბო ფრენისა და ამაღლებისა—
მშვენიერებისთვის თავგანწირვა ყოველთვის
კარგია...
ეს ვთქვი ხმამაღლა, მაგრამ რაღაცამ
მე თვითონ შიგნიდან დამაძმიმა,
სავსე ფინჯანი ქვად მექცა ხელში.
მსიამოვნებდა ასე ჯდომა,
მიხაროდა, ყივას რომ ვწრუპავდი,
და მათბობდა სიმუქის იდეა—
რომ შემეძლო, ამეწია და გამომეცალა,
ან ხელში მჭეროდა მანამ, სანამ გაგრილდებოდა
და უსიცოცხლო ვარსკვლავად იქცეოდა.
მსიამოვნებდა ჩემს გარშემო ტალღებად
მდინარი
სინათლის ციმციმი.
ვაგონ-რესტორანში მომეშვა ადამიანები
თავს ხრიდნენ, თითქოს ლოცულობენო.
ფანჯრებიდან მოჩანდა
ვარდისფერი, ნაცრისფერი და სადაფისფერი
საავდრო ღრუბლები.
თავსხმა წვიმა მალე ზეცას ჩამოაქცევდა
და მე ვხედავდი
დიდ იმპერიებს იმ საავდრო ღრუბლებში
ჩაგრაგნილს.

როდესაც გველი მოვკალი თოხით

დროის რომელიღაც წერტილში მივხვდი, რომ
გათავდა
და ბრტყელი შეგრძნება სიკვდილისა
ამითრთოლდა თითის წვერებში.
მხოლოდ ათი რამე დარჩა ჩემს გარშემო,
შიშს რომ ასხივებდა,
მე ამ ათი ფორმის
შეგრძნება შემეძლო,
რომელთაც თითქოს ჰქონდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არც ჰქონდათ დაბოლოებანი.
წელში გაწყვეტილი
შავი გველის ავი მუქარა
ჩემს ფერხთით

ტრიალებდა, იკრუნჩხებოდა
და ჩამკხრალ ელექტრობასავით იგრიხებოდა.
მერელა დავინახე ჩასარტყმელად აღმართული
და პრიალა ლითონით შემკბარი...

ხელში თოხი მეჭირა,
ჩემი არეული გონება
თანდათან დამშვიდდა
და მივხვდი, რომ ნაწილ-ნაწილ დაიმსხვრა
ცხოვრება.

ეს კარგი იყო, თუ—პირიქით,
ვერაფერს ვიტყოდი.
მაგრამ ერთი რამე ვიცოდი ნამდვილად—
ამ ყველაფრის დამთავრებას ვერ მოვუცდიდი.

თარგმნა ვაჟა ხორნაულმა.

შემდეგ

მარტი იდგა, ჯერ კიდევ ადრე იყო
ზამთრის ჩვეულებრივი წუთების მივიწყება —
თუკი მოვინდომებდი
ჩრდილოეთის საძოვრების მიღმაც გავიხედავდი,
სადაც
მეჩხერი ტყეები ხელნაწერივით ციმციმებდნენ.

—

იქ დაგლანდე —
ვერანდაზე იდექი
შენს უკანასკნელ წელს მიყრდნობილი. შენი
ტკივილიანი, ფერმიხდილი და ღირსებით სავსე
სახე მახსენდება—
გაზაფხულის მკრთალ ნათელში რომ
იკვეთებოდა.
გარეთ იცქირებოდი,
არ იძროდი... მწუხრის ბინდი ჩემსავით
განთქავდა, და ყინვა ჩვენს სუნთქვას

ხილულს ხდიდა, როგორც სქოლიო
ხდის ტექსტს გასაგებს.
აღმათ, შენთვის ჩუმად კითხულობდი
შენს შიგნი
საჭანელა სკამივით რიტმულად რაღაცას
ბაგაბუგი
გაჰქონდა.
წარსულში ხშირად

—

მძიმე ახალგაზრდობის
მთელ თავებს მიკითხავდი,
ნაფოტებს აგროვებდი კერიაში ცეცხლის
გასაჩაღებლად,
შემდეგ ასანთი გაჰკარი აგურს
და ყველაფერი აკაშკაშდა.
ახლა წყნარად იწვი
იმ მხარის ბინდში, რომლის სახელი არავინ
იცის
და ერთი ამოსუნთქვის გაფანტვას
უთვალთვალებ...
ორივემ ხომ მანამდეც ვიცოდით, რომ მალე
უნდა
შერთვოდი ჰაერს.
შემდეგ შინ შეხვედი, და მსუბუქმა წვიმამ

სახურავზე წკაპა-წკეპით გადაიარა —
ახლა კი ვიცი, მისი ხმა შენ აღარ გაგიგონია.

ინგლისურიდან თარგმნა
მზია კოჭლამაზაშვილმა.

ჯერალდ ბარაქსი

კამეჩების სულები

აი, რა მოჩანს ბნელ ფანჯრებიდან:
კამეჩების სულები არხეინად შეეკვეთან თოთო
და ხასხასა ბალახს,
მსოფლიოს დედაქალაქების ცენტრალურ
პარკებსა და
მთავარი პროსპექტების გაზონებზე რომ
იზრდება.

ინგლისურიდან თარგმნა
მიხეილ ნიშნიანიძემ.

ხეები დავარქვი

ბოლო დღეების ამბავია:
ბიბლიოთეკაში როდესაც ვიყავი,
მშვენიერ ყვავილნარს მოვკარი თვალი,
რომელიც კოლინზ ფოსტერის[1] ძეგლის
გარშემო ხარობდა.

მაშინ ვიხილე ბებერი ზანგიც,
რომელიც ბანჯოს აჩხაკუნებდა
იმ ძეგლის მახლობლად.
ბრწყინავდა, ციმციმებდა
ყვავილების ოთხი სამკუთხედი—
ზოგი თეთრი და ზოგიც წითელი
და თვალს ერთნაირად უხაროდა
ფერები მათი.

იქვე, შენობის წინ,
ენთო სხვა ყვავილებიც—
გაზონები გრძელი და მართკუთხა,
პასტელის კონწულა ყვავილები
მწვანე თუ თეთრი
მოჩანდა კიდეებზე—
ზოგი ყავისფერი, ზოგი მუქი
და ზოგიც მეწამული
და სხვა რა უნდა დამერქმია სახელად მათთვის,
თუ არა—ყვავილები...
ყველას ყვავილები დავარქვი განურჩევლად.
მერე დაბალი ხეებიც
დავინახე—
ნეტავი მათი სახელები მაინც მცოდნოდა.

იქვე, სულ ახლოს, შემაღლებულზე,
მწვანე ტერასაზე,
თავდახრილი ქალებივით რომ გარინდულყვნენ.
მე ვერ ვხედავდი მათ სახეებს,
ისინი მწვანე ტბორში იბანდნენ თმას
და სხვა რა უნდა დამერქმია სახელად მათთვის,
თუ არა ხეები...
მათი სახელები სათითაოდ რომც მეთქვა
თქვენთვის,
თუ რომელ ხეებზე გესაუბრეთ,
განა მიხვდებოდით?
მე ბაღში სკამზე ჩამოვჯექი ყვავილებს შორის,
ხოლო ხეები მანქანების ბრჭყვიალა მდინარის
მოძრაობას მშვიდად უყურებდნენ
და არაფერი გამორჩენიათ.

ვიცოდი „პუმების“[2], თუ „მიმინოების“[3],
„ველური კატების“[4], „მარლინების“[5],
„ბარაკუდების“[6],
თუ „მუსტანგების“[7] ავანჩავანი.
მე მათ ბაღიდან გავეკქეროდი
და ყველას ვარქმევდი საკუთარ სახელს.

---

1. ფოსტერი — ამერიკელი კომპოზიტორი.
2. 3,4,5,6,7 —მანქანების სახელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუდიტორია ერთი მსმენელისათვის

ღამის კიბილში
გამოსჩქვივის კეთილგანწყობა,
თავს ირთობს სიბნელე სიხარულით აღსავსე
ხმებით.

ჩემი სახლის წინ შუქი ფარნისა—ჯოხია
დირიჟორის,
რომელიც, სიმწვანისკენ სიმპრთული,
ფოთლებს სხვაგვარი ფერით ახასხასებს
და უფრო ამუქებს ბავდ მზრალ ხეთაშორისებს.
საკუთარი ადგილი აქვს ყველაფერს მიჩნეილი:
მარცხნივ—ტირიფები, მარჯვნივ—მუხები,
ფიჭვები, ნეკერჩხლები
და შინდი—მათ შორის ამოსული...
ყველა ხე, წყურვილით შეპყრობილი,
ისწრაფვის შუქისაკენ
და მის გამჭვირვალე ნაკადს ეწაფება,
რომელიც სადღაც, უსასრულო სიღრმისაკენ
მიემართება
და იქ იკარგება.
აქვე, ჩემი სავანის სიახლოვეს,
ტკივილი ისმის და შიმშილი მძვინვარებს
და საგნები ებრძვიან ერთმანეთს,
ერთმანეთის ჩანთქმას ცდილობენ—
ეს ბრძოლა სხვა არის!—
შეყვარებულები არ ებრძვიან ამგვარად
ერთმანეთს.

აქ მხოლოდ მე ვარ მათი მსმენელი,
აქ მხოლოდ მე თუ ჩავიხვეულებ,
ტაშით ვაჯილდოებ ვასაკებს, ჭრიჭინებს
და, ღმერთმა იცის, რაღას არა—
რაც გარეთ მღერის, რაც გარეთ ხმიანებს.
რასაკვირველია, მათაც შემამჩნიეს.
ვაგზლის რადიოთი დაძახებულ განცხადებებივით
ჩემს ყოველ სიტყვას, გამოძახილს ჩემი გულისას,
აკონტროლებენ, გაშიფრავენ კომპიუტერებში
და მიხვდებიან, რომ ჩემთან აღარა ხარ,
რომ წასულხარ სადღაც, ქვეყნის მეორე მხარეში.
სამყაროში არაფერი დუმდება მთლიანად—
თვით მუსიკაც კი— უმშვიდესი და უმფოთველი,
მაგრამ, როდესაც მიილევა დიდი გულისფეთქვა,
მაშინ სიბნელეში აღიძვრება დიმინუენდო...
სითბოდაკარგული, ხელოვნური სინათლისაკენ
ვიხრებით მე და მაღალი ხეები—
თითქოს ჩემთან ან შენ იყო, ან კიდევ—მნათობი.

საგალობლები, სახარებები

იმ ქვეყანაში მე ვერავინ და ვერაფერი
მაიძულებს, რომ ვირწმუნო მათი ძლიერება.
იმ უფლის დაღლილ მიტევებას ვეთაყვანები,
ჩვენი ღმერთები რომლის სისხლმაც გაანადგურა,
მონათა პლანტაციებმაც რომ ვერ შეიწირეს,
სადაც მონათმფლობელებმა იმისთვის შეაგდეს,
რომ როგორმე დაემშვიდებინათ
მონები—მათი მოძრავი ქონება,
მაგრამ მონებმა იგი ისე გაითავისეს,
რომ მათ პატრონებს ეს ამბავი არ მოეწონათ.
ისინი დღესაც მას უგალობენ,
გალობენ, რათა განიბანონ, განსპეტაკდნენ მის
დიდებაში
და კიდევ იმ მიწისთვის გალობენ ისინი,
სადაც ჩემი დაბნეულობა
მსუსხავს კარს მომდგარი ტკბილი სეზონებით,
და უკიდეგანო ტრამალებზე ოცნებით მბორკავს,
სადაც უფალია ლომი და სპილო;
მბორკავს ჯუნგლებით,
სადაც მცირე ღვთაებათა გარდაცვალება
ემსახურება მის მკვდრეთით აღდგომას;
მბორკავს ტყეებით ტროპიკულით და
ჩარდახოვანით
და იმ ტყეებზე განფენილი ღამაზი სიკოცხლით,
მიწიერ სამოთხედ რომ წარმოგვიდგება.

მაგრამ სისხლი მაინც მეფინება და მიუძლურდება,
როდესაც მესმის
„არამიწიერი ჰარმონიის“
ხმა გაურკვეველი
(რომელიც ჩემს ეკვებშიც პოულობს რწმენას),
როდესას მუსიკა აკამტვერებს ჩემს სიჯიუტეს,
როდესაც ვიცი, რა ვარ და ვინა ვარ,
როდესაც გალობს სული შავი ხალხის,
როდესაც შავი ხალხის სულები მღერიან.

თარგმნა ვაჟა ხოჭორნაულმა.

ფ. ჩეპელი

ამბავი

ერთხელ, დიდი ხნის წინათ,
ფერმერის ცოლმა, სამზარეულოში რომ იჯდა
და კართთიფილს თლიდა,
ირგვლივ შემოხოხობილ ბავშვებს ერთი ამბავი
უამბო
თვალთმაქც ყვავებსა და ჯადოქარ ქალზე,
რომელმაც ისეთი გაბრაზება იცოდა, რომ სახეზე
ალი ასდიოდა.

ამ ამბავმა მთელი ქვეყანა მოიარა,
მერე სიფიქალებმა იიტაცეს
და თილისმის ბეჭდისა და ლამაზი უფლისწულის
თავგადასავალი მიაკერეს.

ამბავი დამშვენდა და აზრი შეიმატა,
ვიდრე ერთ გაქსუებულ და ლაზღანდარა ვაჭარს
არ ჩაუვარდა ხელში:
ნასადილევზე ბუხრისპირას გემოზე მოკალთდა
და ამ ამბავს მსუქანი ბატისა და სასაცილო
მხევალი
ქალის ისტორიაც მიუმატა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ამბავმა ბოლოს
ქერქტა პოეტების საკრებულოშიც ამოჭო თავი,
მათ იგი მთვარის
ვერცხლისფერი ნათლით გაჭყიპეს
და ცხროიანი ეფსტაზებით დატვიფრეს;
არც ეს აკმარეს და იმედნი
პრიალა სიტყვა და ეპითეტი მიაგვირისტეს,
საწყალი თავს ვეღარასოდეს დაიძვრენდა.
ამბავი დაგლახაკდა და დაჩაჩანაკდა
და მერედამერე ცუდი სახელიც დაიგდო,
ბოლოს ღამღამობით გაკრეჭილ მღვდელებთან
და აცვენილ მეზღვაურებთან ერთად
დავიწყებამდე

ლოთობდა

რეთლბონის ხეივანში,
სწორედ აქ იპოვეს იგი მწერლებმა.

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ნიშნიანიძემ.

მელა და ბატი

თავის პაწაწა სორორში მელა
თაფლის წადილმა არ დააძინა...
გამოძვრა გარეთ და ბურთისხელა
მთვარეს შეხედა ღამეში ცივად.

ო, ბურთისხელა მთვარე და ღამე
თოვლიან მთაზე ცას ახამხამებს.

და მთვარე ხედავს: კუდიგრძელია
მიიპარება სკებისკენ, სადაც
ხვრინავა ფუტკრის ჯალაბის დიდის,
ანუ ორკესტრის სტვენა—კანტატა.

ო, საოცრებავ!
რას მოიპარავ
თაფლს, როცა ერთი ღერღეტი, ბატი
სკებს შუა ფართო ბოლოს ნარნარით
და ღირსეული ეერით დადის.

„ჰელლო, ძვირფასო, მშვიდობის ღამე,
რა უტურფესი ვინმე ხარ, იცი?!
და მე მინდება გიმღერო რამე,
ოღონდ აქ არა,
იქ,
მთების ძირში...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჰღიმა მელამ ბაჯბაჯა დარაჯს,
რომანტიული აღმოხდა ოხვრა,
მოულოდნელად გადმოიხარა
და სიფელ ბალახს
დაადო ლოყა.

ხოლო ბატმა კი გაკანტურა
ლამაზი თავი, გავიდა განზე,
—ყა—ყა, ყა—ყა—ყა,—
დაიყვირა და
ფრთა—ფრთას შემოჰკრა,
აფრინდა ქვაზე.

ო, ღმერთო ჩემო, რა მოხდა მერე —
გაფხაჭნა ბნელი კბილთა ღრჭიალმა,
უზარმაზარი ბულდოგი აგლი
მოვარდა როგორც
რისხვა და ძალა.

ისკუპა მელამ. (ეწადა ბეჩავს
ღამის კალთაში დამალვა,
შველა...

მაგრამ, ო, აგლომ შეიპყრო უმალ,
დაგლიჯა იგი
და დადვა ველად.
ამბავი განა დასრულდა ამით.
გესმით, ბავშვებო,
არა და არა!
მოკვდა თუ არა, მელიის სული
წრიალ-წკეწკავით ცას შეეფარა.

ჰოდა, როდესაც
ახალი თაფლის
სურნელი დგება ჰაერში ჩვენთან,
მთვარიან ღამით, კაშკაშა ფერის
მელას თანავარს — კვლავედი ჩნდება.
და ბურთისხელა მთვარისგან ცაზე,
თოვლიან მთაზე თოვაა სხივის...
ხანიდან ხანად,
თუ ყურს მიუგდებთ,
ბატის დამფრთხალი ყიყინიც ისმის.

თარგმნა გრიგოლ რუხაიამ.

რებეკა მაკლენჰანი

რებეკა მაკლენჰანი ცხოვრობს კაროლინის შტატში, ქალაქ შარლოტში. 1981 წლიდან შარლოტ-მეკლენბურგის სასწავლო დაწესებულებებში პოეზიის კურსს ხელმძღვანელობს. სასწავლო პროგრამები „პოეტი ჩვენს სახლში“ და „პოეზია სკოლაში“ პოეზიის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

რებეკა მაკლენჰანს თანამედროვე ამერიკის პრობლემები აინტერესებს, რაც მისი ლექსების ძირითადი თემატიკაა.

საღამოს გასეირნება

ჩემს სახლთან მოთამაშე ბავშვებმა
ტროტუარზე დატოვეს საკუთარი
ორეულები —
ცარცით შემოხაზული სილუეტები.
ასე შემოხაზავს პოლიცია ავარიის მსხვერპლს,
ასე შემოხაზავენ იმ ადგილს, სადაც ადამიანი
დაეცა.
შეიძლება ისინი სულაც არ იყვნენ ბავშვები,
შეიძლება ისინი ჩემი ბავშვობის
ქაღალდის თოჯინები იყვნენ,
თავდავიწყებით რომელთაც ვჭრიდი,
ვატრიალებდი ბლაგვ მაკრატელს
მათი მოხდენილი კისრების, ძნელად გამოსაყვანი
ხვეულების გამოსაჭრელად
და ბოლომდე თავადაც არ ვიცოდი თითოეული
ფურცლისაგან
რანაირი თოჯინა გამოვიდოდა.

ბეირუთში ბავშვებს ყუმბარები და ზარბაზნები
ესიზმრებათ,
ჰგონიათ, რომ პეპლები სულ დაიხოცნენ,
მე კი ირიბთვალა, ცეცხლმოკიდებული გოგონა
მესიზმრება
ახალი ამბების გადაცემაში ხელებგაწვდილი,
შიშველი რომ სადღაც გარბოდა
და მთელ საღამოს ისე დავაბიჯებ
თითქოს წმინდა მიწას ვთელავდე,
თუმცა ტატრებმა გვაუწყეს რომ ყველა გადარჩა,
ერთმა გოგონამ დედის ძახილზე
იხსნა თავი ასფალტისაგან,
მეორე კი უბრალოდ ადგა და წავიდა,
როგორც ლაზარე, სუდარა რომ შემოიხია
და გაოგნებულ დებს მიაშურა.

შევიყნოსე შემოდგომური ცეცხლის სურნელი,
საკვამურიდან ამოსული ცისფერი კვამლი,
რაც ნიშნავს, რომ ყოველ საღამოს
ბავშვები მამის კალთაში დაიძინებენ.
აუსტვიცში[1] კი საკვამურები
ახალგაზრდა სხეულების ცეცხლით ხრჩოლავდა,
იწვოდნენ აუსრულებელ დაპირებასავით
გალეული ადამის ძენი,
რომელთაც თითის გაშვერაც კი აღარ შეეძლოთ
როგორც ჰანსელს[2] უბრძანებდნენ ხოლმე
ზღაპარში.

მივაბიჯებ და წყვდიადი წვება,
მხოლოდ ფანჯრებში ჰყვავის სინათლე,
ფანჯრების მიღმა ბავშვები ლაღობენ და
სუქდებიან
მათ შეუძლიათ ფანჯრებიდან თითის გამოყოფა
და ამისათვის ვის უნდა ვუთხრა ნეტავ მადლობა,
ვის შევწირო მსხვერპლი, ვის ვცე თაყვანი?
ისევ ზღაპარი მაგონდება: ბეცმა და კუდიანმა
დედაბერმა
გალიაში როგორ ჩასვა ბიჭი გასასუქებლად,
დილით კი ნაპატივები ჰანსელი გისოსებში
წაწოლილს ძვალს გამოუწვდიდა,
რათა კიდევ ერთხელ ეხსნა თავი საშინელი
სადილისაგან...

---

1 აუსტვიცი — ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი.
2 „ჰანსელი და გრეტელი“— ძმები გრიმების ზღაპარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაღჩა

უკარბაა არტიშოკი[1], ადვილად ვერ მისწვდებით,
და ხშირ-ხშირი კრეფისაგან განაწყენებულს
ახლა ჯავშან'ში ჩაუმალავს ფეჭრი გული.

ხახვი ნიადაგსახმარია, ჩახობილისა და წვნიანის
მოყვაროულთათვის, და პეპელას ფრთებივით
თხელკანიანი
ყველას თვალწინ თავად შიშვლდება.

მწვანე წიწაკები თანამედროვე ქალებსა ჰგვანან,
სხეულს რომ ითვალიერებენ, მხრებს ისწორებენ
და კანზე მზის მბზინვარება გადაჰფენიათ.

ცელოფანებში გამომწყვდეული სტაფილო
ფიგურას ჰკარგავს და ბოლოს, მხოლოდ
სუსტ კოჭებზე დაყრდნობილი ფეხები რჩება.

თმის ველური სიუხვე, კონად შეკრული...
აქ ვაშლებზე ჭორაობენ, როგორც ხანდაზმულ
აქტრისებზე,
სცენის მიტოვებას რომ აჭიანურებენ.

სვრელებში ბუჩქად ამოყრილ ბანანებს
უჩვეულოდ შეფაკლიათ ღაწვები და თითქოს
სხეულზე
სამარადისო მბზინვარება გადაჰფენიათ.

ტანმკვრივი, მძინარე გოგოებივით გადრეკილან,
თუმცა სულ მალე თავისი შინაბერა დების ბედი
მოელით,
ფასდაკლებით რომ საღდებიან, მათი სხეულიც
ფერს დაკარგავს, დალოლვდება.

რა შეეძრება ავოკადოს[2], მისთვის სიბერე
არაფერია,
მას დღენიადაგ თვითონ დრო ეკურკურება
და თანდათან უფრო ხდება რბილი და ტკბილი.

მის გვერდით კი კარტოფილი იმგვარად მოჩანს
ვით გლეხის ქალი, თავისი კარ-მიდამოსკენ რომ
იჩქარის
და გზადაგზა ჩრდილს ეტანება.

ღუღუნებს დედა ბაღრიჯანი. ბაღჩის კუთხიდან
ეფინება ქოროს გალობა: ფორთოხალი,
ფორთოხალი...
ყველა აქა ვართ, ყველას ჩვენი სახელი გვქვია!

დიახ!

მირონი ცოდვილს არ წაეცხება,
რისთვის მიგზავნის დედაჩემი სამგლოვიარო ამ
კრიალოსანს,

ჩემზე ფიქრობს?
იმ დამეს, როცა მე მასში ჩავისახე
ჩემი დის საფლავზე მიწა ჯერაც არ გამშრალიყო,
სილვია ერქვა, მისი საფლავის ქვაც მინახავს
ილინოისის მინდერებიდან ზეცისაკენ
თავაღერილი,
მხოლოდ ზეცა დარჩა უცვლელი იმ დღის
სახსოვრად,
ზეცა და კიდევ დროგის ცხენები ნაცრისფერ
თოვლში,
დედას მხოლოდ „არას“ წარმოთქმა შეეძლო
მაშინ,
„არა“ უნდა ეთქვა შვილებისათვის,
„არა“ უნდა ეთქვა ქმრისთვის,
„არა“ უნდა ეთქვა ხვალინდელი დღისთვის.
როგორ შეაღწია მასში სიცოცხლემ, თავადაც არ
ახსოვს,
მომდევნო ზაფხულს კი ეკლესიაში იჯდა შავი
კრეპის
საორსულო კაბით, ხოლო მისი თეთრი ქუდდან
და ქათქათა ხელთათმანიდან უკვე სინათლე
გამოსჭვიოდა.
და ერთი თვით ადრე, ვიდრე მშობდა
ბიბლიური სახელი — რებეკა დამარქვა.

აგვისტოს ხვატი იდგა იმ დღეს, მე როცა ვიშვი,
დედამ ჩემს უფროს დას თმები დაუწნა,
ხოლო ჩემი ძმა გაიყვანა და გაწკეპლა,
წიწილები დაეპურა, ძროხა მოწველა,
საზაფხულო სახლიდან ვედროებით მოზიდა
წყალი,
სარეცხ მანქანასთან, რომელშიც მამაჩემის
საცვლები ირეცხებოდა.
ორი ბავშვი ეჯდა მუხლებზე, ხოლო მესამეზე
მწარე ფიქრი თავს დაჰბრუნავდა,
ერთი კიდევ,
ერთი კიდევ მუცელში ეჯდა, მოუსვენარი და
მოფართხალე...

თარგმნა **დავით მჟელურმა**

---

1. არტიშოკი — ერთგვარი ბოსტნეული, საკვებად მისი ძირი იხმარება.
2. ავოკადო — ტროპიკული ხილი.

რ. ფ. სმიფი

„სტანსი“ იტალიური სიტყვაა და „დარბაზს“ ნიშნავს. ჩემი ცხოვრება სამი სტანსისგან შედგება. პირველში მე ვასწავალი, ესეების ვწერ, ვიკვლევ, ლექციებს ვკითხულობ, კოლეგებთან ვკამათობ, ლიტერატურაზე ვსაუბრობ და სტუდენტების ნაწერებს ვასწორებ. მეორე სტანსი ჩემს პირად ცხოვრებას მოიცავს: ტყეში სეირნობა, ნავით ცურვა, მეგობრული საუბარი სუფრასთან. როცა ცოლი მყავდა, ეს ოთახი უფრო დალაგებული, ალბათ უფრო სუფთაც, მაგრამ, ამასთან ერთად, უფრო მომცროც იყო... ბოლო დარბაზი ის ადგილი გახლავთ, სადაც მე ვწერ. იგი ყველაზე დიდია, სიდიდით ჩემი წარმოსახვის ტოლია. ვიცდილობ, უმეტესი დრო წერას მოვანდომო, ფორმალურ რიტუალებს არ ვიცავ. შემიძლია ვწერო ვირჯინიის ხელოვნების ცენტრის სტუდიაში (სადაც მე შევეხვდი ბრონტოი ბედიროვსა და იაკობ კოზლოვსკის) ანდა გოლვეი სიტის ხმაურიან სახლშიც, ირლანდიაში (სადაც ერთხელ ბელა ახმადულინას შევეხვდი).

ორაგულის მეობა

აი, ეს ეს არის მომატყუეს;
გაბურსალუბული გამხმარ ბალახზე ვფართხალებ
და ს უ ლ ს ვღაფავ —
დიახ, უიიბლობის ავგაროზი,
ტყეულის თილისმა
სინათლის ვეღზე ვდგავარ და სულს ვღაფავ,
საიდანღაც წყნარი, სანდომიანი ხმა მესმის,
მწერები ჰაერს აბრჭყვიალებენ,
მუცელზე მწვანე, პრიალა ბუზები მასხედან.
ეჰ, რა ლაღად ვცურავდი — მდინარის
მოცისფერო-მოვერცხლისფერო კუნთი!
ერთ დროს ჩვენს თავთხელებში ალმასივით რო
ვბრწყინავდი!—
დინების, ყოველგვარი მდინარების ქურუმი
გახლდით
და ქარიშხლის ქალღმერთს ვმსახურებდი—
ჰიმნი და კრისტალი ვიყავ!
არა, სისწრაფის, მყისიერების მეტყველება
გახლდით!
დიახ, დიახ, მორებისა და ხავსის ზოდიაქოში
ნასხლეტი კომეტა!
ახლა კი უენო ასტრების გვერდით განვისვენებ,
სადაც ჩემებრ დიდებული ინკებივით
ყელწითელები ფარფატებენ და ნაირ-ნაირ
ყვავილებიდან ნარინჯისფერ მტევრს აგროვებენ,
გამოდის, ჩემი მისია უიიბლობისა და
გამტყუნების აპოლოგია ყოფილა—
მთელ ტანს ცახცახთ ვემორჩილება ამ საშინელ
ხვედრს!
მალე თავს წამაცლიან, წმინდანივით
გამომშიგნავენ —
ნაღველსა და ცხიმში გამოხვევეულ მისნობას —
ელენთას — ამომგლეჯენ,
მოკვდავთაგან დაფარულ საიდუმლოებას,
რომლის ამოხსნა არავის ხელეწოფება,
და ჩაქრება ჩემი თვალი და რქოვანი ლიბრით
მოიგარსება.
თუჯის ქვაბის ფსკერზე აღიტეფრება ჩემი
ქერეჯის სმარაგდები.
გალიპული ლაყუჩები ერთხანს კიდევ
ილაციცებენ—
ცივი ზვირთისა და მარილიანი ჰაერის უსაზღვრო
სიყვარულის გამო—
ერთხელ კიდევ ოდნავ მაინც გატოკდებიან და
მერეღა გაუშეშდებიან სინამდვილეს.
ამის შემდეგ იწყება დადუმების პანაშვიდი—
ქერეჯგაცლილი და გაგლუვებულ—
გასლაკინებული დაბოლქვილ
ორთქლში ვინთქები,
რძესავით თეთრდება ჩემი მჭვირვალე ხორცი
და ფენა-ფენად იშლება,
მოწყალედ იღებენ უძრაობის უცნაურ კიბეს—
ხერხემალს ჩემსას —
და ისევ მდინარეს უბურუნებენ — ძღვენი
ძღვენის წილ!
მხოლოდ ამბავიღა,
მხოლოდ ვედრებაღა ვრჩები — მივიწყების
ანგელოზისადმი აღვლენილი.
ჩემი ძვლების ცხაური ჭიების, პლანქტონებისა
და ზღამის საბრძანისში იძირება.
ვინ უნდა ამომაცოცდეს მარილით გაჯერებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლის სხეულად გარდაქმნის მისტერიაში?
მე ვარ წმინდა ხომალდი!—
მე ხომ გულუბრყვილო მადით გაბრწყინებული
მეთევზის
კერპი, რუნა და სიხარულის ველური მზერა
ვარ!

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ნიშნიანიძემ.

ღობე

არა იმიტომ, რომ ის უსურვაზია, უნაყოფო,
არა იმიტომ, რომ ის ზღვარია —
არა იმიტომ,
რომ ის კაცთა მოდგმის ნიშანსვეტია —
გასამიჯნად და საბატონოდ.
და არც იმიტომ, რომ ის ქნარს მოჰგავს,—
ქარისაგან დაუნდობლად
მიშლილს და მოშლილს.
არცა იმიტომ,
რომ ის კავშირია ძირმომპალი ბოძების,
როგორც ღმეული ჭვრეტა —
შორეული ვარსკვლავების.

იმიტომ, რომ ქეციანი ხბო შავ ფერდებს
მის ეკალბარდებზე შეიფხანს შუა ივლისში,
იქ შეატოვებს ბალნის ბღუჯას და ატროკდება.
იმიტომ, რომ აი ეს მუხა შეეზრდება მას
და ღობედ იქცევა,
მისი ჟღენთი და წერნაგი ჟამთა სკლაში
გაალღობს მავთულს.
იმიტომ, რომ მას ვერ შეაკრთობს ღვარცოფები
თავსხმა წვიმებში,
ვერც მოზუზუნე ფუტკარს გაჰყვება,
ვერც ბედდამწვარ ყვავს,
ვერც ზაზუნას, ვერც თრია—თრიას.
თუნდაც იმიტომ, რომ მას ვერ მოალბობს
ცხოველთა და ბოგანოთა თხოვნა-ვედრება.
ის ხომ მცველია,
ის ბორკილია,
მფარველია ეზო-კარისა.

ღობის მავთული ხვეულებად
მოაქვთ და მოაქვთ,
მობოშებული და ტლანქი,
მბზინვარე და ახალთახალი.
მას ელოდება დაჭიმვის წამება.

იმიტომ, რომ ხელისგულებს გადაგიტყაკებს,
ანდა ანაზდად შეიძლება მწარედ გაგაწროს
შეიძლება გაწყდეს კიდეც მოულოდნელად...
შეიძლება აღდგეს კიდეც
და ქნარს დაემგვანოს,
მხოლოდ ერთ სიმზე რომ კვნესის
ქარიშხლის ღმუილში.

იგი იმ დაჭიმულ ნერვს ჰგავს,
მოქნილი ენის ძირში რომ გადის.

ყველაზე მეტად კი იმიტომ, რომ
იგი ჭიშკარს ბადებს.

თარგმნა ლერი ალიმონაკმა

ჯეიმზ ეფელუაიტი

ცრემლის მადანი

თვალის ქვეგამდინარე წყლები —
კვარცის მადნის არხისებრი ძარღვი —
უმღერის შენს უბიწობას
ცივად და აუმღერვრევლად —
ს ო ვ რ ა ნ ო პ ი ა ნ ო !
ფიჭვის ტოტები კაიუტის მყუდროებას ჰქმნიან.
გარეთ მდინარე
დროის უთოს მიასრიალებს.
თიხის ს უ ლ ახალი და ახალი ლექი
დალაგებს არხევს —
იზრდება პამლიკოს კონცერტის ეფექტი,
ფილმი დამთავრებულია.
— შენ ყვითელი სისხლი გაქვს,
ტალახიანი სინათლე ხარ!
კიპარისების ჭანჭყი ზინთავს
შავ ფესვებს.
... ომამდე დამხრჩვალო ქალო,
შენი წითელი თმა,
რომელიც მყვინთავმა გამოათავისუფლა,
მარაოსავით იშლება ჩაძირული გემის განძზე,
რვაფეხას მკლავებში ვექცევი
და ვბუყბუყებ სკაფანდრის საკანში.
წყალქვეშ უფრო განვიცდი დროის დინებას;
ჩაძირული გემები, სეიფები, ზანდუკები...
საჭეს, და ანძებს შორის
შუქვით ლიცლიცებს ატივტივებული თმა.

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ნიშნიანიძემ

ჯიმ უეინ მილერი

მე და ჩემი მეუღლე, მერი ელენი, ვცხოვრობთ ბოულინგ გრიინში, კენტუკში. ეს ქალაქი, დაახლოებით 50000 მოსახლეს ითვლის. ბოულინგ გრიინშია დასავლეთ კენტუკის უნივერსიტეტი. ამ საბჭოშიფო უნივერსიტეტში 15 ათასი სტუდენტია. მე და მერი ელენი დასავლეთ კენტუკის უნივერსიტეტის პროფესორები ვართ 1963 წლიდან. მერი ელენი ინგლისური განყოფილების წევრია, მე კი თანამედროვე ენებისა და საერთაშორისო კულტურული სწავლების განყოფილებაზე ვარ. ვკითხულობ როგორც გერმანულ ლიტერატურას, ასევე აშშ-ს სამხრეთ აპალაჩების რეგიონის ლიტერატურის კურსს.

ბოულინგ გრიინში ჩამოვედით ბერეას კოლეჯის დამთავრების შემდეგ. ბერეა მდებარეობს კენტუკში (სადაც ერთმანეთი გავიცანით), ვასწავლიდით უმაღლეს სკოლებში ორი წელიწადი, მეცნიერული ხარისხისათვის სწავლა გავაგრძელეთ კენტუკის უნივერსიტეტში ლექსინგტონში და განდგრბილტის უნივერსიტეტში ნაშვილში, ტენესის შტატში, სადაც მოვიპოვე დოქტორის ხარისხი გერმანული და სლავური ენებისა და ლიტერატურის განყოფილებაში.

გვყავს სამი შვილი — ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

ჩვენი ლიტერატურული ინტერესების სფერო ლოკალურიც არის და ინტერნაციონალურიც. მერი ელენი პოეზიისა და ბელეტრისტიკის ადგილობრივი ყოველდღიური გაზეთის მიმომხილველია.

მე როგორც პოეტი, ესეისტი, რომანების ავტორსა და გამომცემელს აშშ მთიანი სამხრეთ აპალაჩების რეგიონის ცხოვრების ამსახველ მწერლად მთელიან (ვხელმძღვანელობ სამწერლო სახელოსნოებს მთელ ამ რეგიონში). ვთარგმნე ემილ ლარფერგერის, თანამედროვე ავსტრიელი პოეტის ნაშრომი, ასევე სხვა ავსტრიელი და გერმანელი პოეტების ნაწარმოებები.

ვფიქრობ, რომ რეგიონალურ მწერლად მიჩიჩნევენ, თუმცა, როგორც ჩემი აზრით ჩემი ლექსი „ცნობიერების ქვეყანა“ გვთავაზობს, რეგიონები არსებობს მხოლოდ ფართო გაგებით და თუკი რაიმეს დავუჭერ მხარს, ეს იქნება უბირველეს ყოვლისა კოსმოპოლიტური რეგიონალიზმი — ლოკალური ცხოვრების ცოდნა შეჯერებული უფრო ფართო სამყაროს ცოდნასთან.

ალმოჩენა

ნაწყვეტი რომანიდან „ახალშემქნილი“

ჯენტს წვეულებები უყვარდა. ერთი ციცქნა იყო, ლხინს რომ უმართავდა ფიქვის გირჩების თოჯინებს და პატარა-პატარა შეფუთულ საჩუქრებს უმზადებდა. ოჯახში ვინმეს დაბადების დღეს ისე არ გაუშვებდა, რომ არ აღენიშნა და საჩუქრები არ გადაეცა. უყვარდა სხვების დაბადების დღეები, რადგან საკუთარი დღეობა ყველაფერს ერჩია. ჯენტმა ყველა ჩვენგანის დაბადების დღე ზეპირად იცოდა... თუკი ვინმესთვის საჩუქრის შერჩევა გაგვიჭირდებოდა, იგი გვშველოდა ხოლმე.

შაბათს საჩუქრები ბაბუა უელსისათვის მისსაც მაღაზიაში შევიძინეთ. ჯენტმა ისინი შეფუთა და გადამალა ბებია და ბაბუა უელსების საწოლ ოთახში — უკანა საწოლ ოთახში, სადაც არასოდეს არაგინ შედიოდა. ეს სიურპრიზი იქნებაო, აგვიხსნა ჯენტმა, მომავალ ოთხშაბათს — ეს ბაბუა უელსის დაბადების დღე იყო — სკოლის შემდეგ მოვიდოდით, ხელში საჩუქრები არ გვექნებოდა. ხელცარიელებს რომ დაგვინახავდა, ბაბუა უელსი იფიქრებდა, „ეაშ ასე, საჩუქრებს რადაც ვერა ვხედავ. ესე იგი, არც დღეობა მექნებაო“. შემდეგ ჯენტი გამოიტანდა საჩუქრებს უკანა საწოლი ოთახიდან და ყველანი ერთხმად შევძახებდით: „სიურპრიზია, ბაბუ! გილოცავთ დაბადების დღეს!“

ჯენტმა ნამცხვარიც გამოაცხო — მომი დაეხმარა. ასე რომ ოთხშაბათს, სკოლიდან რომ

დავბრუნდით, ყველაფერი მზად გვქონდა. ჯენტმა სანთელი გადმომცა და პერანგის ჯიბეში შემანახინა. ნამცხვარი ფრიალა თეფშზე დადო და ზედ ქათქათა ნაჭერი გადაიფარა. იუჯინს არაფერი მიჰქონდა. ჩავსხედით ძველ ფურგონში და ბებია და ბაბუა უელსების სახლისაკენ გავეშვეზავრეთ. ჩემს წარმოსახვაში საშობაო მოთხრობებში აღწერილ იმ სამ მერიაკაცს ვგავდით სასუჭრები რომ მიჰქონდათ ბავშვებისათვის.

გორაკს შემოვეხვიეთ და ძირს, ბებია და ბაბუა უელსების დიდი თეთრი სახლისაკენ გავიხედეთ, იუჯინმა თქვა, იქ კიდაც არისო.

„მაშ, ისინიც დაგვწვევიან დღეობაზე“, გვითხრა ჯენტმა.

„ხედავთ, ფურგონია“, თქვა იუჯინმა. — „ნახეთ, რა ფურგონია!“

რომ მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ ფურგონი შეეღებათ კარნავალის ყველა ფერად — წითლად, ყვითლად, ისფრად. ზედ დაეხატათ ფრაკონების თავები, ლრუბლის ფთილები, ფრიალო კლდეები და იქიდან გადმოვარდნილი ჩანჩქერები. როცა ეზოს კიდეს მივაღწიეთ, ჯენტმა ნამცხვარი ვარდის ბუჩქებში დამალა. ფურგონზე კალიფორნიის ლიცენზიის აღმნიშვნელ ფირფიტებს მოვკარი თვალი. მალულად შევიჭიტეთ შიგნით. იატაკზე უამრავი ნაგავი ეყარა, საფერფლე სავსე იყო სიგარეტების ნამწვით, რომლებზედაც ტუჩსაცხები ემჩნეოდა. მოშორებით, ჟურნალებსა და გაზეთებს შორის გიტარის უაღითა იდო. ყველგან ტანსაცმელი იყო მიმოფანტული.

ბებია უელსმა გვამცნო, ბაბუა უელსი ხე-ტყის სახეს ქარხანაში წავიდა და მოგვიანებით დაბრუნდება, ხოლო ეს ჭრელა-ჭრელა ფურგონი კი იმიტომ დგას ხეივანში, რომ დეიდა ალმა შინ მოფლოდნელად დაბრუნდაო. დეიდა ალმას დიდი კარიერა ჰქონდა თეატრში. ტელევიზორში ხომ მარტო მას აჩვენებდნენ. ახლა თურმე კალიფორნიიდან ნეშვილში, ტენესში, მიემგზავრებოდა. ჰო, მართლა, თან ახლდა მეგობარი, რომელიც თეატრსა და ტელევიზიაში მეორე კაცი ყოფილა. თურმე უფრო ადრე ჩამოსულყვნენ, შუადღისას და დაღლილ-დაქანცულები ახლა ისვენებდნენ.

კალიფორნია დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს, გვიხსნიდა ბებია უელსი. მისი დედაქალაქია საკრამენტო. ნეშვილი კი ტენესის დედაქალაქია. შემდეგ კაბინეტისკენ გაგვიძღვა, გადმოიღო ატლასი და შეერთებული შტატების რუკაზე კალიფორნია და ტენესი გვაჩვენა. დაინტერესდა, გეოგრაფიას თუ სწავლობთო. დიახო, მივუგეთ. ბებია უელსი კიდევ კაი ხანს გვიამბობდა ნიუ ორლეანზე და კიდევ იმაზე, თუ ერთხელ როგორ იმოგზაურეს მან და ბაბუა უელსმა. მოგზაურობის ამბავს რომ გვიყვებოდა, ჯენტი თვალსა და ხელს შუა გაჭრა, თუმცა ბებია უელსს არც შეუნიშნავს. იგი ჯერ ისევ რუქაზე გვიჩვენებდა რაღაც ადგილებს, ჯენტი რომ დაბრუნდა და მიჩურჩულა, გარეთ გამოდიო.

კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ბებია უელსი მოგზაურობის ამბავს დაასრულებდა — იმ დღეს რაღაც ჩვეულებრივზე მეტად ჰქონდა ლაპარაკის საღერღელი აშლილი. ჯენტი კი მკლავზე მეკაჭებოდა. ბოლოს მითხრა, ეზოში რაღაც უნდა გაჩვენოო. „ბანქანასთან ახლოს ნუ ითამაშებთ“,— დაგვპირიგა ბებია უელსმა. ჯენტს ფეხდაფეხ გავყევი გარეთ. მთელი გზა უბრად გავიარეთ ვარდის ბუჩქებამდე, სადაც ნამცხვარი გვქონდა დამალული, მაშინღა მომიბრუნდა და ცრემლმორეულმა მამცნო, ალმას იმ ოთახში ძინავს, სადაც ბაბუა უელსის დამადების დღის საჩუქრები დადვამულეთო.

„როგორ, ნახე დეიდა ალმა?“ — კკითხე.

„არა, მხოლოდ კართან მივედი, ოდნავ გამოვაღე და შევნიშნე, რომ საწოლში ვიღაც იწვა და სასწრაფოდ ისევ დავკეტე“.

„საჩუქრები საწოლის ქვეშ არის?“ — ჩავეძიე ჯენტს.

„არა, ტუალეტის მაგიდის ქვედა უჯრაშია, ბალიშის პირების ქვეშ“.

ჯენტს შევჯარეი, თუ სახლში დაბრუნდები და იუჯინსა და ბებია უელსს შეიქცევ, ვეცდები საჩუქრები ოთახიდან გამოვიტანო-მეთქი.

„შეძლებ?“

„ვეცდები“, — მივუგე.

„ჰო, მაგრამ შეძლებ?“ — ჩამეძია ჯენტი.

„ისე ჩუმად უნდა მოვახერხო შეპარვა, რომ არ გავაღვიძო. ახლა კი წადი“. — ვუთხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლის ბოლოს, გვერდითა კარი გამოვაღე და გრძელ ვერანდაზე აღმოვჩნდი. ფეხაკრეფით გავიარე ჰოლი, და მერე ფორთხეთით გავაგრძელეთ გზა. ფრთხილად ვკარი ხელი და გავაღე უკანა საწოლი ოთახის კარი. არაფერი მესმოდა. ვხედავდი მხოლოდ შორეულ კუთხეში მდგარ ტუალეტის მაგიდას. შევჩერდი და მიმოვიხედე. იატაკზე ტანსაცმელი დაეყარათ, პერანგი და შარვალი სკამზე გადაეკიდათ. ქერა პარიკი საწოლის თავზე ჩამოედოთ. ტუმბოზე ერთი ბოთლი ლიქიორი, Sewen up -ის დიდი მწვანე ბოთლი და რამდენიმე ჭიქა იდგა. დავინახე, დეიდა ალმა კედლის მხარეს იწვა საწოლში, მეორე მძინარეს კი სახე ჩემსკენ ჰქონდა მობრუნებული. ქალივით გრძელი თმა ჰქონდა, მაგრამ ულვაშიც მოუჩანდა. ზეწრის ზემოდან გადადებული მკლავი ნამდვილად მამაკაცისა იყო.

ტუალეტის მაგიდისაკენ გავიცოცდი, ქვედა უჯრა გამოვწიე, ბალიშის პირების ქვემოდან ყველა საჩუქარი ერთად გამოვაძვერინე. თან ვფრთხილობდი, ქაღალდი არ გაჯრაჭუნდეს-მეთქი. გული კინაღამ გამიჩერდა, როცა დეიდა ალმა კედლისაკენ გადაბრუნდა, კედელს მიეჯახა, თან ტუჩები გაწყლაპუნა. შევიცადე, ვიდრე დამშვიდდებოდა. საჩუქრებიც რომ წამომეღო და გავცოცებულიყავი, ამის საშუალება არ მქონდა, ამიტომ საჩუქრები ფრთხილად ავიკოკლავე, საპარსი ლოსიონის ბრტყელი ბოთლი ზემოდან დავადე და ფეხაკრეფით წავედი კარისკენ. ოთახიდან გამოსულმა საჩუქრები ცალ ხელში დავიჭირე და მეორეთი კარს მივაწექი.

ბაბუა უელსი თავისი მანქანით სწორედ მაშინ მოვიდა, როცა გამოვდიოდი ვარდების ბუჩქიდან, სადაც საჩუქრები ნამცხვრებთან ერთად გადავმალე. შინ ერთად შევედით. ჯნეტს ვეუჩურეულ, საჩუქრები ავიღე-მეთქი. იგი მიმიხედა. ბებია და ბაბუა უელსებს უბრძანა, სადაცა ხართ იქ ისხედით, არ გაინძრეთო. ბებია უელსი თავიდან შეცბუნდა, მაგრამ შემდეგ გაეღიმა. ბაბუა უელსმა სათვალე მოიხსნა, ცერა და შუა თითითი თვალები მოიფშვნიტა და სათვალე კვლავ გაიკეთა.

გარეთ გავედით, ნამცხვარი და საჩუქრები ვარდის ბუჩქებიდან გამოვიღეთ და კვლავ შინ შევედით. ჯნეტს ნამცხვარი მიჰქონდა, მე და იუჯინი კი საჩუქრებით ხელში უკან მივყვებოდით.

„სიფრარიზია, სიფრარიზი!“ — შესძახა ჯნეტმა. „ბაბუა უელსს, გილოცავთ დაბადების დღეს!“

ჯნეტი განაწყენებული იყო, რომ დეიდა ალმა და მეორე მსახიობი დღეობას ვერ დაესწრნენ. არასოდეს ენახა დეიდა ალმა „ცხოვრებაში“, მხოლოდ ბუხრის თავზე შემოდებული მისი სურათი ჰქონდა ნანახი. მეორე მსახიობის ნახვაც გულით უნდოდა, მაგრამ ბებია უელსმა უარი განაცხადა — მაგათი გაღვიძება არ იქნება, მეტისმეტად დაქანცა ხანგრძლივმა მგზავრობამ და კვლავ გრძელი გზა უდგეთ წინო.

მეორე მხრივ, ჯნეტმა დიდად ისიამოვნა დღეობაზე. ბაბუა უელსი გაოცებისაგან გაოგნდა. მოეწონა საჩუქრები, რომლებიც მისსავე მალაზიაში შევიძინეთ. „როგორ მაჯობეთ და გამაკვირვეთო,“ თქვა მან. ჯნეტმა სხაპასხეპით უამბო: საჩუქარი შაბათს შევიძინეთ, მე ნამცხვარი გამოვაცხვე და ვარდის ბუჩქებში დავმალეთ. მაგრამ იმაზე სიტყვაც არ დასცდენია, მე რომ შევძვერი საჩუქრების გამოსატანად უკანა საძინებელ ოთახში, სადაც დეიდა ალმას ეძინა.

„ნახე ისინი?“ — მკითხა ჯნეტმა, როცა დღეობიდან შინ ვბრუნდებოდით.

„შტორები დაშვებული ჰქონდათ, საკმაოდ ბნელოდა და მათაც ეფარაან“. — მივუგე მე. მართლაც ასე იყო.

„როგორ მინდოდა ცოცხალი დეიდა ალმას ნახვა“, მითხრა ჯნეტმა. „რა ლამაზია სურათში. სანაძლეოს ჩამოვალ, ცხოვრებაშიც ლამაზი იქნება“.

„პარიკს ატარებს“, — გავანდე ჯნეტს. — „საწოლის თავზე ენოტის ტყავის კეპიანი ქუდივით ეკიდა“.

ჯნეტს აინტერესებდა, დეიდა ალმას ნამდვილი თმა რა ფერისა ჰქონდა. ვუთხარი, მგონი მამაასავით შავი უნდა იყოს-მეთქი.

„იქნებ ის პარიკი მეორე მსახიობისა იყო?“ შეეკვეთა ჯნეტი.

„არა მგონია-მეთქი“, — მივუგე.

იუჯინმა ინატრა, ნეტა დეიდა ალმას ფუტგრნისნაირი მანქანა მჭონდეს, და ზედ ფერების ორომტრიალი იყოს და დრაკონების თავები ეხატოსო.

მეორე დღეს, ნაშუადღევს ჯენეტმა დაიჟინა, ბებია და ბაბუა უელსებთან წავიდეთ, იქნებ დედა ალმა და მეორე მსახიობი ჯერ კიდევ იქ იყვნენო, მაგრამ ბაბუა უელსმა გვითხრა, ისინი შუადღისას წავიდნენ, როცა ჯერ კიდევ სკოლაში იყავითო, და თავი ნეშვილის მიმართულებით გაიქნია. ბებიამ დღეობიდან მორჩენილი ნამცხვარი გამოგვიტანა. შინ ფეხით დავბრუნდით. ჯენეტი აუჩქარებლად მიდიოდა. ჯერაც იმედგაცრუებული და ნაწყენი იყო, დედა ალმა და ის მეორე მსახიობი რომ ვერ ნახა. თავისთვის ბუტბუტებდა. იუჯინმა კენჭები წამოკრიფა და ღობეების ბოძებს ესროდა.

მე კი ისე მივაბიჯებდი, თითქოს რაღაც ახალი შევიძინე. თურმე სიტყვებს პატარა გვერდითა კარი და უკანა შესასვლელები ჰქონიათ, რომ ზოგჯერ სიტყვები სიურპრიზებს მალავდნენ, ისევე როგორც ჩვენ დავმალეთ დღეობის ნამცხვარი ვარდის ბუჩქებში; სიტყვებიც უკანა საწოლი ოთახივით ინახავდნენ საიდუმლოდ ბაბუა უელსის სიურპრიზს. სიტყვები ზოგჯერ დაუსრულებლად ჰყვებოდნენ შტატებსა და დედაქალაქებზე, რაც მე ისედაც კარგად ვიცოდი. ზოგჯერ კი სიტყვები დუმდნენ, თუმცა კი ბევრი რამის თქმა შეეძლოთ.

ინგლისურიდან თარგმნა
მარინე ბართაია.

⊠

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიმ უეინ მილერი

მკითხველთა სახლი

ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე,
ამ მშვენიერ მაისის დილას,
გატრუნულია ბავშვთა ოთახი.
რუთის ხელში წიგნი უპყრია
და სინათლის ჭავლისკენ მიაქვს —
თითქოს ყლორტი იზრდება მზისკენ.
ის ფურცლავს უხმოდ.

ფრედი ისეა მოხიბლული,
წიგნში ჩაფლული,
ვით შავი ფური ფერმის ტბორში
როდესაც ცხელა.

ისმის ფურცლების წყნარი შრიალი,
თითქოს ნორჩ ჯეჯილს
დილის ნიავი უნანავებს
და სიჩუმეში
თითქოს მოგესმის ხმა
ჯეჯილის ამოწვერვისა.

ვდგავარ. ვეყეურება
ვით ყანაში მდგარი ფერმერი.

რატომ ჩაიდინა ეს როზალიამ

იმიტომ, რომ
ქალაქის ჭორებს,
როგორც დიდი ხნით
დაეტლი სარდაფის ონკანს,
აშმორებული წყლის გემო ჰქონდა,

იმიტომ, რომ
ერთმანეთის ზურგებს ყნოსავენ
ძაღლები, როცა აეშვებიან,
რადგან მანამდე პატრონები ასეირნებენ
მოკლედ ჩაბმული თასმით
ან სულაც კალთით დაჰყავთ
შხამიანი კობრების მსგავსად.

იმიტომ, რომ
სუყველა ჭორი,
ტყუილ-მართალი, ერთმანეთში აირია,
სინამდვილეს გადაეფარა
და წაშალა კვალი ხსოვნისა...
იმიტომ, რომ
მაშინ, როცა ქმარი მოუკლეს,
როცა მან მშვიდად ჭუჭა გადაჭრა,
ის დიმსგავსა
ორ შტატს შორის დაგდებულ ნაგაზს,
რომელსაც სრესენ მანქანები
დაუსრულებლად,
სანამ ბორბლები არ შეიშრობენ
სისხლის ბოლო მზეფს.
იმიტომ, რომ
უარი თქვეს განმარტებაზე,
რომ ბენდოვანი ფრაზებით კვებეს
და იმიტომაც,
რომ მბეუტავი ელნათურები
კიბის თავზე
თავისთავსაც ძლივს ანთებდნენ,
უფრო კი მათი სიღარიბის სამხილსა
ჰგავდნენ.

იმიტომ, რომ
მაღაზიის წინ მოყაყანე
კაცები ჰგავდნენ თავშექცევით
მინდვრად მდგარ ცხენებს
ერთურთის ბუზებს რომ უგერიებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ, რომ
მათ იცოდნენ აქ
სუყველას ავნჩავანი:

იცოდნენ ისიც,
როდის მოკვდა მისი მამა,
ყელში ძვალი როდის გადასცდა,
პარსელების საოჯახო რესტორანში
სადილობისას.
და რომ ჯიბეში მალულად ჰქონდა
შიშველი რომა სტრიქლენდის ფოტო.

იმიტომ, რომ მათ იცოდნენ,
ან ეგონათ რომ იცოდნენ
ყველაფერი.
იმიტომ, რომ
თვალს ვერავის ვერ აუკრავდა —
ის ამოვიდა
ქალაქის ბოლოს, ხიდის ყურთან.
შესამოსელი —
ჯინსი, პერანგი და საცვალი
ტალღას მიჰქონდა.

მან, ნაშუადღევს,
მთლად შიშველმა, ჩაირბინა მთავარი
ქუჩა
ქერა თმას ქარი უფრიალებდა,
მზე მთელ სხეულზე მოჰკიდებოდა,
(ეს კი ნამდვილად არვინ იცოდა),
იმ ადგილებშიც, ჩვეულებრივად,
საბანაო კოსტიუმი რომ ფარავს ხოლმე.

ორიოდ წუთში
მან ჩაურბინა დოღარ ჯენერალს,
ვესტერნ აუტოს, ოლ სთარ
რეალთისა და ოოქშენს
და იქეთკენ აიღო გეზი,
სადაც თავისი დატსუნი ელდა,
საპიკნიკო მაგიდებისკენ.

არ განძრეულა არც ერთი კაცი,
კრინტი არავის დასცდენია.

არვინ უწყოდა რა ეფიქრა,
ანდა რა ეთქვა,
აღარ ისმოდა არაფერი ამ სიჩუმეში
მისი შიშველი და მსუბუქი ფეხის ხმის
გარდა.
აღარ იძვროდა არაფერი
გარდა მისი სილუეტისა
მაღაზიების ვიტრინებში
რომ გადარბოდა.

თარგმნა თეიდო ბეჭიშვილმა

ცნობიერების ქვეყანა

ჩესლავ მილოშს

გაყოფილია ქვეყანა ორად:
და ამ ორიდან ერთის კარგად იცნობ:
„აი, ეს წყარო“. „აი, ეს მთები“.
ეს მშობლიური მიწაა შენი,
შენი ხალხია, შენი ჯილაგი.
და ეს ქვეყანა შენში არის დავანებული,
როგორც სურნელი და როგორც გემო—
ქოქოსის პალმა,
ზურგიელი უკრაინულად
თუ ქართული ხაჭაპურები.
ეს შენი დიდი ქვეყანაა, ასე რომ გტკივა.
ეს არის კვამლი მშობლიური — ტკბილიც
და მწარეც.
ეს ჩაიდანი მღერის ქურაზე,
ძირძველ სიმღერას და ოჯახის ჭერი
მაღლდება.
მაგრამ არსებობს სხვა ქვეყანაც —
ის, როგორც ხერხი, ცივი და ბასრი
გადი-გამოდის და მიწაზე ნახერხი ცვივა.

ორი ქვეყანა. ორი სამყარო.
ორი ამბავი და ისტორია.

ერთი ქვეყანა შენი ცაა და შენი მიწა.
ეს მდინარეა, ჭალებზე რომ მიედინება.
ეს არის ხალხი,
ერთი ჯიშის და ერთი მოდგმის
ათასი წლობით ერთად რომ ცხოვრობს.
ეს სპირალივით დახვეული ფიქრია შენი—
ინთება, ქრება.
ინთება, ქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუმია იგი, ფიქრი შენი, უფრო ჩუმია,
ვიდრე ქალალზე კალმის ფხაჭუნი.
არის მეორე ისტორიაც —
მოძრაობს მუდამ,
ხარხარებს, ყვირის,
ქვაფენილზე ნაპირწყლებს ფანტავს.
ის ბორბლებზეა მუდამ შემდგარი
და თავის კვალზე ჭუჭყს და მტვერს
სტოვებს.
მოტრიალდება ზოგჯერ სოფელი,
როგორც ენიტი ნილაბაკრული,
შეელეწება თვალებში შუქი
და ჩაიჩოქების დაბრძავებული.

ეს ისტორია ქვემეხებს ისვრის.
მოიწყვეს შენზე უტიფარი ჯარისკაცებით.
შემოვა შენთან და ეზო-კარს
დაგიწიოკებს.
იცეკვებს მამა-პაპის საფლავზე,
შეაბრამუნებს შენი შვილის საყვარელ
ცოკანს
და წაგიბილწავს ყველაფერს წმინდას.

ეს ისტორია სისხლიანი ისტორიაა.
ის ქირაობს ადამიანებს,
რომ მოაქციოს ჯაშუშებად და ჯალათებად.
შემართულია დამპყრობლის ტორი
და ფხიზლად უნდა იყოს მსოფლიო.

ის მოდის შენზე პროგრესის ნიღბით,
ლამაზ-ლამაზი ფრაზებით მოდის.
დიპლომიანი ინჟინრების რაზმებით
მოდის,
განმანათლებლის მისიით მოდის.
მერე — „გათიშე და იბატონე“.
და უცცან იგრძნობ, ყველაფერი
დაკარგულია,
წაბილწულია სამშობლო შენი.

ასეთი ხვეღრი რომ აიცილო,
რაღა თქმა უნდა, იღბალიც გინდა,
წინაპრების ჩემსას
ეს იღბალი დაჰყვათ თავიდან.
ჩვენ შორს ვცხოვრობდით სისხლიანი
ბილიკებიდან,
და ისტორიის მეხთატეხა არ შეგვხვეია.
დამპყრობლის ჟინი ვერ გადმოსწვდა ჩვენს
კარ-მიდამოს.

ორი ქვეყანა. ორი სამყარო.
ერთი — თბილია და მახლობელი,
როგორც სარდაფში — ვაშლის სურნელი.
მეორეს ასდის პოლიტიკის ბინძური სუნი.

და აი, ერთი ისტორია მეორეს ებრძვის,
ერთი ამბავი, მეორეს ფარავს,
როგორც ხავსი — ვეება ლოდებს.
ერთფეროვნებას ებრძვის ბუნება.
ტყეში ვერ ნახავ ორ ერთნაირ ფოთოლს
და ღეროს,
სხვადასხვა ხმებით ჭიკჭიკებენ შაშვები
ტყეში.
მაგრამ მეორე ისტორია ებრძვის
სიმრავლეს.
მას ერთ ყალიბში ჩამოსხმული ტკბილები
უნდა.
მას ერთნაირად გაკრეჭილი ბეჭედები უნდა.
ერთფეროვნებას აშკვიდრებს ქვეყანად.

ეს ისტორია აფეთქებს ნაღმებს,
ადამიანებს სკელავს, როგორც მინდვრის
ბალახებს.
ის ჰკაფავს ჯუნგლებს, მდინარეებს
ტბორებად აქცევს.
მას უყვარს ხალხი — უფორმო მასა,
მაგრამ ვერ იტანს პიროვნებას ამაყს და
მართალს.
აი, ბუნება ანგრევს ჯებირებს,
ვერ ეგუება წმინდა სისხლი
ერთფეროვნებას,
ხალხი ხმაურობს,
საუკუნეთა სიღრმეებში ფესვგადგმული
ერი მაღლდება
და არ არსებობს ძალა, მისი დამხობა
შესძლოს.

სიტყვა იღვიძებს,
ერის გულში მიძინებული,
ლექსად, სიმღერად იფოთლება პოეტის
სიტყვა.

ეს ხალხის ხმაა —
მწერლის ენით მეტყველებს იგი.
პოეტი ებრძვის იმპერიას,
ის აშიკურებს მის შეშხარავ დანაშაულს,
და იმპერია საყრდენებს კარგავს
და იწყებს უცაბ ჰაერში ლივლივს
ვით შეეულმფრენი თვის ზვინებზე.
და სახელმწიფოც ებრძვის პოეტს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდგენს დოსიეს,
და აძევებს ქვეყნიდან გარეთ...
მაგრამ აზრები, იმპერია რომელსაც
ებრძვის,
მწერლის თავშია
და მის წიგნებს იტაცებს ხალხი,
და ფეთქდებიან ეს წიგნები, როგორც
ნაღმები.

ორი ქვეყანა. ორი სამყარო.
ისტორიები ისტორიაში.
და ერები — იმპერიაში!

გოგრამ არ იცის ღობის საზღვარი.
მიპყვება მესერს
და მეზობლის ბაღში სახლდება.
ასე ლატაკი მექსიკელები
როგორც ვირთხები, მიძვრებიან
ტეხასის შტატში —
სულ უსაბუთოდ და უარაფროდ.
იმპერიიდან გარბის ლიტველი,
და ებრაელი,
პოლონელები სტოვებენ სამშყსოს.
და არ არსებობს ქვეყნად ძალა,
ჩაკეტოს გზები;
დახუნძლულია ბარაყები ხალხით —
ყირიმელ თათრებს ენატრებათ მშობელი
მიწა.

გაორებულა ადამიანიც.
და მისი ერთი ნახევარი
სახელმწიფოში ცხოვრობს და საქმობს:
ხიდებს აშენებს და გზები გაჰყავს...
ხოლო მეორე ნახევარი მოწყვეტილია
და წყალში ცხოვრობს, როგორც ფერია.
ის ვერ ეტევა სახელმწიფო საზღვრების
შიგნით.

და სახელმწიფო ვერ მბრძანებლობს
მის სულზე უკვე.
ვეღარ აშენებს სადესანტო პატრულის
ჩავლა.

ცნობიერების ქვეყანაში ბინადრობს იგი
ვერ შეაჩერებს იმპერია რადიოტალღებს,
ვერ შეაჩერებს აზრებს და ფიქრებს,
ცნობიერების ქვეყანაში რომ იბადება.

შენ წევხარ მარტო,
მარტოდმარტო ცივ გუბურასთან,
შენ იცი მხოლოდ მისი ფასი და არსებობა.
შენ ეწაფები ამ გუბურას
და სვამ... შენს სახეს.

თარგმნა შოთა ჭავთარაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შელბი სტეფენსონი

1938 წელს. ტალახიანი გზის პირას. მახსოვს, პატარა ფერმა გვქონდა. ძაღლები გვყავდა. მამაჩემს მელიებზე ნადირობა იტაცებდა — ორმოცამდე მელა მაინც ექნებოდა მონადირეებული. სანადროდ არასოდეს წავუყვანივარ. მამაჩემი და სხვა მონადირეები დილაუთენია — საათის ალბათ ოთხზე — ძაღლებს წამოშლიდნენ ხოლმე, ისინიც ყეფაყეფით გარეთ გაენთებოდნენ და რიბირაბოზზე იყო ერთი ღრიანცელი.

ოჯახში ექვსნი ვიყავით — სამოთახიან ფიცრულში ვიდექით, მუდამ ატალახებული გზის პირას, ქალაქისაგან თხუთმეტიოდე მილის დაშორებით. ქალაქში თვეში ერთხელ დღეუქმეზე, ჩვეულებრივ, შაბათობით ჩავდიოდით. კინო პირველად თოთხმეტი წლისამ ვნახე. იმ წელს ტრაქტორიც შეეძინეთ — ფარმოლის მარკისა. ჩემი მოგონებები უფრო ჯორებს უკავშირდება — შავრასა და ნაცარას — ესენი ტრაქტორამდე გვყავდა. ბავშვობა, შეიძლება ითქვას, მდიდრულ სიღარიბეში გავატარე. ყოველ წუთს ათასი რამ ხდებოდა — ნადირობა, თევზაობა, მეურნეობა, პირუტყვის მოვლა და სხვა.

ჩემი პირველი მასწავლებლები ჩემივე ყრმობის შთაბეჭდილებები და განცდები იყო. სკოლაშიც კარგა ხანს ვიარე, მაგრამ ჩემი ცხოვრების ადრეული ხანა ახლაც ყველაზე ძლიერად ფეთქავს ჩემში. ბავშვობის წლებმა ჩემს არსებაში დაიგინეს და იმ ადგილს მიაგნეს, სადაც შუქ-ჩრდილების გარდასახვა ხდება, და ყოველთვის ძალუმად მიხმობენ, მიზიდავენ, თითქოს, შშობლიურ სახლში შეპატიჟებოდნენ.

საჯინიბოდან

სხვადასხვა მჭახე სუნით გაჟღენთილი და
ამლაბუდით დაქსელილი თაღლის
ფართო კედლები...

თავები მუდამ გაბანჯგვლული გვქონდა;
ძროხების, ჯორების,
თხუნელების, შარდისა და თევზის ფქვილის
სიმყრალეში ვეფლობოდით; —
კარის ზღურბლს რომ გადავაბიჯებდი,
ქერქივით გახეშშეული საცვალი მხეკავდა
და მწვავდა.

ამაზანა ჩვენ არ გაგვაჩნდა,
არც გამდინარე წყალი იყო ახლო-მახლო.

საცვლები მამაჩემსაც დაჭანობოდა
და ჩაყვითლებოდა.

მერე სახლიდან წამოვედი
და ალარფერი შემრჩა მაშინდელი,
გარდა ერთი გამოღეჭილი ძაფისა
რომელსაც ზოგჯერ რომელიღაც ამბავს
გადავაბამ ხოლმე.

ორიოდე დამტვერილი ჩიტი

მიდლ კრიკის ღელეს ამოვუყვევი.
მოღრუბლული ცა თითქოს უნდა
მოწმენდილიყო...
თვალი შევასწარი — ორი თუ სამი კაცი
ღელეზე გადებული მორით
გაღმა გადადიოდა.
პირველი კაცი ჩქარობდა.
გონებით წინასწართა გალერეის დარბაზებში
ვხეტიალობდი.

ნავმისადგომთან სახელდახელოდ გადებულ
ხიდზე
ფურგონები მიდი-მოდიან.
ცაში ღრუბლების სურათები იხატება —
ქვები, საფლავები, პურის
კვერები; თითოოროლა თევზაც გასცურავს...
ძეძვთან გატრუნულმა
თითქოს მამაჩემს მოვკარი თვალი.
წყალში არეკლილი ნათურების
ლივლივი სახემოფამფალებული კაცის
ლოყების თიმთიმს მაგონებს...

ახალი მიწა

გუთნის პირი ღრმა ხნულებს ავლებს,
ახალი მიწა

მსხვილ კოლბოხებად გორავს,
წვრილად იფშვნება,
სუფრის მარილივით წმინდად იღვრება.

ჯორების ნავალი სკუპ-სკუპად
და წყვეტილ-წყვეტილ
სვრელებს გასდევს და უკან ბრუნდება

საერთო რიტმის დაურღვევლად,
სანამ სვრელს გაიტანდეს კაცი
ათას რამეზე ფიქრობს—
რა კარგი ბარდა მოიწევა ამ ბარაქიან მიწაზე,

რა სასუქი მოუხდება ჩითილებს,
ცოლსაც პირის გასასველებელს მოუტანს
შინ მობრუნებული, გუთანს
ტოტებგაფარჩხული მიმოზის ქვეშ მიაყენებს,
მორზე ჩამომჯდარს ცოლი ყინულივით წყალს
მიაგებებს...

თითები მეიზონის მინის ჭილის ამობურცულ
ასოებს მონახავს
... გრძელი და ცივი ყლუპებით
ჭილს ჩამოცლის.

ინგლისურიდან თარგმნა
მიხეილ ნიშნიანიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუზან ლუდვიგსონი

ჩემი ყოველდღიური ცხოვრება იანვრიდან იელისამდე დაკავშირებულია როქ ჰილთან, სადაც ვასწავლი მწერლობის ხელოვნებას, ლიტერატურას და ვინთროპის კოლეჯში ვკითხულობ კურსს — „შემოქმედებითი პროცესი ხელოვნებაში". ბევრს ვმოგზაურობრ და ვკითხულობ ლექსებს ქვეყნის სხვადასხვა მხარეში. მყავს ორი გერი ქალიშვილი; ერთი სწავლობს სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში, მეორე კი— მათემატიკისა და მეცნიერების სახელმწიფო სკოლა-ინტერნატში. ისინი ხშირად ჩამოდიან ჩვენთან. მიყვარს მზარეულობა და სტუმრების მიღება.

იელისიდან გვიან დეკემბრამდე დროს მე და ჩემი მეუღლე (მწერალი სკოტელი) პუიერტ-ში ვატარებთ; ესაა პატარა სოფელი სამხრეთ საფრანგეთში. დღის უმეტეს დროს წერას ვუნდებით, ამასთან, ვსეირნობთ კიდეც და პიკნიკებსაც ვაწყობთ პირინეებში. ჩვენი მეგობრებია რუმინელ მსახიობთა ჯგუფი და რამდენიმე ფრანგი, რომელნიც შორიახლოს ცხოვრობენ. გასული წლის ნაწილი ჩვენ გავატარეთ როკფელერ-ბელაჯიო ცენტრში, იტალიაში, სადაც ვაგრძელებდით გეგმით გათვალისწინებული ნაწარმოებების წერას.

ბავშვის ოცნება

ბავშვმა, —ცხრა წლისამ,—
მე გადავწყვიტე:
ცისფერ რვეულში ჩამეწერა
ყოველ საღამოს,—
რაიც სულს ცხოვლად
დაეჩნდებოდა...
უმეტეს: რაიც, სულს მატკენდა
ყოველდღიურად!..

... მშობლები უკმეხ დამტუქსავდნენ,
ან — გარეშენიც!..
გამიხურვებდნენ ტვინის ხვეულებს
და უმწეობა გათანგავდა
არსებას ჩემსას!..

ან:
დედა პლაჟზე მანქანაში მიმატოვებდა
და... საათობით „საუბრობდა"
უცხო ძიასთან!..
ის უცხო ძია
დამხედავდა ყალბი ღიმილით
და ხელს მიქნევდა შორიდან დედაც!..

ანდა:
მანქანა გამიტანდა და შორიახლო
გელარე წუხვით გაჩნდებოდა
მოყაყანე ბრბო!..
... იმ ცისფერ რვეულს
მე დროდადრო ჩავიკითხავდი
და... რუდუნებით დავზრდიდი შვილებს,
რომლებიც ისე იკაშკაშებდნენ,
ვითა სხივები ჩრდილოეთისა!..

... ჩემს ცისფერ დღიურს
ლექსებივით წაიკითხავდა
ის, ვისაც სულში თანაგრძნობა
ჩაუდგებოდა,
თვალები ვისაც მოფერების
ჩუმი ცრემლებით აევსებოდა,—
ზღვაურივით მეტყოდა „ნანას"...

... არარსებული ჩემი „დღიური" —
დაუწერელი ლექსებივით წაიღო ქარმა!..

თარგმნა **გივი ძნელაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფან ი. სმიჯი

დაიბადა ისტონში 1944 წელს. ილინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ისმენდა ლექციებს ჩრდილოეთ კაროლინის — გრინსბორის უნივერსიტეტში. 1981 წელს მიანიჭეს ჩრდილო დასავლეთის ახალგაზრდა პოეტის პრიზი, 1986 წელს კი ჩრდილოეთ კაროლინის ხელოვნების საბჭოსა და ხელოვნების ეროვნული ფონდის მიერ მიღებულ იქნა მწერალთა თანამგზგობრობის წევრად. იგი ავტორია სამი წიგნისა. ცხოვრობს სამხრეთ ფაინში, ჩრდილოეთ კაროლინაში და ასწავლის მწერლობის ხელოვნებას სენდ ჰილის საზოგადოებრივ და სენდ ენდრიუს კოლეჯებში. სცემს პერიოდულ ჟურნალს.

რა უნდა თქმულიყო

ნოემბერია და შუადღე,
ეკლესიის ლამაზი ქუჩით
სამხრეთისკენ მივიმგზავრები.
გზა შლგბაუმმა გადამიკეტა...
ჩემი მანქანის სარკმელიდან
მე ვხედავ ოჯახს, —
ფეხით მიდიან:
კაცი, ქალი, ბიჭი და გოგო.
რვა წლის გოგონას დაწინწკლული
ცისფერი კაბა აცვია ტანზე
და ფეხშიშველი მიტანტალებს
შემოდგომის გაცრეცილ სუსხში.
ზეცა რუხია, ღრუბლიანი,
ბებიაჩემის ხელების ფერი.
და გამახსენდა მოხუცი ქალი
დიდი ხნის წინათ ეველონის კინოთეატრში,
კინოკრონიკის ყურებისას
გულში რომ მაგრად მიხუტებდა.
ხოლო ეკრანზე ჩემი ტოლა პატარა გოგო
ცახცახებდა გაფითრებული.
და სიკვდილისკენ მიდიოდა მატარებელი...
როცა ბებიამ უფრო მაგრად ჩამიკრა გულში,
მე ვითაკილე, უხერხულად ვიგრძენი თავი.
მოხუცი მოკვდა რახანია,
უკვე ჩემთვისაც
ფეხშიშველი პატარა ბავშვი
ფეხშიშველი ბალღია და სხვა არაფერი.
ამ ოჯახს რაღაც მაინცა აქვს თავისებური.
გოგონას თხელი ქერა თმები ძალზე სწორად
შეუკრეპია
და ცისფერ თვალებს წამწამების ჩრდილი
უბურავს.
ძმას მწვანე კეპი ახურავს თავზე,
მამას აცვია ჯინსის შარვალი,
დედა თეთრ, ძძიმე მოსასხამში გამოხვეული.
ოთხივეს ძძიმე ჩანთები მიაქვთ
გზისპირ თხრილებში მონაგროვები
თუნუქის ფერად ქილებით სავსე.
მე კარგად მახსოვს ძველ ფოტოებზე
ასეთივე ქანცგამოცლილი
და გატანჯული სახეები
ებრაელების, ბოშების და პოლონელების,
გაზის კამერის მოლოდინში
თავიანთ ნივთებს რომ ჩაფრენიან.
თითქოს იქ, სადაც უნდა წავიდნენ
და ამ ნივთებს ჰქონდეთ რამე
დანიშნულება.
გავყურებ ჩუმად ღარიბ ოჯახს, ძძიმედ
მიმავალს.
ნოემბერია. აღმფოთება და ბოღმა
მაღრჩობს.
როგორ ბედავენ ეკლესიის სამრეკლოები
ამ ჩვენს გულქვა და უბოროტეს საუკუნეში
ცაში ატყორცნას ასე ლამაზად
და ასე კოხტად გადახლართვას ხეთა
ტოტებთან.
ბოლოს და ბოლოს უნდა მივხვდე, რომ
ვერ ითქვა იგი, რაც თითქოს და უნდა
თქმულიყო.
შესაძლოა, რომ ეს სათქმელი ის იყო სწორედ,
რასაც ბებია მეუბნებოდა.
ოდეს კინოში გულში ვყავდი ჩახუტებული.
მე კი ვუცქერდი მოცახცახე პატარა გოგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილისკენ მატარებელს როგორ ელოდა.
და თან ვცდილობდი ბებიისგან თავის
დაღწევას.

ის კი უფრორე მეხუტებოდა,
თითქოს და მის ყელს უბრალოს და
სასოწარკვეთილს
მართლაც ძალუძდა სამყაროში რაიმეს
შეცვლა.

რასაც ჩვენ ვიღებთ, უმეტესად გვეძლევა კიდეც

მიტოვებულმა ფერმის სახლებმა
ფერფლადქცეულმა დასაშლელმა ძველმა
ბინებმა,
უკვე დაკარგეს მნიშვნელობა ჩემის ღრმა
რწმენით.

ოცდამეათე წელი გავიდა,
რაც ავტომობილს დავაქროლებ
პიედმონტიდან კაროლინასკენ,
ჰეინის, სთედმენს და გუმბრინჩს შორის,
ვიწრო გზების გადაკვეთაზე.
გავაქქერი ფხიზლად მთავარ მაგისტრალს
და ვითვლი ზოლებს, ყვითელ ზოლებს
წამებივით რომ წაყწიკვებენ...
ვიდრე უეცრად არ დავინახე,
ქალი, რომელიც იდგა მარტოკა.
სულ მარტოკა და ელოდებოდა.
ეს ჩემი ხშირი მგზავრობები მაშინ დაიიწყო,
როცა ზაფხულის სიცხის დემონებს
დაეპყროთ სული,
როცა თამბაქო ყვითლად ყვაოდა.
ჩემი გონებაც დაიბინდა ძძაფრი სიცხისგან.
და ამიტომაც დეტალებზე ვერაფერს გეტყვით.
მაგრამ ციცაბო ფერდობის ძირას
ბულევილიდან ასე, ერთი მილის მანძილზე
მოსახვევში მე შევამჩნიე
დობის ძირას მიბმული პონი,
წაბლისფერი პატარა პონი,
ან უფრო სველი თიხისფერი,
ამ ღობის გასწვრივ, ალბათ იგი
შარშანაც იდგა.
და მე მივხვდი, რომ მარტოოდენ ძირს
ალვის ფოთლები გამოჰყოფდნენ პონის
სილუეტს.

მთელ შემოდგომას და მთელ ზამთარს
ვხედავდი პონს და მისი დარდი,
თუკი ეს მართლაც დარდი იყო, მეც
მაწუხებდა.
მან არაფერი არ იცოდა გზებზე მიმავალ
საბარგულებზე თუ ბრწყინვალე
ლიმუზინებზე.
არც კვირეებზე, არც თვეებზე და არც წვიმაზე,
რომელიც მის ტყავს ასველებდა და ამუჭებდა.
და მე კინაღამ დავიჯერე, რომ ყოველივე
დაიყვანება ჩამოცვენილ ხის ფოთლებამდე.
რომ ყველაფერი შემთხვევით ხდება
და ეს შემთხვევა ანადგურებს კაცის
ღირსებას.

ზამთარს თან მოჰყვა ქარბუქები, თოვლი და
ნისლი,

და ამაზრზენი ქეიფ ფეარიც,
ხიდის ქვემოდან, რომელსაც ვკვეთდით
პარასკევობით და კვირაობით,
იმ ბვიანი თებერვლის მერე,
როცა ღობესთან მიბმული პონის
თოვლის გუნდები ეცემოდნენ მაღლიდან
მძიმედ.

ის კი დიდრონი, სევდიანი თავის თვალებით
მიჯაჭვული იყო რუხ სამყაროს ციცქნა
მონაკვეთს —

მე ვიცოდი, რომ ყოველივე უკვე დამთავრდა.
მე მწამს, იმ ქალმა გაიჩინა სხვა საყვარელი
დრომ და მანძილმა თავისი ქნეს,
არავითარი
უფლება არ მაქვს, რა თქმა უნდა, მისი
გაკიცხვის.

მახსოვს, ვით იდგა იგი კარებში
მკერდზე მკლავებგადაჭდობილი
და მისი სახე თითქოს რაღაცას მეკითხებოდა.
პრილი იდგა. დასავლეთის გზა ჰგავდა მწვანე
გვირაბს, რომელიც წამიყვანდა საითაც
მსურდა.

იმ შუადღისას მე რატომღაც ვერ შევამჩნიე
პონი ღობესთან, სადაც ხშირად იცლიდა
ხოლმე.

ალბათ უბრალოდ შეერწყა იგი
სოველი თიხის სანაპიროს ერთფეროვნებას.

თარგმნა ენვერ ნიუარაქემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემ რეგანი

სემ რეგანი ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ლაურეატია. იგი საყოველთაოდ ცნობილია არა მხოლოდ როგორც პოეტი, არამედ ჟურნალისტიც. სემ რეგანი ხელმძღვანელობს „პაიოლტ ინ სადერნ პაინზის“ გამომცემლობას. იგი რამდენიმე კოლეჯის და უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. ავტორია ხუთი საკმაოდ გახმაურებული პოეტური კრებულისა.

ლექსების არსი

ლექსი იბადება სხვადასხვა ადგილიდან,
ხიდან, ჩანჩქერიდან, ზღვიდან,
მიწის ნაკვეთიდან...
აქედან იწყება სრბოლა სიტყვებისა,
ალბათ ეს სიტყვები არ შეჩერდებიან,
დაუსაბამოდ ივლიან, ივლიან, ივლიან,
ეს მოგზაურობაც ამგვარ სრბოლას
ითვალისწინებს
თუმც არვინ იცის სად იწყება იგი
ან სად მთავრდება...

შეუმჩნეველი ვარსკვლავები

ერთ ძალზე ნათელ და წყნარ საღამოს
გზას ვარსკვლავები გამინათებენ,
უძრავ სივრცეს და დროს შეუცნობს
შევუერთდები,
რომელსაც ძალუძს დღეც კი ღამედ გადაქციოს.
აქ ხომ მე ვცხოვრობ,
ეს ხეც თავად დავრგე და გავახარე,
ფეხქვეშ შრიალი გააქვთ ფოთლებს
ჩამოცვენილებს,
და ხშირად, როცა ამ ქუჩაზე მარტო ვსეირნობ,
ფეხის ხმის ეჭო სიჩუმეში ხშირად გაისმის,
დილდილობით და ღამღამობითაც
ამ მდუმარებით შემოსილი გრძელი საღამოს
და შეუმჩნეველ ვარსკვლავთა ფონზე...

თარგმნა ნინო ფერეთელმა

⊠

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილიამ ჰარმონი

გათვლა

კარტი თუ დანიშნე, თავი ჭუდში გაქვს...
ერთი კოზირი!..
თაღლითი ეტლით აკეთებს სვლას,
ოთხს, სამის მაგიერ...
სვლას ნუ გამოტოვებ!
თაღლითი ეტლით აკეთებს სვლას...

ერთ არქაულ მრავლობითს
ასოებიც არ აქვს საერთო მხოლობითთან,
ერთ სახელმწიფოს — დედაქალაქთან...
აქ პირველი ციხეა... —
ერთი და ორი, ორი და სამი,
სამი და ოთხი, ოთხი და ხუთი...

მას არ სურდა საძილე აბებიდან
გა-მო-ფხი-ზლება...
ეს ღილი არ მოგწონთ? — კი ბატონო!
ეს ღილი მოგწონთ? — ინებეთ!

ბილმა მიიღო აბი...

ბურთი არ ითვლება,
ბადეში თუ არ გაეხვია...

შიშს დიდი თვალები აქვს...
კოლტიანი გოგო
გა-ვი-და...
შეგირდს როზგი არ აწყენს,
ბრიყვის საგზალი კარამდეა...

ციგა-ცხელებამ შემიპყრო...
ასო ა ასო ბ-ეს უფროსი ძმაა,
ნამდვილად!
ყელში ამოვიდა მასწავლებელთა
ამაზრზენი
მზერა...

კიდევ ერთს არა აქვს კოზირი
(კოლტიანი გოგოს გარდა.)
წავიდეს!..

ქალი დავინახე — მარტო იჯდა!..

მე მაქვს დიდი ა - ასომთავრული,
რას ნიშნავს იგი?
გზის დასაწყისს?

თარგმნა იორამ ქემერტელიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიკლ მაკ ფიი

ვცხოვრობ პატარა, ვარდისფერ და ვერანდიან სახლში პიკეტ როუდზე, ჩემს ცოლთან — ბილინდა პიკეტთან და ჩვენს ექვსი წლის ბიჭთან, ფილიპ პიკეტთან, ერთად. როგორც პიკეტები ამბობენ, ეს ბევრი ღრმად არის ფესვგადგმული ამ მხარეში. ფაქტიურად, ჩვენ ვცხოვრობთ იმ სახლში, სადაც ჩემი ცოლის მამა-პაპანი ცხოვრობდნენ და რომელიც ჩემმა სიმამრმა გვიანდერძა.

მხოლოდ ეს არ განაპირობებს ჩემს მაინცდამაინც ამ ადგილზე ცხოვრებას: მე აქ არავინ მაწუხებს ბირაოსა თუ სხვა ვალების გადახდისათვის, ეს კი მაძლევს საშუალებას, გავაკეთო ის, რისი გაკეთებაც მე მსურს. ეს სურვილი კი — ლექსების წერაა. მე მუდმივად ფულისათვის არ ვმუშაობ, რომ ვალები ვიხადო. არც ჩემი ცოლი, იგი ექიმის თანაშემწეა. ჰოდა, დიდებული ცხოვრება მაქვს, ბედნიერი: ვაკეთებ ზუსტად იმას, რაც მინდა, უფრო მეტიც, სადაც მინდა.

ჩემი სამუშაო კი სწავლებაა. დავდივარ კოლეჯებში, სადაც სჭირდებათ მასწავლებელი; მეოთხედი წლის, მთელი სემესტრის ან მთელი წლის განმავლობაში ვასწავლი შემოქმედებითად წერას. ასეთი სამუშაო მუდმივი არაა, არ ვიცი, როდის მექნება და როდის არა. ვასწავლიდი პოეტიკას ჩაპელ-ჰილში, ჩრდ. კაროლინის უნივერსიტეტში (15 წთ. სავალზე), ასევე, ჩრდ. კაროლინაში, გრეინზბოროს უნივერსიტეტში (1 სთ. სავალზე), კორნელის უნივერსიტეტში (12 სთ. სავალზე ჩრდილოეთით. მე იქ მთელი წელი დავდიოდი.), ლოუერნსიის უნივერსიტეტში (24 სთ. სავალზე ჩრდ. დასავლეთით), და ისევ ჩაპელ-ჰილში. აგრეთვე ვწერ რეგულარულ მიმოხილვებს ჟურნალებისა და რადიოსათვის და ვაკეთებ ყველა არაიძულებითი სამუშაოს, რასაც კი ვიპოვი.

ჩემი ლექსები მრავალფეროვანი შინაარსისაა. ისინი შეიძლება იყოს ჩრდილო კაროლინის მთებზე, სადაც მე გავიზარდე, ბავშვობის მოგონებებზე, ჩემს გარდაცვლილ მშობლებზე, ანდა ისეთ შემთხვევით თემებზე, როგორებიცაა ყინულის ნატეხი ან რაიმე ინსტრუმენტი. ვეცდილობ, ყოველნაირად გავამართლო ეს მრავალფეროვნების გრძნობა. ჩემი ახალი ლექსები მიმაქვს ხოლმე პოეზიის წრეში, რომელიც ყოველ შეორე კვირას იკრიბება, მერე კი ვგზავნი ჟურნალებში. ისინი დაიბეჭდა ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა „პოეზია“, „ნიეიორკელი“, „ჰადსონ რევიუ“.

ჯერ მხოლოდ ორი კრებული მაქვს: „გამჭვირვალე ჰაერი“ (1983 წ. ფლორიდის უნივერსიტეტის გამოცემა) და „დაკარგული აქტი“ (გნომინი, 1989 წ.). მესამე წიგნი გამოვა 1991 წლის მიწურულისათვის.

ციმი ფარდაგი

ნაქსოვს სიცივეს ანიჭებსო მმზინავი ბამბა,—
ამბობს ჩვენი ცქრიალა გიდი...

მე კი მგონია, რომ ამ ფარდაგში,
სულს რომ გვიხუთავს,
წლობით ნათმენი სიმწარეა შიგ ჩაქსოვილი;
რადგანაც იგი —ჩემი ბებია,—
მეუღლის, ანუ ჩემი პაპის, დამარხვის დღიდან
გულამოჭდარი დღეენიადაგ უჯდა ამ ფარდაგს,
ზედ რომ დაეწყო ქმრის ნაქონი ტანისამოსი
და საკუთარი ძველმანები...
ყოველი უჯრა ფარდაგისა —
ყვავილების კალათას ჰგავდა —
მოსირმულებს ჭრელი ფოჩებით,
და ჭეტლია სამკეთხედებით...

და ატარებდნენ მარტოობის ღამეებს ერთად
ბებიაჩემი და ეს ქმნილება —
უზომო დარდით ნაოსტატევი,
რათა რამეთი შეცვლილიყო, ცოტათი მაინც,
სიმწარე და უბედურება...

გარეთ კი თოვდა თოვლობისას, წვიმისას
წვიმდა,
დარობდა დარიანობისას... და ჩვეულებრივ
ყვაოდა ბალი, მწიფდა ხილი, დუღდა
ცხოვრება...
ის კი — ბებია —ჩამომხმარი და ჩამოჭკნარი,—
გამოხვეული მისივ ხელით ნაქსოვ ნაჭუჭში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილით ნაქსოვ გრძელ ღამეებში,—
მიილია და მიიფერფლა
შვილების ყრუ და მუნჯ საწოლებთან...

მერე ფარდაგი ეფარა კუბოს
და იდგა ბიძა თავდახრილი,
ლოცულობდა და ცრემლს იწმენდდა...
მერე ფარდაგი —ახვეული საგულდაგულოდ,
იმ ჩემმა ბიძამ მე გადმომცა, ვით ბაირაღი.
და აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა
სასოებით ვინახავ ფარდაგს,
რომელსაც ცხელი საფენივით წამოვიფარებ
ძილის წინ ტანზე...

პირველი რადიო

იაპონური პლასტმასის რადიო
პლასტმასისავე შავი ზოლებით,
რაღაც ყვითელი მორთულობით,..
ყურისხელა რუპორი გამოსცემს
ლურსმნებივით ჩხვლეტია ხმებს.

ჯიბეში ზუსტად თავსდება, სიგარეტის
კოლოფივით,
მისი უჩინარი გულისცემა ჩემსას ეხმიანება.

საუზმეზე, შესვენებაზე, ავტობუსში
მისი ყოველი ჩქამი ყღერს
მსოფლიო არსის მომაჯადოებელ კოდებად...
მოაჯარებს ნათელ დროშებს
დაკეცილი ანტენის ირგვლივ
როგორც საცოურს მანტლის, კოუფაქსის და
გობსონის მოსაზიდად.

ღამით კი, ბალიშის ქვეშ ჩაჩურთულა,
როგორც ჯადოსნური თესლი,..
მე ჩავიძინებ, რომ გავეცალო დიდი ქალაქის
დაყურსულ ყბედებს
და გადავევლო ღრუბლების საფარს შორს,
ცხრა მთას იქით,
როგორც სიზმარში...

თარგმნა იორამ ქემერტელიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტა დოუვი

რიტა დოუვმა 1984 წელს მიიღო პულიტზერის პრიზი ლექსების კრებულისათვის „ტომასი და ბელაპი“. მისი პოეტური კრებულებია „ყვითელი სახლი ქუჩის კუთხეში“, „მუზეუმი“, 1985 წელს გამოვიდა მისი მოკლე მოთხრობების კრებული „პირველი კვირადღე“, მას მოჰყვა კრებული „სპილოს ძვლის კარს მიღმა“. ქალბატონი დოუვი ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორია.

ადმოსავლეთევროპული ეკოლოგები

I

ეს მელოდიური
ციხე: ბრბო
დაძრწის
სოსისის დახლთან.

II

ჩვენგან ერთ-ერთი
დაიტანჯება. ნუ გაინძრევი,
ნურც ხმას გაიღებ.
შენ წარმოსახვითი არსება ხარ.

III

სიჩუმე მაგიურია,
მინდვრები ნაკელითაა გაჯერებული,
ჰაერში ხორცის სუნი ტრიალებს.

IV

ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა
სოფელს უნდა შეაფაროს თავი, —
ამით ავიცილებთ
კარსმომდგარ არეულობას.

V

ვინ?
უმიზეზოდ რატომ აკეთებს.
არ აქვს უფლება.

VI

ახლა საუკეთესო დროა
სოფელში წასასვლელად...

თარგმნა მანანა გაბეჩავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონ ბეიზი

რონ ბეიზი ცნობილი მწერალი, პოეტი და გამომცემელია. მისი პოეტური კრებულები პრემიებით აღინიშნა. წარმატება ხვდა წილად კრიტიკულ ნაშრომს ჯონ რიდის შესახებ. ამერიკის მრავალ შტატის უნივერსიტეტსა და კოლეჯში მას იწვევენ როგორც საპატიო პროფესორს იაპონური ლიტერატურის დარგში.

ამჟამად რონ ბეიზი ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ლიტერატურული ჟურნალის „სენტ ენდრიუს“ რედაქტორია.

შეხვედრა

ღრუბლები, ბალახი, ქვები
დიდი და პატარა ერთად,
ღმერთი,
თან
ბედი,
რა გინდა მეტი?
შეეხვდეთო მალე,
თუ კიდევ მეტყვი,
თუმცა ჩურჩულით
და მაინც მეტყვი,
არც გიპასუხებ...

პირველი წერილი

წერაში ცხადდება სიყვარულის
მარადიული სული.
ჯონ კლაიარი

როგორ დავიწყო,
არც კი ვიცი, ჩემო ძვირფასო,
რაც უფრო შორს ხარ,
ყველაფერი უცხოა ჩემთვის.
ის რაღაც, ის რაღაც ძალზე ძვირფასი,
რაც რომ მე შენში ასე მიყვარდა —
დარჩა თავისთვის,
დარჩა მარტო,
მიუკარებლად.
ახლა გიტყდები,
ადრე ამას ვერც კი გეტყოდი...
ის კი ორივემ კარგად ვიცით,
რომ სიყვარულის ნანატრ პირობას
ხშირად დრო შთანთქავს.
ჩვენ რა უნდა ვქნათ?
მოგონებებში თუ გავაცოცხლებთ
მთებსა და ლურჯ ზღვას,
იმ ნაზ საყურეს,
გაფრენილ სიტყვებს,
ფოტოსურათებს დავაკვირდებით,
დაგვიბრუნდება განშორების სევდა
და ცრემლი, ის ძველი ცრემლი
გულწრფელი და მარადიული
და მაინც მჯერა,
შენი ღიმილი
აღადგენს კვლავაც
იმ ჰარმონიას,
იმ დაკარგულ წლებს,
იმ ნაზ სიყვარულს...

თარგმნა ნინო წერეთელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ჯორჯაძე

მამონას მონა

ვიღაც რეგვენმა ხელმეჩი ისროლა...

გალიაში გამომწყვდეული მტრედები ფრთების ტყლაშუნით რკინის ბადეს მიაწყდნენ და აფრენის საშუალება რომ ვერ მიეცათ, მოუსვენრად აღელდნენ.

ჰაერში დენთის სუნი დატრიალდა...

ქარმა წამოუბერა, ფანჯრის თეთრი ფარდები ქუჩისკენ გაწელა, ბაირაღებივით გააფრიალა და სახატავი მაგიდიდან შიშველი ქალის ესკიზებით დაჯღაბნილი ფურცლები, წვერწამახვილებული ფანქრები, ფუნჯებთან ერთად, დასერილ-დალაქავებულ იატაკზე ხმაურით გადმოყარა. მერე კარი გაჯახუნდა, თითქოს სახლში ვიღაც შემოვიდა.

— დედა, შენა ხარ?

პასუხი არავინ გასცა.

— არშაკოვნა, შენ ხარ-მეთქი?

პასუხი კვლავ არავინ დაუბრუნა. ოთახებში მკვდრის დუმილი სუფევდა.

ტიტემ დარუმბებულ-დამძიმებული თავი საწოლიდან, როგორც იქნა, წამოსწია. მერე ჭაშანაჭამი ინდაურივით დარეტიანებულმა შემოიარა ოთახები, ფანჯრიდან ცერად გახედა მოპირდაპირე სახლის ჩუქურთმიან აივანზე ჭერში მიმაგრებულ სამტრედეს, საწვიმრად შემზადებული შავ-მონაციისფრო ქულა-ქულა ღრუბლებით ნაადრევად ბინდდაკრული ქალაქს, ბოლომდე გადებული შემოსასვლელი კარი დახურა და კვლავ თავის სამუშაო ოთახში დაბრუნდა. აქვე იყო მისი სასადილოც, საძინებელიც, სხვა ოთახებში თითქმის არც შედიოდა...

წუხელ ცოტა ბევრი მოუვიდა, ახლა წყურვილი ჰკლავდა. ზიზღით გახედა ლიტრიანში ჩარჩენილ ჭაშის არაყს (არაყს კი არა, — სპირტს!), „ბორჯომი“ ჩაირაკრაკა ყელში და თითქოს თვალუბშიც გამოიხედა. ფეხებთან დაყრილი ესკიზებით დაჯღაბნილი სახატავი ფურცლები წამოკრიფა, გადაათვალიერა, თვალი ჰკიდა მაგიდაზე გაშლილ გაზეთსაც, რომელზეც ცარიელი ჭიქები იდგა და რომელშიც მთელ გვერდზე მისი ლექსები იყო დაბეჭდილი. არ გაჰკვირვებია, რომ არ უხაროდა; ფურცლები უხალისოდ მოისროლა სამუშაო მაგიდაზე და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა. რამდენ ხანს მძინებიაო, მხოლოდ ეს გაიფიქრა, მაგრამ ჯერ ბოლომდე არ გამოხსნოდა ბახუსსა და ძილ-ბურანს; ახლა თავიც სტკიოდა და კუჭიც, გულიც და თითქოს სულიც...

გუშინ ახალგაზრდულმა რესპუბლიკურმა გაზეთმა პირველად დაუბეჭდა ლექსები, სარედაქციო წინამძღვარით მთელ ქვეყანას ამცნო, ნახეთ, რა ხალასი ნიჭით დაჯილდოებული პოეტი მოგვევლინაო. აღნიშნავდნენ იმასაც, რომ ტიტე კორკოტაძე შესანიშნავი ფერწერული ტილოების ავტორიც გახლავთ, ‘ბარშან ოფიციერთა სახლმა პერსონალური გამოფენაც მოუწყოო და, ყოველივე თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყოს, გულგრილობისა და განურჩევლობის საშინელი განცდა დაპატრონებოდა. არადა, როგორ მოელოდა ამ დღეს, ბოლო დროს რა ტანჯვა-წამება არ გაიარა, რომ როგორმე დაეჯაბნა შინაგანი მერყეობა, შიში, სიმხდალე... თითქოს დაიბრუნა ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობის, ცხოვრების, ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლისათვის აუცილებლად საჭირო ყოველსშემძლე რწმენა, წარმოდგენილ-წარმოსახული მეტოქის დაჯაბნის, ამისათვის საჭირო თავგანწირვის,

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუპოვრობის თვისებები, აღიცა ახალ-ახალი იმედები (და არცთუ უსაფუძვლოდ, შეიძინა ახალი სიამაყე და, რისთვის?... თვით გუშინ, განუზომელი სულწასულობით, მაგრამ დაბრძენებული კაცის პატივმოყვარული სიდინჯით საღებავშეუმშრალი გაზეთი გამოიტანა სტამბიდან, ყველი მუშის განგებ ჩამოართო ხელი, ესე იგი, მიცნობდეთ, ამ ლექსების ავტორი მე გახლავართო, რედაქციაშიც განგებ, ვითომ მაღლობის მოსასმენლად, სინამდვილეში მათგან საქებარი სიტყვების თუ აღფრთოვანებული შეძახილების მოსასმენად შეიარა, მაგრამ რა გამოვიდა აქედან, ვინ მიაქცია ყურადღებაზ? ის კი არა, ვიღაც ახალგაზრდა კაცი, რომელიც, რა თქმა უნდა, პირადად არ იცნობდა ავტორს, თანამშრომლებს მთელი სერიოზულობით უმტკიცებდა, ასეთ მდარე ლექსებს, ამგვარ აღფრთოვანებულ წასაძღვარს არ უნდა უკეთებდეთო, ისინი კი, ერთი სიტყვითაც არ ეწნინააღმდეგებოდნენ, არავინ ეუბნებოდა, არ ხარ მართალიო.

კიდევ კარგი, არავის შეუნიშნავს, — გულგასიებული და სახეზე ალმურმოდებული მაშინვე გაიძურწა რედაქციიდან. შინ კი არ მიდიოდა, მირბოდა და ერთი სული ჰქონდა, დროულად შემძვრალიყო საკუთარ ოთახში, რომ ხმამაღლა ლანძღვა-გინებით იქ მოეოხებინა გული, ვიღაც ხელმოცარული, ოვითონ უნიჭო პოეტი იქნებოდა, იძახდა მთელი სალამო, თან სვამდა, ასე ცდილობდა თითქოს დამშვიდებას და, დღეს აღარც გინება სურდა, აღარც საერთოდ ხელოვნებაზე ფიქრი; დღეს ერთდროულად სტკიოდა თავი, კუჭი, გული, პირიც გამუდმებით უშრებოდა, ანუ კლასიკური გაგებით იმ მდგომარეობაში გახლდათ, როცა გამოცდილი ხალხი ისევ სასმელით მკურნალობს საკუთარ თავს და ვიდრე ერთ ჭიქას მაინც არ გადაუშვებენ გამოშწვარ-გამოთუთქულ გვამში, ქვეყანა რომ იქცევდეს, არაფერი ანაღვლებთ, არაფერი ადარდებთ. მაგრამ ტიტეს ახალგაზრდული ბუნება ჯერ არ ლებულობდა მკურნალობის საზოგადოდ აღიარებულ ამ მეთოდს, ლიტრიანში ჩარჩენილ არაყს რომ ხედავდა, იმაზეც გული უწუხდა, სახე თავისით ეღრიჭებოდა და გულისუბიდვის შეგრძნება უნნდებოდა. არადა, „ბორჯომიც“ აღარ ჰქონდა, ბოლო ბოთლი ის-ისაა ბოლომდე შემოეწრუპა.

— მორჩა, გათავდა,— ჩაილაპარაკა ხმამაღლა და გადაწყვიტა, ცხოვრებაში სასმელს აღარასდროს გაჰკარებოდა, ერთი ჭიქაც არასდროს შეესვა...

სახეზე ცივი წყალი შეისხა, ოდნავ გაგრძელდა, თითქმის გამოეხეხლდა, ჩაიცვა, ხელადე ცარიელი ნახევარლიტრიანებით ვაკაპო და „ბორჯომის“ მოსატანად გაეშართა. ვარეთ გასასვლელი კარი რომ გააღო, დასაკეტად მეორე მხრიდან გასაღები კი გაუკეთა, მაგრამ უცბად ყველფერი დავიწყდა; თითქოს უარესადაც გამოშტერდა, ადგილზე გაშეშდა და პირდაფჩეწინლმა თვალები გაოცებით აფეთხრა. იქვე, კიბის თავზე, ვიღაც ახალგაზრდა გოგო იდგა, რომელსაც ერთი ჩანთა მხარზე გადაეგდო, მეორე, საკმაოდ მოზრდილი კი ფეხებთან ედო და ოდნავ მოღიმარი სახით მოსჩერებოდა.

ტიტემ თვალები კვლავ აფეთხრა, არა უშავს, ნაბახუსევზე გამოიყვანდაო, გაიფიქრა და უკეთ დაკვირდა, ვინ უნდა ყოფილიყო, ან რა უნდოდა მისგან...

გოგო გაოფლილი ჩანდა, ცოტა დაღლილი და თითქოს რაღაცით შეშეზრებულ-შეწუხებული. ერთი შეხედვით, მას სიფლური იერი დაჰკრავდა, ქალაქელივით ქოქათა თეთრი და ფერმკრთალი კი არ იყო, ნახსა და გლუვ კანში საკმაოდ გასჯდომოდა მთის თუ ზღვის ჯანსაღი მზე, ვარდისფრად აღუებული ლოყებთან ერთად, მოყავო-მოვერცხლისფროდ უბზინავდა მოგრძო, მოყვანილი სახე, მაღალი ყელი, ოდნავ შესქელებული მკერდი, დაპუტკუნებული მკლავები, ერთმანეთის მიტყუპული სწორი კანჭები. მხარზე წინ გადმოგდებული მსხვილი წაბლისფერი ნაწნავი და ბრტყელი შავი ქამრით წელში მაგრად გაჭერილი უსახელო ფარფაშა წითელწინწყლებიან ლურჯ კაბაზე თეთრი მოკლეყელიანი წინდებიც თითქოს მის პროვინციულ წარმომავლობაზე უსვამდნენ ხაზს, მაგრამ სახე მეტად ინტელიგენტური, ნათელი და დახვეწილი უჩანდა, თვალები — დღეადაც წიგნებში მაცქერალი, სწორედ ისეთი, ზოგ ქალაქელს რომ ახასიათებს და, ტიტე დაიბნა.

— „ვინ არის ეს ქალი, ასეთი ვარდისფერი?“ — ჩაილაპარაკა ნაძალადევი ღიმილით და თითქოს იცნო კიდეც. ჰო, ნამდვილად ის არისო, გაიფიქრა და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ გაუბედავად ამოოქვა: — თინიკო, შენ?...

თინიკოს გაშრისფერ თვალებში სინათლემ იმატა, მაგრამ პასუხი არ დაუბრუნა. მხოლოდ უფრო მეტად გაუბადია სახე და სუნთქვას მოუჭშირა.

— როგორ გამოცვლილხარ, — თქვა ისევ ტიტემ, — დაქალებულხარ და დამშვენებულხარ... აჭ რას ვუდგავართ? — უცბად დაფიცურდა, ხელჩანთას წაეტანა...

— არა, ტიტე, — ხელი უტიცა ჩანთაზე თინიკომ, — მე ერთი წუთით... მაინტერესებდა, როგორ ხარ, რას აკეთებ, რაიმე ამბავი ხომ არ იცი...

— თინიკო გიჩუქდა. ტიტემ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და მცირე ხნით თვითონაც დადუმდა. გარდასული დღეთა მწარე ამბებმა დააპირა თავის შეხსენება.

— ჩვენ, ალბათ, ახლა ერთსა და იმავე დამიანზე ვფიქრობთ, — თქვა ბოლოს ტიტემ.

— ალბათ, — დაუდასტურა თინიკომ და კვლავ მსახვრალმა ფიქრმა მოიტაცა ორივეს გონება. მერე უცბად მძლავრად გაიელვა, სადღაც ძალიან ახლოს საზარლად დაიგრუხუნა, ორპირმა ქარმა კარიც გაიჯახუნა და გამოფეხზოლნენ კიდეც.

— წავედი ახლა მე, — უკან დაიწია თინიკომ.

— არსადაც არ გაგიშვებ, — მაჯაზე სწვდა ტიტე და სახლში ლამის ძალით შეიყვანა. სიტყვის თქმა არ აცალა დაბნეულ გოგოს. თავბრუ დაახვია უსუნთქველი ლაპარაკით. — ვერ ხედავ, როგორ გაალამაზა ბუნებამ? — ეუბნებოდა იგი, — აგერ, გაწვიმდა კიდეც, იქნებ სეტყვამაც წამოუშინოს! გადაიღებს და წახვალ, აბა, რას იზამ? მე კი, „ბორჯომს“ ვიყიდი და ორ წუთში აქ გავჩნდები; ორ წუთში!...

ბოლო სიტყვებს რომ წარმოთქვამდა, ცარიელი ბოთლების წკარაწკურით უკვე კიბეზე ჩაბრაგუნებდა. მერე გულხეთქვილით შემოირბინა მაღაზიები, „ბორჯომიც“ იყიდა, ძეხვიც, კვერცხიც, პურიც და, ყოველ შემთხვევისათვის, ბოთლი არაყიც (სულ გადაავიწყდა, რომ პირობა დადო, ცხოვრებაში ახლოს აღარ გავეკარებიო!). სადარბაზოში რომ შემოვარდა, თავთა-ფეხსაძე გაელეშპული იყო. არც ნავაჭრს ედგა კარგი დღე, მაგრამ ტიტეს ფიქრი მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ თინიკოს დასტრიალებდა, თვალწინ წამოშლოდა წუთები, როცა უკანასკნელად მასთან ისაუბრა, ეხვეწა, ხვალ ჩემთან შევიკრიბოთო. „შეკრება“ კი, ამდენი ხნის შემდეგ შედგა, და თანაც როგორ! — ბარგი-ბარხანით მოადგა კარზე... არც კუბოსავით ვიწრო ოთახში გატარებელი წუთები ეხსენებოდნენ, დროდადრო ყურში ჩაესმოდა გურგენიჩის გამაღიზიანებელი შეკითხვა: „მართალი ვარ?“...

„არ უნდა დამეკავებინა, — გაიფიქრა ტიტემ, — თქვა წავალო და, რაღას შევათრიე სახლში, წასულიყო თავისი გზით მშვიდად, წუნარად... ახლა, რაზე ველაპარაკო?“...

მიხვდა, რომ მის ცხოვრებას სიმშვიდე არ ეწერა. აკდებული ცოდვა, როგორც ჩანდა, არასდროს ჩამოეცლებოდა ზურგიდან და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არა და არ მოასვენებდა.

„მაგრამ ისინი ისედაც დამნაშავენი იყვნენ! — თავის გამხნევებება სცადა ბოლოს, — ჰო, ალბათ, გამყიდველები და ხალხის მტრები იყვნენ და ყოველივე ჩემზე უკეთ იცოდნენ!... მათ ხომ ისიც იციან, საკუთარ ყანაში კაცი ჭიანჭველას ფეხს რომ ადგამს..“

ამჯერად აღარ ჩჭარობდა. კართან იდგა და ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, რომ თინიკოს რაიმე ექნი არ გასჩენოდა. ან, ვინ იცის, იქნებ ასეთი ეჭვი უკვე ჰქონდა აღებული და ვერბიჭა, დამბეზღელის თვალებში სურდა ჩაეხედა (თვალებიდან ხომ სიკეთეც იმზირება და სიბოროტეც, სიწრფელე-სისპეტაკე და ყოველგვარი სისაზზღრეც!...) უჭუდბეღობა მის თავზეც კი ტრიალებდა, ზოგიერთებივით თვითონაც იყო ცხოვრებისგან გაქელილი. ბოლოს და ბოლოს, უსორმაგი, გაბიჯებული არასდროს ყოფილა და ხმალისერდებული ვერავის წინაშე წარსდგებოდა, მაგრამ შეეძლო მამა აბრამის ბატკნად სჩვენებოდა მას, ვისაც ზღვა ტკივილი არგუნა თავისი დაუფიქრებლობით, თუ პირველობისადმი სწრაფვით აღძრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღირსი, გნებავთ, ღირსეული საკვლელით?!. ისევ ნიღაბი უნდა აეფარებინა სახეზე, სხვა გამოსავალი არ ჩანდა. ნელ-ნელა დაიბრუნა თინიკოს ნახვით ვითომ გახარებული გამოეტყვლება და კარს მიაწვა...

...

— შენ ისევ ფეზზე დგახარ? — ყასიდად გამოელაპარაკა მისაღებ ოთახში შესასვლელთან ატუზულ გოგოს და ზედ არ შეუხედავს, მხიარულად განაგრძო. — ხედავ რა დღეში ვარ? შენ კი ძანდები, წაგალო... — პირდაპირ სამზარეულოში გავიდა და იქიდან გამოსძახა: — თუ არ შეწუხდები, მომეხმარე, რა!... მგონი, კვერცხები ჩამმტვრევია!...

დაწყებას არა უშავდა, ფანდმა გასჭრა: თინიკო ნავაჭრის ამოლაგებაშიც მიეხმარა და, რასაც ტიტე ვერ წარმოიდგენდა, ერბოკვერცხის გაკეთებაშიც. იგი არც ისეთი მორცხვი და გაუტეხელი აღმოჩნდა, ერთის შეხედვით რომ გამოიყურებოდა. ეს გაპარებული, კოეზსიპირა გოგო მალე გაშინაურდა. დაიგული თუ არა საქმე (არადა, მარტოხელა კაცის ხელში ჩავარდნილ სამზარეულოში საქმეს რა გამოლევს!), ჯარასავით დატრიალდა და ისეთ რაღაცებსაც წაეტანა, რასაც არავინ ავალებდა.

პირველ წუთებშივე, გამოიცალა თუ არა სველი ტანსაცმელი და ნაწილობრივ მაინც დაიბრუნა ადამიანური სახე, ტიტეს გამუდმებით სურდა დატუქსული ძაღლივით თავი სადმე დაემალა. შიგნითაც გულ-მუცელში რაღაც მოუსვენრობა ასტეხოდა, სტკიოდა თავი, სული ეზარნიბოდა ყელში და სალაპარაკოდ სიტყვებს ვერ პოულობდა, სითამამე აკლდა... სულ ცოტა ხნის წინ ტყვილად დადო პირობა, სასმელს აღარ გაგეკარებიო. თავის სამუშაო ოთახში „შეიპარა“, ლიტრიანში ჩარჩენილი არაყი პირდაპირ ბოთლით მოიყუდა და ღრეჯა-ღრეჯით ბოლომდე ჩამოკაფა. მერე ყველფაფერი თავისით გამოსწორდა, — გაუქრა ყოველგვარი ტკივილი, გაეხსნა სუნთქვა, თინიკოსაც სხვა თვალით დაუწყო ცქერა, მალიმალ ჩახედავდა ხოლმე ფარფაში კაბის მკერდმოხსნილ უბეში და ლაპარაკის სადერეფელიც თავისით აეშალა. სიამაყით გაუფრიალა გაზეთი უცბად გადიასახლებულ ციბრუტივით მოტრიალე გოგოს, აქ ჩემი „მდარე“ ლექსებია დაბეჭდილია; მერე საერთოდ პოეზიაზე, ხელოვნებაზე გადაიტანა საუბარი; რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ერთადერთ ჭეშმარიტ მხატვრულ მეთოდს — სოციალისტურ რეალიზმს, რომელსაც „შემოქმედებაში“ თვითონ ეყრდნობოდა და, რომელიც თურმე უკვე საერთაშორისო მოვლენად იქცა და ამჟამად ფარფად ვრცელდება ბურჟუაზიული ქვეყნების პროგრესულად მოაზროვნე ხელოვნების წარმომადგენელთა შემოქმედებაშიო, მაგრამ თინიკოს ლაპარაკში აყოლიება არც ისე იოლი აღმოჩნდა. იგი თითქოს ვერ ამჩნევდა ტიტეს ამღვრეულ თვალებს, თავისთვის საქმიანობდა, თან დროდადრო შეეხედავდა ხოლმე მისაღებ ოთახში კუთხეში მიდგმულ უშველებელ საათს და ეთქვა მომენტში, როცა ტიტე „ბორჯომს“ მიირთმევედა, მაშინ ჰკითხა:

— ეტყობა, დედათქვენი ძალიან დაკავებულია, არა?

ტიტეს სახე შეეცვალა, შეეშინა, რომ ოდნავ წაეხდა გუნება.

— ბევრი ჟურნალია გასარეცხი? — ვითომ ზერელედ ჰკითხა: სამაგიეროდ, ეტყობა, შენ არ იცი, რა ხდება ჩვენთან უფრო სწორად რა მოხდა

— საიდან მეცოდინება? — მხრები აიჩეჩა თინიკომ, მამის დაპატიმრების მეორე დღესვე, სანამ დედასაც დაიჭერდნენ კეთილმა ხალხმა რომ გამაფრთხილა, მას შემდეგ თბილისში დღეს პირველად ჩამოვედი. სამწუხაროდ დეიდაც მივლინებაში დამხვდა წასული. ჩემმა წერილმა ვერ მოუსწრო. სხვა ვინღა დამრჩა? ერთი, ორი თანაკლასელი და ისინიც სადღაც მიიმალნენ. როგორც იტყვიან, მტრისშვილთან შეხვედრა არავინ ისურვა. ალბათ ისიც გეცოდინება, რომ ჩვენს ბინაში მაშინვე ვიღაც შეასახლეს.

— გამოდის, ღამის გასათევი არ გაქვს? — გულის ფარცქალით ჰკითხა ტიტემ და მაშინვე წამოწოლილა, ჩემთან დარჩენას ხომ არ აპირებსო, თინიკოს გაეკიდა.

— უკან ვბრუნდები, — ფარფაშა კაბის უშველებელი ჯიბიდან ორი სველი თითით ბილეთი ამოიღო, ტიტეს დაანახვა და ისევ ჩაიდო, — მატარებელი ღამის პირველს ნახევარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადის და ვიფიქრე, მანამდე ნაცნობ ადგილებს მოვინახულებ-მეთქი, აგერ, შენც შემოგიარე...

— აბა, საქციოდან მთელი ქორწილის დრო გვქონია — სახე გაუბრწყინნია ტიტეს, მაშინვე არყის ბოთლი მაგიდაზე შემოდგა, — მერე მე გიგაცილებ. ტრამვაი ვეივინობამდე დადის. მალე ალბათ წვიმაც გადაივლის, აბა, რას იზამს!... არ გადაილებს და, მამის დიდი საწვიმარი მაქვს, ფეიდის ქოლგა...

თინიკო ამ დროს წინ გადახრილი სუფრის აწყობდა და უნებურად თვალი შეასწორო, ტიტეს მის უბისკენ რომ ჰქონნია მზერა მიპყრობილი. გაეღიმა, მაგრამ არაფერი აგრძნობინა, მხოლოდ წელში გაიმართა და თმილად, თითქოს თანაგრძნობით უთხრა:

— არა, ტიტე, მე ახლა დაგტოვებ, როგორც ხედავ. ბინდდება.

— კი ბატონო, წავიდეთ, — მაშინვე ხელები ასწია ტიტემ, — ოღონდ, უკაბშოდ მაინც ვერ გაგიშვებ და ამაზე ტყეულად არ მეკამათო. კარგი?

კამათი არ შემდგარა. „საჭორწინო სუფრა“ მისადგა ოთახში გაიშალა. თინიკო მშიერი აღმოჩნდა...

ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, ყურს უგდებდნენ წვიმის გაბმულ ხმაურს და მადიანად შეექცეოდნენ. ტიტე გრძნობდა, როგორ აწვებოდა თვალებში არაყი, აღიზიანებდა და უმღერვედდა ტკინს, რასაც ალიკუდა თინიკო მშვენივრად ხედავდა, ამჩნევდა. ალბათ, ამიტომაც ბიუს პატივმოყვრული ბუნება უფლებას არ აძლევდა მთლად სულელებული ყოფილიყო, კირკაკი კაკალივით თითქოს არ აპირებდა გატყდომას, ერთხანს ეცადა ეჩვენებინა, როგორც ქალი სულ არ მაინტერესებსო, თავი მამალი ინდაურივით გაყვინნჭული ეჭირა, მაგრამ ყოველი ლუკმის გადაყლაპისას ქვეშქვეში მზერა მაინც მისკენ ჰქონდა მიპყრობილი და ასე ხდიდა საცნაურს თავის წადილს, შიშს, სისუსტეს... და არც იყო ამაში რაიმე გასაკვირი. სხვა ვისთვის შეეხედა?... ან რატომ არ უნდა შეეხედა?... ოჯახს, რომელსაც არავინ ეკარებოდა, დღეს ეს გოგო ამშვენებდა და ალამაზებდა. სიეოცხლით აღავსებდა და რაც უფრო ახლოვდებოდა განშორების წამები, გული მასთან სიახლოვეს, მოფცერებას სთხოვდა. ამ ავადმყოფურ შეგრძნებას ისიც უმძლავრებდა, რომ თინიკო გაწყრომის ნაცვლად, სულ უღიმოდა'და უტყვი მზერით თანაგრძნობასაც უცხადებდა, თითქოს შორიდან ეუბნებოდა, მეც კი მინდა ლიდიაზე მეტად, მაგრამ აზიელობა მიშლისო ხელს... მერე და მერე, თანმიმი ნაღვლიშემპარული ღიმილით თვალს ადევნებდა მის უმნიშვნელო მოძრაობასაც ეკ ([illegible]) [illegible] ([illegible]) ([illegible]) ([illegible])

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელად.

— როგორ გითხრა, — თხელი მხრები შეარხია თინიკომ, — „საღამო ნელდება და კვდება ვარდები...“ მომიყევი რამე, რა ხდება, როგორ ცხოვრობ, რას აკეთებ...

— მართალი ხარ, — თქვა ტიტემ და პატარა ჭიქები არყით შეავსო, — არ ღირს მას მივუძღვნათ თავი, რაც სიცოცხლესავით წარმავალია და სიკვდილივით ყველაფერს არარაობად აქცევს; რაც არც მოსვლას გვეკითხება და არც წასვლას!... მამაჩემის ხსოვნის სადღეგრძელო იყოს. შენს მშობლებს კი ვუსურვოთ მალე დაბრუნება, — ჭიქა ჭიქაზე მიერტყა, თვალები აციცქვნა და ისე დამატა: — სხვათა შორის, ვინც ამას არ დალევს ნატვრა არ უსრულდება მარტო ახლა კი არა, არასდროს.

დაუნდობელი, შეუბრალებელი პირობა იქნა დაგდებული მარტივად, უბრალოდ. როგორი მოსასმენია ნატვრა არ აგისრულდებიო! მცირე ყოყმანის შემდეგ, თითქოს დანაშაულს სჩადისო, თინიკომ ხელის კანკალით აიღო არული სავსე ჭიქა, პირთან შიშით მიიტანა, წამით გაირინდა, მერე თვალები დახუჭა და დამანჭული სახით ტიტესავით უცმაზ გადაკრა. მაგრამ დამახრჩობელ სიმწარეს შედარებით იოლად გაუმკლავდა წყლის სასწრაფო დაყოლებით; ოღონდ ჩემი საყვარელი დედიკო და მამიკო ცოცხლები დამიბრუნდნენ და გინდ დარიშხანს დალევენო. და, ალბათ, არა მარტო ამისთვის, — ვინ იცის, ან ვინ გაუგებდა, რამდენი ნატვრა ჰქონდა გულში ჩამარხული. იქნებ ამიტომაც კიდევ ერთი სადღეგრძელო შესვა, რა თქმა უნდა, ტიტეს წინადადებით, მაგრამ თავისი ნებით, — იმ უდანაშაულოდ დაპატიმრებული ხალხის, რომლებიც უგზოუკვლოდ გაქრნენ, სადღაც გადასახლეს, თუ უკვე დახვრიტეს.

„სიტყვას საოცარი ძალა აქვს...“ — გაიფიქრა ტიტემ, ერთგვარად კმაყოფილმა ქვეშ-ქვეშ ჩაიღიმა, თუმც იმავდროულად რაღაც არ მოეწონა, არ ესიამოვნა. სრული კმაყოფილება წაუტდინა, ალბათ, იმან, რომ შინაგანად მაინც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ლიდიას მტკიცებას, თქვენს ქართველ გოგოებს ჩვენზე მეტად უნდათო. და თუმც დედის გათხოვების შემდეგ ამ „თეორიით“ ხელმძღვანელობდა კაპიტბოთან ურთიერთობაში, ყველა ლამაზ გოგოს დანახვისთანავე გონებაში ტანსაცმელს ხდიდა და აშიშვლებდა, გულის რომელიღაც კუნჭულში მბზუტავი მცირე იმედი თავისთვის მაინც ბუტბუტებდა, პატიოსნებაც არსებობს, რის მაგალითსაც სწორედ ქართველი ქალები იძლევიანო. თინიკო კი, თითქოს ამ მცირედ იმედსაც აკრობდა და ავერანებდა, სპირტივით არაყს წინააღმდეგობის გაუწევლად მიირთმევდა და იმ წისქვილზე ასხამდა წყალს, ბუბუნით რომ მოსძახოდა, დაიჯერე, ლიდია ცამდე მართალიაო... ორიოდე წუთი არ იყო მას შემდეგ გასული, რაც ტიტემ თავის იმედგაცრუებულ ცხოვრებაზე დაიწყო თხრობა, რომ ამ „პატიოსან“ გოგოს თვალების გაელშება დაეწყო, ხასიათზე მოვიდა და, ვინ იცის, კაცი თუ მოინდომებდა, იქნებ სხვა რამეზეც არ ეთქვა უარი. უკვე ლაპარაკს აღარ აცლიდა ტიტეს, აწყვეტინებდა სიტყვას. თავის აზრს თამამად გამოთქვამდა.

— რა თქვი, რას ეპირებიო? — ჩააცივდა ერთ მომენტში, — სამხატვრო აკადემიაში არ შევალ და ჯარში წავალო? გულით ამბობ ახლა ამას შენ?

— მე შენ გეტყვი, რამე მაკავებს, — კვლავინდებურად ხალისიანი ხმით მიუგო ტიტემ და პატარა ჭიქები არყით კვლავ შეავსო როგორც ამბობენ, იქ კაცად ვიქცევი და მერე ვნახოთ, რა მოხდება. იქნებ საერთოდ დავრჩე სამხედრო სამსახურში.

— სულ არაფერი გაკავებს? — არ მოეშვა თინიკო. გულხელდაკრეფილი დაეყრდნო მაგიდას, წინ გადმოიწია და ტიტეს პირდაპირ ამღვრეულ თვალებში მიაშტერდა.

— თვითონ იფიქრე: მამამ თავი მოიკლა, დედა გამითხოვდა, შეყვარებული არ მყავს, არც ვინმეს შევუყვარდი და, თუ ასეთი მაინც არსებობს და თავისთვის გულში მღერის, მოგეხსენება, მე ბანს ვერ ვეტყვი. მოკლედ, არავის ვუყვარვარ.

— არავის, არავის, არავის?

— ძნელი დასაჯერებელია, არა?

თინიკომ სუნთქვა თითქოს სულ შეწყვიტა, თვალები ააფახულა და ძრწოლვითა და ჩრჩალვით ჰკითხა:

— მერე, როგორ ცხოვრობ?

ტიტეს ირონიულად ჩაეღიმა.

— როგორ ვცხოვრობ... — გაიმეორა და არყის ჭიქა მოიმარჯვა, — ბინა დიდებული მაქვს, ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა არ მაკლია, ცოტას ვხატავ, ცოტას ლექსებს ვწერ, რაღაც წარმატებები მაქვს. ზოგს ალბათ მოსწონს, რასაც ვაკეთებ, ზოგს, ალბათ, — არა. მაგრამ ეს როდია მთავარი. ცხოვრება ჭადრაკის ერთი პარტიაა, ბრძოლაა, ძალაუფლებისკენ სწრაფვაა, ხიფათში ყოფნაცაა; საერთოდ, ორჯერ არავინ ცხოვრობს, მაგრამ ისეთიც ბევრია, ვინც ერთხელ ცხოვრებაც არ იცისო. ყოველ შემთხვევაში როგორც უნდა იყოს, რაც უნდა მოხდეს, ეტყობა დანტე მართალი იყო, როცა ამბობდა, იარე შენი გზით და, ხალხმა რაც ინებოს, ის ილაპარაკოსო. აი ასე ვცხოვრობ. ამ ცხოვრების გაუმარჯოს, — თქვა და ჭიქა მაშინვე გამოსცალა.

თინიკო წამოჭარხლდა და წამოენთო.

— ალბათ არ ხარ მართალი, — აღელვებულმა განუცხადა, — ჰო, ალბათ, არ ხარ... რაც უნდა იყოს, სიცოცხლე წარმავალი არაა, ტიტე, სიცოცხლე მარადიულია. მარადიულია იმიტომ, რომ სიყვარული არსებობს და სწორედ ღირს მას მივუძღვნათ თავი. ასე მესმის მე, ადამიანს ადამიანი სჭირდება, სითბო, სიყვარული სჭირდება. ასე იტყოდა ხოლმე ბეკაც, მაგრამ მაშინ არ მესმოდა კარგად, რატომ... დანტე — დანტეა, ჩვენ — ჩვენ ვართ. დანტეს, ალბათ, ჰქონდა უფლება ეთქვა ის, რაც თქვა. ჩვენ ბუნებისგან სხვანაირად დაჩაგრულები ვართ და მხოლოდ სიყვარული თუ გადაგვარჩენს, ტიტე, სიყვარული და მცირეოდენი იმედი, რომ მედამ არ გაგრძელდება ასე, ჩვენი მზეც ამოვა. აი, ასე უნდა ვცხოვრობდეთ, ასეთ ცხოვრებას უნდა გაუმარჯოს.

თითქოს ჯიბრზე, თვითონაც სწვდა არყით სავსე ჭიქას და, არც დაფიქრებულა, რა შეიძლებოდა მას მოჰყოლოდა, ბოლომდე გამოსცალა. მერე ცოტა ხანს თვალდახუჭულმა და სახედამანჭულმა იქნია თავი, ლამის მთელი დოქი წყალი ჩამოცალა პირის გასაგრილებლად და, როცა სული მოითქვა, ცრემლები გადმოსცვივდა. ბოლოს კი გულიც ამოუჯდა, თავი ჩაღუნა და ატარა ბავშვივით ნელ-ნელა ასლუკუნდა, აწუწუნდა, თან ბუტბუტებდა, დაღამდა უკვე, წავიდეთო.

ტიტემ უცბად ვერ გაარკვია, გოგო, რომელიც სულ ახლახან ბეჯითი გულმოდგინებით ცდილობდა სიყვარულით ცხოვრების აუიცილებლობის დამტკიცებას, რატომ მალავდა სახეს, ან რა ასლუკუნებდა, თუკი ასეთი დღენათელი აზრებით სულდგმულობდა.

— წავიდეთ და წავიდეთ, — თქვა თვითონაც და ვიდრე ადგებოდა, მანამდე იქნებ დაწყნარდესო. მაგრამ თინიკომ უფრო უმატა სლუკუნს, ვერა და ვერ იმაგრებდა იგი თავს. გარეთ კი ისევ წვიმდა, მხოლოდ უფრო მშვიდად და წყნარად. სადღაც შორს ელავდა, ყრუ გრუხუნის ხმა ძლიან სწვდებოდა რეჩილაძიანთ ბროლის ჭალით განათებულ ოთახს არც ტიტეს უბრაუოდა თავი და ყურთასმენაც დახშული ჰქონდა სწორედ ისე, არყით დათრობის შერე რომ ემართებოდა ხოლმე. მაგრამ ახლა არ სურდა იჩტიბარის გატეხა იმდენი მაინც შეეძლო, სტუმარი გაეცილებინა და შინ მშვიდობით დაბრუნებულიყო. — ჰო, წავიდეთ,— თითქოს თინიკოსთვის, მაგრამ საკუთარი თავის გასამხნევებლად უფრო თქვა, მერე სწრაფად, ყოჩაღად წამოდგა, დოქით წყალი მოსვა წასასვლელად განეწყო. ეგ არის, ვერ გადაწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, რა გაეკეთებინა: გულამოჭდარი გოგო დაეწყნარებინა ჯერ, თუ საწვიმარისა და ქოლგის მოსაძებნად გასულიყო. ბოლოს ისევ თინიკოსთან მივიდა, მხარზე შეახო ხელი. თინიკომ იმ ხელზე თავისი ხელი წაავლო, ზედ მოეჭიდა იგი და სლუკუნ-სლუკუნით აბუტბუტდა:

— ალბათ, სტალინამდე არ მიდის ეს ამბები... რამდენი წერილიც გავუგზავნეთ, იმდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ მათ დაუბრუნდათ, ვისგანაც სამართლიან გადაწყვეტილებას ვითხოვდით... მითხარი, რა დავშავეთ? მამა ხალს თუ არ მკურნალობდა, რამდენ გაჭირვებულისთვის მიუტანია საკუთარი ფული, წამალი, სხვას რას აშავებდა? ან ჩემს საყვარელ დედიკოს რიგა ერჩოდნენ, ტიტე, რა უნდოდათ ბეჭასგან, ავადმყოფი დეიდა ქეთევანისგან, მამაშენისგან... რატომ დაგვჩაგრა ასე ღმერთმა?

— ვინ მიიტანს ჩვენს ამბავს სტალინამდე, — წაიბურტყუნა ტიტემ და მაშინვე ხელი წაართვა გოგოს, უკან დაიწია, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო. მთელი სხეულით ათრთოლდა, აკანკალდა, ისედაც ამღვრეულ თვალებში სისხლი სასტიკი ტკივილით მოაწვა. დროულად უნდა მოეცილებინა ეს ალიკედა გოგო აქედან, თორემ თვითონ ვეღარ გაუძლებდა და ნამდვილად გატყდებოდა, ყველა ამ უბედურების ერთ-ერთი ავტორი და სულის ჩამდგმელი მე გახლავარო.

მაგრამ ღმერთი როდი ერია მის გაჩენაში. აქაც, უკუღმა დატრიალებულმა ჩარხმა კიდევ ერთი ბრუნი გააკეთა და ეშმაკის გასახარად გახდა საქმე. ვიდრე გულმოსული და ტკბინამღვრეული, მშობლების საძინებელ ოთახში მამის საწვიმარსა და დედის ნაშზითევ, ხანგრძლივი ხმარებისგან საკმაოდ მოშლილ-მოფუნკულ ჭოლგას მიაგნებდა, თინიკო კუდად შეიქნა. უფრო სწორად, ასლუკუნებულმა გოგომ თითქოს სძლია თავს, აიღო თავისი ბარგი, გასასვლელისკენ ბანცალ-ბანცალით გაეშართა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო, — კართან მუხლმოკეცთილი ჩაიკეცა და უცბად მხედველობაც დაკარგა. ტიტე იმ დროს დაადგა თავზე, როცა იგი იატაკზე ჩამჯდარი და კედელს დანდობილად მიყრდნობილი, თმაგაწეწილ თავს საათის ქანქარასავით აქნევდა.

— ერიან!... უნებურად ამოთქვა ტიტემ, თვალდახუჭულ და მომჩვარულ გოგოს ხელი მხარზე შეახო, ოდნავ შეანჯღრია და გოიკებულმა ჰკითხა: — შენ რა, დათვერი?

თინიკო ახლა მისკენ გადმოქანდა და ფეხებზე მიეყრდნო.

— რომ იცოდე, როგორ გამიხარდა შენი ნახვა და, აი...

— მეც კი გამიხარდა, მაგრამ ახლა რა ვქნათ?

— მიშველე, ტიტე, ყველაფერი ტრიალებს... თვალებს ვეღარ ვახელ, გული მიჩერდება...

— გული კი არა, სული, — ვითომ იხუმრა ტიტემ, გულნაბში ისიც გაიფიქრა, რაღაცას თვალთმაქცობს, სამი ჭიქა ასეთ მდგომარეობაში რას ჩააგდებდაო, უგერგილოდ დაეჭიდა, წამოყენება სკადა, მაგრამ ეს საკმაოდ მძიმე გოგო, ხელებში თავზვიერი ჩაუსრიალდა და ახლა იატაკზე მთლიანად გაიშხლართა.

ტიტემ შაშით დაბრიალა თვალები. თინიკო ნამდვილად მოშვებულ-მომჩვარული აღმოჩნდა, ერთგვარად დაცარიელებული და შეგრძნებადაკარგული. ტიტე ხედავდა, როგორც ედებოდა (თუ უკვე მოსდებოდა) საზიზღარი ავადმყოფობა ამ თითქოს ჯანსაღი გოგოს ნაზ და სათუთ სხეულს, რა სწრაფად ართმევდა ვარდისფერად ალაპლაპებულ ლოყებზე სიცოცხლის მანიშნებელ ფერს, უჭრობდა გიშრისთვალა სამზირალს, ულრეცდა ძირს ჩამოვარდნილ პატარა ყბას, საიდანაც ცხელმა ნერწყვმა თუ რაღაც თეთრმა სითხემ იწყო დენა; ხედავდა, როგორ არ ხედავდა, ამ საცოდავ გოგოს როგორ იპყრობდა აგონია, თვითონ კი უკანასკნელი ძალებით ამაოდ ეომებოდა ცხრაფეხა ურჩხულს, თინიკოს მთელ სხეულში მომაკვდინებლად რომ გასჯდომოდა და გამარჯვებას ზეიმობდა.

დიახ, სახუმროდ სულაც არ ჩანდა საქმე. არც ტყეილად ასლუკუნდა მაშინ თურმე. ალბათ, აღრეული შეამჩნია თავს საერთო სისუსტე, მოთენთილობა, მხედველობის დაქვეითება, საგნების გაორება და კიდევ სხვა, უამრავი უსიამო შეგრძნება, ალკოჰოლურ მოწამვლას რომ მოსდევს. ტიტეს ბავშვობაში ერთხელ ეკვე მიღებული ჰქონდა მსგავსი გაკვეთილი, იცოდა, რას ნიშნავს უგონო დათრობა და, თუმც არ სურდა დაეჯერებინა, ამ ჭიქას შეეძლო ასეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინა ადამიანი, და აღარც თინიკოზე ითქმოდა ბავშვი, ისიც იცოდა, ყველა ერთნაირად რომ ვერ იტანს მაგარ, სპირტიან სასმელს (და არც ის იყო გამორიცხული, ამ გოგოს შაშის ნიადაგზე, რაღაც ნერვული ავადმყოფობა სჭირვებოდა, რომლისთვისაც

არაყი საწამლავის როლს თამაშობდა, თავად კი ეს არ იცოდა!). ამას გარდა, როგორადაც უნდა ეთვალთმაქცა ამ მართლაც უკვე გამომთვრალ გოგოს, მაღიმალ ქალის უბეში მაცქერალ ახალგაზრდა, ნერწყვმორეულ კაცს ასე ულაზათოდ არ მიუგდებდა უკარება სხეულს საჭიჭნელად და სათელად, ტიტე ხან სად ავლებდა ხელს და ხან სად, რომ რამენაირად წამოეყენებინა ფეხზე, მაგრამ თვითონაც გამობანცალებული და ამ უცაბედი, მოულოდნელი შემთხვევით ერთგვარად შეშინებულ-ძალაწართმეული, ვერაფერს აწყობდა, სანამ პატარა ბავშვივით გულში ჩახუტებული არ ასწია. მერე კი წვალებ-წვალებით დედის ლოგინში ჩააწვინა...

სანამ ტიტე ნიშადურის სპირტს ასუნთქებდა, გოგოს ჯერ ხომ თითქმის გული გაუჩერდა. გაითიმა, დაკარგა სიცოცხლის ყოველგვარი ნიშანწყალი, მერე ნელ-ნელა გახურდა, წამოენთო, რაღაც შეგრძნებაც დაუბრუნდა, მიეცა ძალა და ახლა მთლად გადაირია. ტიტე ვეღარ აკავებდა საწოლზე, სველ ტილოებს ვერ უჩერებდა შუბლზე, მკერდზე. თინიკო დროდადრო დედას მოუხმობდა საშველად, ვიწვებიო, ლამის ყვიროდა, თან შეუჩერებლად იქნევდა ხელებს, ფეხებს, იკლაკნებოდა და იგრიხებოდა და ძირს ყრიდა ყველაფერს, რაც ზემოდან ეხურა? ყველაფრის გახდას ცდილობდა (და გაიხადა კიდეც!), რაც ტანზე ეცვა, თითქოს თვითონ კი არა, მისი კაბა, პერანგი, ან სხვა რამ იწვოდა...

თვალებდაჭყეტილი ტიტე შეჰყურებდა გადარეულ გოგოს და თვითონაც არყით გაბრუებულს, ტვინი ემღვრეოდა. მერე თითქოს შერცხვა, თითქოს თინიკოსი შეეშინდა, უცბად არ მივიდეს გონზე, არ დამინახოს, რა ვნებაშლილი მიეჩერებულვარ თეთრ ლოგინზე მოფართხალე მის შიშველს სხეულსო და სინათლე სასწრაფოდ ჩააქრო, კარი კი იმდენზე დატოვა ღია, ჭრილიდან შემოჭრილ შუქს ოთახი ოდნავ მაინც გაენათებინა. და ასე სიბნელეში საწოლის ირგვლივ მოტრიალეკ, დროდადრო წელამდე აფარებდა შეწუხებულ გოგოს ზეწარს, მკერდზე და შუბლზე აფენდა სველ ტილოს და უკვე თითქოს სიამოვნებდა კიდეც ასეთი საქმიანობა; კიდევ კარგი, არ აეჩქარდი და სასწრაფო დახმარებას არ გამოვუძახეო.

მერე გადაიარა ჭექამ და ქუხილმა, თითქოს ჩაცხრა თინიკო, ჩაწყნარდა, ლოგინზე ხელებგადაშლილი ღრმად და თანაბრად სუნთქავდა. ტიტე გვერდით ლოგინზე ეჯდა, ზემოდან დაჰყურებდა მის თვალდახუჭულ შეწუხებულ სახეს, უჭვრეტდა მის შიშველ სხეულს და კაბშნინანი ლტოლვა იპყრობდა, შური და მწარე ურვა ულევდა გულს, რადგან ეს სხეული მისი არ იყო, მას არ ეკუთვნოდა. ბოლოს გაბედა, მიპარვით ნელ-ნელა შეახო ხელი ამობურცულ, ახლად გაშლილი კოკორივით გატიკნილ, საკმაოდ მკვრივ მკერდზე და თითები ფრთხილად მოუჭირა. თინიკომ მხოლოდ თავი გადმობრუნა მისკენ, თითქოს ესიამოვნა კიდეც, წააქუზა, კიდევ, კიდევო, ოდნავ ყრუდ ამოიზმუვლა და უფრო ღრმად, უფრო მოხშირებულად დაიწყო სუნთქვა. ტიტე არც იყო საჭირო, და აღარც შეეძლო მეტის მოთმენა ტიტეს, სასწრაფოდ გაიძრო ტანსაცმელი, თვითონაც გაშიშვლდა და თინიკოს ზეწარის ქვეშ გველივით შეუსრიალდა.

— ვინა ხარ?... რას მიშვრები?... უაზროდ, მხოლოდ ეს წაილაპარაკა შეწუხებულმა გოგომ. — ნუ გეშინია, ნუ... — ქშენით, კანკალით და ცახცახით ამბტბტუტდა გამგელებული ბიჭი, — ყველაფერი კარგად იქნება, კარგად... — ამშვიდებდა ვითომ, მაგრამ ვის, თვითონაც აღარ იცოდა.

მეორე დღეს, გამთენიას, ფაშისტურმა გერმანიამ საბჭოთა რუსეთის საზღვრები ომის გამოუცხადებლად გადმოლახა...

„დედა, არ მეძებოთ. ეს ბარათი რომ მოგივა, მე უკვე შორს ვიქნები, ვინ იცის, იქნებ ფრონტის ხაზზეც. საბჭოთა სამშობლოს დაცვა ყოველი ჩვენგანის ვალია და მეც მივდივარ ამ ვალის მოსახდელად... ჰო, ჩემთან, სახლში გოგო დაგხვდება. მას თინიკო ჰქვია. წარმოიდგინე, რომ იგი შენი რძალია. დანარჩენს თვითონ გაიგებ. გკოცნი, შენი ტიტე 1941 წლის 21 ივნისი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მეძებოთო და არც უძებნიათ. წერილი კრიტიკოსის ფოსტაში არ აღმოჩნდა, რომელიც მან ერთი კვირის შემდეგ გახსნა. ქალბატონი ასმათი კი, კულტურული მისიითი (თუ საეკჭროდ) მოძმე რესპუბლიკაში გახლდათ და როცა დაბრუნდა, მისი შვილი იმ დროს მართლაც ქართველი დოყა-დოყა ბიჭებით დატვირთულ სპეციალური დანიშნულების საბარგო მატარებლის ერთ-ერთ ვაგონში იჯდა, ჯიბეში იკან გრომოვის საშუამდგომლო პატარა ბარათი ედო № ნაწილის უფროსის სახელზე და მოსკოვის მიმართულებით რუსეთის თვალუწვდენელ ველზე მიჰქროდა.

...

ომი — ომია; ომში ადამიანს კლავენ, ასახიჩრებენ, აძცირებენ, უმოწყალოდ თელავენ მის ღირსებას... ომი ნგრევაა, ცივილიზაციების მოსპობაა, საუკუნეობრივი შრომით ნაძარცი მარადიულ ღირებულებათა მიწასთან გასწორებაა, მაგრამ ახლის დაბადებაც არის, სულიერი განწმენდის და განახლების საშუალებაც. სულიერ განწმენდაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ომმა გამოაცვალა ტიტე, გარკვეულად შეაცვლევინა შეხედულებები ადამიანურ ყოფაზე, საერთოდ, ცხოვრებაზე, სიკვდილ-სიცოცხლის არსზე, აწმყოსა და შესაძლო მომავალზე. მან დაინახა, რომ საზიზღარი ომი და აქედან გამომდინარე ყველა საეალალო შედეგი, საბოლოო ანგარიშით მიმართული იყო არა მარტო წარმოდგენილი მტრის მოსასპობად და გასანადგურებლად, იგი ადამიანში აცამტვერებდა პირადი ღირსების გრძნობას, აკარგვინებდა უფლებას ზოგჯერ მაინც ეფიქრა, რომ ადამიანია. ამ საშინელების ყველა მონაწილე მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ იქცეოდა არარაობისათვის განწირულ მტლად, უმნიშვნელო ნაწილაკად, რომელსაც ვიღაცის უსაზღვრო ნება განაგებდა. თავის გადარჩენა შეიძლებოდა მხოლოდ იმით, რომ (ბრძა ტყვის ანაწერა თუ არ გახდებოდი) დღენიადაგ გეზრუნა შინაგანი თავისუფლების მოპოვებისათვის, რათა არ გეგრძნო საშინელი გარეგანი ტანჯვა. მაგრამ ამის აცილებაც არ იყო ადვილი, და აი, ამ დროს, ანუ ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამს, ტიტეს თვალწინ უნებურად ცოცხლდებოდა მშობლიური ქალაქი, მისი მთაწმინდა და ფუნიკულიორი მოგრიხინე ტრამვაებით ახმაურებული ქუჩები თუ პროსპექტები, მოფუსფუსე, ლაღი და მოცინარი ადამიანები, გუნებაში წამოთქვამდა ლექსებს, ღიღინებდა ქართულ ხალხურ თუ ქალაქურ სიმღერებს და იმ წუთებში თითქოს ბედნიერიც კი იყო, მაგრამ არა ყოველთვის... ახსენდებოდა მისგან დამცირებული და ნამუსახდილი თინიკო, რომელიც ჯერ ისევ შუაღამისას ლოგიწში მიატოვა და მას შემდეგ, სადღაც გამქრალი, ცოცხალი იყო თუ მკვდარი, არავინ იცოდა, ვერავინ მოაწვდინა ხმა... ბეჭა, დეიდა ქეთევანი, ხატვის მასწავლებელი „ჯიკასო“ და მისი „ლოთი“ მეგობრები, თვით თინიკოს მშობლები და ეს ამდენი ხალხი ერთი ხელის მოსმით მისგანვე განწირულები, არ აძლევდნენ მოსვენებას; თვალწინ უდგებოდა საყვარელი დედა, ის პატარა, გალეული ქალი, რომელმაც თითქმის ყველაფერი გააკეთა შვილისა და საკუთარი თავის გადასარჩენად, მაგრამ ადვილად ეღალატა ქმარს, მიატოვა შვილი და გაჰყვა ვიღაც ხანდაზმულ კრიტიკოს ბესიასს... უფრო მეტი სითბოთი აგონდებოდა მამა, რომელსაც ქამარში, წელთან მუდამ ჰქონდა გაჩრილი ნაგანი და იმ ნაგანითვე მან მოიკლა თავი... მერე და მერე ხვდებოდა, რომ ეს ამდენი ხალხი მამამისს წააკლეს, მამამისის მოცილება სურს ვიღაცას და მთელი ის დადგმული სპექტაკლი მისი მოსპობისთვის იყო განკუთვნილი; არ მოერიდნენ ბავშვებს, გასვარეს და სამუდამო ცოდვა აჰკიდეს მის შვილსაც კისერზე; ცოდვა აჰკიდა ბაყაყივით თვალებგადმოკარკლულმა გურგენიჩმა, რომელიც გამუდმებით გამაღიზიანებლად ეკითხებოდა: „მართალი ვარ?“... თუმც, ვინ იცის, იქნებ იყო კიდეც მართალი გურგენიჩი, იქნებ ყველა დანარჩენი დამნაშავე იყო და ტიტე შემთხვევით გაიჭყლიტა, მისი ბავშვური „გართობა“ აღმოჩნდა საბაბი, ხალხის მტრებსა და გამყიდველებს სამართლიანად რომ გასწორებოდნენ; ალბათ მართალი ბრძანდებოდა ყველა ჩაგრული ხალხის ბელადი, ბრძენი სტალინი, ომის წინ ქვეყანაში წმენდა რომ ჩაატარა, თორემ რა გაუმკლავებდნოდა კბილებამდე შეიარაღებულ ამ პირსსიხლიან ფაშიზმს? აკი თვით ომმა გამოაჩაკარავა, თურმე კიდევ რამდენი გამყიდველი და საბჭოთა სახელმწიფოს

დაუძინებელი მტერი დარჩენოდა მოსასპობი, პირველსავე თვეებში ხომ მილიონობით ადამიანი უბრძოლველად ჩაბარდა გერმანელებს!... ყოველივე ამის გახსენება არ იყო ადვილი საქმე, მაგრამ უფერო ძნელი იყო, არ გაეხსენებინა, გონებიდან საერთოდ ამოეგდო, ამოეგლიჯა და მხოლოდ სამხიარულო ამბებით გაეერთო თავი...

ომში და რუსის ჯარში თავის გასატანად კიდევ იყო საჭირო პირადი ხელმძღვანელობის, განსაკუთრებით თითქმის ყველასადმი ეჭვის თვალით მაქცირალი (თუმც ყველაზე მუქთა პურიმჭამელი), ეგრეთ წოდებული, პოლიტხელის უცილო წყალობაც და თვითონ ტიტეც, ბეჯითი მოწადინებით ყოველმხრივ ცდილობდა მათი ნდობის გამართლებას, თავიდან ივან გრიმოვის საშუამდგომლო პატარა ბარათმა რომ განუბარობა. არადა, საველე გაზეთის რიგითი კორესპონდენტობა ვერ ჩაითვლებოდა ომში იოლ გასეირნებად. ფიზიკურთან ერთად, იგი გონებრივი ძალების განსაკუთრებულ დაძაბვასაც მოითხოვდა და იყო შემთხვევები, როცა ტიტეს ასეთი ძალები აღარ ჰყოფნიდა, ასეთ დროს მხოლოდ ხატვის ნიჭიდა შველოდა: ხატავდა და ხატავდა თავისი უფროსობის, უფრო ხშირად — პოლიტხელის, შიგადაშიგ ქვეყნის მხსნელისა და ხალხის იმედის, დიდი სტალინის პორტრეტებს, საჩუქრად ურიგებდა ყველას და ეს იყო მისი ძღვენი. ერთგვარი ქრთამი, რომელსაც რუსის მოხელე (სამოქალაქო თუ სამხედრო) ოდითგანვე განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა. არც დაუყოვნებია შედეგს, — ერთ შშვენიერ დღეს, არშიის რიგითი ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ, სწორედ იმ პოლიტხელის რეკომენდაციით, წინასწარი საგამოცდო ვადის გაუვლელად, ტიტე პირდაპირ კომუნისტური პარტიის რიგებში ჩარიცხეს. ამას თან დაერთო წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოება. სამხედრო ჩინის ერთი საფეხურით წარმატება, უმცროს ოფიცერთა შემადგენლობაში ჩარიცხვა და დამთავრდა კიდეც მისი მერყეობა. უიმედო პესიმიზმი, რომელიც მანამდე ზოგჯერ საკვდილსაც ანატრებდა ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, ტიტეს ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო, ერა თავდადებული, ერთგული კომუნისტისა, რომელშაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი შემდგომი აღმასვლაც. ომის დასასრულისთვის უკვე უფროსი ლეიტენანტის სამხრეებს ატარებდა...

მაგრამ ამით არ დასრულებულა მისი აღმასვლა. ომმა ცხოვრებაში აღბათ, ერთი ყველაზე სასიხარულო, განუმეორებელი დღე შესთავაზა. ეს მოხდა ორმოცდახუთი წლის გაზაფხულზე, გოეთეს სამშობლოში. საბჭოთა არმიის ნაწილები, აურაცხელი დანაკარგის მიუხედავად, ფაშისტების უკანასკნელ დასაყრდენს — კენიგსბერგის მთელი ძალებით უტევდნენ. ტიტე დივიზიის შტაბში მივიდა გაზეთისათვის ახალი ცნობების ასაღებად და აი, აჭ, შესასვლელში, უშველებელი აღნაგობის მოხუცე გენერალს შეეჩეხა; იგი ივანე გრიმოვი იყო. ტატემ მაშინვე ხელი აუღო, ბოდიში მოუხადა და გაუღიმა. მოხუცმა გენერალმა ერთხანს მდუმარედ უცქირა, ღრმა ნაფაზი დაარტყა, ყვამლში გაეხვია და თითქოს გამომცდელად ჰკითხა:

— წამოხვალთ ჩემთან?...

და გაჰყვა ტიტე მოხუც გენერალს ლენინგრადში, ორმოცდაშვიდ წლამდე ერთგულად ემსახურა. იქ მან გაიგო, რომ ლდღიაც და მისი ქმარიც ომში დალუპულიყვნენ, ხოლო მათი შვილი ვერა, საქართველოში, ქლუხორის ერთ-ერთ უპატრონო ბავშვთა სახლში იმყოფებოდა...

მოხუც გრიმოვის საგვარეულო ბინაც ლენინგრადში აღმოჩნდა, ნევის პირას, ერთ-ერთი სახლის ბოლო სართულზე. იგი დაბომბვის შედეგად ნაწილობრივ დაზიანებულ-დანგრეული იყო და გრიმოვიც ჩქარობდა შეკეთებას, რადგან შვილიშვილს სასწრაფოდ ჩამოყვანას, მერე თადარიგში გასვლას და მასთან ერთად ცხოვრებას ამ ბინაში აპირებდა. ტიტე აღდგენით სამუშაოპოს ხელმძღვანელობდა, დღეღაამ მუშებსა და ხელოსნებს დასდევდა,. მასალებს შოულობდა... ყველაზე დიდი ოთახი სამხატვრო სახელოსნოდ გადააკეთებინა, აიწევინა ჭერი და სულ შეამინინა; მოხუც გრიმოვის აზრით, მისი შვილიშვილი აუცილებლად მხატვარი უნდა გამოსულიყო.

— ხომ იცი, ჩემი ვეროჩკა შენი ჩამოსაყვანია, — მალიმალ ეუბნებოდა ხოლმე გრიმოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიტეს, რაც იმას ნიშნავდა, საქართველოში ჩასვლაც მაშინ მოგიწევსო, და ჩქარობდა ტიტეც, მუხლჩაეხრილად დარბოდა სამხედრო უწყებებში, საწყობებში, ბაზებში; ვერც წარმოიდგენდა, ამდენი ქართველი თუ მიიღებდა მონაწილეობას ლენინგრადის აღდგენაში, — ყველაზე იოლად მათთან პოულობდა საერთოს, შოულობდა რაც სჭირდებოდა და საქმეც სწრაფად მიიწევდა წინ... მერე საქართველოშიც ჩამოფრინდა, ინახულა დედა, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად განწყობილი... გაიარ-გამოიარა ჭუჭებში, როორც იტყვიან, თვალს წყალი დაალევინა, სხვა ნაცნობი ვერავინ ნახა და ქლუხორზე გავლით კვლავ ლენინგრადში დაბრუნდა.

— ახლა შენი ჯერიც დადგა, — უთხრა გახარებულმა გენერალმა, — ხვალიდან სამხატვრო აკადემიაში შენს მოწყობაზეც უნდა ვიზრუნოთ.

— რაღა მახსოვს? — შიშით დაიბრიალა თვალები ტიტემ და მხრების აწურვით კვლავ იკითხა, — რაღა შემიძლია?

— შეგიძლია, მტკიცედ მიუგო გრომოვმა მაშინვე და ღიმილით დააბოლოვა, — უნდა შეძლო!

არ გამოვიდა... როგორც ეგონა, ახლა მაინც საქართველოში საბოლოოდ დაებრუნდებიო, არ გამართლდა. ბედმა არ აიცილა იმ სამართებლის პირზე გავლა, რომელიც ბავშვობიდანვე თვალს სჭრიდა, მაგრამ შინაგანად ყოველთვის ეშინოდა მისი, ნიბსით თუ უნებლიედ ყოველთვის გაურბოდა.

ასე იყო თუ ისე, ბედს არ უნდა დამდურებოდა. მან თითქოს აიცილა ტყვიების ქარცეცხლს, უშუალოდ სიკვდილთან პირისპირ დგომას, დაჭრასა და დასახიჩრებას, მაგრამ რა ბასაც შეუდგა და რის გამოც რუსეთში დარჩა, სულაც არ იყო ნაკლებ ქარცეცხლიანი და სამკვდრო-სასიცოცხლო ეს გზა გაბლდათ დიდი ხელოვნებისაკენ, უფრო სწორად დიდებისაკენ მიმავალი საკმაოდ ეკლიანი გზა, რომელსაც ტიტემ საბოლოოდ თავი მაინც მიუძღვნა.

და მან კვლავ კარგა ხნით დატოვა ძველებური ჩუქურთმიანი აივნებით პატარძალივით მორთული, კოხტა, მიხვეულ-მოხვეული ქუჩაბანდებიანი მშობლიური ქალაქი, რომელის სილამაზის მსგავსი ქვეყნიერებაზე თურმე არსად მოიძებნება, დატოვა შესანიშნავი წყანდები, სითბოთი და სიმყუდროვით სავსე სახლი, საიდანაც მოჩანდა ზღაპრული მთაწმინდა, ფუნეკულიორის წამოყუდებულ ფერდაზე მცოცავი ვაგონები, სამტრედიში გამომწყვდეული მტრედები, ყოველ ცისმარე დღეს ფანჯრიდან რომ შესცქეროდა, საერთოდ ყველაზე საყვარელი მხარე თავისი ზღვით, მთითა და ბაღით, რომელიც თურმე საოცრად ჰყვარებია და ეს მაშინ აღმოაჩინა მეორედ თუ მესამედ, ომიდან დაბრუნების შემდეგ მისგან ხანგრძლივი დროოთი შორს რომ აღმოჩნდა. და გულიც თითქოს ყოველთვის სტკიოდა დღეცა და ღამეც, ვინაიდან ომმა საოცრად გამოცვალა, სხვა გამოცდილებით აღჭურვა, გააგებინა ნამდვილი სიცოცხლის ფასი და ზეგრელად აღარ ეკიდებოდა ყოველთვის მუხთალ, დაძაბულ, ერთის შეხედვით ერთფეროვან ყოფიერებას, ასე სწრაფად რომ ითრევდა თავის წაიღში. არადა, დანგრეულ-განადგურებულ რუსეთში მხოლოდ სასმელი და ქალი იყო ერთადერთი საშუალება, რითაც შეიძლებოდა ამ ტკივილის ბოლომდე გაკრობა თუ არა, ნაწილობრივ შენელება მაინც და ტიტეც ახალგაზრდული ენერგიით სიამოვნებით ეწაფებოდა ერთსაც და მეორესაც. სულ მალე, მისდა გასახარად, ის ბედნიერი დღეც გათენდა, როცა ბოლომდე ირწმუნა, რომ მიდიოდა იმ გზით, რომლითაც უნდა ევლო. და თვითონაც მიდიოდა ნამეტანი თავდაჯერებით, ნამეტანი მტკიცე ნაბიჯით, გულში ბობოქრობდა და ღირსეულად ჩასცქეროდა საკუთარ ნაბიჯებს. მეყო, რაც ყმაწვილკაცობაში უჭკუობით ჩავიდინეო, იმხნევებდა თავს, თუმც გასამხნევებელიც თითქოს აღარაფერი ჰქონდა. ახლა უკვე გაევლო ის ასაკი, როცა ეგონა, მისი გზა სწორი და პირდაპირი ვერ იქნებოდა; როცა გადაწყვეტილ პასუხს ვერ გასცემდა, თუ ჰკითხავდნენ, რა გსურს გამოხვიდეო. ახლა ნამდვილი ხელოვანისათვის დამახასიათებელ თვისებებს (რომლებითაც არიან დაჯილდოებულნი გამორჩეული ადამიანები),

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც სულის სიღრმეში თვითონაც იდუმალად გრძნობდა და არსებითად ეს აღმავლობის შესაძლებლობას წარმოადგენდა.

...

სწრაფად გადიოდა დრო. წუთისოფელი ჩიტივით აპირებდა გაფრენას. იცცლებოდნენ ხელისუფალნი, იცცლებოდა ტიტეც. იგი მთლიანად დაჰყვა იმ ძალას, რომელიც ყველაზე ამაღლებულად მიაჩნდა და თანდათან ერკვეოდა იდუმალი შიშის, შეუქცევლობის და არარაობის ბურანიდან. მუყაითად სწავლობდა, პარტიული ურყევი პრინციპულობით უდგებოდა ყველა საკითხს, თავდაუზოგავად შრომობდა და მთელი მოწადინებით ესწრაფვოდა რაიმე დიადის შექმნას, განვითარების ისეთ საფეხურამდე მიღწევას, თავისი გონებრივ-სულიერი მოთხოვნილების დონემდე რომ შეძლებოდა თუნდაც უმნიშვნელო რეალური თუ არარეალური ბუნების ამაღლება, რათა ხელშესახებ სინამდვილედ ექცია ის, რაც იდეოლოგიური დოგმებით თავსმოხვეულ სამყაროში შინაგანი უბედურების, ან ბუნებრივი მარცხის წყალობით ყოველივე მხოლოდ განზრახვად დარჩა. გამოხდა ხანი და მან უკვე იცოდა, რომ ფუნჯი, რითაც მხატვარი დიადის შექმნას ფიქრობს, წინასწარ გონებაში უნდა ამოავლოს, ხოლო პოეზიამ, სიტყვის გრძნეულმა ძალამ, სრულჰყოს შემოქმედის წარმოსახვითი აზროვნების ფანტაზიის ნაყოფი. ამან გაუთახვილა მზერა, მოასურვა სხეითა სულში ჩახედება-ჩაძრომა, შეაჭიდა სიტყვას, მაგრამ განგებამ მაინც ვერ აქცია ნათელმხილველად; ყალბი იდეოლოგიური დოგმებით გაყულნთილ-გაბრუებული ვერ ჩაწვდა სამყაროს, სიცოცხლისა და ადამიანის არსებობის ნამდვილ შინაარსს, ის რაც სიტყვასა და სინამდვილის მიღმა იმალება და რასაც ქმნიდა, რასაც მსახურებდა, ყოველივე მიაჩნდა აღმატებულად და დიადად. სხვა მხრივ, მისი სურვილები, აზრები და ფიქრები თითქოს უზადოდ და უნაკლოდაც კი გამოიყურებოდა; იგი ემსახურებოდა ხელოვნებას და მხოლოდ ხელოვნებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კი არ იყო საკმარისი და არც იმდენად მნიშვნელოვანი, თუნდაც ერთი საფეხურით რომ წაეწია წინ იერარქიულ კიბეზე, რაც ისევე აუცილებელ პირობას წარმოადგენდა თვით ხელოვნებისავე მსახურებისთვის!... პატივმოყვარე მუყაითობა, წუნია გემოვნება... ეს ის თვისებები გაჰლდათ, განუწყვეტლივ რომ ეჭიდავებოდნენ ერთმანეთს, რაც შემოქმედებით გზაზე კეთილ სამსახურს უწევდნენ ტიტეს, რადგან ამ დროს, თუმც ტანჯვა-წამებით, მაგრამ მაინც შედარებით უკეთეს ლექსებს წერდა, უკეთეს მხატვრულ ნაწარმოებებს ქმნიდა.

და რაც უფრო ემატებოდა წლები, ეხვეწებოდა გემოვნება, სათანადოდ ხვეწდა ოსტატობასაც. თავიდან მისი სამწერალო ასპარეზზე გამოსვლა თუ ხაოს ნაწილობრივ შეემჩნეველი დარჩა, ხანგრძლივი ბრძოლა-ვაების შემდეგ მხატვრობამ საკმაო სახელი მოუხვეჭა და მერე და მერე, მისი ყოველი ახალი ლექსი, ახალი აღტაცებული რეცენზიებით ფასდებოდა, აღარავინ დაგიდევდათ, რამდენად შეეფარდებოდა მათი აღმატებული დასკვნები სიმართლე-სინამდვილეს, რადგან კრიტიკოსებმაც შესანიშნავად იცოდნენ, რომ უნდა ემსახურონ მათ, ვისგანაც რაიმე სარგებელი გამოდნება, ვისაც საზოგადოებაში (ანუ მთავრობაში და მაღალ პარტიულ წრეებში) სიტყვა ეთქმით, ვინც უკვე გამორჩეულია, რათა თვითონაც გამორჩეულნი იყვნენ.

საერთოდ, ტიტემ იცოდა, რომ ნამდვილმა ხელოვანმა კრიტიკოსს არ უნდა უსმინოს: რომ, სადაც სამართალი ჭამს ჭურს, რეცენზიებს მხოლოდ ისინი კითხულობენ, ვისაც მწერლობა ხურს, ხოლო ვინც მწერალია, მას რეცენზიების კითხვისთვის დრო აღარ რჩება, მაგრამ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი დამოკიდებული იყო პარტიული ხელმძღვანელობის საბოლოო სიტყვაზე, რომელთა უმრავლესობა თითქმის ყოველთვის ხასიათდებოდა დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობებით, ხელოვანს აუცილებლად უნდა ეზრუნა, მასზე არ დაწერილიყო ისეთი რამ, რაც შესაძლოა, ერთ წამში დააკარგვინებდა წლობით ნაჯაფსა და ნაოფლარს, ან ვინ იცის, იქნებ სიცოცხლესაც! ხოლო ვინც კი იცოდა, მისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა კრიტიკოსის აზრით, მასზე დაწერილი ყოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვაც და, დაზღვეული რომ ყოფილიყო, ასეთი კრიტიკოსი თავადვე უნდა „შეექმნა“, ზოგჯერ გამოეგონებინა კიდეც თავისივე დაწერილით, რასაც ტიტე თავს მშვენივრად ართმევდა.

გამოხდა ხანი, საგრძნობლად გამოიცვალა დრო, დაიგმო სტალინის კულტიც, მაგრამ ტიტესთვის ბოლომდე უცნო დარჩა ამ ხელოვანთა ცხოვრებისეული პრინციპი, რომლებიც პირად კეთილდღეობაზე შეგნებულად ამბობდნენ უარს და ნებით თუ უსანდოდ, თავიანთი შემოქმედებითი მრწამსით უპირისპირდებოდნენ არსებული სისტემისათვის დამახასიათებელ წეს-წყობილებას, მის იდეოლოგიას, როგორც წესი, ასეთი შემოქმედნი. წინასწარ იცნენ ნაწარმოებებს, ბევრ ეროვნულ თავიანთი ჯიუტი ხასიათისა თუ კიდევ სხვა რამის გამო და მაინც, მათ თითქოს ბრძოლის მეტი არაფერი სურდათ, საკუთარ პიროვნებას, როგორც ცოცხალ ადამიანებს არაფრად აგდებდნენ და საზღაურად ტანჯვა-წამებასთან ერთად ცხოვრებაში შეუმჩნეველნი და უფერულნი რჩებოდნენ. ტიტეს არა და არ სწამდა მათი, რადგან შეეძლოთ მრავალთა მსგავსად, ეთვალთმაქცათ, გულში ჩაემარხათ თავიანთი პრინციპები, ასე ემოდგაწოთ და ამდაგვარად გადაურჩინათ თავი, საკუთარი შემოქმედება; არ სურდა ასეთი ცხოვრება, რადგან ადამიანმა, ბუნების წყალობას კი არ უნდა დაელოდოს, ძალით უნდა წაართვას მას, რის წართმევაც შეუძლია!... ამიტომ, ერთი მხრივ, მუშაობდა ძალების დაუზოგავად, უმთავრესად განმარტოვებით, კარჩაკეტილად, მეორე მხრივ, როგორც კი დაასრულებდა რამე ნაწარმოებს, მაშინვე სამზეოზე გამოჰქონდა, საზოგადოებაში გაგზავნა სტუდდა, ნახეთ, რა გენიალური რამ შეექმენინ და, რადგან ასეთ ქმედებას სასურველი შედეგებიც მოჰქონდა, ტიტესთვის ნიჭი გახდა თავშესაქცევი სამკაული, რითაც შეიძლებოდა ვაჭრობა.

მაგრამ ტიტემ ისიც იცოდა, შეუძლებლისადმი სწრაფვა რომ უაზრობაა; ასეთმა სწრაფვამ შემოქმედი შესაძლოა, სრულ მარცხამდე მიიყვანოს, თუმც ისიც იცოდა, შემოქმედება რომ შეუძლებელთან ჭიდილში იქნება და დიდი შემოქმედიც ისაა, ვისაც ამ ჭიდილში მარცხიც საკმაოდ უწვნევია და ამ გზით ასეთა დიდების კვარცხლბეკზე. ამიტომ, როცა რამეს ჰკიდებდა ხელს, ყოველთვის ცდილობდა თავი დაეწერწმუნებინა, იქრე თუ არ გამომივიდა, ახლა გამომივა, დაუძლეველს დავლევ, სრულყოფილ... შემოქმედის ეს ჯანსაღი მდგომარეობა მუდამ განაწყობდა ახალ-ახალი ნაწარმოებების შექმნისათვის, რაც საბოლოო ანგარიშით, პირველ წლებში საკმაოდ დიდ დროს ართმევდა და პირად ცხოვრებას თითქმის მთლიანად აკავშირებდა. მაგრამ, როცა გამარჯვებაც მოვიდა (ჯერ რუსეთში და შემდეგ საქართველოშიც), როცა ნიჭი მართლაც თავშესაქცევ სამკაულად ექცა, რაც ვაჭრდა იმით ამაყობდა, ახალს თითქმის ვეღარაფერს ქმნიდა და ცხოვრებაც უფრო ბედნიერი, ერთობ საამო ეჩვენა. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა ხელოვნებაში იერარქიული კიბის ზედა საფეხურებს ეპოტენებოდა, აწყობდა გამოფენებს, სცემდა ფიგნებს, მკერდზე იკიდებდა ლაურეატობის ნიშნებს, იფერებდა შემოთავაზებულ სამებს, ტრიალებდა მაღალ პარტიულ წრეებში და ყოველივე ეთვლებოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობად. თვითონაც ღირსეულად ეჭირა თავი, ტკბებოდა, ზეიმობდა, მაგრამ იმასაც მშვენივრად ამჩნევდა, რომ შემოქმედებითი თვალსაზრისით წინ ვეღარ მიიწევდა, რაც ერთგვარად აღონებდა კიდეც. და თუმც იცოდა, კარგი ნაწარმოებები მხოლოდ დუხჭირი ცხოვრების უღელქვეშ იქნნებოდა, ბოლოს და ბოლოს, უნდა მომკდარიყო. ჭეშმარიტ ხელოვნად რომ ეღიარებინათ, ტანჯვა-წამებით განვლილი ცხოვრების გახსენებაც აღარ სურდა და თავს იმითა იმშვიდებდა, ადამიანების შესაძლებლობები ყოველთვის ჩამორჩებიან მათ სურვილს და ყოველი ვაკეთებთ იმდენს, სინამდვილეში რამდენიც შეგვიძლიაო. ეგ არის, დარწმუნებული იყო, უფრო მეტის გაკეთება შეეძლო და სწორედ ეს აღონებდა, ვაითუ რაც შეგქმენი, ჭეშმარიტი ხელოვანის აღიარებისთვის, საკმარისი არ აღმოჩნდესო.

და მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ამ ჭიდილში, ზეიმსა და ტკბობაში საუკეთესო წლები შემოფფანტა, ვიღაც ცხვირმოუხოცავმა, ახლად გამოჩეკილმა კრიტიკოსმა, ვინმე მერაბ რეხილაძემ, მისი შემოქმედებიდან ქვა-ქვაზე არ დატოვა და თუ რამ შექმნილი ჰქონდა, რამით

ამაყობდა, ყველაფერი წყალში გადაუყარა...

...

ზარის დარეკა ალარ დასჭირვებია, კარი ღია იყო.

— შეიძლება? — იკითხა პოლში შესვლისწინავე და პასუხისთვის არ დაუცდია, ლაპასთან ერთად, საწვიმარი საკიდზე ჩამოკიდა, კედელზე დაკიდულ თავის ქმნილებას — „ნიკარაზე მდგარი შიშველი ლიდიას" — შეავლო თვალი, იქვე დაყუდებულ უშველებელ ძველებურ სარკეში ჩახედა, ხელი გადაისვა შეთხელებულ-შეჭალარავებულ თმაზე და სამზადებრო სახელოსნის ზღურბლთან გამოჩენილ ვერა მაქსიმოვნას პრიალა ქაღალდში ღამაზად გახვეული „შუნინჩინის" სამი ლიტრიანი ბოთლი გაუწოდა.

— წარძოუდგენელია!... — თვალებს არ დაუჯერა ქალმა, — ნუთუ ეს თქვენ იშოვეთ-...პირდაპირ, თავზარდამცემია თქვენი მოხერხებულობა!... გამორთმევით კი... — ზეთის სალუბავებით გასერილი ხელები დაიხახა, — ალარ მინდა, მოვცდე, თქვენ თვითონ, — უთხრა და საკონცელად ლოყაც მიუშვირა.

ტიტემ ზრდილი მაძაკაცის ვალი მოიხადა, ისე აკოცა, ტუჩებით თითქმის არც შეხებია, ბოთლები სამზარეულოში გაიტანა, მაცივარში ჩაალაგა და სახელსნოში ყელმოღერებული შეკვეთ.

— ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ, — კიდევ ერთხელ აღნიშნა თავისი ძალიან ფიცალიანი ქალმა, რომელიც იმ დროს პალიტრაზე წვრილი ფუნჯით საღებავებს ერთმანეთში ურევდა და მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით ძველ მეგობართან ყავრის ამოყრას შეუდგა, — გნებავთ, უალკოჰოლო ცხოვრების წესი დაუკანონეთ, გნებავთ, ანაციის ძაფით ამოუკერეთ პირი, ჩვენი მუყიკის გამოსწორებას საშველი არ დაადგება, — ოქვა მან თითქოს ზერელედ, თითქოს დანანებით, — ოცდახუთმანეთიანი მიეცი, წარძოდგენილიხარ? ... ან რა ენდა მეკმაო? შვილი მყავსო ავად, რაღაც წამლების რეცეპტებიც ძიჩვენა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მაგრამ ძეუდღეს, მესამე დღეა, ჩვენც თვალი არ ძოგვიკრავსო... გდია ახლა, ალბათ, სადღაც ფარდულთან და სანამ ბოლო კაპიკამდე არ ფანტრავდა, არ მობრძანდება. მე კი ასე განვიდე და ვნერვიულობ ასეთი ნაგავში შეიძლება გულდამშვიდებული მუშაობა?...ახლა, არაფერ ... დაიბგულებს, ალარ მომცალდება და იქნებ ძეც მეშველის. მაგრამ ვეტყვი, დამთავრებულ ... ტა, მერე მიიღებ-მეთქი. აბა, რა ვქნა? ძოგბსენებთ, ეკუთრები განებივრებულები ... ვართ ასეთი ნათელი, მზიანი ამინდებით და მეც ვეშურები, იქნებ როგორმე დღესრულო ეს ტილო, აპრილ-მაისისთვის გამოფენა მაქვს ღაგეგმილი...

იდუმალი სევდის აღმძვრელი გარდასული დღეთა მოგონებაში წამით განაკარდებულ ტიტეს ერთთანს ნანასაკვთ ჩაესმოდა ქალის წკრიალა, რბილი და საამო ხმა და ასე მდუმარედ თვალს ავლებდა ირგვლივ. სახელოსნოს, გაფლენთილი რომ იყო კედლებიდან ჩამოკავენილი ბაჯის, სამშენებლო ძასალის, ფიქსატივისა და ზეთის საღებავების სუნით, ოდნავ აგრილებდა ღია ფართო ფანჯრიდან შემოჭრილი ნევის ტენით გაფლენთილი ნაცნობი ჰაერი. იქაურობას ძარილა არ შეეხებოდა, დამრეც, შემინეულ ჭერს რამდენიმე ადგილას ნათლად აჩნდა წვიმების დროს წყლის გამოჟონვის კვალი. მათ პირდაპირ ... ოტაკიც დაზიანებული იყო. ერთ კუთხეში ეწყო სხვადასხვა ზომის ოთხკუთხა ჩარჩოებში ჩასმული გაზეთგადაფარებული ფერწერული ტილოები და იქვე, თავაბდილ მუყაოს ყუთებში ჩანდა დამტვერილი ნაირ-ნაირი ფუნჯები, ზეთის საღებავების ნახმარი თუ უხმარი ტუბები და კონიაკისა და არაყის ცარიელი ბოთლები.

— ეჰ, დრონი, დრონი... — ამოოხვრით თქვა ტიტემ ისე, თითქოს თან გული ამოაყოლოო.

— არ მისმენთ? — გაკვირვებით იკითხა ქალმა.

— როგორ არა. — გაუღიმა ტიტემ და მზერა გადაიტანა მოლბერტზე დაყუდებულ საკმაოდ მოზრდილ ტილოზე, რომელსაც ჯერ ისევ ანნდა ახლახანს დაფენილი ფერადი ხაზები, წერტილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოგწონთ?

— ეტყობა, მართლაც სხვა ძალა განაგებს დედამიწას, — წყნარად ჩაილაპარაკა ტიტემ, ტელოსთვის თვალი არ მოუცილებია. — დროის უწყვეტი დინება სიცოცხლის განახლებას ითხოვს, სიცოცხლე — ბუნებასთან სიახლოვეს...

— და არა მარტო ამას, ჩემო კარგო, — ერთგვარი სიამაყით შენიშნა მხატვარმა ქალმა და ტიტეს უფრო მეტად მოერია სახეზე სევდანარევი დიმილი.

— ვგრძნობ, — კვლავ წყნარად უთხრა, — ეს გრძნობა ჩვენს ენაზე ძალიან მოკლედ ასე გამოითქმის: „ცვრილ ბალახზე თუ ფეხშიშველს არ გავიარე — რაა მამელი!...“ თუმცა, უფრო შორსაც შეიძლება წასვლა და ჩემის აზრით, ცუდად არ გამოგდით, სწორადაა გადმოცემული რუსი ადამიანის სული, მისწრაფება, ოცნება... აჭარი კრიტიკოსები ვფიქრობ, სახოტბო სიტყვებს არ დაიშურებენ.

— მარტო აჭაურები? — თითქოს სიცილით, მაგრამ ოდნავ აღელვებით ამოთქვა ქალმა და აუუფუნებული ჭროლა თვალები ჯერ „ქაკაცო“ შემფასებელს შეანათა, მერე დაკვირვებული მზერა ნახატზე გადაიტანა, რომელიც, როგორც ჩანდა, თვითონვე ძალიან მოსწონდა.

ტელოზე არცთუ ურიგოდ გამოხატული იყო მზის სხივებით ოქროსფრად აციალებული, ლაჟვარდი ცის ფონზე ეროვნულ, ნაწილობრივ ჩამძძონძილ ტანსაცმელში ჩაცმული ფეხშიშველი რუსი დედა, რომელსაც ხელში შიშველი, შეწუხებული სახის ბავშვი ეჭირა და მწვანედ აბიბინებული გორაკიდან ხარბად გასცქეროდა ტაფობად დაცემულ ველს იქით გაუგებრობაში ჩაძირულ გლუვ ჰორიზონტს.

ტიტემ უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

— ცუდ დროს მოვედი, — დანაწებით თქვა მან, — უმჯობესი იყო მთლად შიშველი ქალის პორტრეტზე გემუშავათ, ან ჯინდასას ჩვენი თავი, შიშველი მამაკაცის პორტრეტიც არ იქნებოდა უარგი. ახლავე გავიძრობდი ტანსაცმელს და ხალისით დაგიდგებოდით წინ. განა ასე არ სჯობია? თქვენც გაერთობოდით და ცოტას მეც დავშვიდდებოდი. ეს გრძნობები კი, ამ ტელოზე რომ ვკითხულობ, გონებას უფრო მიმღვრევენ და წარმოიდგინეთ, ერთგვარად მახელებენ კიდეც. და განა იმიტომ, რომ თქვენ ხართ ამაში დამნაშავე, ან მე? დღეს მთელი მსოფლიოა გადარეული ეროვნული სულის გამოღვიძებით. ამდენად, უმჯობესია, მე აქ, უკან დავჯდე, რომ თქვენ თავისუფლად იმუშაოთ. გამოცდილებით მაინც ვიცი, ხელოვანს რომ ლამის ახელებს, როცა მის სამზარეულოში იჩხრიკებიან, შექმნის პროცესში ერევიან, ხელებში შესცქერიან, რას წერს, რას აკეთებს, — მოლბერტის ცოტა უკან, ესკიზებით მოფენილი მაგიდის გვერდით, მორყეულ დამტვერილ სკამზე დაჯდა, — აი. აქ სჯობია, — თქვა და მონაცრისფრო პრიალა პიჯაკის შიდა ჯიბიდან კონიაკის პატარა ბრტყელი ბოთლი ამოიღო.

— ო, ეგ არა, ჩემო კარგო, — უთხრა ქალმა კონიაკზე, — დამალეთ, ნუ გამაღიზიანებთ. არადა, ერთი ყლუპიც გამომყვანს მწყობრიდან. გიკვირთ? თვალები დამიხუსტდა. სად გვეჭარება? დღეკვანდელ ნორმას მოვრჩები და... მაგრამ ასე მაინც ვერ მოვრიგდებით. ეტყობა, ჩაფიქრებული გიჭვთ, მოსვენება დამიკარგოთ, რამაც, არა მგონია, თქვენს მამაკაცურ ღირსებას რამე შემატოს. რამდენადაც მესმის, დაწყებულ სიტყვას დასრულება სჭირდება, და ამას გარდა, თუ ხელოვანზე სწუხართ, ისიც გეცოდინებათ, რომ ქალის ცნობისმოყვარეობა ზოგჯერ ამაღლებულ გრძნობებსაც თრგუნავს და ეს უფრო შემიშლის ხელს მუშაობაში, ვიდრე აშკარა სიმართლის მოსმენა. ასე არ არის? მით უმეტეს, როგორც მივხედი, რაღაც საყურადღებოს თქმას აპირებთ და, როგორც ხედავთ, დღეს მშვენიერ ხასიათზე გახლავართ, თქვენივე წყალობით და სრულიადაც არ ვაპირებ გაბრაზებას, ან გაწყრომას.

— ვიცი, ვიცი თქვენი ხასიათი, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა დალეული ხართ, — თავი დააქნია ტიტემ, მერე უცბად მოიყუდა კონიაკის ბოთლი, რამდენიმე ყლუპი მოსვა და ისევ ჯიბეში შეინახა, — მახსოვს, — თქვა მან ბოლოს ქვენა დიმილით, — აი, იმ ღამეს, ჩემთან პირველად რომ დათვერით...

ქალმა გადაიკისკისა და მერე ჰკითხა:

— საიდან სადაო, რაან გაგახსენათ ახლა ბავშვობისდროინდელი ამბავი?

— გამახსენა, — მაგიდაზე დაატყაპუნა ხელი, — აი, აქ ვსვამდით მე, თქვენ და თქვენი ქმარი. რა ერქვა?

—გრიგორი.

— ჰო, გრიგორი პეტროკიჩი. კარგი ბიჭი იყო, ღამაზი, ანტიკური აგებულების. დათვს შეეჭიდებოდა, კუნთები ასკდებოდა ტანზე. მაგრადაც სვამდა. რაზე გაიყარენით?

— კარგი ერთი... — თითქოს დაიმორცხვა ქალმა, სახეზე სიმხურვალე მოემატა, — ვითომ არ იცით... ან, რაღა დროს ის ამბების გახსენებაა, მას შემდეგ აგერ, თმა გამიჭაღარავდა. და საერთოდ, სიტყვას ნუ მიგდებთ ბანზე, ჩვენ ხელოვნებაზე ვსაუბრობდით...

ქალი საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ხელოვანი ადამიანისათვის დამახასიათებელი სიკეკლუცით პატარა გოგოსავით ჰქონდა შუბლზე ჭრელი ზონარი გაკრული და მხრებზე ეფინა შუბლთან შეუაბი გაყოფილი მარილაც ჭაღარაშერეული საგანგებოდ დახვეული მოწამლისფრო თმის კულულები. ტანზე წელში გამოყვანილი საღებავებით გათხვრილი ლურჯი სამუშაო გრძელი ხალათი ეცვა, რომელიც დროდადრო შუაში გაგშლებოდა ხოლმე და ბოლომდე უჩანდა თვალისმომჭრელი სითეთრის შიშველი ჩამოქნილი ფეხი. მხოლოდ ოდნავ დანაოჭებული და დაძარღვული, დამჭკნარი ხელის მტევნები მეტყველებდნენ მის არცთუ პატარა ხნოვანებაზე და სანდომიან, დახვეწილი ნაკვთების ფერმკრთალ სახესაც აშკარად აჩნდა ხანგრძლივი ჯაფით, ფიქრითა და ბოჰემური ცხოვრებით შემენილი დაღლილობისა და მოთენთილობის პროფესიული კვალი. ჰო, ძალიან ჰგავდა დედას — ლიდიას, მაგრამ ვერა უფრო ეშხიანი და მომზიდველიც კი იყო, თითქოს კვკასიელის ხელი ერია ამ ღმერთგამაწყრალის გაჩენაში და ტიტე ყოველთვის თაფლად დნებოდა მისი ხილვისას...

ტიტემ თმაშეთხელებულ თავზე გადაისვა ხელი და მწარედ ჩაიკინა.

—ხელოვნებაზე... — გაიმეორა მან დამაკვლით, გულღელი დაიკრიფა და ჭრიალა სკამის საზურგეს ოდნავ მიაწვა, — ისე თავისუფლად ამბობთ ამ სიტყვას, თითქოს იგი ჩვენს სინამდვილეში ბანალურად არ ყღერდეს. ვის აინტერესებს, ჩემო მშვენიერო, ხელოვნებაზე ხელოვანის აზრი? ან საერთოდ, ვისთვის ვკმენთ, რატომ ვკმენთ? რით გავაკეთილშობილეთ ცოდვილი ადამიანის ზღვის ტალღებივით მარად მბორგავი, გაავებული სული?.. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გვაფრთხილებდა თომას მანი, დედამიწაზე ხელოვნების საუფლო იზრდება, ხოლო ჯანმრთელობისა და უცოდველობისა მცირდებოო, მაგრამ ვინ შეისმინა მისი გაფრთხილება? მას შემდეგ დედამიწამ ორი საზარელი მსოფლიო ომის გადაიტანა, მილიონობით ადამიანი დაიხოცა, დასახიჩრდა, უსახლკაროდ დარჩა, ახალ-ახალი ავადმყოფობებით დაავადდა, ირგვლივ ყოველწამიერად იზრდება დანაშაული, სიბეცე, სიბრიყვე, ჩვენ კი ხელოვნების საუფლოს ვითომ ვზრდით და ვზრდით. მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. ძნელია, როცა ამ ასაკში გეტყვიან კაცს, არ ვიცხოვრიაო. დიახ, ჩემო ვერონჭა, ასეთი დროც დადგიდგა. გამოხტება ვიღაც ცხვირმოუხოცავი და ცხოვრების სწავლებას დაგიწყებს, ეროვნულ ამაღლებულ სულზე ლექციას წაგიკითხავს, თან გაგლანძღავს, გაგთათხავს და ბოდიშსაც არ მოგიხდის! ის კი არა გთხოვს, გაიძულებს შენც მასავით იაზროვნო, მასავით იცხოვრო. გესმით, ეს რას ნიშნავს? ჰგონიათ, თვითონაც ის პიროვნებები ბრძანდებიან, რომ როგორც დავიდა რაფაელს, მეც მათ აღფრთოვანებული შევუძახებ: თქვენ მაიძულეთ შემეგნო, რომ ეროვნული სული თვით თქვენზეც კი მაღლა დგას!.. განა სასაცილო არ არის?

— ეტყობა, მაგრად შეუხურეგიხართ, — შენიშნა ქალმა ისე, რომ ტილოსათვის თვალი არ მოუცილებია. თან რაღაცას ყოყმანობდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ერთ ადგილას ტონი გაემუქებინა, თუ იგივე დაეტოვა.

გახურებულ გულზე ტიტემ კონიაკი კვლავ მოსვა, გაიმწარა პირი, ჩანახევრებული ბოთლი სწრაფადვე ჩაიდო ჯიბეში და ღრმად ჩაისუნთქა იქვე, ღია ფანჯრიდან შემოჭრილი ნევის ტენით გაჟღენთილი ნაცნობი საამო ჰაერი. მერე ნაღვლიანად ჩაიკინა.

—იცით?.. — იკითხა უცბად სულელივით საკმაოდ ხმამაღლა, რაღაცით დაძაბულმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკამიდან წამოდგომაც დაეპირა, მაგრამ ისევ დაჯდა, უარესად მოეშვა და, თითქოს საკუთარ თავთან საუბრობსო, დაბალ ხმაზე განაგრძო, — კაცმა რომ თქვას, ყველაფერში ვერ გაამტყუნებ, — თქვა თავის ახალგაზრდა ოპონენტზე, — რა თქმა უნდა, იყო ხელოსნობაც — მაგალითად, ბელადების პორტრეტები. მუშტარი — აფრაცხელი, ანაზღაურება — სოლიდური. არ დახატავ? არსებობაც ხომ გინდა, არა?.. მეც კი ვიცი, გამოცდილება, დაკვირვება და წარმოსახვა ხელოვანისათვის ისეთი „სამუშაო იარაღებია“ რომელთა გარეშე, რა ბუნებრივი ნიჭითაც უნდა იყო დაჯილდოვებული, ჭეშმარიტ ნაწარმოებს ვერ შექმნი. მაგრამ ყველამ როდი იცის, ლექსის შექმნისას, ამ თვისებებთან ერთად, წინ რომ იწევს დანახულის და შეგრძნებულ-შემეცნებულის მეტაფორული წარმოსახვის თავისებურად გადმოცემის, ტუნწად, მაგრამ ზუსტად შერჩეული მუსიკალურად მეტერი სიტყვებით საკუთარ განცდათა ზედაპირზე ამოტანის უნარი. ამის სწავლა შეუძლებელია, ჩემო კარგებო, მას არ ჰყავს მასწავლებელი, რამეთუ განცდა პიროვნულია, მისი ლექსად აყალიბება კი ღვთაებრივი!.. ეჰ, შემყვარებოდა მაინც ვინმე... არადა, როდი მაკლდა ხორციელი ტკბობის ჯურღმულებში ჩაძირვა, მაგრამ... ყოველთვის ნაღველით აღსავსე მოგონებებს მიღვიძებდა ფიქრი სულიერ ტირფიალზე, რომლის ნიჭი ერთ დროს თითქოს მჭონდა, ოდესღაც პლატონურად მიყვარდა პატარა დოდონია, მერე კი გამიქრა, თუ დავკარგე და ალარც მიძებნია. მთელი დრო მიჭერდა ამ გრძნობის სიტყვებში ძიების, ახალ-ახალი მეტაფორებით გალამაზებას, რომ ერთითაც და მეორითაც განუმეორებელი ლექსი, ახალი სახე შემექმნა და მერე აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ასეთი სიტყვა, მეტაფორა სხვას ჰქონდა ნაპოვნი, გამოთქმული და თურმე შენ უბრალოდ გონებაში გაგითია ჩალექილ-ჩარჩენილი, ალბათ, სადღაც ამოკითხულ-გაგონილი. ამას ახლა პლაგიატორობად გითვლიან. თუარა, რაღგან მწერალი გქვია, ნება იმოძე და, ვისაც რა დაუშერია, ყველაფერი დაიმახსოვრეო... სასაკილოა პირდაპირ, თითქოს არსებობდეს ვინმე, რაც კაკობრიობას შეექმნა, ყველაფრის დამახსოვრება შეეძლოს; ან ისეთი, წინამორბედის გავლენა არ ანჩდეს; ბოლოს და ბოლოს ისეთი, ჩვენს სინამდვილეში განუმეორებელს ქმნიდეს. დიახ, ვერა მაქსიმოვნა, რაღაა სათქმელი?.. ჩვენ რომ არ ვარსებობდეთ, კაკობრიობას განა არ ეყოფოდა ვთქვათ: ჰომეროსი, პლატონი, რუსთაველი, ჩემი ბატონი, შექსპირი, გოეთე, ტოლსტოი, ლეონარდო, მიქელანჯელო, დავიდი, გნებავთ — პიკასო? ვინ არ იცის, რომ ნამდვილი ხელოვანისათვის არ უნდა არსებობდეს მზაზარეული თემა, ან რაიმე ამთქმატიკური რეცეპტი, თუ სურს სრულყოფილი ნაწარმოები შექმნას. შემოქმედს გზაზე მზაზარეული საერთოდ არაფერი უნდა ხვდებოდეს, გარდა დიდი გამოცდილებისა, წინმავალებმა რომ დაგვიტოვეს; რომ ხელოვანი ბრიყვი უნდა იყოს, თეორიის მიხედვით თუ დაწერა; რომ ჭეშმარიტმა ხელოვანმა არავის რჩევას არ უნდა დაუგდოს ყური; რომ იგი უნდა იყოს სოკრატად თავმოყვარე, რაც არ უნდა მოიხიბლოს ძველით, მაინც უნდა ესწრაფოს აჯობოს მას; ყოველივეს სტუდენტებსაც ვასწავლით, ჩემო ვერა მაქსიმოვნა, მაგრამ ერთია, როცა იცი, როგორი უნდა იყო, როგორ იმოქმედო და, მეორეა, სად ცხოვრობ, როგორი ხარ თვითონ, რა ნიჭი დაგანათლა განგებამ, რა ძალა და ენერგია შეალივე ოსტატობის სრულყოფას. საკმაოდ მრავალი წინასწარი პირობა აღმოჩნდა საჭირო ჭეშმარიტი ხელოვანის სიხარულის განცდის მისაღწევად, რამეთუ ის, რისკენაც მისწრაფვი, თუ ამის საშუალება მოგეცა, თითქოს მაღლა-მაღლა იწევს და, ჩემხელა უნდა გახდეთ, რომ აღმოაჩინოთ: უგულუნერობაა აჯობი მას, რამაც თავად შეგვქმნა და გვიბძოძა შემოქმედებითი აზროვნების საწყისი... ეს რიდი იცის დამწყებმა. არ ვიცოდი მეც, რა თქმა უნდა. მაშინ მთლიანად მივანდე ბედი იმ გზას, რომელიც ამქვეყნად ყველაზე ამაღლებულად მიმაჩნდა და, რომელიც ეუნუნაეს დიდებასა და პატივს მიქადდა. არადა, რასაც ჭაბუკური ვნება მიეწდო, მხოლოდ ახლა გამოჩნდა, ის რომ ვერ მარგუნა, რასაც მოვვლოდი. სამაგიეროდ, საზღაურად მთელი ახალგაზრდული წლები გამომთხოვა და ხელში თურმე სიცარიელე შემრჩა. ეს არის ყველაზე მწარე შეგრძნება, რომელიც სიცოცხლეს არარაობად აქცევს, მაგრამ სიკვდილის შიში მაინც გაიძულებს თავი იმით დაიმშვიდო, რომ ამაო ცხოვრებაც ცხოვრებაა და შემდგომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობისათვის. შეიქლება მანაც რაღაც საბსახური გაგიწიოს... მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა! — წამოიძახა გაცხარებით, — მე ხომ ვარსებობდი, შემოქმედებითად ვცხოვრობდი, ვქმნიდი, გამაჩნდა ადგილი, ყაკვირვები, წარმოსახვის და, ბოლოს და ბოლოს, ტილოზე თუ ქაღალდზე გადმოტანის უნარი!..

ვერა მაქსიმოვნას გაეღიმა. მაგრამ ეს არ იყო თანაგრძნობის გამომხატველი ღიმილი, ისე, თითქოს თავისთვის ჩაიღიმა და ვაღლის მოხდის მიზნით. ველ მეგობარს ყოველ შემთხვევისთვის ჰკითხა:

— ნუთუ ყოველივე იმდენად ტრაგიკულად აღსაქმელია, რომ ღირს ამდენ სანერვიულოდ?

— თქვენ არ იცით, რა ხდება ჩვენთან, საქართველოში, — მიუგო ტიტემ მაშინვე აგზნებულად. — წარმოდგენა არ გექნებათ, რა თაობა მოდის, ვინ გვიპირებს შეცვლას. კაცს ისე ჰკლავენ, თვალს არ ახამხამებენ და ისევ, ვითომც დიდი მორწმენელები ბრძანდებოდნენ, საქვეყნოდ გაჰყვირიან, არა კაცს ჰკლავო. აი, ასეთი ხალხის ხელში ჩაგვაგდო თქვენმა პერესტროიკამ, ჩემო ძვირფასო ვერონჩკა მაქსიმოვნა...

— ახლა კი მაკვირვებთ, — რაღაც კი მოეწონა ვერა მაქსიმოვნას, — ჯერ ერთი, ჩვენი და თქვენი რას გაუყვია, და მეორეც, რას გვერჩით? პერესტროიკამ ერთი სიკეთე მაინც მოგვიტანა ვეულას, — ჩვენც და თქვენც, შეგვძლია ვთქვათ ის, რასაც ვფიქრობთ ისე რომ აღარ შეგვეშინდეს! მაშ, სტალინის დროს იყო უკეთესი?

— ეეჰ!.. — ამოიოხრა ტიტემ, — რაოდენ ნიშანდობლივია თქვენი სახელი ვერა, ვერონჩკა, როგორც ივან პეტროვიჩი იტყოდა ხოლმე... ვერონჩკა: მაგიერად მოქმედებს ჩემზეც... როგორც კი დამეღლება სული, მაშინვე თქვენს თავს მთხოვს და ვიდრე გიბილავთ, საოცარი მღელვარება მიპყრობს. ხოლო, როცა ამ ბედნიერებას მოკლებული ვარ, სულ პატარა, პატარა იმედიდა მაძლებინებს, რომ თქვენ არსებობთ აი, აქ, ამ სახელოსნოში და მეც თქვენთან ერთად ვმსჯელობ ამ უსამართლობაზე, რამაც ჩემი სული დაღალა. ახლაც, შინ რომ არ დამხვედროდით, ალბათ, მთლად გამისკედებოდა ისედაც გახეთქილი გული. თქვენ კი აქეთ მიტევთ, რას გვერჩითო... იცით, თქვენს ტილოზე გაზაფხულის გამაბრეშელი სურნელი ტრიალებს, ის, რაც ამყამად თქვენს გრძნობაში ძევს, ღვივის, ფუტფუტებს. მე კი თვალწინ შემოდგომა მიდგას; შემოდგომა, რომელიც მაფრთხობს და ცოტას კიდევ მაშინებს, მაგრამ მაინც შემოდგომა მირჩევნია თქვენს გაზაფხულს და იცით, რატომ? არ მწამს გაზაფხულის. დიახ, არ მწამს. მე ამ დროის თუნდაც მცირედი ნოსტალგიური გრძნობაც გამქრალი მაქვს, რომ იცოდეთ, და, ალბათ, ესეც იმიტომ, რომ სწორედ მაშინ ვიყავი ყველაზე დიდი სულელი, მაშინ ჩავდიოდი ყველაზე სავალალო შეცდომებს; სწორედ ის შეცდომებია, დღესაც წარმოუდგენელი ტკივილებით რომ მახსენებენ თავს და მხოლოდ იმასღა ვფიქრობ, როდის დასრულდება ყოველი. ჩემი სული მართლაც ბოლომდე ამოწურულია, ვერა მაქსიმოვნა, თქვენ კი მეუბნებით, რას გვერჩითო...

— ახლა უფრო მაკვირვებთ, — თქვა უცბად მხატვარმა, — ვერ დამაჯერებთ, რომ მართლა შემოდგომა მოგწონთ და არაფრის შეცვლა არ გსურთ. მაშ, რისთვის გქვიათ შემოქმედი? აბა, რა დანიშნულება აქვს ხელოვანს თუ შეცვლის, განახლების სურვილიც არ აქვს?.. თუ ასეა, რაღას ერჩით თქვენ „ცხვრიმოუხოცავებს“, დაუთმეთ გზა.

— ადვილი სათქმელია, დაუთმეთო, — ირონიულად ჩაიცინა ტიტემ, — დაუთმობ და მორჩა, დაიკრიფე გულხელი; იმ წუთიდანვე აღარაფერი იქნები, საერთოდ აღარ იარსებებ. ჩვენს ცხოვრებაში ხელოვანს მაშინ გეძახიან, როცა სკამი გიკავია. არ გიკავია და, განდ პიკასო იყავი, განდ პუშკინი!

— მერე, მაგ დამკვიდრებული წესის შეცვლა მაინც არ გინდათ? — გამომცდელად ჰკითხა მხატვარმა, — თქვენ ხომ აღარაფერი გაკლიათ, ტიტე ვარლამოვიჩ, ნუთუ ეს თქვენ ხართ?.. აგერ, — ფუნჯიანი ხელი სახელოსნოს იმ კუთხისკენ გაიშვირა, სადაც გაზეთგადაფარებული ფერწერული ტილოები ეწყო, — აი, სად ყრია ჩემი გრძნობები, ჩემგანვე მივწყებულები, დამტვერილები... განა ეს თქვენში არ იწვევს აღშფოთებას, ან გაკვირვებას მაინც?!. ესაა

სამართლიანობა?..

— თუ ბოლომდე გსურთ სიმართლე იცოდეთ, ახლა მე ის უფრო მაკვირვებს, თქვენ, ლენინგრადელი, დიდი რუსი ხალხის წარმომადგენელი ჩემგან რომ თხოულობთ ცხოვრების ამ უსამართლობის გამოსწორებას, თითქოს იგი თქვენი კი არა, ჩემი დადგენილი იყოს, — უსიამოდ აიჩეჩა მხრები ტიტემ, — და, საერთოდ... — განაგრძო ენის ბორძიკით, — სიტყვაზე მიჭერთ. იმას კი ვერ გრძნობთ, როგორ მომშლილ ხასიათზე ვარ და უცებად შეიძლება ისე გაწყენინოთ, ჩემი დანახვა სულაც აღარ მოგინდეთ... თქვენ გსმენიათ ასეთი გამოთქმა, ლიტერატურა მოწოდება კი არ არის, არამედ წყევლაო? ჰოდა, ახლა მე სწორედ დაწყევლილი ვარ და ჩემი გული... — ხელი ჩაიქნია, — როგორ გითხრათ... ჩვენ, მწერლები და მხატვრებიც, ჩვენივე დაწყევლილობის გამო, მარტოსულები ვხდებით და, რაც უფრო შორს მივდივართ, მით უფრო გვიჭირს საერთო ენის გამონახვა. მართლაც, რა საშინელი ხვედრია ნიჭი და ბრბოდან გამორჩეულობა... დაწყევლილი ყოფილა მართლაც... მე კი დამშვიდება მინდოდა, თუ ძირითადს არ ვიტყვი, და ამხელა მანძილზე იმიტომ გამოვიქეცი. ერთადერთი, სადაც შემიძლია განმეუხტება, დამშვიდება და დაწყნარება, ეს ლენინგრადი იყო. ახლა ისიც გულგრილად მხვდება, თითქოს მთელი ჩემი გული და სული მისთვის არ მიმძღვნია... ნამდვილად ვერ გამიგეთ, ჩემო ვერა მაქსიმოვნა. რა თქმა უნდა, საუკეთოა, როცა უშიშრად შეგიძლია ხმამაღლა განაცხადო ის, რასაც ფიქრობ, მაგრამ ჩვენს პოლიტიკოსებს გამჭრიახობა არ ჰყოფნით; ვერ საზღვრავენ, რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ თავისუფალ ლაპარაკს. მაშინ, გახსენით ყველა საზღვარი, გაუშვით ხალი თავის ჭკუაზე, ვისაც როგორ სურს, ისე იცხოვროს და ნუღარ ჩაერევით რუსები სხვის საქმეში!.. ეს არ გნებავთ, ბატონნო. არადა, იცით როგორ წაიკითხავს ჩემი „ცხვრმოუბრალცავი" თქვენს ნამუშევარს?.. ეგ არ გახლავთ მარტო ღვთაებრივ მარიამთან დანათესავების რიგითი ცდა. ან იქნებ საერთოდ არც არის იგი. მოგეხსენებათ, მარიანი ჩვენ, ადამიანებს შემოგვეკერის და თითქოს განსაკცდელისთვის გვამზადებს, რათა ცოდვის ჭვილმს ტანჯვა შეგვიმსუბუქოს. თქვენი დედის მზერა კი ძალიან შორს, ჰორიზონტს მიღმა მიმართული. მას თითქოს არ ჰყოფნის საკუთარი თვალუწვდენელი მინდვრები, დაბურული ტყეები, წყალუხვი მდინარეები... მას იმდენად არ ადარდებს საკუთარი თავისა და შვილის სიშიშვლე, რამდენადაც ჰორიზონტს მიღმა არსებული სხვისი სიმდიდრე ახელებს და იმაზე ფიქრობს, ისინიც როგორ გაამჯობოვროს!..

ვერა მაქსიმოვნას სახეზე სიწითლე მოეძალა, თვალებში გაკვესა და თავისდა უნებურად გაოცებით აღმოხდა:

— ღმერთო ჩემო!.. გეფიცებით, აზრადაც არ მომსვლია მსგავს თემასთან შეჭიდება მარტო ახლა კი არა, საერთოდ!

ტიტეს მოეწონა, რატომღაც, ქალის წამოჭარხლება, კმაყოფილად ჩაიღიმა, კონიაკი მოსვა, კვლავ ჯიბეში „დამალა" ბოთლი და მერე გაეპაეჭრა:

— ის, რაც სულშია, ჩემო კარგო, სისხლშია გამჯდარი, მას წინასწარ შემზადება არ სჭირდება.

— დალახგროს ეშმაკმა, — ფუნჯი უდიერად დააგდო პალიტრაზე ქალმა, სიგარეტს მოუკიდა, მოწყვეტით ჩაჯდა დაბალ სკამზე, მთელი ბრწყინვალებით გამოაჩინა შიშველი ბარძაყები და შედარებით მშვიდად განაგრძო, — იქნებ რაღაცაში მართალიც ხართ, — დათმობაზე წავიდა იგი, — საერთოდ, მსგავსი ხასიათი უცხო არაა ჩვენთვის; გამდიდრებას კი არ ვცდილობთ, ხშირად სხვის ვედაგებით, საიდან გაქსსო. აგერ, რა მაქვს და, მეზობლები შურის თვალით მიცქერიან, ზოგს მილიონერი ვგონივარ, საჩივრებიც დამიწერეს და ის არ იციან, რომ სიბეჩოთა კავშირში ჩემნაირი უსაკმო რიგით მხატვარი მათხოვარია; თუმცა, რამდენიმე გამოფენაში მონაწილეობა მიღებული მაქვს აქაც და საზღვარგარეთაც. მაგრამ, რა შუაშია აქ რუსული სული?.. ერის სულს მისი ისტორია, ზნე-ჩვეულება, კულტურა აყალიბებს და არა სახელმწიფო პოლიტიკა. ერის სიდიადეს მისი შემოქმედებითი ინტელიგენცია განსაზღვრავს და არა მეფე, ან რომელიმე ცენტრალური კომიტეტის მდივანი!.. კულტურას და

შემოკმედებით ინტელიგენციას კი ვერ დაგვიწუნებთ, ჩემი კარგო, რუსეთის ინტელიგენცია ყოველთვის პროგრესულად მოაზროვნე, ჰუმანისტური იდეალების მატარებელი იყო, არის და იქნება!..

ტიტე თითქმის აღარ უსმენდა მხატვარს, თავისი ერის ღირსებას თავგამოდებით რომ იცავდა. კვლავ ძველი ამბავი გაახსენდა და ამან ცოტა გაართო. თან თვალს მალიმალ სტაკებდა ჭალის შიშველი ბარძაყების მკვეთრი სითეთრე და უცბად სიცილი მოუნდა.

— ხედავთ? გაბრაზდით, — სვენებ-სვენებით უთხრა და ხითხითით განაგრძო, — თქვენ კი თქვით, არ ვაპირებო... უი, ვეღარ ვიკავებ სიცილს მაშინდელივით. გახსოვთ?.. აი, იმ ღამეს, ჩემთან პირველად რომ დათვერით...

ჭალმა ერთხანს უყურა, ფეხებზე ხალათის კალთები გადაიფარა და მერე თვითონაც აჰყვა სიცილში.

— დიდი ეშმაკი ხართ, — უთხრა ბოლოს, — მომეცით თქვენი კონიაკი, რომ მეც გავისველო ყელი. ვამჩნევ, დღეს ვეღარ ვიმუშავებ.

ტიტემ თხოვნა შეუსრულა...

— რა ერქვა თქვენს ქმარსს?.. — კვლავ ხითხითებდა, ისე ჰკითხა, — ჰო, გრიგორი პეტროვიჩი... ლამაზი ბიჭი იყო, ტანადი. ხარივით სვამდა. რაზე გიყარენით?.. როგორც კი იყნოსავდა, დასრულებას ვაპირებდით, ხელების ფშვნეტით წაიღიღინებდა ხოლმე ქართულად, ეს და ბოლო ჭიქა დაგვრჩება დაულეველი. არადა, მისთვის ის ბოლო ჭიქა არა და არ ილეოდა.

— ჰო, — დაეთანხმა ჭალი, — ვერ გავაგებინე, რომ ის ბოლო ჭიქა იყო, ბოლოს რომ უღებდა.

— მაშინ თითქოს არ იყო ისეთი მთვრალი. გახსოვთ? შუადამისას რომ აიტეხა, კიდევ დავლიოთო?.. რა უნდა მექნა, მივეცი ფული. მანაც გამომართვა და წავიდა!.. თქვენ კი, მოხვედით და პირდაპირ კალთაში ჩამიჯექით. გახსოვთ?.. ნახევარ საათზე აღრე მაინც ვერ მოვიო, რომ მიმტკიცებდით...

— თქვენ ის გახსოვთ, როგორ მიტრიალებდით თვალებს პატარა გოგოს და სასმელს მაძალებდით? თან ჭიქას ბოლომდე მივსებდით, — ტკბილ მოგონებებში გაინავარდა ჭალაც, — არადა, სად იშოვა ისე მალე?

— არ ვიცი. მე, მაგალითად, ერთი სიცოცხლე გავათავე, შიშვლებს თავზე რომ დაგვდგა, — კვლავ ახითხითდა ტიტე. — მეგონა, მომკლავს-მეთქი, ჰა, ჰა, დამახრჩობს-მეთქი. და ხელსაც ვერ შევუბრუნებდი!.. მან კი, სამი თითის კომბინაცია დამანახვა, აი, ამას მიიღებო, არაყზე მითხრა, ბოთლები ორივე ხელით ჩაიხუტა გულში და სამზარეულოში ჩაიკეტა, სმაში რომ არ შევცილებოდით.

— ჰოდა, ისეთი ლოთის გაძღება არ გინდოდათ? — თქვა მშვიდად ჭალმა, — თქვენ კი მეკითხებით, რაზე გიყარენითო.

— სამზარეულოში რომ ჩაიკეტა, გახსოვთ?.. აი მაშინ რომ ამიტყდა სიცილი და თავს ვეღარ ვიკავებდი, ახლაც ისე დამემართა... ეჰ, — ამოიოხრა ტიტემ და თითქოს ჩაცხრა კიდეც, თვალებზე მომდგარი ცრემლები შეიმშრალა, — კარგი დრო იყო მაშინ, — თქვა დანანებით, — ახალგაზრდები ვიყავით, ნამდვილი ცხოვრების არაფერი გაგვეგებოდა, წარმოდგენა არ გვქონდა სიცოცხლის დანიშნულებაზე, ეროვნულ ტკივილებზე... ან ვინ ამოიღებდა ხმას!.. ახლა... — ხელი ჩაიქნია, — ახლა, ვისაც ეხალისება, ძაღლმა და ღორმა, ყველამ თავი წამოყო, ყოველი მხრიდან იღრინებიან და იკბინებიან. ის კი არა, აკამდე ვინც მლიქნელობისა და ქვეშ ძრომიალის მეტს არაფერს აკეთებდა, ყველაზე ხმამაღლა ის გაჰყვირის, ძირს რუსეთის იმპერიაო, ძირს კომუნისტებიო... ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილია აღმართული. მე კი მეგონა, საქართველო არ დაივიწყებდა, რაც ჩემგან ისწავლა.

ჭალმა თავი გააქნია და სიგარეტის კვამლში გაეხვა. მერე კიდევ გააქნია თავი, თითქოს რაღაც დაენანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ მართლაც დიდი ეშმაკი ხართ, — თქვა მან ცივი ღიმილით, — მგონი გაგიგეთ, რატომაც გადახვედით უცაბედად ერთი თემიდან მეორეზე და უცაბადე კვლავ პირველს დაუბრუნდით. მე კი გულუბრყვილოდ აგიყვეთ... საინტერესო მოსაზრებაა... ესე იგი, ერთის მხრივ, გამეფებულია ცხოვრების უსამართლობა, რომელიც რუსის მუჟიკი ერთნაირად მოგვიტანა ყველას, ჩვენც და თქვენც, ხოლო მეორე მხრივ, იგივე რუსის მუჟიკი ვერ გამოსულა წყვდიადიდან, პასიურად ელის სიკვდილს და მსოფლიოსაც ამავე ბედს უმზადებს!.. არა, შეიძლება ზუსტად ასე არ გინდოდათ გეთქვათ, მაგრამ თქვენი აზრის დინარებას მაინც აქეთ მივყავართ, რაც ერთგვარად საგულისხმო მოსაზრებაა. ესე იგი, დიდი მსხვერპლის გაღების მიუხედავად, კომუნისტურმა საზოგადოებამ ვერ მოაწესრიგა ჩვენი სოციალური მდგომარეობა, ვერ დაგვისუფთავა სინდისი, რომელიც ჩაახშობდა რუსი მუჟიკის თავჭარიანობას, სხვათა უკეთესად ცხოვრებისადმი შურს, გაავებას, სხვათა შორის, მათრახისადმი უტყვ მორჩილებასაც და ამავე დროს სწრაფვას მსოფლიო ბატონობისკენ, რათა აღარ არსებობდნენ მასზე მდიდრები, ლაღები, ბედნიერები... ასეთი აზრი, სხვათა შორის, ჩვენი ინტელიგენციის — დემოკრატების ერთი ნაწილიც ბრუნავს, აქაც გაისმის ხმები, ძირს კომუნისტებიო, და იშვიათად, — რუსებს ჩვენივე იმპერიული ზრახვები დაგვლუპავესო, ანუ ძირს იმპერიაო. ჩვენ კი, ხელოვნების ბრმა მსახურნი, რომლებიც ერთგვარ მორალურ უპირატესობას ვგრძნობთ გაავებულ-განრისხებული კომუნისტური საზოგადოების მიმართ, თუმცა, იძულებულნი ვართ ვემსახუროთ მას, თუ არსებობა გვსურს, ასევე პასიურად ველით სიკვდილს. ის კი არა, ჩვენი ლომის წილი შეგვაქვს ამ „მტაცებლური“ რუსული სულის გაღრმავება-განგრცობაში და ამით საკუთარ სიკვდილსვე ვაჩქარებთ!.. კაცმა რომ თქვას, თვითონ რუსული სულია დაღლილი უთაო მეფეებითა და უბადრუკი პოლიტიკოსების წყალობით.

— თქვენ კარ გეჩვენებათ, რომ პოლიტიკაც სულის გამოვლინებაა? — სიტყვა ჩამოართვა ტატემ, — მაშ, რატომ არის ნათქვამი, რაც ხალხია, ის მეფეც ჰყავსო?..

— დიახ, — ადვილად დაეთანხმა ქალი, — მეც ითთქმის მაგას მოგახსენებდით. სახელმწიფო პოლიტიკაც შეიძლება ჩავთვალოთ ეროვნული სულის გამოვლინებად და მაშინ, ჩვენს მრავალწახნაგოვან კულტურას თუ ხელოვნებას ნაკლებად არ უღვაწია, რუსული სული ჩაედო იქ, სადაც რუსული ჩექმა დაიდგა... მაგრამ თქვენ მიგიჩნიათ, რომ შოპენჰაუერული წმინდანობა გვიხსნის?.. ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ამ თემაზე მეც ხშირად მიფიქრია; ამ ბოლო დროს ჩემთან მოდის ზოგი რუსი დემოკრატი და ვმსჯელობთ, როგორ შეიძლება ვიხსნათ ადამიანი უსაზღვრო ტანჯვისაგან. იქნება უმჯობესია, საგნები განვიხილოთ მათი საფუძვლიდან დამოუკიდებლად და ვიზრუნოთ არა ზოგადად ეროვნულზე, არამედ კონკრეტული ადამიანის სულზე; იქნებ ასე უფრო ვიხსნით კაცობრიობას?.. ყოველ შემთხვევაში, ერთ ჭეშმარიტებას მაინც ვერ გავექცევით: ბრალდება დანაშაულში, რომელიც შეიძლება კომუნისტურ საზოგადოებას წაეფაროს, იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ მან დაუდო საფუძველად ხელოვნებას სოციალისტური რეალიზმი და პირადად ჩვენ სწორედ ამ მიზეზით ვერ ვიხსენით არა თუ სხვათა, საკუთარი სულიც; ვერ გავთავისუფლეთ უსაზღვრო ტანჯვისგან არათუ სხვა ერის ადამიანები, თვითონ ვერ გავთავისუფლდით. პირიქით, როგორც ამ ფსევდოხელოვნების მსახურნი, რასაც თქვენ ასე მისტირით, განწირულნი ალმოვჩნდით მარცხისათვის და, ჩვენი მუჟიკის ყველაზე დიდი დანაშაული იმაშია, რომ პირველმა მან იტვირთა კომუნისტური დოგმებით ჩარხის უკუღმა დატრუნება, ანუ მსოფლიო გათანაბრება. სხვა მხრივ, ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, ჩემო კარგო, ნების ბრმა იარაღნი; ამასთან, გვსურს გართობა, ჭამა, ჩაცმა, ერთი სიტყვით, ცხოვრება და ამით, ღმერთისგან თუ ბუნებისგან მაინც უსაზღვრო ტანჯვისთვის ვართ განწირულნი. ამიტომ ვერ გაამტკუნებთ ერთს ბოჰემური ცხოვრების და მეორეს თავისუფლებისადმი სწრაფვის გამო; ყველა გრძნობა, სურვილი ადამიანურია. ასე მესმის მე, ლენინგრადელს, დიდი რუსი ხალხის წარმომადგენელს, რომელსაც გულით სურს გაგიგოთ, თანაგრძნობა გამოგიცხადოთ, მაგრამ თქვენი შეშფოთება

ცოტა გაუგებარია ჩემთვის, კიდევ რაღაცას მალავთ, ბოლომდე არ ამბობთ სათქმელს. მაინც რაო, რას გედავებიან ისეთს?

— ისეთს არაფერს, — ხელები გაშალა ქალის აზრებით დაბნეულმა ტიტემ, — უმთავრესად თქვენდამი ერთგულებასა და სიყვარულში მდებენ ბრალს... სასაცილოა, არა?.. როგორ გინდა აუხსნა, რომ ღმერთმა ამ დროს, ამ ქვეყანაში გაგვაჩინა, როგორ გინდა აუხსნა რომ ბედმა ისეთი ცხოვრება მარგუნა, მხოლოდ თქვენთან ვიყავი ბედნიერი და, რა თქმა უნდა, ვარ ახლაც... და ეს იმიტომაც, რომ მხოლოდ თქვენ გესმოდათ ჩემი, მხოლოდ თქვენთან შემეძლო მეხუმრა და სერიოზულიც ვყოფილიყავი; მხოლოდ თქვენს გვერდით იყო ყველაფერი ნაცნობი, ახლობელი და არასდროს უგრძვნია ჩემს ამაოდ დამშვრალ სულს ზიზღნარევი კმაყოფილება. პირიქით — მარად ვეძიებდი მხოლოდ თქვენთან სიახლოვის მაცდურ წამებს, ხანმოკლე და უმნიშვნელო ეპიზოდებს. და მეც მხოლოდ ასეთ დროს ვიყავი ბედნიერი. ახლა კი, ყველაფერი ინგრევა და იმსხვრევა, სამწუხაროდ...

— სიყვარულისთვის ბრძოლაა საჭირო, ძვირფასო, იქ, საქართველოში და არა აქ, ლენინგრადში, — შენიშნა ქვენა ღიმილით ქალმა, — რადგან გადაგწყვიტეთ და ცხოვრების ახლებურად გარდაქმნას შევუდექით, ზოგიერთი პრინციპიც უნდა დავთმოთ, თუ საჭიროა, ახალი მორალი ვიქადაგოთ, მხოლოდ ისე, რომ სიყვარული შევინარჩუნოთ.

— სათქმელად ადვილია...— აგზნებულად თქვა ტიტემ და ხელების ქნევით ადგილიდან გაღიზიანებული წამოიჭრა, — მე ჰესოიდე არ ვარ, ვიქადაგო ახალი მორალი. ჯინი უკვე ამოშვებულია ბოთლიდან. ანუ, როგორც იტყვიან, წვიდა, გაფრინდა ჩვენი ოჯროს სუკეუნე, გაწყდა დროთა შორის კავშირი. ამაოა უკვე ოსირისს შევთხოვო: „მომეცი გზა მზისკენ!..“ დიახ, ის სხვა დრო იყო, როცა მეგობა, ფარაონივით უკვდავ პირამიდას ვაგებდი. ახლა ის დროა, ღარიბი კაცივით მალ-მალე წავიმღერო: „კარს მომდგომია სიკვდილის სუნთქვა, როგორც ლოტოსის ყვავილის სუნი...“ მე კი არა, მთელი კაცობრიობა მიეჭანება უფსკრულისაკენ და მისი შეჩერება აღარავის ძალუძს, ჩემო ვერა მაქსიმოვნა. ამდენად, მხოლოდ დიდი სისხლისღვრაა მოსალოდნელი და აღარ მაქვს სურვილი, ზურგზე ახალი ცოდვები ავიკიდო, მე ჩემი მეყოფა. ყოველ შემთხვევაში, ვნახოთ, რა მოხდება ხვალ, საით გადაიწევს თემიდას სასწორი... ახლა კი, ნუ გამაცილებთ. ამ გახურებულ გულზე, მინდა ნევის სუფთა ჰაერი გადავყლაპო... დიახ, ასე აჯობებს, — თითქოს საკუთარ თავს უთხრა: — რომ დავბრუნდები, მთავარს, ალბათ, უმთავრესს, რისთვისაც მოულოდნელად ამხელა მანძილზე გეწვიეთ, მერე მოგახსენებთ...

უქონლოდ და უშლაპოდ გრძნობაამღვრეული და გონებააბნეული გამოვიდა ნევის პროსპექტზე. თითქოს აღარც ახსოვდა, ქალს რომ შეჰპირდა, მოვალო, — პირდაპირ სასტუმროში მივიდა, აიღო ბარგი და იქიდან აეროპორტში გაემგზავრა.

...

მხოლოდ მოსკოვში ჩამოფრენის შემდეგ მიხვდა, რომ კარგად ვერ მოიქცა; კარგად ვერ მოექცა ქალს, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, მისთვის არაფერი დაუშავებია. ესეც არ იყოს, რისთვისაც სასწრაფოდ ჩაფრინდა ლენინგრადში, ის საკითხი ვერ გადაწყვიტა, ვერა მაქსიმოვნას ვერ გაუმხილა გულის წადილი, ბოლო თვეებში ნაფიქრალ-განსჯილი და როგორღაც უცაბედად გადაწყვეტილი. ასე „ხელკარიელი“ ნამდვილად ვერ დაბრუნდებოდა უკან, ჯარი არ მოასვენებდა, ბოლმა დაახრჩობდა და მაშინვე ტელეფონს ეცა... მაგრამ ვერ დაუკავშირდა, ყურმილთან არავინ მივიდა. მაშინ დაჯდა და იმ აფორიაქებულ განწყობაზე, მისი აზრით, არცთუ ურიგო წერილი დაწერა:

„ჩემო ძვირფასო ვერონჩა, მაპატიეთ და ერთხელ კიდევ მაპატიეთ. ვიცი, ჩემი საქციელი ღირსეულად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. როგორც ქალს, ერთგვარად უპატივცემლოდაც კი მოგეპყარით; ისე მოტყუებით დაგტოვეთ, არც კი დაგემშვიდობეთ. მაგრამ, როგორც ხელოვანი, იმედი მაქვს გამიგებთ, გაუგებთ ჩემს კალაპოტიდან ამოვარდნილ გრძნობას, ასე თავის ნებაზე რომ დამათამაშებს და არცთუ ღირსეულ ნაბიჯებს მადგმევინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადა, რომ იცოდეთ, სულ სხვა მიზნით ვიყავი თქვენთან ჩამოსული, სხვა რამ მწადდა და, ხომ ხედავთ, ვერაც გაგიბედეთ.

ჩემო პატარა იმედო, რა გასაკვირია, ყოველ ჭეშმარიტ ხელოვანს, რაც უფრო ემატება წლება, მით უფრო აწუხებს ტრაგიკული კითხვა: „სად ვიქნები სიკვდილის შემდეგ?..“ ო, არა, თქვენს ვარდისფერ ტუჩებს ნუ დაეფინება ირონიული ღიმილი, ნუ მიიღებთ ამ ნათქვამს განწირული ადამიანის პირიდან ამოსულად. კაცმა რომ თქვას, არც მალად ისეა საქმე, ზოგ ახალგაზრდას კიდევ მოვუგრეხ კისერს, მაგრამ... ასეა, თუ ისე, შეეჭმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, დღეს არ შემიძლია ნათელმხილველივით თამამად განვაცხადო, ეს ხომ დღესავით ნათელია-მეთქი. ან იცის რომელმე ჩვენგანმა, სად ვიქნებიან სიკვდილის შემდეგ?.. მე თუ მკითხავთ, ჯოჯოხეთი არ ამცდება, იმდენი ცოდვა მადევს კისერზე. ხოლო, თუ უფრო მატერიალისტურად მიეუდგებით საკითხს, პირადად არ ვარ დარწმუნებული ვიარსებო მათ გვერდით, ვისაც ოდესღაც ნამდვილი „მე“ უთქვამს, ან ამ სიტყვას მომავალში უფრო მედგრად, უფრო სისხლსავსედ იტყვის... მერწმუნეთ, მეტად ძნელი ასატანია, როცა ასეთ დასკვნამდე მიხვალთ... მაგრამ არც ამით მთავრდება თურმე სიცოცხლე. სანამ პირში სული გვიდგას, კიდევ ფიქრობთ მომავალზე, ხვალნდელ დღეზე. ჰოდა, როცა ასეთმა ფიქრებმა დამღალეს, გადავწყვიტე დანარჩენი ცხოვრება თქვენ და მხოლოდ თქვენ მოგიძღვნათ, თუ რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი გეკნებათ... აჩქარებას როდი გთხოვთ, იფიქრეთ. იფიქრეთ, ჩემო ჩრდილოეთის ბეთლემის ვარსკვლავო. მხოლოდ გახსოვდეთ, სულოოუთმენლად ველი პასუხს. თქვენი მარად თაყვანისმცემელი — ტიტე კორკოტაძე. 13.08.88 წ.“

სულ მალე ძალიან მოკლე და ტიტეს აზრით, არცთუ უიმედო, მაგრამ სატრფიალო გრძნობებისგან ერთფაროვად დაცლილი, თითქმის არაფრისმთქმელი ასეთი ბარათი მიიღო:

„ჩემო ძვირფასო ტიტე ვარლამოვიჩ, ნუ იდარდებთ, არ გიწყრებით. თუმცა უმჯობესი იყო, ერთი ღამე მაინც დარჩენილიყავით, საამისოდ ღამის ამბით განვეწყე... თქვენმა წინადადებამ, მართალი გითხრათ, ცოტა ამაფორიაქა. არ ვიცი, როგორ გესახებათ ჩვენი ერთად ცხოვრების მომავალი. განა ისედაც თქვენ ჩემი არა ხართ?!. ყოველ შემთხვევაში ახლა გადაწყვეტილ პასუხს ნუ დამაძალებთ. იცით, საამისოდ არ მეცალა. აი, ჩამოდით აპრილ-მაისში (დაზუსტებულ თარიღს გაცნობებთ მოგვიანებით) ჩემს გამოფენაზე და მერე ვნახოთ. კარგთ?.. მომწერეთ. თქვენი ვერონჭა“.

სხვანაირ პასუხს არც მოელოდა, მაგრამ არც ასეთს გაუგებარ მდგომარეობაში რომ სტოვებდა ამდენი ხნით. მანამდე ცოცხლებიც უნდა ვიყოთო, გაიფიქრა ტიტემ წაკითხვისთანავე და გაბრაზებულმა, ბარათი ხელუკუღმა მოისროლა.

...

ლოდინი და შემოქმედი განუყრელი ძმებივით მიაბიჯებენ ცხოვრების მუხთალ გზაზე. თუ დალოდება არ შეგიძლია, უნდა იფიქრო, შემოქმედიც არ ხარო, ხშირად უთქვამს ტიტეს სხვებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც ყოველთვის ეჩქარებოდათ თავიანთი ნაღვაწის სამზეოზე გამოტანა. მაგრამ ასეთ ლოდინს მიჩვეული არ იყო თვითონ და სწორედ ახალგაზრდული მოუთმენლობით ელოდა ახალი წლის გაზაფხულს, აპრილ-მაისის დადგომას. არადა, თვეები კი არა, თითქოს საათები, წუთები მიიზლაზნებოდნენ გულის გამაწვრილებლად. მშობლიურ ქალაქს თითქოს ვეღარ იტანდა, თვალი გამუდმებით გარე-გარე გაურბოდა, საერთოდ გაუქრა ჯამის მადა და საღამოობით, თავის სამუშაო ოთახში გამოკეტილი, მხოლოდ სასმელში კლავდა სულში ჩამძვრალ მრავალფეხას, ამ ბრიყვი, უვიცი და საზიზღარი ხალხისგან გაქცევას რომ სთხოვდა.

მერე, მოიკრიბა ძალღონე, დასასვენებელი საგზური აიღო და სექტემბრის მეორე ნახევარი გაგრის შემოქმედებით სახლში გაატარა. მანამდე, მოსკოველი კოლეგების დახმარებით, კიდევ ერთხელ მოინახულა საფრანგეთი, ეიფელის ზედა ბაქნიდან გადმოხედა განუმეორებელ პარიზს და აი, იქ კი წახდა, თვალზე სიმწრის ცრემლი მოადგა.

„რა უნდა დავთმო, ეს?.. მერედა, ვის დავუთმო, ცხვირმოუხოცავებს?! — სასოწარკვეთით

ამოხეთქა დაგუბებულმა ბოღმამ, თუ ჯავრმა შეშფოთებული გვამიდან და გასივებული გული ლამის მაშინვე გაგვიჯა, — ვერ მოესწრებით!.. ვერ მოგვართმევთ!.." — გამწარებით იმუქრებოდა თავისთვის, მაგრამ იმასაც გრძნობდა, ეს იყო მისი ბოლო გაბრძოლება, ბოლო ცდა არსებობის გახანგრძლივებისათვის, რადგან გაქცევა უკვე გადაეწყვიტა და საამისოდ ნაბიჯიც გადადგმული ჰქონდა. აღბათ, ამიტომ ისურვა ღეღილიც შეკლა, მოსკოვიდან გაყოლილი ზედამხედველის ჯუჯღუნის მიუხედავად, მაინც იმძლავრა და რამდენიმე საათით გამოეხსნა ჯგუფს, რომ საკუთარი თვალით ეხილა ქართველ ემიგრანტთა საფლავები, რომელთა სახელებს საშობლოდან მოღალატენი ბოროტებისა მიუხედავად, ბოლო ხანებში „ცხვირმოუხოცავები" განსაკუთრებული პატივით იხსენიებნენ, ადგილზე მყოფ ჭეშმარიტ, ქვეყნის ერთგულ შემოქმედთა უმრავლესობას კი ლამის ერის მოღალატეებად აცხადებდნენ...

აი, იქიდან სულ სხვანაირი დაბრუნდა... ნოსტალგიური გრძნობა არც მისთვის იყო უცხო, ხანგრძლივი დროით თვითონაც ყოფილა შორს და სამშობლოს ხილვას სურვილს არა ერთხელ გაუტანჯია და გაუწამებია, მაგრამ ღეღილიდან დაბრუნების შემდეგ სულ სხვა ფიქრებმა შეიპყრეს, სულ აერ-დაერია თავში დაწყობილი აზრები, გადაწყვეტილებები; თითქოს სხვა თვალით შეხედა სამყაროსაც, ერთი ნაბიჯი გადადგა წინ ღმერთისკენ, მსოფლიო სევდის ნამკეცებმა შეადწია გაუხეშებული გულის სქელ ფიცარში და შიგ ჩაესახლა... ეტყობა, მაინცადამაინც უცხოელმა უნდა გითხრას, ვინ ხარ, როგორ ჩანხარ შორიდან, რომ ეჭვი შეიტანო ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული შენი სტერეოტიპული შეხედულებების სისწორეში; სხვამ უნდა გიჭოს თანამემამულე, რომ ყურადღების ღირსად ჩათვალო შენც და სულ სხვა მხრიდან შეხედო თუნდაც მის ცხოვრებისეულ ნაბიჯებს. ერთმა ფრანგმა კაცმა ისეთი რამ უთამრა იქ დასაფლავებულ ქართველებზე, რომ ტიტე საკუთარ ყურებს არ უჯერებდა. ფრანგს ყვავილები მიეტანა მამის მეგობარ ქართველების საფლავებზე და აი, მან უთხრა, თქვენ სულ სხვანაირი, განუმეორებელი ხალხი ყოფილხართ, აქ ვინც განისვენებს, თითქმის ყველას ნოსტალგიამ მოუსწრაფა სიცოცხლეო. მერე ერთი ამბავი მოუყვა, ტაქსებზე მომუშავე მამის მეგობარი ქართველები კაპიკ-კაპიკ როგორ აგროვებდნენ სიმწრით ნაშოვნ ფულს, რომ ზაფხულობით, წელიწადში ერთხელ მაინც აუცილებლად ეყიდათ თვითმფრინავის ბილეთი სტამბულამდე, რათა აქედან, ან იქიდან ფრენას სულ რამდენიმე წამის განმავლობაში პატარა ილუმინატორიდან თვალი მოეკრათ სადღაც შორს მყოფი საქართველოს პატარა მიწისთვის, თუმც წინასწარ არავინ იყო წადილის ასრულებაში დაზღვეული, არავინ იცოდა იმ ადგილებში მზიანი ამინდი დახედებოდათ, თუ ღრუბლიანიო. მართალი იყო თუმ ტყეული, ფრანგს სჯროდა მამის მონაყოლი და ხანი გარდაცვალების შემდეგ თუმრე თვითონაც წელიწადში ერთხელ აუცილებლად მოდიოდა ღეღილში მათ საფლავებზე ყვავილების მისატანად...

აი, ამ ამბის მოსმენის შემდეგ ტიტემ მთლად დაკარგა სიმშვიდე, უფრო ჩაიკეტა და გულჩათხრობილი გახდა. გაგრაშიც, აღარც სოლში გაშხლართულს არათობდა ნაირ-ნაირი შიშველი ქალების ხილვა და აღარც ოთახში განმარტოვებულს აძლევდა შვებას სასმელში თავის ჩახრჩობა. ხშირად გადიოდა ქალაქში, პატარა ბიბვითი ჯიბეებში ხელებჩაჩრილი გარდიგარდმო სერავდა მთავარ ქუჩას, შედიოდა სიღრმეებშიც, ვიწრო ორღობეებში, ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებდა ხან თავზე წამოყუდებულ მარად ამწვანებულ მთებს, ხან ლურჯად მოლივლივე მარად მშფოთვარე ზღვას და სტანჯავდა ფიქრი, შეძლებდა კი ყოველივე ამის დათმობას? ხომ არ დაემართებოდა თვითონაც იმ ემიგრანტებივით განუკურნებელი, სიკვდილის დამაჩქარებელი ავადმყოფობა?.. თანაც, რაც დრო გადიოდა, მით მეტად აფიქრებდა თავისი ვეროჩკას ნამეტანი განსწავლულობა, ვიღაც რუს „დემოკრატებთან" ერთად, მისი აზრით, კაცობრიობის მთელი უბედურება თურმე სოციალისტური რეალიზმის მიმდევართა ბრალი რომ ყოფილა! შეძლებდა კი ასეთ ქალთან სანეტარო სიმშვიდის მოპოვებას!?.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...

დასვენების დღეები დასასრულს უახლოვდებოდა. საღამო ხანს ტიტემ ქალაქისკენ გასწია...

მშვენიერი ამინდი იდგა, დიდი შხაპუნა წვიმის შემდეგ მთავარი ქუჩა გაკრიალებული გამოიყურებოდა და მწვანედ შებურული ხეების ხასხასა ფოთლებიდან საამოდ სასუნთქი სურნელება იფრქვეოდა.

უსაქმური კაცის კვალობაზე, ტიტე თავაწეული და გაგაზე ხელებდაწყობილი აუჩქარებლად დაბიჯებდა ჯერ კიდევ ოდნავ შესველებულ ტროტუარზე და არც გამვლელს აქცევდა ყურადღებას, არც გამომვლელს. კარგი ამინდის მიუხედავად კვლავ უხასიათოდ ბრძანდებოდა, საკუთარ თავთან დავობდა, რისთვის იყო ჩამოსული, თუ ვერ დაისვენებდა, ან რატომ დროულად არ აიკრავდა ბარგი-ბარხანას და სადღაც მოუსვლელთში არ გადაიკარგებოდა, რომ აღარ ეხილი ამ უტიფარი, უსირცხვილო, უმთავრესად უზრდელი, მხოლოდ ლოთობის და ორგიების მოყვარული ცხვირმოუხოცავი ახალგაზრდების გალაღებულ-გათამამებული სახეები, რომელთაგან თან შემოჭმედებით მოღვაწეობის საკმაოდ დიდი პრეტენზიებიც გააჩნდათ. ის იყო სანაპიროსკენ აპირებდა ჩახვევას, რომ ავტოინსპექციის მანქანებმა ჭყვიტინ-ჭყვიტინით მოძრაობა გადაკეტეს, გამვლელ-გამომვლელი მაშინვე შეჩერდა და ტიტემაც ცნობისმოყვარეობით დააცქცა თვალები. მალე მთელი გზა ხალხით აივსო. ვიღაც მოხუცებულ ქალს კრძალავდნენ...

— იმდენი ხალხია, ალბათ პარტიული მუშაკია მკვდარი, — მეგრულად მოუქცია ერთმა გამვლელმა.

— თუ არა, დიდი პარტიული მუშაკის დედა მაინც იქნება, — ღიმილით შეეხმიანა მეორე.

— ასეა, ნამდვილად, — დაასკვნა მესამემ და პირველმა ამოოხვრით დაამოლოვა:

— ასეა და, დღეის მერე სულ დედამკვდარი ივლის ჩვენი პარტიული მუშაკი!

ვიღაცებს გაეცინათ. ტიტეს გულზე მოედო პარტიული მუშაკის გაკილვაც და მიცვალებულის უპატივცემლობაც. მაშინვე თავისი გარდაცვლილი პროფესორი დედა გაახსენდა... მათ ჯიბრზე პროცესიას შეუერთდა და საკმაოდ დიდ მანძილზე სდია. ისიც იფიქრა, სასაფლაომდე გავყვები, აჭიერ საფლავებს გადავხედავო, მაგრამ გადაიფიქრა; ისევ რესტორანში შევიდა და ჰეერზე ღვინო დაიქცია, საკუთარ დედასთან ერთად ყველა წასულის სული მოიხსენია. ამასობაში ერთი ბოთლი ბოლომდე გამოაშრო და მეტი აღარც უნდოდა. ქუჩაში რომ გავიდა, მშვიდი ზღვის ჰორიზონტი მთლად ლაქაპებდა და მთებზე ბინდი წვებოდა, ლამპიონებიც აენთოთ. ვახშამზე დავაგვიანეო, გაიფიქრა, მაგრამ რაღა ვახშამი უნდოდა, თავს მშვენივრად დანაყრებულად გრძნობდა.

ოცეიოდე ნაბიჯი არ ექნებოდა გავლილი, რომ უკნიდან ვიღაც ახალგაზრდა, ასე ოცდახუთი წლის ბიჭი წამოეწია და დიდი ხნის უნახავი ახლობელივით მიესალმა, თან გულთბილად მოიკითხა, როგორ ბრძანდებით, ხომ კარგად ისვენებთო.

ტიტე უნებურად შედგა, შეეჭიარავებული წარბები მაღლა აეჭიმა და ბიჭს გაკვირვებული მიაჩერდა... ვერ იცნო. ვერ გაიხსენა, ვინ უნდა ყოფილიყო. არადა, თითქოს ნაცნობი სახე ჰქონდა; სპორტული აგებულება, მიხვრა-მოხვრა, გამოხედვა, ყველაფერი მიანიშნებდა, რომ ნამდვილად ჰყავდა იგი გაცნობილი თუ არა, ნანახი ჰაინც.

— თქვენ მე პირადად არ მიცნობთ, — ღიმილით შეეშველა რებუსის ამოხსნაში ბიჭი და არც შეუსვენია, პირდაპირ შეუფდა გულის წადილის გამხელას, არ ვიცი, როგორ გამიგებთ, მაგრამ ვიფიქრე, ვიფიქრე და, გადავწყვიტე, გაგიცნოთ, თუ რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი გეკნებათო.

კაცმა რომ თქვას, ბოთლი ღვინის გამოშუშვის შემდეგ, ტიტეს ძალიან მოუნდა ვიღაცასთან ლაპარაკი; ბოღმისგან, ჯავრისგან გათავისუფლება მოსთხოვა გულმა, მაგრამ ასეთ ცხვირმოუხოცავთან ურთიერთობის არავითარი სურვილი არ გააჩნდა და, სამწუხაროდ, აღარც უარის თქმა შეეძლო. ბიჭი მარტო თავიდან კი არა (როგორი შეეფასებაც ტიტემ გუნებაში მისცა!), ნასვამიც ბრძანდებოდა, — შემოპარული ბინდის მოუხედავად, მუდმივ

მოკუჟუნე, ციცხლგაკვეცილებულ თვალებზე ემჩნეოდა, რომ არცთუ ცოტა უნდა ჰქონოდა დალეული და გარეგნულადაც, მოდას აყოლილ უტიფარ-უზრდელი, მშობლებისგან განებივრებულ-გათამამებული ახალგაზრდებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ქთქთია თეთრ, საზღვარგარეთული ტანსაცმელში გახლდათ გამოწყობილი, ეცვა მაისურის მსგავსი უსაყელო მბზინავი პერანგი, ბოლოში ძაბრივით ჩავიწრივებულ-ჩაფართხუნებული თხელი ჯინსის შარვალი და ადიდასის ბოტასები. ემჩნეოდა, დასასვენებლად უნდა ყოფილიყო ჩამოსული, ზღვის რადიაციული მზე საკმაოდ გასჯდომოდა ალაგ-ალაგ აქერცლილ კანში და ნაფოტივით მსხვილი თეთრი კბილები მკვეთრად მოეჩანდა არაბივით გაყავისფერებულ-გაშავებულ სახეზე. სხვა მხრივ, თითქოს არა უშავდა, ადამიანს ჰგავდა. განსაკუთრებით ერთგვარ „ნდობას“ იწვევდნენ მისი ყვრიმალებში ჩავარდნილი სწრაფად მოძრავი წვრილი თვალები, რომლებიც ვიდაკას ახსენებდნენ და ვერ კი გაეხსენებინა, ვის. ბოლოს მისი წარდგენის დროც დადგა.

— იცით, — გაუბედავად დაიწყო ახალგაზრდამ, — მე მერაბი ვარ, მერაბ რეხილაძე. გეუბნებათ რამეს ჩემი გვარი და სახელი?

„გეუბნებაო?!“.— მწარედ, მომაკვდინებლად გაჭკრა გულში ტიტეს მისი გვარი და სახელის გაგონებამ, უცაბედად ბღავილი მოუნდა და უკან გავაზე დაწყობილი ხელები მუშტებად შეკრა... მართლაც, ეს უკვე ნამეტანი, უტიფრობის ყოველგვარ ზღვარს გადასული საქციელი იყო ბიჭის მხრიდან. ეუბნებოდა კი არა, სწორედ ამ ლაწირაკმა აურ-დაურია ძლივს დაწყობილი ცხოვრება, აუფუტკნა დამშვიდებული სული, საგონებელში და ღამის სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ახლა ტიტე მზად იყო, სცემოდა და დაუნდობლად გამოეღარა მისთვის ყელი, გაგლეჯა და დაეფლითა, სიამოვნებით ამოერთმია სული, მოესპო, გაენადგურებინა!.. მაგრამ არა, ცრუ წადილი აღმოჩნდა, ბიჭის მუდმივ მოკუჟუნე თვალები რატომღაც არ აძლევდნენ ბოღმის გადმონთხევის საშუალებას, საერთოდ, აფეთქების უფლებას. რამდენადაც შეიძლებოდა მოიკრიბა ძალა, შეიკავა თავი და თვითონაც გაიღიმა, მბოლოდ მწარედ, ნაძალადევად...

— მაშ, ეს თქვენ ხართ? — თავის ქნევით უთხრა, ტუჩები მაინც უსიამოდ დაპრანჭა, ნელ-ნელა გაუცვა გზას და მერეღა ჰკითხა: — თქვენ ფიქრობთ, რომ სწორად იქცევით?

— ვფიქრობ, კი, — გულახდილად, უფრო მეტი ღიმილით მოეგო მერაბმა, ხალისით გაჰყვა გვერდით და დაწყებულ საუბარს სხვა მიმართულება მისცა, — შეცდომებისგან არ ვართ დაზღვეული, მაგრამ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, რა მოთხოვნებსაც ვუყენებთ ხელოვნებას, საერთოდ შემოქმედებით ინტელიგენციას, სწორიცაა, გამართლებულიც და სადღეისოდ აუცილებლად საჭიროც.

— და ამის სათქმელად გამეცანით? — გამჭირდავად, თავის ქნევით ჰკითხა ტიტემ. მერაბი კი უფრო გაბალისდა, თითქოს ართობდა მოსაუბრის ოდნავ მკაცრი, დამცინავი კილო.

— თქვენმა პიროვნებამ დამაინტერესა, — უთხრა მან თამამად, — მოგეხსენებათ, დღეს ასე არ ხდება. ადამიანს ჯერ დაწერილი არა აქვს, რომ მაშინვე მისი განმქიქებელი პასუხები იბეჭდება. თქვენ კი ეს არ გააკეთეთ...

— და გაინტერესებთ, რატომ. არა?

— თქვენნაირი მებრძოლი კაცისგან ასეთი დუმილი ნამდვილად გასაკვირია, ბატონო ტიტე, ძნელი დასაჯერებელია, რომ ფარ-ხმალი დაყარეთ.

— უცნაური გაცნობა გამოგვდის, — თავისთვის ჩაიცინა ტიტემ, — მოკლედ, თქვენს მოსაწონს ვერაფერს ვაკეთებთ. რატომ არ ვიმპართლე თავი... არ მინდოდა ბეწი სპილოდ მექცია და იმიტომ, არ გთვლით იმ პიროვნებად. გაკმაყოფილებთ ასეთი პასუხი?.. და, საერთოდ, თქვენს წერილში ყალბი გრძნობების სიჭარბეა. იქნებ გულიდან ამოღებული, მაგრამ მაინც ყალბი, შიგ გონების ნატამალიც არ ჩანს. რაღაც გსურთ, მაგრამ რა, თვითონაც არ იცით. ან სხვა მხრიდან თუ შევხედავთ, სამირკველს მოვუსინჯავთ, უბრალოდ, ჩვენი ჩამოცილება, როგორც უვარგისი, გამოუსადეგარი ნივთის სანაგვეზე მოსროლა განგიზრახავთ. დიახ, ეს უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან; ამ გზით გსურთ ძალაუფლების ხელში აღება, ანუ

ყოველივე იმის დასაკუთრება, თანაც უწვალებლად, რაც ჩვენ ოფლით, ტანჯვითა და წამებით მოგვიპოვებია. მხოლოდ ამას თქვენ აკეთებთ ეროვნულ გრძნობებში შეფარვით. იცით, სხვანაირად მხარდამჭერს ვერ იპოვით და ჩვენი, ჯერ საქმეში ჩაუხედავი ქართველი მოსახლეობაც, დგას და ტაშს გიკრავთ. დიახ, კომუნისტებს გვედავებით, ყველაფერზე ტაშს უკრავდითო და ახლა თქვენც ყველასგან იგივეს თხოულობთ. მიზნის მისაღწევად კი, უპირველესად, ჩვენი გზიდან ჩამოცილებაა საჭირო, რასაც ეროვნული დამოუკიდებლობის „თავგადაკლული“ მებრძოლები მშვენივრად ასრულებთ: ერთმანეთს ეჯიბრებით, ვინ უფრო მეტი უშვერი სიტყვებით გაგვლანძღავთ. არადა, მაპატიეთ პირდაპირობისათვის, ქუჩაში გაზზრდილს, ლანძღვა-გინება ნამდვილად გეხერხებათ, მაგას ვერავინ წაგართმევთ და ვერც დაგიწუნებთ... არ ვარ მართალი? თქვენ თუ ახლა გხედავთ პირველად, სხვებს ხომ ვიცნობთ. აბა, შეხედეთ, ვინ ყვირის ყველაზე მეტს, ვინ სდებს თავს „ჭეშმარიტ“ ქართველობაზე, ვითომც საცოდავი, დაჩაგრული თავისი ერის გულშემატკივრობაზე? — ცხოვრებაში ხელშოცარულები, უნიჭოები, უქნარები და არაფრის გამკეთებლები! ცხოვრებს დამსგავსებულ ხალხს კი მეტი რა უნდა, დაიძახებთ გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოსო და ისიც შემოგძახებს, გაუმარჯოსო. იმას კი არ ფიქრობთ, ამ ყვირილს რა შეიძლება მოჰყვეს. და საერთოდ, არც მინდა ამ თემაზე ლაპარაკი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მერაბს წამითაც არ შესცვლია მოღიმარი სახე. ემჩნეოდა, რომ მშვენიერ გუნება-განწყობაზე იყო და მართლაც ართობდა „მატარებელს ჩამორჩენილი“ (ასე იხსენიებდა ტიტეს თავის წერილში!), ხანდაზმული კაცის „ბოდვა“ (ასეთი სიტყვაც ჰქონდა ნახმარი!). ბოლოს მანაც ტიტესავით გააქნია თავი და სიცილით ჰკითხა:

— მაშ, მთლად ასე წყალწყალებულები ვართ?.. ბატონო ტიტე, დავიჯეროთ, ზოგიერთი ფუნქციონერ კომუნისტს მაინც აღარ ვჯობივართ?

— რითი?.. — წარბების მაღლა აქაჩვით წამოიძახა ტიტემ, — ისინი თუ ოზრობითია და მამაძაღლობით დასხდნენ სკამებზე და ასე კულტურულად ყვლეფენ ხალხს, თქვენ ძალით მიიწევთ თანამდებობისკენ და იარაღით გვადგებით, მოგვეცითო... გნებავთ, ზოგადად ვთქვათ: კომუნისტები თუ მსოფლიო პროლეტარიატის ბორკილებიან გათავისუფლებისათვის, ასეთი ჰუმანური იდეისათვის გვაკვრევინებდნენ ტაშს, თქვენ ამას ეროვნული თავისუფლებისათვის თხოულობთ; კომუნისტები თუ, ვინც ტაშს არ დაუკრავდა, ყველას ხალხის მტრად აცხადებდნენ და მკაცრადაც უმასპინძლდებოდნენ, თქვენ ასეთებს ერის მტრებად გვაცხადებთ და, ღმერთმა უწყის, რა ცოდვას დაატრიალებთ, მართლა სათავეში რომ მოხვდეთ, ალბათ, ყველას ბოძებზე ჩამოგვკიდებთ!

— მე კი მეგონა, ჩვენზე უკეთესი წარმოდგენა გექნებოდათ, — დანანებით თქვა მერაბმა და ფიქრმოსილი სახე მიიღო, — მაგრამ თქვენი გაგებაც შეიძლება. ამ შემთხვევაში, ალბათ, გოეტეს უნდა დავუჯეროთ: იმიტომ განაგრძობთ მცდარი გზით სიარულს და არ გსურთ რამის შეცვლა, რომ თქვენს არსებობას იმ გზას უმადლით. თუ გადაუხვევთ, ყველაფერის ხელახლა გააზრება, შესწავლა მოგიხდებათ, რაც თქვენი ასაკის ადამიანისათვის მართლაც არ გახლავთ იოლი.

— ამიტომ, მე ჭეშმარიტებას კი არა, მხოლოდ საკუთარ თვალსაზრისს ვიცავ, არა?

— დიახ, ასეა.

— გმადლობთ. ესე იგი, ჩვენ „ემპირიული ყბედობის“ მეტს არაფერს ვაკეთებთ და მხოლოდ ერთმანეთს ვართობთ. სულ ესაა. არც არაფერი შეგვიქმნია, არც წინსვლისათვის საფუძველი მოგვიმზადებია. არ ვართ ის ხალხი, რომელიც უკანმავლისთვის გამოდგება... მაგრამ გავიწყდებათ, რომ ადამიანი ადამიანია და კვლავ ისე შედგება ახლად გაყინულ ტბაზე, ისე ისრიალებს ზედ და გაერთობა, რომ წამითაც არ დფიქრდება, რამდენად ღრმაა ის ტბა, რა თევზები დაცურავენ მის სიღრმეში. დიახ, შეუმცდარი ადამიანი არ არსებობს. არც ხელოვანია შეუმცდარი და, რადგან ამ დარგში მოღვაწეობა გაგიგიზრახავთ, უნდა იცოდეთ, რომ ის არ არის უმთავრესი, რასაც გამოვსახავთ, წარმოვთქვამთ. უბრალოდ, ის იმ მყისიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს გვაღელვებს და დავასრულებთ თუ არა მასზე მუშაობას, სათქმელს გადმოვიტანთ ქაღალდზე, ჩვენი აფორიაქებული გრძნობაც მაშინვე ნელდება, ცხრება, ბოლოს და ბოლოს, იწურება. და ეს ხდება არა იმიტომ, რომ გამოვასწორეთ ბუნების უსამართლობა, ან დავადასტურეთ მისი სამართლიანობა, — ჩვენი მყისიერი მოთხოვნილება დავაკმაყოფილეთ და მეტი არაფერი... ჩვენ კი მაშინ გვჯეროდა, გვწამდა, განვიცდიდით, გვძულდა, გვიყვარდა...

—ახლა? — გამომკითხა მერაბმა. ტიტემ ღრმად ამოისუნთქა.

— ახლა... — რაღაც დანანებით გაიმეორა მან, — ახლა მეც ბევრ რამეში არ ვეთანხმები კომუნისტებს. ჩვენ კი არ ვქმნით ცხოვრებას, თვითონ დაგვატარებს თავის ნებაზე. ამიტომ განსჯა ადვილია, გაგება — ძნელი, მით უმეტეს, როცა მთელი თაობები გვაცილებს ერთმანეთისგან. ასე რომ... ჩვენი სულიც ითოშებოდა გარკვეულწილად ჩრდილოეთის მისტრალით, ყმაწვილო, და ნურც იმას დავიწყებთ, მასარიკის თქმისა არ იყოს, სანამ კომუნისტურად დავიწყებდით აზროვნებას, უპირველესად ქართულად ვაზროვნებდით და მთელი ჩვენი შემოქმედება ეროვნული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. თქვენ კი, სამწუხაროდ, მარტო იმას ხედავთ, რაც ზედაპირზეა, ან მხოლოდ იმას, რაც დამდგარ, ხავსმოდებულ წყალშია — მოყიყინე ბაყაყებს...

— არც მთლად მასეა საქმე, ბატონო ტიტე, — სიტყვა ჩამოართვა მერაბმა, — ჩვენ ამყაყებულ წყალში მოყიყინე ბაყაყებსაც მშვენივრად ვხედავთ და ცაში მონათვარდე გედებსაც. ეგ არის, გედია ცოტა, მოყიყინე ბაყაყებმა კი ყურთასმენა დაგვიხშეს, სული გაგვიმწარეს. დროა, დამდგარ, ხავსმოდებულ წყალს გზა მივცეთ, რომ სიცოცხლემ ახალი შინაარსი შეიძინოს. სხვა მხრივ, იქნებ მართალიც იყოთ: იქნებ აჯობოს, მთელი ძალები მეტროპოლიისგან გათავისუფლებას მოვახმაროთ და პირადი საკითხების მოგვარება შემდგომისთვის გადავდოთ. ყოველ შემთხვევაში, ასე ცხოვრების გაგრძელება რომ არ შეიძლება, ეს უდავოა და ამას თუ ყოველი ჩვენგანი დროულად მიხვდება, მით უკეთესი ჩვენთვის!

— მერე რით აპირებთ მეტროპოლიისგან გათავისუფლებას, ცარიელი ხელებით, „მგზნებარე“ სურვილებით, თუ ქუჩაში წამოსროლილი მისი სალანძღვი მოწოდებებით?

— ღმერთის შემწეობით, ბატონო ტიტე, რწმენითა და ჩვენი ერთობლივი მოწადინებით. ხალხს თუ თავისუფლება სურს, ვერავითარი მეტროპოლია წინ ვერ დაუდგება; მოგეხსენებათ, ხმა ღვთისა, ხმა ერისაო!

ტიტე უცებად შედგა, გაოცებით დააბრიალა თვალები... იმ ადგილას ისედაც ხელმარცხნივ უნდა ჩაეხვია, რომ ვიწრო, შედარებით ჩაბნელებული ქუჩით შემოქმედთა დასასვენებელი სახლისკენ მიმავალ გზას გაჰყოლოდა. თანაც, უკვე აღიზიანებდა უდარდელად მოსეირნე ნაზეკრად გაშშელებული ხალხის ხილვა და ამ მშობლებისგან გალალებულ-გათამამებულ უტ-იფარ ბიჭთანაც მობეზრდა უნაყოფო საუბარი. საერთოდ, რისთვის გავუყადრე თავიო, ფიქრობდა თავისთვის, მაგრამ არც ასე გაუგებრად დაცილება სურდა; მელოს თავისი მახრჩობელა უყვარდაო, ისე ჩანდა მისი საქმე. ეს ბიჭი თითქოს მის ახალგაზრდობას ახსენებდა. ის კი არა, გარეგნულ მსგავსებასაც პოულობდა მიხვრა-მოხვრაში, გამოხედვაში, ჯიუტ ხასიათში...

— მე თქვენ მანცავიფრებთ, ყმაწვილო, — უთხრა ნაძალადევი თავშეკავებით, გაყვინჩოლად, — ხალხს სასაკლაოსკენ მოუწოდებთ და გავიწყდებათ, რომ იმავე ხალხს თავისუფლებასთან ერთად, არსებობაც უნდა, ამქვეყნიური არსებობაც! საამისოდ კი, თავდადებული შრომაა საჭირო, რასაც თქვენ, ჩემო ბატონო, ჭირის დღესავით გაურბიხართ. სხვათა შორის, ვისი იმედიც გაქვთ, შრომაც ღვთის სათნო საქმეა, ადამიანის ამქვეყნიური მოწოდება...

— მაგრამ შრომა თავისუფალი ადამიანისა და არა მონისა, ბატონო ტიტე! — შენიშნა სიტყვის ჩამორთმეევით მერაბმა და ტიტე წამოეთო, წამოჭარხლდა.

— ზნეობას რაღა ვუყოთ? — წვრილი თვალების დაკაჩვით იკითხა მან გამწარებით, —

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ფიქრობთ, როცა საკუთარ ეზო-ყურეს შემოვიღობავთ, მერე შევძლებთ მორმონებივით მომჭირნეობის, თადარიგიანობის, მეოჯახეობის და, საერთოდ, წესიერების ბუნებრივ, ზნეობრივ მცნებებად გადაქცევას?.. კარგი, ჩვენ ჩამოგვწერეთ, მოგვისროლეთ სანაგვეზე, ახაა ჩვენზე; წარმოვიდგინოთ, რომ აღარ ვარსებობთ. თქვენ?.. რამდენი გახვეიათ ირგვლივ უზნეო, გაფუჭებული და გადაგვარებული?.. როცა ყოფის შეცვლა გინდათ, უნდა იცოდეთ, რომ ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი ზნეობაა და არა არსებული სტრუქტურების თუ პოლიტიკური კაეშირ-ურთიერთობების მსხვრევა. უზნეო ადამიანის თავისუფლება მოჩვენებითია, ჩემო კარგო, თავის მოტყუებაა მხოლოდ. უფრო მეტიც, უზნეო ადამიანებს არ ძალუძთ თავისუფლების მოპოვება, ხოლო თუ ასეთი სასწაული მაინც მოხდა, მალევე დაკარგავენ მას და დადგება სასოწარკვეთის ხანა, საიდანაც ისინი ძალიან დიდხანს, დიდხანს ვერ გამოვლენ, თუ მანამდე საერთოდ შეძლეს თავიანთი ეროვნული სახის შენარჩუნება... დიახ, ასეა. იქ, ინგლისელს შეეყნო ეთქვა: „ღმერთი და ჩემი ქვეყანაო", ქართველმა სხვანაირად დასვა ეს საკითხი: „ღმერთო მიშველეო. ხელი გაანძრიე და გეშველებაო". ღმერთის შემწეობის იმედი როცა გაქვთ, ხელის განძრევაც არ უნდა დაგვიწყდეთ. ვისაც ქაფჩისა და თოხის ხელში აღება ეზარება, იმან ან ბოროკოებში უნდა ჩადგ ს ფეხი, ან ბერ-მონაზვნად აღიკვეცოს, ან ხელმეჩხტა ოცოს ხელი კაენის ცოდვის დასატრიალებლად. ასე ამბობენ მოაზროვნეები. სამწუხაროდ, თქვენ სწორედ ცოდვის დატრიალებისკენ მიექანებით და სულაც არ გაწუხებთ შედეგები.

მერაბს გაეცინა, თითქოს გამხიარულდა. თან თვალები ვიწრო, შედარებით ჩაბნეულებული ქუჩისკენ გაუბრუნდა, საიდანაც ახალგაზრდების ერთმანეთთან შეკამათების ხმები მოისმოდა.

— ბატონო ტიტე, — მიმართა მან რბილად, თბილად, — თქვენ ფერებს ნამეტანი ამუქებთ, თანაც ართულებთ, სანთელდაშრეტილ სუროათს ხატავთ. ასე ყოველთვის გაგიჭირდებათ ჩვენი გაგება. და საერთოდ... ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ, თითქოს გათავისუფლების შემთხვევაში ყველა ფრთებშესხმულ ანგელოზებად ვიქცევით. თქვენი თქმისა არ იყოს, დამიანი ადამიანია, მაგრამ ერთ რამეზე მაინც უნდა გავიერთპირდეთ: თუ რამ სატკივარი გვჭირს, ყველა ბოროტების სათავე რუსული მტაცებლური მეტროპოლიიდან მოდის და ფესვები იქ უნდა ვეძებთ და არა დაპყრობილ ერში. მონის ზნეობაზე არ მსჯელობენ; მონა ჯერ უნდა გათავისუფლდეს, გაიაროს უდაბნოს ცხელქვიშიანი ორმოცდღიანი გზა და მერე მივითხოვთ მისგან ბუნებრივი ადამიანური ღირსებების გამოვლენას. კომუნისტური მორალის ყველაზე დიდი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მან ღმერთი დაგმო, დამიანებს რწმენა წაართვა და მერე მათ სისხლში გაჯუღმაალადა. რუსული სინდრომი სრულიად სხვა მოვლენაა კაკობრიობის ისტორიაში, ბატონო ტიტე, და ვიდრე ამ იმპერიას ვინმე ტაშს დაუკრავს, ვიდრე თუნდაც ერთი ქართველი ამ იმპერიის ერთგულად მსახურებს და ჩვენი მიწების გადამზვნელების სტალინისა თუ სხვა მისი მსგავსი ბოლშევიკების სადღეგრძელოს შესვამს, ასეთი ერი მართლა არაა ღირსი თავისუფლებისა. ჩვენც ასეთ ადამიანებს ვერ შევურიგდებით. ასე რომ ერთვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ჭეშმარიტი ზნეობრივი აღორძინებისთვის ბრძოლაა, ბატონო ტიტე, და ამ საქმეში ღმერთი ყოველთვის გაგიწევს შემწეობას... ახლა კი, მაპატიეთ, უნდა დაგტოვოთ. ვამჩნევ, იქით მიშველეობა სჭირდებათ. მხოლოდ, თუ რამ ისეთი მოხდა, თქვენ მე არ მიცნობთ. კარგათ?

— რა უნდა მოხდეს? — შიშით დაამბობიაღა თვალები ტიტემ და ვიწრო ქუჩისკენ გაიხედა.

— ისეთი არაფერი, — ვითომ დაწყნარება სცადა ზეურამ, — მეტროპოლია ყველა ერში პოულობს გარეწრარს. ამ კეთხეში სეპარატისტული მოძრაობა იწყება და ის კი არ იციან, ცხვარი თუ გაცხარდა, როგორი ცხარია. გოჯს აღარავის დავეუთმობთ, გოჯს!

თქვა ეს და უკან-უკან ვიწრო ქუჩისკენ გადადგა ნაბიჯი, მერე შეტრიალდა და მოკამათე ახალგაზრდებისკენ გაიჭრა... ტიტემ შეშფოთებული მზერა დაადევნა ბიჭს, ყურთასმენა დაძაბა.

როგორც ჩანდა, ვიღაც ორ ქართველს (ალბათ, დამსვენებლებს) — ახლადმოჩიტულ

გოგოსა და ცოტათი უფროს გაწრიპულ-გალეულ სათვალიან ბიჭს, მოქცეული რუსულით მოლაპარაკე ოთხი ახალგაზრდა (ალბათ, ადგილობრივი მოსახლე) ვირგლა გადასდგომოდა წინ და გავლის საშუალებას არ აძლევდნენ. დიახ, აშკარად ხედავდი ტიტე, რომ ისინი ხელს ჰკრავდნენ ქართველებს, გოგოს აწვალებდნენ, ბიჭუნად იგდებდნენ, რაზეც ბიჭი ცხარობდა და ეს უნდოდათ ვირგლებსაც: მალიმალ წაუთაქებდნენ ხოლმე მას ქეჩოში. ისიც დამწიფებული თავთავივით აქნევდა თავს, ქანაობდა თვითონაც, გამწარებით ისწორებდა სათვალეს და ასე, მაინც გოგოს დაცვას ცდილობდა. ამასობაში, მოქცეული რუსულით მოლაპარაკეები უფრო თავხედდებოდნენ, უფრო მეტი გამეტებით ურტყამდნენ ბიჭს, აწვალებდნენ გოგოს, ზიზღით ეუბნებოდნენ, აქ რას ჩამოთრეულხართ, თქვენს საქართველოში მოესვითო, რაზეც ლამის გადაირია ტიტე, ყურებს არ უჯერებდა, თითქოს აფხაზეთი იგივე საქართველო არ ყოფილიყოს... ყოველივე ხდებოდა წამებში, და აი, ერთ-ერთმა ისე გამეტებით გაარტყა ბიჭს რომ იგი წადიოდა, წიოკობა აღება გოგომ და მათთან მერაბი მიიჭრა კიდეც...

მერე რაც თვლის დახამხამებაში მოხდა, რაც ამ მშობლებისგან განებივრებულმა, გოგლა-მოგლით გაზრდილმა „თავნებამ“ მერაბ რეფილაძემ ჩაიდინა, ტიტე კარგა ხანს ვერ მივიდა გონზე. ის ოთხივე ვირგლა მაშინვე მას მოეტრიალდა, ერთმა დანაც ამოუღო, მაგრამ მერაბმა ისეთი უცნაური ილეთების კორიანტელი დააყენა, ერთნაირი სისწრაფით ისე ამოძძრავა ხელები და ფეხები, რომ ოთხივე უცბად მიალაგ-მოალაგა; საცოდავები, ადგომას ცდილობდნენ, ფორთხილით მუხლისთავებზე ძლივს დგებოდნენ, მაგრამ წონასწორობას ვერ ინარჩუნებდნენ და გათაშულებივით ისევ ძირს ვარდებოდნენ. ამასობაში გოგომ და ბიჭმა მოკეკურცხლეს, სადღაც გაქრა მერაბიც, აჩოჩკოლი ხალხი, მოეჭიდა და მოზღვავდა. ბოლოს ისევ ტიტე გამოიყო შორიდან გულგრილად მაცქერლებს, ერთ მოფაართხალეს შეაშველა ხელი, როგორც იქნა, წამოაყენა, ფეხზე გააჩერა, ახლა მეორისკენ დაიპირა შებრუნება და სწორედ ამ დროს, მადლობის მოხდის ნაცვლად, ფეხზე წამოყენებულმა ყბაში გამეტებით სთხლიშა მუშტი!.. ვერც ტიტემ მიუშვირა მეორე ლოყა, — გამწარ[illegible]ულმა ჰკრა ხელი მას და ქვიტკირის კედელს გამეტებით მიაწყვიტა. ეს იყო და ეს, მეტის გა[illegible]ება ვერ მოასწრო, უცბად ეცნენ უკნიდან და ვიღაცებმა ხელების გადაგრეხა დაუწყეს, დათხელებულ ფერდებში მწარედ წაუმუჯლუგუნეს...

ისინი აფხაზი მილიციელები აღმოჩნდნენ...

რაღაც უცნაური, წარმოუდგენელი რამ ხდებოდა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში...

„ოჰ, მერაბ, მაისის... დაღუპავთ თქვენ საქართველოს...“ — მწარედ გმინავდა ფერდებატკივებული ტიტე და მხრებში თავჩარგული და მობუზული გაუბედავი ნაბიჯებით შუაღამის ჟამს მარტო მიუყვებოდა შემოქმედთა დასასვენებელი სახლისკენ მიმავალ ჩაბნელებულ გზას.

ზღვა კი, სადღაც ძალიან ახლოს თავისთვის ფშვინავდა, გამმით ხმაურობდა...

...

„არა, მე აქ გამჩერებელი არ ვარ. არ შეიძლება ამ გადარეულ ხალხთან ურთიერთობა, საერთოდ — ცხოვრება; არა და არა... “ — ბორგავდა ტიტეს შეშფოთებული სული და ვეღარ უცდიდა აპრილ-მაისის ღადგომასს; ყოველ წუთს მზად იყო ჩამჯდარიყო თვითმფრინავში, რომ დროულად გადახვეწილიყო აქედან, თუნდაც ძალლმადერად ჩამკვდარიყო უცხო მხარის გათოშილ მიწაში. ისეთი რამ ხდებოდა საქართველოში, მისი ატანა ნამდვილად აღარ შეიძლებოდა.

დიახ, გადაირია ქვეყანა. აშკარად ღაფავდა სულს ძველი საათის ყრუ, იქნებ მართლაც მომქანცველი, სულის დამღლელი და ბანგი ძილის მომგვრელი, მაგრამ მაინც გათავისებული რითმული წიკწიკი. დაბზარული ზარივით ახმაურებულმა ყოველწამიერმა მოშლილმა გონგის ხმამ ლამის გააგიჟა და გადარია ისედაც გადარეული დედამიწა. იმპერიული მეტროპოლია განახლებას, კანის გამოცვლას ცდილობდა და ხალხი იმპერიის დანგრევას, ჩამორთმეული უფლებების დაბრუნებას თხოულობდა. ბინძურმა პოლიტიკამ კახპა ქალივით გამოალაჯა ქუჩ-

აში, გაშიშვლდა და მთელი ბრწყინვალებით გამოაჩინა თავისი ნაჯიჯგნი, გათელილი სხეული. იგი ამჯერად ვერ იტანდა წესიერ, თავშეკავებულ გრძნობას. მას ან ყველაფერი სურდა, ან არაფერი. დიახ, გამოღვიძებულმა გრძნობამ უცბად იწყო აზვირთება, შეკავშირება და ქუჩაში ხმაურით დენა. გზადაგზა იგი ბოლოს უღებდა ყველაფერს, კლავდა ერთს და ბადებდა თითქოს მეორე ცხოვრებას, მაგრამ ჯერ არც ერთი იყო მკვდარი და არც მეორე დაბადებული, ახალი სული ჯერ არ ჩასახლებულიყო ახალ ადამიანში. ჯერ მხოლოდ ახლად გამოღვიძებული ადამიანების სულის სიცარიელეში იძვროდა ქაოსი, წყვდიადში აფოფინებდა ხელებს და რაღაც ენით უთქმელს, სასწაულს ელოდნენ. ის კი არა, მათ არსებაში ჩასახულმა წარმოდგენილმა სინათლემ მთლად დააბრმავა ეს ხალხი. ყველას ეგონა, ელვის კაშკაშზე იხილავდა წყვდიადის წიაღს და თავად იქცეოდნენ ღმერთად. ის წარმოდგენილი სინათლე ვერ ეტეოდა მათ მიკროსამყაროში, იგი ამსხვრევდა და აკამტვერებდა უხილავი გარსის არსობის ფარგლებს და იჭრებოდა ზეცაში, მაკროსამყაროში და თვით არარაობაში...

ტიტე შორიდან უცქერდა ამ ხალხს, შეშფოთებული აკვირდებოდა და დაბნეული იჩეჩდა მხრებს. ვერც კი წარმოედგინა, რომ ამდენი ყეყეჩი და სულელი, დესპოტური სულის ადამიანი იარსებებდა. მაგრამ ჩანდა ის უხეში, ფატალური ძალაც, წესიერებიც რომ ჩაეთრია. ბევრი მათგანი შეუჯნებლად მიჰყვებოდა მდინარეს, თითქოს ართიბდა კიდეც, საქმეს უჩენდა თავისუფლებისათვის „თამაში“, არ უფიქრდებოდა, სადამდე გაიტაცებდა იგი, სალ კლდოვან ჩანჩქერზე გადაჩეხავდა, თუ წარმოდგენილი თავისუფლების ნეტარ ზღვაში შეაკუნქებდა.

ბევრი ნაპირზე გარიყულს ჰგავდა, ტიტესავით გაშტერებული რომ იდგა და დაბნეული თვალებით შორიდან შესაქცეროდა, თავისუფლების წადილი როგორ რომ ბრწყინდება ამ „გაცხარებულ ცხვრებში“ იმედის ჭარიშხლიან მორეკვს, ერთნაირად რომ ნთქავდა დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც, ქართველსაც და, რატომდაც, არაქართველსაც.

რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთებიც, კანს რომ იკვლიდნენ, ან, ყოველ შემთხვევაში, ხალხის თვალში ცდილობდნენ შეცვლას, რაკი ხედავდნენ, რომ დამყაყებული სული მძლავრად იდევნებოდა, თუმც არც ახლის დაბადების, ამ დადგგარებული ხალხის არსებაში უფრო წმინდა, ღვთაებრივი სულის აღორძინების სწამდათ და მზად იყვნენ, მდგმარეობის შეცვლისთანავე კვლავ თავის კანს დაბრუნებოდნენ.

დიახ, ძლიერი ნაკადი მოარღვევდა გზას, გრძნობები მძლავრად აწყდებოდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეში ირეოდნენ და ინთქმებოდნენ... მერაბიც ამ მორევში იხილა ერთხელ მიტინგზე ტიტემ და არ გაპკვირვებია. ჩანდა, ისიც და მისი მსგავსი ახალგაზრდობა შეგნებულად მიჰ-ყვებოდა მდინარეს. მაგრამ ისიც ჩანდა, ვინაც გაუთხარა ამ მდინარეს კალაპოტი, მოამზადა საფუძველი და, ერთი სული ჰქონდა, მდინარე მიეგდო შიგ, მძლავრმა ნაკადმა გარიყა, ნაპირზე მოისროლა და მათაც მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, შორიდან ეცქირათ, ამღვრეული წყალი როგორ მიარღვევედა და მილეწავდა ყველაფერს, რაც წინ ეღობებოდა. მაგრამ ტიტეს უფრო მეტად ის აოცებდა, რომ ეს ამღვრეული ნაკადი, ერთი-ორის გამოკლებით, მაინც გაცილებით წმინდა ჩანდა წინმავალ ტალღებზე. ეს ლაქლაქ მომიტინგეები, რომელთაც პირზე მხოლოდ თავისუფლება ეკერათ, ყველაზე მეტად ისინი ვერ იტანდნენ თავისუფალი აზრის მოსმენას. ის კი არა, ერთმანეთს ვერ იტანდნენ და ისეთ გულგრილ, სასტიკ და დესპოტურ ხასიათებს ამყლავნებდნენ, მზად იყვნენ, სხვა, თავისუფალ მოაზროვნეებთან ერთად, ერთმანეთი დაეგლიჯნათ, მოეესპოთ, გაენადგურებინათ. ყოველი მათგანი, როგორც კი მიკროფონს ჩაიგდებდა ხელში, მხოლოდ იმას ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ბინძური სიტყვებით ელანძღა ქვეყნის უბედურობის მომტანი კომუნისტები, არსებული სისტემა, მეტროპოლია, რომ ამგვარი იაფფასიანი გზით რაც შეიძლება მეტი მომხრე გაეჩინა, ხალხისაგან მეტი პატივი და აღიარება ეგრძნო. მაგრამ ვაი, რომ ისიც აშკარად ჩანდა, კიჭებში ემჩნეოდათ, რომელიმე მათგანი თუ მართლა ჩაიგდებდა ხელში ძალაუფლებას, სხვებს ამოსუნთქვის საშუალებას აღარ მისცემდა... ეს უგუნური ყეყეჩები, ყოველდღიურად სულელობის დოღს რომ მართავდნენ და ყველაფერზე აშმშილებდნენ ისედაც დამშეულ ხალხს, შესაძლოა, იმდენად

საშიში არ ყოფილიყვნენ, რამდენადაც სასაცილონი, მათ ზურგს უკან ჭეშმარიტი წონის მქონე მოაზროვნე ადამიანები რომ მდგარიყვნენ და რომლებიც, ვინ იცის, იქნება მათზე მეტად იყვნენ თავისუფლების ფანატიზმით შეპყრობილნი. თავისუფლების ქარიშხალის „ეპიდემიური ზეგავლენა“ თანაბრად ანარკიზებდა ძარს სისტემის ერთგულ მსახურ ჭეშმარიტ მეცნიერსაც და ხელოვანსაც, მწერალსაც და მხატვარსაც... მაგრამ ტიტეშ ისიც იცოდა, რომ ლაქლაქა წინმავლის ერთი განსაკუთრებული „ღირსება“ გააჩნიათ, რომელიც ყოველთვის თაშავს (ან გათაშავდა) მათ ერთიანობას. ესაა ძალაუფლების ხელში აღება და სათავეში მოქცევის, ხალხის უცილობელი ნდობის მოპოვების მანია, და აქედან გამომდინარე, ერთმანეთისადმი შური, ფარული თუ აშკარა მტრობა, ზიზღი... როგორც კი ოდნავ მოიცლიდნენ აუცილებლად დაერეოდნენ ერთმანეთს, ამოჩხრეკდნენ ერთიმეორის შავბნელ საქმეებს, წარუდგენდნენ ხალხს, გადავიდოდნენ ხელჩართულ ბრძოლაზე უცილობელი წინამძღოლის კვერთხის ხელში ასაღებად და მაშინ კი, ცხვრებს დამსგავსებულებიც მოეგებოდნენ გონს, მონისტრებდნენ კომუნისტებს.

მაგრამ მანამდე?.. მანამდეც ხომ იყო საჭირო ცხოვრება, არსებობა?.. თუ ყველაფერს ძველს, არსებულს დაანგრევდნენ და გაიკამეტყრებდნენ, რა შეიდავთს მისცემდა მშრომელ, პატიოსან ადამიანს ამ გზით მოპოვებული „სანეტარო“ მომავალი?.. უზნეობა როდი აპირებდა ზნეობრივ კატეგორიაში გადასვლას. პირიქით — უცებად მოვარდნილმა ნიაღვარმა უპირველესად მთელი ჭუჭყი, ნაგავი წამოზეტა, ჩაიხუტა კეკრდში და ზედაპირზე ამოატივტივა; ბნელმა ძალებმა ყელმოღერებით გაშალეს ფრთები და თავისუფლების სახელით სწორედ პატიოსანი, მშრომელი ადამიანის ზურგზე მოინდომეს წამოსკუბება; გააჩაღეს შეჯიბრი, ვინ უფრო აჯობებდა იარაღის ჟღარუნში, სისასტიკეში, თავდასხმებში, გატაცება-წაგლეჯაში, ყოველგვარ ოხრობასა და მამაძაღლობაში!..

„განა ასეთი ხალხი თავისუფლების ღირსია?..“ — გაოცებით ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს ისინი, ვისაც მეცირეოდენი ჭკუა მოეკითხებოდა, მაგრამ ტალღისგან გარიყულები აღმოჩნდნენ...

„მაშ, როგორ გინდათ, თქვე კაი ხალხნო, თავისუფლება გნებავთ და გაჭირვება არა?..“ — კითხულობდნენ მეორენი, რომლებსაც არანაკლებ მოეკითხებოდათ ჭკუა, მაგრამ ისინიც ეჭვის თვალით შესცქერიოდნენ ქაოსში თეთრი მტრედის აფრენას...

„რით, როგორ შეეკავთო ეს ბინძური, გაავებული ტალღა?..“ — კითხულობდნენ კაბინეტებში გამომწყვდეული კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, ვითომ სხვათა აზრის გასათვალისწინებლად ჯგუფ-ჯგუფად იბარებდნენ მათ მიერვე გამოზრდილ პარტიული ელიტის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ერთგულ, თვალსაჩინო წარმომადგენლებს, მაგრამ ძალაზე ძალის დაპირისპირებაზე უკეთესი სხვა ვერაფერი მოეზრებინათ, აღარ შველოდათ პარტიული გაზეთები, რადიო-ტელევიზია.

და ამუშავდა ხელკეტიც, ურჩების ჭკუაზე მოსაყვანი ეს საყოველთაოდ ნაცადი იარაღი. მომიტინგეების დასარბევად მილიციის შინაგანი ნაწილები ვეღარ ასწრებდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებას, საქმეში ჩაერივნენ პარტიის ერთგული მოშავრაზმელო ყვინჩილა კომკავშირელებიც, მაგრამ ტალღა თანდათან უფრო გამსხვილდა, გამკვრივდა, გაგულისდა და მეტი შეეპავრობოთ შეასკდა მის შესაკავებლად აგებულ ხელოვნური პატარ-პატარა კაშხალებს არცთუ მყარ კედლებს.

და სისხლქაც წვეთ-წვეთობით იწყო დენა...

ქარიშხლის წინ ჩაჩუქებული ბუნებასავით, მეტროპოლია ჯერ ავად დუმდა, ჩრდილოეთის დათვი ჯერ ადგილზე ბრდღვნიდა. მისთვის მომგებიანი ჩანდა, უფრო მეტად გაღრმავებულიყო ურთიერთდაპირისპირება, საკუთარი ხელით დაღვრილიყო საკუთარივე ხალხის რაც შეიძლება მეტი სისხლი, რომ დაშოშმინების, გაშველების სიბაბით, მერე ყველა ერთად მოესრო და მოეკუჭა.

და ეს დღეც ახლოვდებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...

ცხელოდა... პარტიულ აქტივთან და სხვა სამეცნიერო თუ შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად, ტიტე საგანგებო თათბირიდან (სადაც გადაწყვეტეს საშველად „ცენტრისთვის“ მიემართათ!) გამოვიდა და ერთხანს თვალგაშტერებული მისჩერებოდა იქვე, წინ წამოსკუპებული ბელადის — ლენინის ძეგლს.

ფიქრობდა... ფიქრობდა, რა ისეთი მოვალეობა დააკისრა განგებამ შემოქმედს, რომ ყველგან და ყოველთვის იგი იჭყლეტება; დანაშაულს სჩადის ვიღაც უთავო (გნებავთ თავიანი) პოლიტიკოსი და საბოლოო ანგარიშით, მთელი ცოდვა შემოქმედის კისერზე წვება, ხალხიც და თვით პოლიტიკოსებიც მასზე იხოცავენ ხელებს. ახლაც, მანცადამაინც, შემოქმედებითი ინტელიგენციისაგან აიღეს ნებართვა, მათ მოათხოვნინეს დამსჯელი ჯარის ნაწილების შემოყვანა, თითქოს მეტროპოლია ვინმეს ეკითხებოდეს, სად რა ცოდვას დაატრიალებს, სად რა მზაკვრობას ჩაიდენს...

— რას ჩაუფიქრებიხართ, ბატონო ტიტე? — შეეხმიანა უცბად თათბირიდან რიხიანად გამოსული ერთი პოეტი, ტიტემ ვერაფრით რომ ვერ გაუგო, ეს კაცი მთავრობის მხარეზე იდგა თუ აჯანყებული ხალხის, რადგან მთავრობის ნაბოძებ კეთილდღეობაზეც არ ამბობდა უარს, პირიქით — მათი შემწეობით სულ ზევით-ზევით ცდილობდა გაქაჩვას და ხალხსაც ცალკე ეფიცებოდა, თქვენი ვარ, თქვენთვის მოვკვდებიო.

— ვფიქრობ, — უხალისოდ მოუგო ტიტემ და ლენინის ძეგლზე მიანიშნა, — ახლა ვცდილობ გავარკვიო, მაინც ვინ იყო ეს კაცი, რა ძალები წარმართავდნენ მის გონებას.

— ვინ იყო და, ანტიქრისტე, ჯალათი, სისხლის მსმელი! — ლამის იყვირა პოეტმა ხელების ქნევით და სწრაფად გაერიდა იქაურობას, პირდაპირ მომსახურე შავ „ვოლგისკენ“ აიღო გეზი...

„ღმერთო ჩემო, რა დრო დაგვიდგა?..“ — გაიფიქრა ტიტემ, მძიღოლს ანიშნა, წადიო და თვითონ მუხლების კანკალით ჩაიარა გრძელი კიბის ქვის განიერი საფეხურები, მეტროს საფეხურთან გავიდა და იქიდან გახედა ხალხმრავალ მოძრაობაგადაკეტილ, ერთ დროს მოგრიხინე ტრამვაებით ახმაურებულ პროსპექტს, ცოტა ზევით, მთავრობის სასახლესთან მიზეცვებულ მომიტინგეებს.

ბეჭა გაახსენდა...

საიდან სადაო, გაუკვირდა თვალონაც და მერე მიხვდა, რომ სწორედ ამ ადგილებში ერთ დროს ფეხით დადიოდნენ, მსჯელობდნენ ხალხზე, ბუნებაზე, ხელოვნებაზე...

როგორ გაუკრბოდა ყოველთვის ბავშვობის გახსენებას და გაახსენდა კი; გააახსენდა თითქოს თავისათ, უნებურად... თორმე როგორ დასცილებია ქალაქს, ამ ხალხს; როგორ გამოცვლილა გარემო, თვით ბუნება... რა მოუტანა დღენიადაგ შრომამ, წვალებამ და წვამ, ან თუნდაც მომსახურე შავი ავტომანქანით სიარულმა?.. მწარედ ჩაიცინა და „პიკასოს“ — ფერწერის „ლოთი“ მასწავლებლის შეგონება გაახსენდა, ერთ დროს სწორედ ამ ადგილებში ბეჭას რომ ეუბნებოდა, ვისაც გსურთა ცხოვრება მხატვრობას დაუკავშიროთ, იარეთ ხალხში, ბუნებაში, დაკვირვების თვალით შეხედეთ ყველას და ყველაფერსო...

გაზაფხული მთელი ბრწყინვალებით დანავარდობდა თვალწარმტაც პროსპექტზე. მწვანედ ხასხასებდა მოშრიალე ხეთა ფოთლები და ცა იყო პატარძალივით სუფთა და უმანკო. ირგვლივ ჭიანჭველასავით ირეოდა ხალხი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. მოაფრიალებდნენ და მოაფრიალებდნენ სამფეროვან შინდისფერ დროშებს, მთავრობის სასახლისკენ მიჰქონდათ და მიჰქონდათ სასწრაფოდ თუ საგულდაგულოდ, ფანჯრით თუ ფუნჯით დაწერილი ქართველ პატრიოტთა, მოშიმშილეთა მხარდამჭერი ლოზუნგები საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან, — ჩვენც თქვენთან ვართო; მოწყდებანი თავისუფლებისაკენ, ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვისაკენ. იშვიათად ჩანდა ჩაფიქრებული და რაღაცით შეწუხებული. დიდი თუ პატარა ატაცებული. აგზნებული იყო, ყველას თვალში უჭვეულო იმედის სხივი კრთოდა. ახალგაზრდების ერთი ნაწილი შეშლილი სახეებით მედიდურის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერზე უცილო გამარჯვების იმედით აღვსილი იცქერებოდა, მათ თითქოს აჭ, საკუთარ ხალხში ჰყავდათ ჯერ გასანადგურებელი გამყიდველ-მოღალატენი, რომელთაც დაეძებდნენ უფროსი ასაკის ადამიანებს შორის.

შეეშინდა... სწორედ ისე გაკკრა მწარედ გულში, როგორც ბავშვობისას ემართებოდა ხალხში გამოსვლისას, უცბად ვიღაცამ არ წამომძახოს, შე დამბეზღებელო. თითქოს ეს ის თაობა გახლდათ, ყველა საიდუმლოს სამზეოზე რომ გამოჰფენდა და ერთ დროს დაწერილ ურთიერთდაბეზღებების გაყვითლებულ ფურცლებს ამ ლოზუნგებივით საქვეყნოდ გაფრიალებდა.

„ოჰ, ბრბოს თავისუფლებავ! — ეს ხომ ჩვენი სიკვდილია!..“ — სასოწარკვეთით ამოიგმინა შინაგანმა „მემ“ და საკუთარი თავი შეებრალა; შეებრალა კაცი, რომელსაც ცხოვრებისგან ტანჯვა-წამებით თითქოს ყველა დიდება და პატივი ჰქონდა მიღებული და თურმე მაინც უმეფლური დარჩა, სიკვდილის პირისპირ უშვილძირო, მარტოსული აღმოჩნდა. არადა, ჯერ როდი აპირებდა სიკვდილს, — ჯიბეში თავისი ვერონჩას ახლად მიღებული ბარათი ედო, სულმოუთმენლად ელოდა აპრილის ბოლო რიცხვების მოახლოვებას და წინასწარ თვითმფრინავის ბილეთზეც თადარიგი ჰქონდა დაჭერილი...

მერე თითქოს დაეღალა თვალები აჭრელებულ-ატაცებული ხალხის ცქერით, იქაურობას ფუტკრის სკასავით რომ წახვეოდა და გაცლა დააპირა, ქვევით, მოედნისკენ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. უცბად, რაღაც ოხრობად, მეტროს გამოსასვლელში თვალსაჩინო ადგილას მდგარმა ერთმა შავგბში ჩაცმულმა ხანდაზმულმა ქალმა მიიქცია მისი ყურადღება და ადგილზე გაშეშდა. ბოლო დროს, რატომღაც, ყოველთვის ბიბლიადა ასეთი ხანშემოსულები, ცხოვრებით მოქანცულებს, საკმაო ნოჰი რომ გასჩენიათ და მაინც არ სთმობენ ახალგაზრდულ სხეულს, იერს, შემართებას... იგი ახალგაზრდა ქალთან ერთად, ზევით, შორს მომზირალი თვალებით ვიღაცას დაეძებდა და შემაღლებული ადგილიდან ხალხს მედიდურად გადმოსცქეროდა.

ტიტეს ყმა ჩამოუვარდა ძირს, თვალები გაუფართოვდა. ნუთუ ეს ის არისო, გაიფიქრა მაშინვე და მზერა დაძაბა; გამშრალი მიაშტერდა ქალს, რომელმაც დაინახა და ერთგვარად შემკრთალ-შეშინებულმა შორიდან თითქოს ბავშვური გულუბრყვილობით „ვამოსძახა“, ნუ მიყურებ, მე ახლა მახინჯი ვარო...

დიახ, იგი თინიკო იყო, გიშრისფაფალა და ირმისყელა თინიკო, რომელიც ბავშვობის ყველა მეგობართან ერთად, რა ხანია, დაივიწყა და ერთხელაც არ უცდია მოეკითხა, ეძებნა, გიგო მაინც, მკვდარი იყო თუ ცოცხალი. ახლა კი, აგერ, მის წინ იდგა, თვალსაჩინო, შემაღლებულ ადგილას და მისმა ხილვამ უნებურად რატომღაც გული გაუთბო, სასიამოდ აუჩქროლა და მისკენ გადაადგმევინა ნაბიჯი, მიახლოების გაუთვითცნობიერებული წადილი აღუძრა. ქალი აწრიალდა, აენთო... დიახ, მანაც იცნო, იცნო და შეწუხდა; შეწუხდა და, უცბად მოჰკიდა ხელი გვერდით მდგომს, ფაციფუცით გააცილა იქაურობას და, ორივენი ერთად მეტროს შესასვლელში ისე სწრაფად გაუჩინარდნენ, თითქოს არც ყოფილიყვნენ, არც არსებულიყვნენ...

არ გამოჰკიდებია, არ უცდია დაწევა. მხოლოდ იმ ადგილს მივიდა, სადაც თინიკო იდგა და შავი მარმარილოს მრგვალ ბოძს ფიქრმოსილი მიეყრდნო. ერთხანს გაოგნებული იდგა. მერე შეეცადა ამოეხსნა, რა იყო ის, რამაც გული გაუთბო, აუჩქროლა, სისარულით აუვსო, მაგრამ ვერ ჩაწვდა, ვერ ამოხსნა საიდუმლო. რაც მოხდა, მოხდა თავისით, გაუაზრებლად, როგორც ლამაზი, ფერადოვანი სიზმრის ხილვისას, გამოღვიძების შემდეგ რომ ვერ გაგითვითცნობიერებია, რატომ ხარ კარგ გუნება-განწყობაზე და ერთდროულად რატომ გიპყრობს იდუმალი სევდა-ნაღველიც.

— გამგაგიტეხენ ეს ქალები, — თქვა უცბად ვიღაცამ სულ ახლოს, მეტად მკვეთრად, ძალიან ნაცნობი ხმით და ტიტე შეკრთა; მაშინვე იმ ნაცნობ ხმას გაადევნა დაძაბული მზერა.

ეს კიდევ, ჭკვიანი აღმოჩნდა მისი ცხოვრების ამწეწ-დამწეწი მერაბ რეხილაძე იგი შეწუხებული სახით აუარეს ხალხში სწორედ მარმარილოს ბოძთან დაეძებდა ვიღაცას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ თავის, „ქალებს“ და ჩანდა, მათზე ბრაზობდა.

„ღმერთო ჩემო!.. — ამოსძახა კვლავ ტიტეს შინაგანმა ხმამ, — ნუთუ ეს ბიჭი კიდევ თინიკოს და ბექას შვილია?..“

ვერ გაუძლო საშინელ ცნობისმოყვარეობას, სძლია თავს, მისკენ გადადგა ნაბიჯი და დაენახვა; დაენახვა და მაშინვე სულმოუთმენლად, მაგრამ ძალდატანებითი სიმშვიდით ნერწყვის ყლაპვა-ყლაპვით ძლივს ჰკითხა:

— ყმაწვილო, ასე რას შეეწუხებიხართ?

— ოჰ, გამარჯობათ, ბატონო ტიტე, — ისე თამამად, თანაც ისე უბრალოდ, ჩვეულებრივ მიესალმა მერაბი, თითქოს გუშინაც ძმაკაცურად ხელიხელგადახვეულები ერთ სუფრასთან მსხდარიყვნენ და ასევე შინაურულად განაგრძო თავის ქალებზე მოყოლა: — ამ ადგილას უნდა დამზვედროდნენ და, როგორც ჩანს, წასულან... დედაჩემზე და ბებიაჩემზე მოგახსენებთ. არადა, თვითონ ამომიღეს ტკინი. ბაბუაჩემს ძველმა ამბებმა გაუხსენეს, კვირაზე მეტია, საავადმყოფოში წევს და, ერთხელ მაინც დაენახე, თორემ ნერვიულობსო. ვერ გავაგებინე ბებიაჩემს, რომ შიმშილობის აქციის მონაწილე ვარ და წუთითაც არ შეიძლება ჩემი აქედან სადმე წასვლა. ბაბუაჩემი კი, რომ იცოდეს, გამიგებდა. ის კი არა, ცოტა ახალგაზრდა რომ იყოს, ჩემთან ერთად იშიმშილებდა...

მერაბი კიდევ რაღაცას მოყოლას განაგრძობდა, მაგრამ ტიტეს აღარაფერი ესმოდა. იგი თავის დამსუსხავ, გულის ამაჩქროლებელ ფიქრებში ჩაიძირა:

„ესე იგი, ეს ყმაწვილი მათი შვილი კი არა, შვილიშვილია?.. მერედა, როდისღა შეუღლდნენ, რომ ამხელა შვილიშვილიც ყავთ?..“

— მამათქვენი?.. — უაზროდ იკითხა უცბად ტიტემ თითქოს თავისთვის და მაშინვე გაჩუმდა. გაჩუმდა მერაბიც, ვერ გაარკვია ბიჭმა, რა კავშირი ჰქონდა მის მონაყოლს მამამისთან და თვითონაც გაკვირვებულმა იკითხა:

— ბატონო?..

— არა, არაფერი, — უხერხულად შეირხა ტიტე, — უბრალოდ, ერთ რაცხილაძეს ვიცნობდი, ბავშვობაში... პარალელურ ჯგუფში სწავლობდა... ამ პროსპექტზე მაშინ ტრამვაები დაგრიხნიებდნენ.

მერაბს შეწუხებულ სახეზე ღიმილი დაეფინა.

— მაშინ, ბატონო ტიტე, მამაჩემი ჩანასახშიც არ იქნებოდა. იგი ორმოცდაერთ წელს იყო დაბადებული. თანაც, ქუთაისში ჰქონდა სკოლა დამთავრებული, თბილისში საცხოვრებლად მერე გადმოვსულვართ.

— როგორ, თუ იყო? — ჩაეჭიდა ამ სიტყვას ტიტე, — რა, ახლა აღარ არის? — გულის ფანცქალით ჰკითხა.

— აღარ არის, — დაუდასტურა მერაბმა, — მეათე წელია, საბერძნალოს სასაფლაოზე განისვენებს, — თქვა ეს მან თითქოს უდარდელად, თავისუფლად, მერე შეტრიალდა და დაუშშვიდობებლად წავიდა, მაგრამ მალევე მოტრიალდა, — იცით, იქნებ ის რაცხილაძე ბაბუაჩემია?.. — რაღაც დაეჭვებით შეეკითხა და დაუზუსტა: — ბექა რაცხილაძე. არაფერს გეუბნებათ ეს სახელი?

გაქვავებულმა და ენედადუმებულმა ტიტემ უარის ნიშნად მხოლოდ თავი გააქნია ნელა, გაუბედავად...

— „ნუ განსჯით, რათა არ განისაჯოთ...“ — თქვა რატომღაც ისევ მერაბმა და ჩაიცინა, — ვერ გიგებს, სად ღმერთია, სად ეშმაკი... აღრე სხვა გრძნობა მჭონდა, ახლა თითქოს, სხვა... მაშინ, გაგრაში, მარტო რომ იჯექით და თქვენთვის სვამდით, შორიდან, იმ ნასვამ გუნებაზე მომეჩვენა, თითქოს ხანშიესულ, მაგრამ კეთილეთით აღმდგარ მამაჩემს ვეცქერი; გარეგნულად, განსაკუთრებით იერით, ნაღვლიანი გამომეტყველებით, თითქოს მამაჩემი იჯდა და სვამდა... სწორედ ამიტომ გამოგყევით გარეთ, როგორც მამასთან, ისე მომინდა თქვენთან ლაპარაკი და, ახლაც ალბათ ამიტომ ვარ ასეთი თამამი. უნდა მპატიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბმა უკან გადადგა ნაბიჯი. ვიღაცას დაეჯახა. მაშინვე ბოდიში მოუხადა მას, შეტრიალდა და ზევით, თანამოაზრეებისაკენ თავაწეული გაემართა.

ტიტეს არაფერი ესმოდა, თითქოს ერთიდროულად დადუმებულიყო დედამიწა, მთელი სამყარო. იგი მარმარილოს ბოძთან იდგა იმ ბოძივით ჭკადქცეული, გათიშულ-გათოშილი და თვალებშემლილი მისჩერებოდა საკუთარ შვილიშვილს, რომელიც სხვას ეკუთვნოდა და კორკოტაძეებთან მცირეოდენი გარეგნული იერსახის გარდა, სხვა არაფერი აკავშირებდა. ბაბუა ძველი სამყაროს ყრუ კედლებიან კაშხალას აგებდა, შვილიშვილი კი იმ აბობოქრებულ მდინარეს ჩახტებოდა მკერდში, თავისუფლების ნეტარ ზღვისკენ ღმუილ-ღმუილით მიმავალი, წინ აღმართული კაშხალის ყრუ კედელზე რომ აპირებდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შესკდომას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნიშნიანიძე

●

შენ, გულო ჩემო, საწყალო,
როდემდე უნდა გაწვალო,
როდემდე უნდა ბავშვივით
გტუქსო და დაგიცაცხანო?!

ამოილია, ობერო,
შენი მჩქეფარე ცხრა წყარო... —
აბა, თუ კაცმა დაგინდოს,
ან ღმერთმა თუ დაგაცალოს?!

●

ჩემი სული ლურჯი ხეა
ღრმად გაუდგამს სიმწრის ფესვი,
გამოუსხამს გული ობლად,
ვით ნაყოფი სიწმინდესი.
და სულ მაღლა, მაღლა მიდის,
ლამის მისწვდეს ცისფერ თაღებს,
მისი ერთი სიყვარული
არის ლურჯი სისპეტაკე —
უცოდველი სიანკარე და უბიწო
სიცისკროვნე
მარტოოდენ ლაჟვარდოვან

ცის წიაღმა იცის ხოლმე.
სიხარულმა რომ იმრავლოს,
შვებამ რომ იათასფეროს,
არც ფსკერი და არც ნაპირი
არ ჰქონია ცათა სფეროს...
...და სხეულში ჩაკირული
...და სხეულში ჩაკირული
იმ პატარ სიმწრის ფესვით
შედის სული სიბერეში,
სიბრძნეში და სიმწიფეში...

მე ერთი

კაცი ყოველი მაინც მიჰყავს ბედს
ეშაფოტზე,
მას მე ერთი ვთხოვ მოწიწებას და ეს
აშფოთებს —

— მონიჭებული შენგნით გრძნობა
უფაქიზესი
ყოფილა, ღმერთო, მთელი ჩემი
ტანჯვის მიზეზი.

●

ვერ განვჭვრიტე ჩემი ბედი
ჩამოშვებულ ფარდასავით —
მე ყოველთვის ალთასა ვარ,
ის ყოველთვის ბალთას არის,

მას „ჩოთქი“ და გათვლა უყვარს,
მე — ჩემი ნაფანტაზარი:
ჭირიცა და უბედობაც
თავს მეყრება პანტასავით...

●

შენ რომელი ვარსკვლავის ხარ?
შენ რომელი ქვეყნიდან ხარ?
არ დავმალავ, მეცნაურა
შენი უცხო ბედის დამღა:

ვიცი, ქვეყნად არ შობილა,
სამოთხეში მე რო და მყავს,
მაგრამ — იმას ვენაცვალე! —
ასე მაინც როგორ გავხარ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ერთი გზაა — აგონია,
გზა კი არა, დრაკონია.

თუკი ერთხელ შესდგი ფეხი,
სხვა გზა გამონაგონია...

●

სხვის სახლში ვარ, სხვისთვის
ვცხოვრობ,
სატკივარი მტკივა სხვისი,
ჩემი თითქოს ხალისია,
მაგრამ არად მიჩანს ისიც.

სახე სხვა მაქვს, სხვა მაქვს ბედიც,
სხვისი მიჩქეფს ძარღვში სისხლიც,
ჩემი მხოლოდ სიკვდილია,
ის ერთია ჩემი ღირსი!

●

აწ ცხოვრებად მე იმ მომენტს
ჩავთვლი, შენ რომ ფიცი მომეც,
უკვე მოკლულს ხმა რომ გამეც,

სულ რომ ჩამესმება ღამეც —
იმ სანუკვარ წუთს რომ მიმეც,
არასდროს რომ წამგვრის იმედს!

●

ჩემი უფლის უფლობანა,
უთქმელობა, უბრობანა,
გაძლება და ჭირთა თმენა,

გაჭირვება, უფულობანა,
მარტოობა, მოძულება,
უძმოობა, ობლობანა...

●

ცხოვრება რომ მქონებოდა
ნორმალური ანუ წყნარი,
რა თქმა უნდა, მე კარგა ხნის
უნდა ვიყო ახლა მკვდარი.

თვითონ მეც რომ ვყოფილიყავ
უბრალო და ლაღი ბავშვი,
ჩემთვის უნდა ვგდებულიყავ
ღღეს სამოთხის მწვანე ბაღში...

●

გიხაროდეს — ცოცხალი ვარ,
ჩემო პაპის პაპის პაპავ! —
პირში სული კიდევ მიდგას,
რაკი ღღეში ასჯერ მღფავ.
დასვენება მე არ ვიცი,

უბრალო და დაუძაბავ
წუთებს ვეძებ ღღეც და ღამეც,
ვაჩერებ და თვალს ვუნაბავ —
ვიცი, სულელს ვგავარ, მაგრამ
არც ჭკვიანის მომწონს ჯაფა!

●

ის იღუპება, მე რომ მიხარის,
მას რომ უხარის, მე ვიღუპები

და დგას ჩვენს შორის როგორც ტიხარი
არარაობის თეთრი ღრუბელი...

●

მე, მონღოლების კარზე მსახური,
ჩობაში* დავალ ზამთარ-ზაფხული,

გულზე კი ქრისტეს ჯვარი მკიდია
და გულში სჯული მაქვს ჩამარხული

---

* მონღოლური ხალათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე — მზაფრავს ხანის ხმა ამაყური,
ღამე — მე ვუსტვენ ვით მოლაღური...

და მთელს ურდოში მარტო მე ვიცი,
რომ მე ვარ მეფე, ის კი — მსახური.

●

გადავლახე სიკეთით
ცხრა და ცრხაასი ქედიც...

— კვლავ სიკეთით გავლიო
იმას — იმასიქეთიც!

თავისუფალი ფამი...

...ბოლოს დგება ერთი წამი
ყველაზე უტკბილესი —
ნათელ მდუმარებაში და
წმინდა სიმარტივეში —

სულს წურავდა კუმპალ-კუმპალ
თავის ხელით უფალი —
მიტომ არის ასე სუფთა,
ასე თავისუფალი!...

●

ღმერთი ასე ილოცავს,
ასე იტყვის მესია:
მთავარია მეობა,

გამარჯვება მე-სია,
მე იგივე სულია,
სული უამესია.

●

ჩვენი სალამი ყველას,
ვინც მიიცვალეთ უკვე,
ვინც მოიხადეთ ვალი
და ახლა თავს გრძნობთ უკეთ.
ვინც ღვთის უბეში მშვიდად
ამოწმებთ ბედის რუქებს,
ჩვენი სისაწყლეც გესმით

და ერთმანეთსაც უგებთ.
არარაობა ჩვენი
ზოგჯერ მოგიწვავთ გუგებს
და ახალ ძალებს იკრებთ,
ფესვებს უმაგრებთ ნუგეშს —
ჩვენი სალამი, ძმებო,
ვინც გაიმარჯვეთ უკვე!

●

ვაი, ვკვდები, ვკვდები,
უკან მრჩება კუდები...
— არადა რამხელაა
ერთი განსაკუთრებით! —
ვმალავ, ვმალავ, ორმოცი

წელია ვიკუტები...
ვაი, ვკვდები, ვკვდები,
კუდები,
კუდები,
კუდები!...

●

გამომაპარა ბედი შემთხვევამ,
მთელი ცხოვრება მექცა სიცრუედ,
და აქომამდე თუნდა ერთხელაც
სიმართლით გული ვერ დავირწყულე.

უკანასკნელად ბედის საფლავზე
მოვსულვარ, ბევრი დავაგიანე —
ტკარცალებს ჩემი სული აფრასებრ,
თვალს ულურჯესი მჭრის ოკეანე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა ენუქიძე

დაუცველია და მეტად საშიში

ყაზარმა ასპარეზზე გამოდის

მტკიცება, რომ „ახალბედაზე გამხრწნელად მოქმედებს, როცა რომელიმე „მოხუცი“ მოწყალედ ეპყრობა მას“, არ არის საფუძველმოკლებული იმ თვალსაზრისითაც, რომ ახალბედას, — რომლის შინაგანი სამყარო, არმიაში მოსვლის პირველი დღიდანვე განიცდის დამანგრეველი ძალის ქაოსურ ძვრებს და რომლის ფსიქოლოგიაშიც ხდება ღირებულებათა და მორალის ელვისებური გადაფასება, — უჩნდება ერთგვარი პირობითი რეფლექსი მბრძანებლის „ძიებისა...“

ამ დროს ხდება ახალწვეულის ცნობიერებისა და მსოფლშეგნების ძირეული გადატრიალებაც; მის სულში სწრაფად მწიფდება მძვინვარე ვულკანი და ბოლოს, მისი ჩვილი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სამყარო განიცდის კოსმიურ ამოფრქვევას; ამის შედეგად ყველა ის კავშირი, ყველა ის ძაფი თუ ნერვი, რომელთა ერთობლიობა, აქამდე ქმნიდა რაღაც ერთიანს, განუყოფელს, მოქმედს — ნაწევრდება, იშლება და უწესრიგოდ იფანტება მისივე სულიერ სხეულში... არმის ბინძურ სარკეში იგი ხედავს თავის უმწეო, დაბნეულ, დანაწევრებულ, შიშველ, დასაღუპავად განწირულ არსებას და ხვდება, — სავსებით მარტოა... მ ა რ ტ ო დ მ ა რ ტ ო ა მის ჩასაყლაპად მომართული საბჭოური წარმოების ამ ჯოჯოხეთური მანქანის — არმიის წინაშე. იგი დაბნეულია, წონასწორობადაკარგული და თანდათანობით მიდის იმ დასკვნამდე, რომ უკვე აღარ ძალუძს თავადვე გადაარჩინოს საკუთარი არსება, თუკი ბეღურასავით არ შეიყუჟა ვისიმე მძლავრი ფრთების ქვეშ... ყაზარმა აქამდე თვალყურს ადევნებს ამ პროცესს. და აი, დგება მომენტი, როცა უკვე შესაძლებელია ქაოსში ჩაკარგული ამ საცოდავი არსების მართვა... ადამიანი მოქცეულია ისეთ დგომარეობაში, როდესაც აუცილებლად უნდა უ ბ რ ძ ა ნ ო, უთუოდ უნდა გაბატონდე მასზე; სხვაგვარად, ვერაფერი იხსნი დაღუპვისაგან; სხვაგვარად, იგი, შეიძლება კიდეც გაგიჟდეს; ყაზარმა იკვრება ერთ მთლიან არსებად, არსება-მბრძანებლად. ეს უკანასკნელი, უკვე დრია, გამოვიდეს ასპარეზზე, საჭირო წუთმა კარგა ხანია, დაჰკრა... და ისიც გამოდის, ყაზარმა იწყებს მოქმედებას. ყ ა ზ ა რ მ ა ი ძ ლ ე ვ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ს!.. მას მთელი სიღრმით აქვს შეგნებული, რომ ამ მომენტის ხელიდან გაშვება ყოვლად დაუშვებელია, რადგან თუკი ვერ დაიჭერს ამ მომენტს,—მერე უკვე შეუძლებელი იქნება თავისი გავლენის ქვეშ ახალბედას მოქცევა... საამისოდ, — მერე უძლური აღმოჩნდება ყოველგვარი ძალადობა, მუშტი, სისხლი, ძალაუფლება და ადამიანთა დასათრგუნავად დღემდე გამოყენებული თვით ყველაზე უსასტიკესი მეთოდებიც კ.....

ნავს რომ აუშვებს, მენავე უთუოდ შიგ უნდა იჯდეს, თორემ ნავს ტალღე-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი გაიტაცებს, მენავე კი ნაპირზე დარჩება. ასევეა აქაც: როცა ყაზარმა აუშვებს ახალბედას, ახსნის იმ კლდიდან, რომელსაც ადამიანის პირადი „მე“ ჰქვია, უნდა ხელით ეპყროს ის თოკი, რითაც ეს ადამიანი მიბმული იყო თავისივე არსებაზე... თორემ მას გაიტაცებს თავისი ბუნებით ა ბ ს ურ დ უ ლ ი, მაგრამ მაინც რაღაცით მიმზიდველი, თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მძლავრი ზურგის ქარი... მას გაიტაცებს საკუთარი უ პ ა რ ო ვ ნ ე ბ ა, ანუ ჩამოშორება საკუთარ თავთან, რადგან ამ დროს იგი თითქოს ყველგანაა, მაგრამ სინამდვილეში არსადაც არ არის, არ არის არც საკუთარ სულიერ არსთან... მას დაკარგული აქვს ორიენტაცია და უაზროდ იწყებს ფარფატს გამძვინვარებულ სტიქიაში, რომელიც ერთხანს მსუბუქად ალივლივებს თავის ზედაპირზე, მერე კი აუცილებლად ჩანთქავს...

ყაზარმა ფხიზელია, მას შეუმცდარი თვალი და უტყუარი ალღო აქვს; იგი არავის დაანებებს ბრიყვულად, უაზროდ ჩაიხრჩოს აბსურდული თავისუფლების მორევში... ყაზარმას არ სჯირდება გაწყრიელის სასოწარკვეთილი შეკივლება... მან მშვენივრად იცის თავისი მოვალეობა. იგი შვილს „დასაღუპავად განწირულს“, თავის გემბანზე აპყავს და, მართალია, უსჯის საშინელ ხვედრს, — მონობას, მაგრამ განა ადამიანი შეიძლება იყოს უმადური მის მიმართ, ვინც აშკარა დაღუპვისაგან იხსნა იგი?!...

9.

— აეთრიე!.. — მოკლედ მოსჭრა ტოლსტიანკმა. მერე სიგარეტის ნამწვი იატაკზე დააფურთხა და ჩექმიანი ფეხით მოსრისა.

წამოვიწიე და ტაბურეტიდან ტანსაცმელი დავითრიე.

— ჩაცმის დრო არაა, ეგრე წამოდი... მკვდრებს შიშველად არ მარხავენ... შეგშოსავენ ძაღლის ლეკვები!...

●

— გამარჯობათ, ამხანაგო არტილერისტებო!

— ჯანმრთელობას გისურვებთ, ამხანაგო კაპიტანო!

— თავისუფლად! — კაპიტანმა ოზერიანმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ხელის კვრით შეაღო თავისი შტაბ-ბინის ფანერის ნაკრისფერად შეღებილი კარი, რომელიც, ამავე დროს ბატარეის პირადი ქონების სათავსსაც წარმოადგენდა და ჩემთვის აქამდე უცნობ ლეიტენანტს ხელით რაღაც ანიშნა.

ლეიტენანტი წამოდგა, ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა დერეფანში და კაპიტნის გვერდით დადგა.

— ლეიტენანტი მაიოროვი!.. ჩვენი ბატარეის პირველი ოცეულის მომავალი მეთაური... უფრო ზუსტად, უკვე მეთაური, — წარმოგვდგინა კაპიტანმა ახალბედა, ბავშვური სახის ლეიტენანტი.

ბატარეა შეიშმუშნა. საერთოდ, როგორც წესი, ჯარისკაცებს არ სიამოვნებთ ახალ ოფიცერთან საქმის დაჭერა. ეს მათთვის ფრიად მოსაწყენი და არასასიამოვნო პროცესია, რადგან თითქმის ყოველთვის ახალ-ახალ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ყოველი ახლად გამოჩეკილი ოფიცერი, მოსვლის პირველი წუთიდანვე ცდილობს, ხელში აიყვანოს ქვედანაყოფი და პირველი რამ, რასაც საჭიროდ თვლის მოიმოქმედოს საამისოდ, არის ის, რომ თავს აჩვენებს ჯარისკაცს, ვითომდაც იგი თავგადაკლული წესდების დამცველია და მის დარღვევას არავის პატიებს... არ ვიცი, რატომ გვანან ახალბედა ოფიცერები ასე ძლიერ ერთმანეთს და რატომ იწყებს თითქმის ყოველი მათგანი თავისი კარიერის უმდაბლესი საფეხურიდან ცოცვას ასე ბრიყვულად. ისინი ხომ შედარებით რბილი, მეგობრული მოპყრობით სულ აღვილად მოახერხებენ გარეგნულად ძალზე ურჩი და ჯიუტი, მაგრამ შინაგანად საოცრად თვნიერი, ძალადობის მოძულე არსებებთან სასურველი კონტაქტის დამყარებას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კოლია, მე შტაბში მიმეჩქარება, შეგიძლია გაესაუბრო, — კაპიტანი სათავსოში შებრუნდა, შინელი ჩაიცვა, დიპლომანტი აიღო და სანამ ყაზარმიდან გავიდოდა, მკაცრად გაგვაფრთხილა:

— არწივებო, ნურავინ ეცდება, ეს საღამო საბედისწერო გამოდგეს მისთვის!. — და გავიდა. ჯარისკაცთა უმრავლესობა მყისვე მიხვდა, რასაც გულისხმობდა თავის მეუქარაში კაპიტანი ოზერიანი.

არმიაში არსებობს უმრავი ისეთი განკარგულება, რომელიც მასში ჩადებული აზრისდა მიხედვით კი არ უნდა იყოს შესრულებული, არამედ იმ პირის სურვილისამებრ, ვინც ბრძანებას იძლევა... ხოლო თუკი ბრძანების აზრი და ოფიცრის სურვილი ერთმეორის ურთიერთგამომრიცხავია, ჯარისკაცი აკეთებს არჩევანს. თუკი ეს მისი ინტერესებიდანაა გამომდინარეობს, ჯარისკაცი ამჯობინებს ასიამოვნოს ამა თუ იმ ოფიცერს...

— ბატარეა, სწორდი!.. სმენა! — დაიკნავლა ლეიტენანტმა და ერთიანად აელეწა სახე.

არავინ შერხეულა. ლევიტი რომ ლევიტია, ისიც მოშვებული იდგა მწკრივის ბოლოში. სოცარი იყო, როდის მოასწრო ბატარეამ ფორმიდან გამოსვლა; ჯერ კიდევ წუთის წინ, სანამ ოზერიანი ყაზარმაში იყო, ყველა ჩვენთაგანი სრულ საწესდებო სამწყობრო ფორმაში იდგა; გავიდა თუ არა კაპიტანი, ბატარეა ბრბოს დაემსგავსა... ახლაღა შეეგნიშნე, რომ მეც ორ ღილზე ჩამხსნოდა გიმნასტურა და ასე ვიდექი მწკრივში. ამან უაღრესად გამაოცა. ჩანდა, საფრთხის გავლისთანავე, ჩემდა უნებურად ჩავიხსენი გიმნასტურის ღილები.

— ოტსტავიტ! — წაიდუდღუნა მაიოროვმა.

ვიღაცამ მოურიდებლად ჩაიფხუკუნა. ჩემს გვერდით სობინმა ხმამაღლა დაამთქნარა და ლეიტენანტის გასაგონად გადმომილაპარაკა:

— მზადა ვარ დაგენაძლევო, რომ ეგ

ლეტიოხა სასწავლებელში მამამთმავლობდა, ღაწვებზე და თეძოებზე შეხედე...

მაიოროვს სახეზე მკვდრის ფერი დაედო. უსიტყვოდ მოავლო მწყობრს თვალი და ბოლთის ცემას მოჰყვა.

— თოჩნო, თოჩნო, ბლიათ! — დაემოწმა ამაევი და ხმამაღლა გადაიხარხარა. აჰყვნენ სხვებიც.

ოფიცერს შეეხედე და ენით აუწერელი სიამოვნება ვიგრძენი. იგი გაფითრებული, საქციელწამხდარი მიდი-მოდიოდა და მალმიალ ბრიყვულად აფახულებდა ოდნავ ბეკ თვალებს. ასეთივე სიამოვნებას განიცდის ჯარისკაცი მაშინაც, როდესაც მის თვალწინ რომელიმე მაღალი ჩინის ოფიცერი ფეხქვეშ თელავს მისთვის საძულველი მეთაურის ღირსებას. არ ვიცი, შესაძლოა, ეს ბორტატებაც კია, მაგრამ ჯარისკაცი ამას არაფრად დაგიდევთ. მთავარია, ბოლმა ოდნავად მაინც ჩაიხშოს და ეშმაკაც კი მიჰყიდის სულს. თვალნათლივ ვგრძნობდი, რომ ბატარეა არაფრისდიდებით არ გაუშვებდა შანსს, როგორმე არ დაამცირებინა უმწეო, გამოუცდელი ლეტიოხა.

— ბატარეა, სწორდი!.. სმენა!.. — ლამის მუდარით დაიკნავლა ერთხელაც მაიოროვმა,—გამარჯობათ ამხანაგო არტილერისტებო!..

— ზდაროვა! — იბღავლა ვიღაცამ მწყობრის თავში.

ლეიტენანტმა ქუდთან მიტანილი მარჯვენა ხელის გაშლილი მტევანი უღონოდ დაუშვა და სიმწრით მოიკვნიტა ქვედა ტუჩი. სახეზე ალმური ასდიოდა, ხოლო ცისფერი, გულუბრყვილო თვალები საეჭვოდ უბრწყინავდა.

— ასეე, — ჩაიბურტყუნა მან. — მაშ არ გსურთ მომესალმოთ, არა?.. კეთილი... — უფიცერმა წელზე ხელები შემოიწყო და ბატარეას თვალი გადაავლო.

—თქვენ! — თითი მიუშვიერა რიგით პლატონოვს, — ერთი ნაბიჯით წინ!

ეშმაკმა წაიღოს მისი თავი!.. რაღა პლატონოვი აირჩია...

ჯარისკაცი გავიდა, მაგრამ ზურგისაკენ არ შემობრუნებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი გვარი?

პლატონოვი დუმდა.

— თქვენ რა, ენა გადაყლაპეთ?! — ხმაში სითამამე გაერია მაიოროვს.

— ჩემი?.. პლატონოვი... რიგითი პლატონოვი, — ძლიან ამოთქვა ჯარისკაცმა.

— კეთილი. რიგითო პლატონოვ, სწორედ!..

პლატონოვს განძრევა არც უფიქრია. თავი დაეხარა და საკუთარი ჩექმების ყვინტს თვალს არ აშორებდა. დარწმუნებული ვარ, პლატონოვი თავის გაჩენის დღეს სწყევლიდა ახლა გულში.

— ჩამოეხსენით მაგას! — გამოექომაგა მწყობრიდან პლატონოვს რიგითი შარკო, ყველაზე უწყინარი და სამართლიანი „მოხუცი“ დივიზიონში, — ეს ხომ უწერსობაა!.. ნახეთ თქვენც რაღა „სპილო“...

ლეიტენანტი მკვეთრად შემობრუნდა ჩვენკენ.

— როგორ გგონიათ, პირადი შემადგენლობა ოფიცერს რომ არ ესალმება, ეს რა, არ არის უწერსობა?! — აკნავლდა იგი.

— სანამ ბატარეა მოგესალმებოდეთ, მანამ თავად უნდა დაიმსახუროთ ეს პატივი, — „პატივი“ მეტისმეტად ხაზგასმით წარმოთქვა შარკომ და დადუმდა. მორჩა, მან თავისი თქვა; ახლა სიკვდილის მუქარითაც კი ვეღარ ამოგლეჯდით ზედმეტ სიტყვას პირიდან. არასოდეს მინახავს შარკოსთანა სიტყვაძუნწი ჯარისკაცი. იგი ლაპარაკობდა მხოლოდ მაშინ, როცა ყველა დუმილს ამჯობინებდა რაღაც მიზეზთა გამო, მაგრამ როცა კი იტყოდა, ყველას სათქმელს გამოხატავდა...

— მართალია, აბა როგორ?!.. ყველას დაკრულზე ჩვენ არ ვცეკვავთ! — გაისმა აქა-იქ უკმაყოფილების გამომხატველი ხმები.

ლეიტენანტი დამუნჯდა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ვიგრძენი, იმ კრიტიკულ მდგომარეობის მოახლოება, შედეგად რომ უნდა მოჰყოლოდა თავხედობამდე მისული ადამიანების მოქმედებას. მაგრამ მე არ განმიცდია არავითარი სიბრალული ოფიცრისადმი, არც არავითარი სინდისის ქენჯნა, რა თქმა უნდა, მაიოროვი რომ ნამეტანი ბრიყვი არ ყოფილიყო, მას პირველივე მარცხის შემდეგ უნდა ჩაექნია ხელი ბატარეის ხელში აყვანაზე და დროებითი ზავი ჩამოეგდო აგრესიულად განწყობილ ხელქვეითებთან, მაგრამ ჩანს, ეს ან ვერ მოიფიქრა, ან არ ისურვა... მთავარი აწი უნდა მომხდარიყო. მწყობრი გუმანით გრძნობდა ამას და, მოლოდინით შეპყრობილი, ერთ დგილზე ცმუკავდა.

მაგრამ პრაპორშჩიკ ლაკიზას გამოჩენამ ყველას ერთბაშად აოქმეკინა უარი მოსალოდნელ სიამოვნებაზე. ყაზარმაში შემოსვლისთანავე მან ერთი თვალის გადავლებით შეაფასა შექმნილი ვითარება და ისე რომ არავისთვის არაფერი უკითხავს, ტყვიამფრქვევით მოაყარა მსხვილყალიბიანი გინების გრძელი ჯერი:

— ჩტო ზა შარა რაზველი ზდეს... მატ ტვაიუ, ა?! — პლატონოვის წინ შედგა, ზიზღით სავსე მზერა მიაპყრო და გესლიანად წაუსისინა: — პლატონოვ, სინოჩკ, ტი სავსემ აბალდელ ჩტო ლი, ა, სუკა... ლაკის!.. — მაიოროვისაკენ არც კი გაუხედავს. გადმოკარკლულ თვალებზე და შეკმუხნილ შუბლზე შეატყვევ, რომ ლაკიზას უკვე მოესწრო და გვარიანად გადაეყლურწა.

პლატონოვი მოწყვეტით განერთხო იატაკს.

— წინ, მცოცავო ქვეწარმავალო!

ჯარისკაცი იდაყვებით გაბოხდა ნაგვიან იატაკზე.

— ქუსლები!.. ქუსლები, შენი ოხერი დედა, — ჩექმიანი წიხლი გამეტებით წაჰკრა პრაპორშჩიკმა პლატონოვს მაღლა აშვერილ ქუსლებზე.

„მცოცავი ქვეწარმავალი“, პლატონოვი, შესაბრალისად დაიკლაკნა დენერგიულად გაბოხდა წინ, თან მოტრილივით წაათრია უკანა კიდურები.

— დერმო!.. კაკდი იზ ვას დრიან!.. ნაპლევატ ბნე ნა ვას!.. ს ზავტრაშნეგო უტრა ია პაზანიმაიუს სვამი პო ოფგანსკი სუკინნე დეტი!.. [illegible]!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილრიალა ლაკზიმ და წიხლის კვრით შეაღო სათავესოს კარი.

„ლეტიოხა“ სახტად დარჩა.

ბატარეა პრაპორშჩიკის ბრძანებისთანავე, დერეფანში აირ-დაირია. ნაწილი პირისსაბანში შეძვრა სიგარეტის გასაბოლებლად.

— ადე, ადე, ყველაფერმა ჩაიარა! — წაჰკრა ფეხი გრიშამ იატაკზე მფორთხავ პლატონოვს.

უკან მივიხედე. მაიოროვი ისევ იმგვარად გაოგნებული იდგა და ცხვირისახოცით წმენდდა გაოფლილ „ფურაშკას“.

ჯაზარმის მკვიდრნი. კარკოვი.

არმიაში, ქვიფსა და ღრეობაზე არავინ ამბობს უარს. ისეთებიც კი, რომელთაც ალკოჰოლიანი სასმელი მანამ გემოთიც არ გაუსინჯავთ, აქ, თავზეხელაღებული მსმელები ხდებიან და ამაში, ცხადია, არაფერია უჩვეულო და აუხსნელი. თავადაც მოგეხსენებათ, რომ ადამიანებს ძალზე ეგემრიელებათ აკრძალული ხილი, მით უმეტეს, ჯარისკაცს... მეორეც, ყველას როდი შეუძლია, მთელი თავისი არსებით მიეცეს თავაშვებულ ღრეობას; ესეც რჩეულთა ხვედრია, რასაკვირველია. ყოველგვარ ამქვეყნიურ განცხრომასა და სიამოვნებას მოკლებული საბჭოთა ჯარისკაცი, თითქმის ყველგან და ყოველთვის გრძნობს რაღაც ფარულ სიმპათიას უღმერთოდ გამომტყვრალი ადამიანისადმი. ხოლო აქ, ყაზარმაში, მათ მიმართ, ვინც ხშირად ახერხებს მამაპაპურად გამობრუქვას ერთგვარი მოკრძალებითაც კი იმსჭვალებიან; ყაზარმული ღრეობებში არის რაღაც თავისებური... ერთგვარი არისტოკრატიზმი; ყოველ შეზარხოშებულ და უგონოდ გაგამომტყვრალ ჯარისკაცს თუკი შემთხვევა მიეცემოდა, მთელი ყაზარმა უშვერი ენებითა და ღრიალით უნდა შემოეკლო და მძინარე ახალბედები აეწიოკებინა; ეს იყო ბრიყვული თავმოწონებითა და ბავშვური ნიშნის მოგებით შეზავებული გამოხატულება ჯარისკაცური ეკკლუციბისა: ვითომდაც, შემომხედეთ და დასტკბით, თქვენ ნეხვში ბძინავთ, მე კი, ხომ ხედავთ, არაფერსაც არ ვიკლებ, რადგან თქვენზე მოხერხებული და თავზეხელაღებული ვარო!.. მაგრამ, ამავე დროს, როცა რომელიმე ჯარისკაცი ამას სჩადის, აქვს ხელშეუხებლობის მტკიცე გარანტიაც. იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ შეუძლია დათვრეს ენების დაკარგვამდე და მთლიანად მიენდოს ყაზარმას, თანამებრძოლებს, რადგან რომელიღაც გზადანნეული ოფიცერი მოულოდნელად შემოეხეტება, ისინი არ გასწორავენ, როგორმე მიხედავენ და უპატრონებენ. ასეთ დროს, მთელი ყაზარმა გამოდის სიფრთხილედაკარგული ამხანაგის დასაშოშმინებლად და მისაჩქმალად... და ეს ყოველივე კეთდება საოცარი გულწრფელობით, ნაღდი ჯარისკაცური გამტანიანობითა და მხურვალე თანაგრძნობით თავისივე ხვედრში მყოფისადმი, რასაც, სხვა დროს, ძალზე ეშვიათად აკლენენ ყაზარმის ბინადარნი. ყველა ჯარისკაცი ხომ სასმელისაგან გონებადაკარგულ, გამომტყვრალ ამხანაგში საკუთარ თავს ხედავს, თავის სიმშვიდესა და კეთილდღეობას მიელტვის... იგი ერთგვარად იძულებულიც კია, უშველოს თანამებრძოლს, რადგან იმ შემთხვევაში, თუკი დამრღვევს როგორღაც მაინც გამოიჭერენ, არც თავად მას დაადგება კარგი დღე. არმიაში არავის უკვირს ის ამბავი, როცა ერთი დამრღვევის გამო, მთელ ქვედანაყოფს სასტიკად უსწორდებიან!...

ამასთანავე, ჯარისკაცს საოცრად უყვარს თავი მოაჩვენოს ამხანაგებს და თუნდაც საკუთარი თავიც კი დაარწმუნოს დროებით, რომ მას სხვებზე გაცილებით მეტი სილაღე და ძალა-უფლება გააჩნია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მოკლედ: შეუძლია, თვითნებურად დატოვოს ყაზარმა და დამშეულ ტურასავით იწანწალოს ბეტონის მაღალი მესრის მიღმა; შეუძლია, შეიგულოს რომელიმე გარყვნილი „კროშკა“, რომლის მსგავსნიც მრავლად დაეხეტებიან სამხედრო ნაწილების მახლობლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი, რასაკვირველია, მდედრობითი სქესის ეს ბიღნი არსება საღამოობით გალავნის იქით დაელოდება და არ ითაკლებს, იქვე, ღობის ძირში, ან სულაც, მახლობელ ბნელ სადარბაზოში დაუთმოს თავის საკუთრება, — ათასგვარ ვნებაში და სიბინძურეში ამოთრეული სხეული. შეუძლია, გათენებამდე ლოთობას მიჰყოს ხელი, გონების დაკარგვამდე გატყვრეს და, ბოღმამორეულმა, ალიაქოთი ასტეხოს ყაზარმაში... და ამას ყოველივეს, სჩადის არა იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეუძლია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ამაში არის თავისებური რისკი, თავისუფლების შორეული აჩრდილი, თავისუფლების ნანატრი სუნი, რომელიც იზიდავს და ათრობს მას. ჯარისკაცს ურჩევნია, თუნდაც ერთი საათით განიცადოს ეს საამო ტკბობა, თუნდაც ერთი წუთით იცხოვროს ისე, როგორც თავისუფალ, სრულფასოვან, სრულუფლებიან ადამიანს შეპფერის და მერე რამდენიმე დღე-ღამე ჩაჯდეს ჰაუპტვახტში, ან კიდევ დღეგამოშვებით, მთელი თვის განმავლობაში იაროს შინაგანწესებაში... ურჩევნია და მას ამაში, ცხადია, ვერაფრისდიდებით დაადანაშაულებ...

მზარეული კარპოვი მთელი სასდილოს სული და გული იყო. მთელს პოლკშიაც შეუზღუდავი ძალაუფლებითა და პატივისცემით სარგებლობდა ახალგაზდებს შორის, ვინაიდან ყველასათვის მეტად საჭირო და დასაფასებელ პიროვნებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, კარპოვი იშვიათი პიროვნული თვისებებითაც იყო შემკული და დანარჩენ ჯარისკაცთაგან ერთი შეხედვითაც კი გამოირჩეოდა. იგი ყველას მხსნელი და მეგობარი იყო გაჭირვებაში; სიამოვნებით უწვდიდა დახმარების ხელს შედარებით უიღბლო და საბრალო თანამებრძოლებს, მაშინაც კი, როცა ეს თუ ის საქმე „მოხუცთათვის“ შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველი იყო... როგორც კი თავის საქმეს მორჩებოდა, — მთელი პოლკის სამყოფ სადილს მოამზადებდა, სუფრებს გააშლევინებდა, და, გაიწყობინებდა, — მყისვე ახალგაზდების დასახმარებლად გარბოდა ბოსტნეულის საჭრელ ოთახში. წესით, როცა კარპოვს უნდა სძინებოდა, იგი ახალწვეულებს ედგა გვერდში და მძიმე სამუშაოს შესრულებაში თავგამოდებით ეხმარებოდა. საკვირველი ის იყო, რომ ყოველივე ამას იმიტომ კი არ სჩადიოდა კარპოვი, — თითქოსდა მაინცდამაინც ახალგაზდების მონური ხვედრზე სტკიოდა გული... უბრალოდ, არ შეეძლო, რომ ვინმეს არ დახმარებოდა... ამ მხრივ, კარპოვი მეტად იშვიათი მოვლენა იყო პოლკისათვის... და არა მარტო პოლკისათვის, საერთოდ, მთელი არმიული გარემოსთვისაც!.. ყოველთვის, როცა კი მას ვაკვირდებოდი, კიდევ უფრო მიმტკიცდებოდა საკუთარ თავთან დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად შემონახული რწმენა: რომ მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად მგლური ყაზარმული კანონებისა, მაინც არსებობენ (შეუძლებელია კაი, რომ არ არსებობდნენ) არმიაში ისეთი ადამიანები, რომლებსაც ცხოვრების წესად აქვთ გადაქცეული, დახმარების ხელი გაუწვდინონ თავის გვერდში მყოფთ. ისინი თითქოს მხოლოდ იმისათვის იბადებიან, რომ სხვებს შეუმსუბუქონ საშინელი ხვედრი, საკუთარი თავი კი არაფრად ულირდეთ!.. მაგრამ, ყველა ამ ადამიანურ სიკეთესთან ერთად კარპოვს ერთი უაღრესად ადამიანური სისუსტეც სჭირდა. იგი სოოცად თავაშვებული მოქეიფე იყო, მორჩებოდა თუ არა საქმეს, მყისვე სადღაც გადაიკარგებოდა და ცოტა ხნის მერე, გამომტყვარალი, თეთრი აჩრდილივით დაბორიალებდა სასადილოში. კარპოვს ღრეობებს ჰქონდა ერთი მკაცრი წესი: იგი ძალზე იშვიათად თვრებოდა მოვალეობის შესრულების დროს, მაგრამ, მორჩებოდა თუ არა თავის საქმეს, უკვე შეუძლებელი იყო მისი ცნობა... მუდამ უწყინარ, კეთილ, თვინიერ კარპოვს, სასმელისაგან გონება ეკეტებოდა, გამოვარდებოდა დარბაზში და სა-

ძაგელი ლანძღვა-გინებით დაერეოდა ყველას განურჩევლად, ვინც კი წინ შეეფეთებოდა. თუკი ვერავის გადაეკრებოდა, სიგიჟემდე მისული, მაგიდებზე იყრიდა ჯავრს, თავდაყირა ატრიალებდა ყველაფერს, ამსხვრევდა და ნაკუწებად აქცევდა, რაც კი ხელში მოხვდებოდა; კარპოვი, ნასვამ მდგომარეობაში, არც ოფიცრების წინაშე იხრიდა ქედს და გაგეშებული მიიწევდა მათ საცემრად.

მისი ყოველი თავაშვებული ღრეობა მუდამ ტრაგიკულად მთავრდებოდა ხოლმე. შეუძლებელი იყო, დაწყნარებულიყო, სანამ გვარიანად არ მიტყეპავდნენ. მის დასამშვიდებლად ყოველგვარი ცდა, მოფერება, დაყვავება, დათმობა, — უშედეგო იყო, მანამ საქმეში მუშტი არ ჩაერეოდა. დროთა განმავლობაში, როცა კარპოვის ახირებული ხასიათი ყველამ გამოსცადა თავის თავზე, სასადილოში უკვე წინდაწინ ემზადებოდნენ მის მისატყეპად: როგორც კი იგი მზარეულთა ოთახიდან დაიკარგებოდა, რამდენიმე ჯანმაგარი ჯარისკაცი, კარპოვის მეგობარი, რომელიმე მზარეულის თაოსნობით, მუშტებშეკრული და სახელოებდაკაპიწებული იდგნენ შემოსასვლელში და ელოდნენ, შემოვიდოდა თუ არა, ეგრევე დასცხებდნენ, ისე რომ სიტყვის თქმასაც კი არ აცდიდნენ.

როგორც კი კარგა ლაზათიანად დაუზელდნენ გვერდებს, კარპოვი ცხვარივით მშვიდ და თვინიერ ჯარისკაცად იქცეოდა. დასიცხულივით ეგდო იატაკზე და ფეხზე წამოდგომის აღარავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა. ამის შემ, დეგ რამდენიც უნდა ეცემათ, წამოდგომას მაინც ვეღარ აიძულებდნენ, მას ჰქონდა მეტად უცნაური ჩვევა: მანამ ეგდებოდა და იგორავდა ბინძურ იატაკზე, სანამ იგივე ჯარისკაცები არ ასწევდნენ, მზარეულთა ოთახში არ მიაბრძანებდნენ და ხის ტაყვგადაკრულ ტახტზე არ მიაგდებდნენ გაუხდელად. „შეცმ, მაშასადამე, კიდევ მომმიარე!“ — აი, მთელი მისი პრეტენზია...

ტახტზე დაგდება და ძილი, ერთი იყო, მაგრამ გავიღოდა სულ რაღაც ნახევარი საათი და პოლკის სასადილოს ვრცელ დარბაზში კვლავ ომახიანად გაისმოდა კარპოვის საქმიანი მითითებები და მრავალსართულიანი ბილწსიტყვაობა. მას ცემის უბრალო კვალიც კი არ ემჩნეოდა. თმაგაბურძგნული სხარტად დახტოდა დარბაზიდან დარბაზში სხვათა დასახმარებლად და გულისწყრომის არავითარ ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა. პოლკი დათქმულ დროს შამოდიოდა სასადილოში საჭმლის მისაღებად და კარპოვის მთელი ამქარიც მზად იყო დასახვედრად; პოლკის გასტუმრების შემდეგ, სანამ მორიგე ჯარისკაცები და მზარეულთა თანაშემწეები ვეება ალუმინის ქვაბებს დახეხავდნენ და პროდუქტებს მოზიდავდნენ, კარპოვი დროს ტყუილად არ კარგავდა, დგებოდა და რამდენიმე წუთით სასადილოდან უჩინარდებოდა.. ხოლო, როცა უკან მობრუნდებოდა, ყველაფერი კვლავ თავიდან იწყებოდა.

ყველანი უზომოდ იყვნენ გაოცებულნი კარპოვის გამძლეობითა და ამტანობით, მთელი დღე-ღამის განმავლობაში მას სულ რაღაც სამჯერ ეძინა და არც ერთხელ — თითო საათზე მეტი. იმავე დღე-ღამის განმავლობაში დაახლოებით ოთხჯერ ილეშებოდა და ამდენჯერვე, საოცარი ამტანობით ღებულობდა დამაწყნარებელ დოზას შესქელებულ, ქონგადაკრულ, ფერდებზე. ის კი ვითომც აქ არაფერია!.. გამოიძინებდა, გადმოკარკლულ, დასივებულ თვალებს ზარმაცად მოიფშვნტდა, აბურძგნილ სქელ ულვაშებს ჩამოივარცხნიდა და კვლავ სასმელისაკენ მიუწევდა გული. კაცმა არ იცოდა დანამდვილებით, საიდან შოულობდა ასე გამოულევლად სასმელს... პოლკში ლაბარაკობდნენ, რომ მზარეულს თავად ოფიცრები, უფრო ხშირად კი პრაპორშჩიკები, ამარაგებდნენ. სანაცვლოდ, მისგან ხორცს, თევზს, კარაქს და სხვა პროდუქტებს ღებულობდნენ, რომელსაც კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოვი პოლკის სამზარეულოდან უსიცხვლოდ იპარავდა.

კარპოვის ყოველდღიურ აღვირახსნილ საქციელზე პოლკის ოფიცრები, რატომღაც, თვალს ხუჭავდნენ; ჩანდა, ბევრი მათგანი, ვისაც უშუალოდ ეკალებოდა, წერტილი დაესვა გათავხედებული ჯარისკაცის დაუსრულებელი ღრეობებისა და მისგან მოწყობილი შფოთიანი ალიაქოთებისათვის, იმდენად იყო დავალებული ამ თავზეხელაღებული მზარეულისაგან, რომ თავს ზემოთ ძალა აღარ ჰქონდა და ჯიუტად, უსინდისოდ დუმდა. მეტიც, ხშირ შემთხვევაში, ისინი ყოველნაირად არიდებდნენ თავს და გაურბოდნენ მასთან კონფლიქტს, კარპოვი ხომ ფრიად საპატივცემულო პიროვნება გახლდათ მთელ პოლკში!..

და მაინც, კარპოვის ეს გაუთავებელი ლოთობა არც ჯარისკაცული კეკლუცობის ნაყოფი გახლდათ და არც ყაზარმული არისტოკრატიზმის გამოვლინება. იგი სვამდა და ღრეობდა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ სხვაგვარად ნამდვილად არ შეეძლო...

10.

— ჩაცმის დრო არაა, ეგრე წამოდი!.. მკვდრებს შიშვლად არ მარხავენ. შეგმოსავენ ძაღლის ლეკვები!

პასუხი არ გამიცია; ჯიუტად დავიწყე ჩაცმა.

— ვოტ ტი მალადეც, სჩასტლივჩიკ... ი ტი პრიხოდიშ ვ სებია, ნო პოზდნო... სლიშკომ პოზდნო!.. ვსიო რავნო, ია იზ ტებია სდელაიუ გ...ო!..

●

ტოლსტაიკი ხუთი დღის მერე დაბრუნდა, ნასადილევს. ყაზარმაში მის მობრუნებას არავინ ელოდა, თვით ოფიცრებიც კი.. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მას ციხეში თუ არა, კვლავ დისციპლინარულ ბატალიონში მაინც გაამზავრებდნენ საბოლოოდ ჭკუაზე მოსაყვანად. მაგრამ მოხდა მთელი დივიზიონისათვის წარმოუდგენელი რამ, — ტოლსტიაკი დაბრუნდა. დაბრუნდა, მართალია, ოდნავ ნირშეცვლილი, ფერდაკარგული, მოჩვარული და ყბებჩაცვენილი, მაგრამ მაინც შინაგანად გაუტეხელი და კიდევ უფრო გამძვინვარებული. მის მწვანე, საოცრად მოძრავ, დაუდგრომელ თვალის გუგებში ახლა რაღაც უცხო, ამაზრზენი და ავის მომასწავებელი სხივი კიაფობდა, წინათ რომ მხოლოდ წამით გაირბენდა მის ველურ, გამანადგურებელ მზერაში და მყისვე ქრებოდა ხოლმე...

როგორც კი სასადილოში ჯარისკაცური ჭურჭლეულობით გაწყლილ სუფრას მიეუჯექი, მე დამეუფლა ის უსიამოვნო, ავი შეგრძნება, როგორიც მაშინ, მიწისძვრის მოლოდინში; უხალისოდ დავწედი ალუმინის ღრმა თეფშს, რათა ქვაბიდან წვნიანი გადმომეღო, რომ მოულოდნელობისაგან ჩამჩიანი ხელი უმოქმედოდ გაშეშდა... ქვაბი სავსე იყო წითელჩაჩიანი ქონდრისკაცებით...

ყაზარმისაკენ მიმავალმა, უკვე ვიცოდი, რომ ტოლსტიაკი იქ გველოდა, მაგრამ ამის შესახებ არავისათვის მითქვამს. მართლაც, იგი თავის საწოლზე გაუხდელად გათხლაშული დაგვიხვდა, მკვდარივით ეძინა; მარცხენა თვალი ისევ გახელილი ჰქონდა, ბაგეებზე კი შავი, შემზარავი ყვავილივით გადაშლოდა ბოროტი ღიმილი...

სახტად დარჩენილი, თავგზაარეული დივიზიონი ფეხაკრებით შეიძურწა „ლენინის ოთახში“ და ხმის ამოუღებლად ჩამორიგდა მერხებს შორის. ყოველი ჯარისკაცის მოქმედებაში ვგრძნობდი საოცარ მოწიწებას, უკმაყოფილებას და ფარულ, გაუთვითცნობიერებელ შიშს. ტოლსტიაკის დაბრუნებით არავინ აღფრთოვანებული, მხოლოდ ლეგიტს შევამჩნიე როღაც უცნაური ცმუკვა... იგი ხშირ-ხშირად გადიოდა „ლენინის ოთახიდან“ და მალევე ბრუნდებოდა; ჯარისკაცთა ერთი ნაწილი უხალისოდ ფუტკლავდა გადაყვითლებული გაზეთების უშველებელ აცმებს; მეორენი ერთადერთ საჭადრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კო დაფას შემოსჯარვოდნენ და გულგრილად ადევნებდნენ თვალს კოჩურენკოსა და რომელიღაც ახალგიდას მეტად უინტერესო მატჩს...

აქ, „ლენინის ოთახში“, ჯარისკაცები ყოველთვის როგორრაც უხერხულად და დაბნეულად გრძნობდნენ თავს, თითქოს ეს ოთახი ყაზარმის კუთვნილება, მისი ორგანული ნაწილი კი არა, რაღაც უცხო, მკვდარი ქოსისა და მყვირალა იდეების საუფლო ყოფილიყოს; აქ, ჰაერშიაც კი იგრძნობოდა ძალადობისა და ტოტალიტარული სიცრუის ხრწნადი, სულის შემხუთველი სუნი... ვიწრო, ნაგვიანი დერეფნიდან „ლენინის ოთახში“ შემოსვლა, — ეს გახლდათ შიშის მომგვრელი ნახტომი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ყაზარმული ყოფის რომელიმე მომენტიდან, უკაცრიელ, უდაბურ, ყინულოვან წყვდიადში. შემოსული ჯარისკაცი იმთავითვე დამფრთხალია მისთვის უჩვეულო გარემოს მრუმე ელფერით, — საითაც გიიხედავს, ყოველი მხრიდან უზენაეს კულტისმსახურთა მკაცრ, მომთხოვნ და ოდნავ დამცინავ მზერას აწყდება... მთავარი ქურუმი კი, — როგორც სატანა ჯოჯოხეთის მძვინვარე ცეცხლში, — პირქუშ, მდუმარე და გაურკვეველი ფესტით ხელგაშვერილ ბრინჯაოსფერ მუმიისავით ასვეტილა შუაგული ოთახში.

თავად პოლიტხელიც, თუკი ამ ოთახის გარეთ ჩვეულებრივი ოფიცერი იყო, აქ, ღერბიან ტრიბუნასთან მიმდგარი და საეჭვოდ აქაქანებული, უეცრად იქცეოდა უიარაღო, უმწეო მსხვერპლზე თავდასასხმელად კამარაშეკრულ მტაცებლად; იგი უეცრად იძენდა, — თითქოს გარემოსგან ისრუტავდა, — რაღაც შემზარავ, შიშის მომგვრელ იმპულსს ამ ათასგვარი ლოზუნგებისა და ცივსისხლიანი, სახეგაყინული, ჩინ-მედლებით მკერდდაჯავშნული კერპთაყვანისმცემლების ვეება პორტრეტებით დაფარული კედლებიდან და ერთბაშად აღძრავდა ელდისმომგვრელ შეშფოთებასა და გაურკვევლობას მომავალზე, სამსახურის დასასრულზე, თავისუფლებაზე, სახლზე... შეუძლებელი იყო, გენახათ მაიორი კრასნიუკი ლექციების კითხვისას იმ ტრიბუნასთან და, თქვენდა უნებურად არ დაგუფლებოდათ უცხო, საზარელი, ყოველგვარი ადამიანური ვნებისა და პიროვნულობის დამთრგუნველი მძვინვარე ჟრჟოლა...

და კიდევ, რაც ყველაზე უცნაური იყო, ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში დისლოცირებული სამხედრო ქვედანაყოფის ან შენაერთის ყაზარმული საცხოვრისის ყველა ჯარისკაცისთვის ეს „წმიდათაწმიდა სავანე“ გაჭრილი ვაშლივით წაგაგდა ერთიმეორეს. ფაქტია, რომ არმიაში შემთხვევითი არაფერია!.. ყველაფერს თავისი შინაგანი კანონზომიერებითა და ფარული თუ აშკარა აუცილებლობით განპირობებული მიზანი და არსი გააჩნია, ეს წმინდა წყლის არმიული მოვლენაც არანაკლებ სტრატეგიულობით არის ნაკარნახევი... კერძოდ: ყველა ჯარისკაცი თავისი შინაგანი არსითაც უნდა ჰგავდეს ერთმანეთს. მათი შინაგანი სამყაროს დამუშავება-დაწინდ კი სწორედ ამ „წმინდა კუთხეში“ ხდება კულტის მსახურთა მიერ. დიახ, ყველა ჯარისკაცი ერთმანეთია უნდა ჰგავდეს, ყველა ჯარისკაცი ერთმანეთში უნდა ხედავდეს თავის ფიზიკურ არსებას... მოკლედ, ყველა უნდა იყოს ერთი!.. ერთის მართვა კი, სულაც არ არის ძნელი; პირიქით, საოცრად იოლია...

როცა ლევიტმა ერთხელაც დაალაპირა გასვლა, მე გავყევი. შემცბარმა შემომხედა, მაგრამ ეჭვი რომ გამეჭარწყლებინა, პირისაბნისაკენ გავემართე. კარი გარედან სანახევროდ მოვხურე და დარჩენილი ჭრილიდან ვადევნებდი თვალს ლევიტის მოქმედებას; იგი ფეხაკრეფით მიუახლოვდა ტოლსტიაკის საწოლს, ერთხანს უყურა და, ალბათ, დარწმუნებული იმაში, რომ მას ჯერ კიდევ ეძინა, უკან გამობრუნდა...

კარი ბოლომდე მივხურე და სიგარეტს მოვუკიდე. მერე იქვე, ფანჯრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფაზე დაგდებულ ჯაგრისს ძივწვდი და ჩექმების წმენდა დავიწყე.

— როგორ ფიქრობთ, რატომ დაბრუნდა? — მკითხა შემოსულმა ლევიტმა.

უაზროდ ავიჩეჩე მხრები და მდუმარედ, გამანადგურებელი მზერით შევათვალიერე. თვალი მომარიდა. მიხვდა, რომ მასთან გამოლაპარაკების არავითარი სურვილი არ მქონდა და შეტრიალდა.

— დაიცა! — გავაჩერე კართან მისული.

მოტრიალდა და ბრიყვული მზერა მომაპყრო.

— შენ თვითონ როგორ ფიქრობ? — მკითხე შემპარავად.

ვრები აიჩეჩა და კიდევ უფრო ბრიყვული გამომეტყველება დაედო სახეზე.

— ცხოვრება შაიცვლება! — თქვა მერე და ღია კარში გავიდა.

წუთით, რატომღაც, მომეჩვენა, რომ ლევიტიც წინდაწინ გრძნობდა, ტოლსტოიაკი ადრე თუ გვიან, მაინც დაბრუნდებოდა ამან მერე უაღრესად გამოაცა. ჩემთვის ჯერჯერობით ბნელოთ იყო მოცული, როგორ მოხდა, რომ იგი ჰაუპტვახტიდან უკან დაბრუნეს. ჩემს წარმოდგენაში ეს ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ ლოგიკურ გამართლებას... მიკვირდა, ისეთმა ქვეწარმავალმა, როგორიც კრასნიუკია, არ აპატია ოდესღაც „დემბლი“ ალექსეევს არმიული გარემოსათვის სავსებით ჩვეულებრივი სიტყვიერი შეურაცხყოფა და, აპატია: თავისთანა, ოღონდ უფრო აგრესიულ ქვეწარმავალს საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა. ეს იყო დაუჯერებელი, წარმოუდგენელი რამ პოლიტხელის მხრიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ, რა თქმა უნდა, ამ ამბის მონაწილე კიდევ მეორე პიროვნებაზე — წითელსამხრეებიან უფროს ლეიტენანტზე... ეშმაკმა დალახვროს!..

სიგარეტის ნამწვი ურნაში მოვისროლე და გამოვბრუნდი. ტოლსტიაკს გაღვიძებოდა და გამძვინვარებული ნადირივით დააბიჯებდა ყაზარმაში. ფაფუტად გავხედე და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, მისთვის ეს ვიწრო, სანანხეგროდ ჩაბნელებული დერეფანი სხვა არაფერი იყო, თუ არა გისოსებიანი გალია; ხოლო მისი გატყიურებული სული ჯიუტად ემზადებოდა ამ რკინის გალიის დასალეწად...

ტოლსტიაკს გიმნასტურა არ ეცვა და მხრებზე გადაჭრილ ლურჯზოლიან მაისურში გამოკრული მძლავრი სხეული სიარულისას უცნაურად უთამაშებდა. თვალში მომხვდა მისი შესივებული სახსრები და ისიც შევამჩნიე, რომ ძალზე ეძნელებოდა ორივე კიდურის ხმარება; როგორც კი ხელებს მხრების სიმაღლეზე ასწევდა, მაშინვე არაადამიანური ტკივილი უმანჭავდა სახეს. ეს „ლასტოჩკაზე“ ხანგრძლივი კონწიალის შემდეგ იყო, ალბათ. სხეგვგვარად მისი მორჭულება არაფრით მოხერხდა. თუმცა, საეჭვოა, ან მაგვარი დასჯით მასთან რაიმეს გამხდარიყვნენ...

გაგრძელება იქნება

აგათა კრისტი

ცისფერი ლარნაკის საიდუმლოება

მოთხრობა

ჯეკ ჰარტინგტონმა ცენტრიდან უხალისოდ შეამოწმა თავისი „დრაივი“, ბურთთან დადგა, უკან მოიხედა და თვალით გაზომა მანძილი სასტარტო ბაქნიდან. სახეზე ზიზღი აღბეჭდოდა, რასაც თვითვე გრძნობდა. ერთი ღრმად ამოისუნთქა, ლიფაინის ყვანში ორჯერ ენიჭნოდ მოიქნია და ბაბუაწკერა და ამბინინებული ბალახი გადასხეპა.

ძნელია, იოცდათხუთი წლის კაცმა დრო და ყურადღება დაუთმო საკუთარი ცხოვრების უზრუნველყოფის პრობლემებს, როცა შენი ერთადერთი მიზანი გოლფის თამაშია. შვიდიდან ხუთამეტ კვირა დღე ჯეკი გამოკეტილი იყო ქალაქში, მაპაგონის ერთ სენაკივით ოთახში. პარლამენტის ნაშუადღევი და კვირა, რელიგიის მიხედვით, განკუთვნილი იყო ჯენტლმარიტი ცხოვრებისეული საზრუნავისათვის. მან თავი გამოიდო ერთ პატარა სასტუმროში, სტეფორდის ჰიპის გოლფის სათამაშო მოედნის მახლობლად დადო ბინა. ყოველ დილით ექვს საათზე დგებოდა, რათა ერთი საათით ევარჯიშა, სანამ 8 სთ. და 46 წუთზე მატარებელს გაჰყვებოდა ქალაქში.

ნაკლი ამ გეგმას მაინც ჰქონდა; ჯეკი შინაგანად გრძნობდა, რომ გოლფისათვის გამოყოფილი დრო მცირე იყო.

ყვანში გამოუცდელად მოიქნია და „დრაივმაც“ უმტყუნა. ბოკლე დარტყმებით — „მეშით“ - ბურთი თითქმის მიწაზე მიგორავდა, ოთხი ჩაგდება კი გოლფის ნებისმიერი სათამაშო მოედნის მინიმუმია.

ჯეკმა ღრმად ამოისუნთქა, ყვანჭს მაგრად მოუჭირა ხელი და თავისთვის ჩაიჟამარაკა ეს ბაგეური სიტყვები: „მარცხენა მხარი მარჯვნივ, თავი არ აიღო...“

ის იყო, ტანი უკან გადაიზნიქა და დარტყმისთვის მოემზადა, რომ ყურთასმენის წამღებმა კივილმა გააპო ზაფხულის დილის სიჩუმე.

- მკლავენ! - ყვიროდა ვიღაც, - მიშველეთ! მკლავენ!

ქალის ხმას ჰგავდა, რომელიც თანდათან, თითქოს ბუყბუყით,ოხვრაში ჩაიკარგა.

ჯეკმა დაიადო ყვანში და იქითკენ გაიქცა, საიდანაც ის ხმა შემოესმა. კივილი სადღაც სულ ახლოდან ისმოდა. ეს უჩვეულო რამ ხდებოდა ერთ სრულიად ვეულური სოფლის იმ ნაწილში, სადაც შორიახლო რამდენიმე სახლს თუ მოჰკრავდით თვალს. იქვე, ახლოს, მხოლოდ ერთი პატარა, კოლორიტული სახლი იდგა, რომელიც ჯეკს ადრეც ხშირად შეუნიშნავს მისი ძველებური სინატფის გამო. სწორედ ამ კოტეჯისკენ გაეშურა ახლა ის. სახლი მანანით მოფენილ ფერდობს იყო მოფარებული; ჯეკმა შემოუტრინა ამ ფერდობს და ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ ჩარაზულ ჭიშკარს ეძგერა.

ბაღში ერთი გოგონა იდგა და ჯეკმა, ბუნებრივია, დაასკვნა, რომ ეს გოგონა ითხოვდა შველას, მაგრამ ძალე შეეცვალა ეს აზრი.

გოგონას ხელში პატარა კალთა ეჭირა, შიგ ნახევრამდე სარეველა ბალახით; ეტყობოდა, წახრილი მარგლავდა იების კვალს სარეველებისაგან და ის-ის იყო წამოიმართა. ჯეკმა შენიშნა, რომ მას თვალები თვით იმ იებს მიუგავდა - ისეთივე ხავერდოვანი და თბილი. - უფრო მეტად მუქილაჯი ისოფერი რომ დაჭკრავდა. ის თვით ჰგავდა ციცქნა იას თავისი ახალთახალი ისოფერი ჩითის კაბით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონა ჯეკს შესცქეროდა გაჯავრებული და ისინ განცვიფრებულიც.

- მაპატიე, - წამოიწყო ახალგაზრდა კაცმა, - ალბათ შენ ხარ არ ყვიროდი?

- მე-ე? რა თქმა უნდა, არა.

ეს იმდენად გულწრფელად იყო გაოცებული, რომ ჯეკი სახტად დარჩა. გოგონას ხმაში სინდრომ და მიმზიდველობა იგრძნობოდა, შეშავებული მსუბუქი უცხოური აქცენტით.

- ალბათ...უთუოდ შენც გაიგონებდი ყვირილს, - წამოიძახა ჯეკმა. - ხმა, სადღაც, აქედან მოდიოდა.

გოგონა მას მიაჩერდა: - სულ არაფერი გამიგონია.

ჯეკიც, თავის მხრივ, გოგონას მიაჩერდა, სრულიად წარმოუდგენელი იყო, ვერ გაეგონა ადონიაში ჩავარდნილი ქალის ვედრება-კივილი სამშველად. მაგრამ მისი სიმშვიდე ისე აშკარა იყო, რომ ჯეკს ვერც კი წარმოედგინა გოგონა თუ იცრუებდა.

- ხმა სადღაც აქედან ისმოდა, - დაიჟინა ჯეკმა. გოგონა მას იჭვნეულად შესცქეროდა.

- რას ყვიროდა? - იკითხა მან.

- „მკლავენ... მიშველეთ! მკლავენ!..

— მკლავენ... მიშველეთ, მკლავენ... — გაიმეორა გოგონამ. — ვიღაც გაგეხუმრაო, მესიე, ალბათ ნუნა მოეკალთ?

ჯეკი გონებაარეული აოცალიერებდა იქაურობას, იქნებ რაიმე აღმოეჩინა. საცვლებით დარწმუნებული იყო, რომ ყვირილი ნამდვილად გაიგონა, რომ ეს მისი წარმოსახვის ნაყოფი არ იყო. მან კოტეჯის ფანჯრებს ახედა. ირგვლივ თითქოს სრული სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა.

- ჩვენი სახლის გაჩხრეკა ხომ არ გინდათ? - ჰკითხა გოგონამ ცივად.

გოგონა, აშკარად, იმდენად სკეპტიკური ჩანდა, რომ ჯეკის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. ჯეკი შებრუნდა:

- მაპატიე, - თქვა მან, - ალბათ ტყიდან თუ მოდიოდა ის ხმა...

ჯეკმა ტუდი მოუხადა და გაეცალა. უკან რომ მოიხედა, გოგონა კვლავ მშვიდად მარგალიდა.

რამდენიმე ხანს ჯეკი ტყეში დაეხეტებოდა, მაგრამ უჩვეულო ვერაფერი შენიშნა. თუმცა, მაინც დარწმუნებული იყო, რომ ყვირილი ნამდვილად გაიგონა. ბოლოს, შეწყვიტა ძებნა და სახლისკენ გასწია, რათა სასწრაფოდ გადაეცალა თავისი საუზმე და დილის მატარებლისთვის, ჩვეულებრივ, წუთიწუთზე მიესწრო. მატარებელში რომ ჯდა, ცოტათი სინდისი ქენჯნიდა კოდევ: უნდა ეცნობებინა თუ არა მაშინვე პოლიციისთვის? ისე რომ არ მოიქცა, მარტოოდენ იმ ოვალუყურება გოგონას წყალობა იყო. ჩათვალა, რომ თვითონ აზვიადებდა და, შესაძლოა, პოლიციასაც ასევე ეფიქრა; ახლა თუ იყო აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ ყვირილი მართლა გაიგონა?

უკვე ისე დარწმუნებული ღრმა იყო, როგორც მაშინ; ბუნებრივია, ადამიანი ცდილობს, აღიდგინოს მივიწყებული განცდები. ნუთუ რომელიმე ჩიტის ხმა შემოესმა შორიდან და ქალის ხმას მიაძსგავსა?

თავიდან ამოიგდო ეს აზრი. ის ნამდვილად ქალის ხმა იყო. ჯეკს გაახსენდა, საათს რომ დახედა, სანამ იმ კივილს გაიგონებდა, დაახლოებით იქნებოდა ჩვიდმეტი წუთი, როცა ყვირილი შემოესმა. ეს ფაქტი პოლიციისთვის საყურადღებო იქნებოდა, თუ... თუკი საერთოდ რაიმეს აღმოაჩენდნენ.

იმ საღამოს, გზადან შინ მიმავალმა, საღამოს გაზეთები ყურადღებით გადაათვალიერა აფორიაქებულმა, რათა ენახა, იყო თუ არა ნახსენები რაიმე მკვლელობის თაობაზე: მაგრამ არაფერი აღმოჩნდა. და არც კი იცოდა, შვება ეგრძნო თუ იმედგაცრუება.

წვიმიანი დილა გათენდა; ისეთი ნესტი იყო, რომ ყველაზე უფრო მგზნებარე გოლფის მოთამაშესაც კი ჩაუქრებოდა ენთუზიაზმი. ჯეკი ლოგინიდან გვიან წამოდგა, ფაცაფუცით გადასასლა თავისი საუზმე და მატარებლისკენ მოუსვა. კვლავ ყურადღებით გადაათვალიერა გაზეთები. არა, ახლა იყო სიტყვა ნახსენები რაიმე საზარელ შემთხვევაზე და არც საღამოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებში აღმოჩნდა მისთვის საინტერესო ცნობა.

- საოცარია, - ჩაილაპარაკა ჯეკმა თავისთვის; უსათუოდ პატარა, ანცმა ბიჭებმა ტყეში რაღაც გაიხუმრეს.

მეორე დღეს დილადრიან გამოვიდა. კოტეჯს რომ ჩაუარა, თვალი გააპარა და ისევ ის პატარა გოგონა შენიშნა ბაღში, მარგლიდან:„უთუოდ ჩვენად იქნა". მან ერთი კარგი დარტყმა ჩაატარა და ბურთმა ფოსოს გვერდით ჩაუარა. ჯეკი იმედოვნებდა, რომ გოგონამ ეს შენიშნა. როცა ხელახლა მეორე სასტარტო ნიშანზე დადგა ბურთი, საათს დახედა.

- რვის ოცდახუთი წუთია, - ჩაიბუტბუტა კაცმა თავისთვის და ეს სიტყვები ბაგეზე შეეყინა, ზურგსუკან ისევ ის კივილი გაისმა, რამაც ასე შეაშფოთა ამას წინათ. ქალის შემზარავი ხმა იყო:

- მკლავენ!.. მიშველეთ! მკლავენ!

ჯეკი ადგილს მოსწყდა.ის თვალუწვდენა გოგონა ისევ ჭიშკართან იდგა.ისიც შეშინებული იყურებოდა, აღელვებული ჯეკი მივარდა და დაუყვირა:

- ახლა ხომ გაიგონე!

გოგონას აგზნებული თვალები კიდევ უფრო გაფართოებოდა, მაგრამ ჯეკი მაინც ვერ ჩაწვდა მის განცდებს. მხოლოდ ის შენიშნა, როგორ გადახტა ბავშვი უკან, როცა ჯეკი მიუახლოვდა, და სახლისკენ მიიხედა, თითქოს იქედან შველას ელოდაო.

გოგონამ თავი გააქნია და მიაჩერდა.

- არაფერი გამიგია, - თქვა განცვიფრებულმა.

ჯეკს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, ეგონა, თვალებს შორის რაღაც ჩასცხესო. გოგონას გულწრფელობა ისეთი აშკარა იყო, რომ ეჭვიც არ შეპარვია. თუმცა, ვერც კი წარმოიდგენდა... არც შეეძლო... ნამდვილად არ შეეძლო... ჯეკს ქალის ნაზი, სასიამოვნო ხმა შემოესმა...

- თქვენ მოკირბული ხართ, არა?

ჯეკს არ გამოპარვია გოგონას შიშნარევი გამოხედვა, მისი უკან მიხედვა. გოგონამ ალბათ გაიფიქრა, რომ ეს მოჩვენებებით შეპყრობილი კაცი იყო.

და შემდეგ, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, საზარელი ფიქრი აეკვიატა, ნუთუ გოგონა მართალი იყო? ნუთუ მართლა მოჩვენებები სტანჯავს? ამ საზარელი ფიქრებით მოსავენებადაკარგული, შებრუნდა და უსიტყვოდ წალასლასდა. გოგონამ თვალი გააყოლა, ეტყობა ამოიოხრა, თავი გადააქნია, დაიხარა და მარგვლა განაგრძო.

ჯეკმა სკადა ყველაფრის აწონ-დაწონა: „თუ კიდევ გავიგონე ეს დაწყევლილი ხმა რვის ოცდახუთ წუთზე", - თქვა მან თავისთვის, - „ნათელი იქნება, რომ ჰალუცინაციები დამეწყო. მაგრამ, ეს აღარ განმეორდება".

მთელი დღე აფორიაქებული იყო და ადრე დაწვა დასაძინებლად, თან გადაწყვიტა, დილით ყველაფერი კიდევ ერთხელ შეემოწმებინა.

მთელი ღამე არ უძინია, დილით კი ისე ჩაეძინა, რომ უკვე რვის ოცი წუთი იყო სასტუმროდან რომ გამოვიდა და გოლფის სათამაშო მოედნისკენ გასწია. დარწმუნებული იყო რომ ვერ მიასწრებდა იმ საბედისწერო ადგილას რვის ოცდახუთ წუთამდე; მაგრამ, უეჭველია, ხმასა, თუ იგი, უბრალოდ, წმინდა ჰალუცინაცია იყო, მაინც გაიგონებდა. მან განაგრძო სირბილი, თვალები საათზე მიეყინა.

რვის ოცდახუთიც ბაღდა და შორიდან ქალის ყრუ ყვირილიც შემოესმა. სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ოგივე ხმა ესმოდა, და ისევ იმ ადგილიდან მოდიოდა ეს ხმა, სადღაც, კოტეჯის მიდამოებიდან.

მეტად უცნაურია, ამ ფაქტმა უფრო დაარწმუნა, რომ ბოლოს და ბოლოს, ეს, შესაძლოა, ონინი ყოფილიყო. საეჭვო იყო, რომ გოგონა ამასხარავებდა. მხრები გაბედულად გაშალა და ჩანთიდან გოლფის ყვანჭი ამოიღო.

გოგონა, ჩვეულებრივ, ყვავილებს მარგლიდა. მან თავი ასწია და, როცა ჯეკმა ქუდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუხადა, მორცხვად მიეცალმა. ახლა გოგონა კიდევ უფრო მომხიბვლელი ჩანდა, ვიდრე სხვა დროს.

- მშვენიერი დილაა, არა? - წამოიყვირა ჯეკმა მხიარულად; თავი მაინც რომ ვერ აარიდა ამ ბანალური ფრაზას...

- დიახ, მართლაც მშვენიერი დღეა.

- მგონი, ბაღისთვის სასარგებლო უნდა იყოს?

გოგონამ ოდნავ ვაღიზიანა და ლოყები მომხიბვლელად ჩაეჭუტა.

- სამწუხაროდ, არა! ჩემს ყვავილებს ახლა წვიმა უფრო მოუხდებათ. ნახეთ, როგორ დამჭკნარან.

ჯეკი დაბალ ღობეს მოუახლოვდა და ბაღში გადაიხედა.

- კარგად კი გამოიყურებიან, - უხერხულად თქვა, რადგან გოგონას სიბრალულით აღსავსე მზერას გრძნობდა.

- მზე მართლაც სასიამოვნოა. - თქვა გოგონამ, - ყვავილების მორწყვა ყოველთვის შეიძლება, მზე კი აცოცხლებს და აჯანსაღებს მათ. მესიე დღეს თავს უკეთ გრძნობს, როგორც ვატყობ.

გოგონას გამამხნევებელმა სიტყვებმა ძლიერ მოაბეზრა თავი ჯეკს. „ეშმაკმა დალახვროს, - ჩაიღაპარაკა თავისთვის, - მგონი, ჩემს განკურნებას ცდილობს“.

- სავსებით კარგად ვგრძნობ თავს. - გაფიცხდა ჯეკი.

- მაშ, კარგია... - მიუგო გოგონამ დამამშვიდებლად.

ჯეკი იმან გაახელა, რომ გოგონას მისი არ სწერდოდა.

საუზმობისას ჯეკმა იგრძნო, და უკვე არაერთხელ, მის წინ მჯდომი კაცის გამომცდელი მზერა. ეს იყო შუა ხნის, ძლიერი, დაძაბული სახის მამაკაცი; მოკლე შავი წვერი და მეტად გამჭვალავი რუხი თვალები ჰქონდა; ბუნებრივი და თავდაჯერებული მანერებით იგი უმაღლესი რანგის პროფესიონალად წარმოგიდგებოდათ. ჯეკს გაგონილი ჰქონდა, მას ლევინგტონი ერქვა და ცნობილი ექიმი იყო. მაგრამ ეს კურმოკრული მას ცოტას ან, შესაძლოა, სულაც არაფერს ეუბნებოდა.

ამ კაცის ჩუმმა თვალთვალმა და მზერამ ცოტათი შეაშინა კიდეც. ნუთუ ყველაფერი აშკარად ეწერა სახეზე ყველას დასანახად? ნუთუ ამ კაცმა, თავისი პროფესიული მოწოდების წყალობით, იცოდა, რომ რაღაც დაფარული იმალებოდა მის ფსიქიკაში.

ჯეკს ამის გაფიქრებაზეც კი ჟრუანტელმა დაუარა. ნუთუ მართლა შეიშალა? ნუთუ ეს ყველაფერი ჰალუცინაცია იყო, თუ რაღაც გრანდიოზული ოინი?

და, მოულოდნელად, გზაც გამოჩნდა: აქამდე იგი - ჯეკი - მარტო იყო! ვთქვათ და, სხვა ვინმეც რომ ყოფილიყო მასთან? ხმა, თუკი კვლავ გამეორდებოდა იგი, ან ორივეს უნდა გაეგონა, ან მხოლოდ მას- ჯეკს.

ლევინგტონი სწორედ ის კაცი იყო, ვინც ახლა მას სჭირდებოდა.მათ საკმაოდ ადვილად გაიგებს საუბარი - შესაძლოა ეს ხნიერი კაცი ასეთ რამეს ელოდა კიდეც. ნათელი იყო, რომ, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ჯეკმა მისი ინტერესი გამოიწვია. ამ უკანასკნელს შეეძლო სრულიად უშტკივნეულოდ და ბუნებრივად ჩაეტარებინა თავისი ცდა დილით, საუზმემდე, გოლფის მინდორზე. შეთანხმდნენ მეორე დილისთვის.

სასიამოვნო დილა იყო, მშვიდი და უღრუბლო, მაგრამ ძალიან არ კხეულოდა. დოქტორი კარგად თამაშობდა, ჯეკი — ცუდად. მთელი მისი გონება სხვაგან ჰქონოდა, მალულად სულ საათს დასჩერებოდა. ოცის ოც წუთზე უკვე მეშვიდე ფოსოსთან იდგნენ, რომელიც ყველაზე ახლოს იყო კოტეჯთან.

გოგონა, როგორც ყოველთვის, ბაღში საქმიანობდა, როცა მათ ჩაიარეს. მას არც გამოუხედავს.

ორივე ბურთი ბალახზე ეგდო, ჯეკისა — ფოსოს ახლოს, დოქტორისა - ცოტა მოშორებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ეს კი უნდა ჩავარდეს! - თქვა ლევინგტონმა.

იგი დაიხარა და ის ხაზი შეამოწმა, საიდანაც უნდა დაეწყო. ჯეკი უძრავად იდგა, თვალები საათისათვის მიეპყრო. ზუსტად რვის ოცდახუთი წუთი შესრულდა. ბურთი მინდორზე მსუბუქად გადაგორდა, ფოსოს კიდეზე წამით შეჩერდა და შიგ ჩავარდა.

- კარგი დარტყმაა, - თქვა ჯეკმა. მის ხმაში ხრინწი იგრძნობოდა, რაც მეტად უჩვეულო იყო მისთვის. საათი ბაჯიანად მკლავზე აიწია და შეგებით ამოიოხრა. არაფერი მომხდარა, ჯადო მოეხსნა...

- ერთი წუთით, - თქვა მან, - ჩიბუხს ავანთებ.

მერვე ფოსოსთან იდგნენ. ჯეკმა ჩიბუხი დატენა და მოუკიდა, თითები თავისდაუნებურად უცახცახებდა.ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს უზარმაზარი ტვირთი მოხსნოდა.

- ღმერთო, რა დიდებული დღეა, - აღნიშნა მან და წინ გადაშლილ პანორამას უდიდესი კმაყოფილებით გახედა. - განაგრძეთ, ლევინგტონ, თქვენი დარტყმაა.

და უცებ ხმა გაისმა... დოქტორმაც დაარტყა. ქალის განწირული ხმა მთელი ძალით ისმოდა...

- მკლავენ... მიშველეთ! მკლავენ!

ჯეკს ხელებში ძალა გამოეცალა, ჩიბუხი ძირს დაუვარდა. იქითკენ დააპირა გაქცევა, საიდანაც ხმა შემოესმა, მაგრამ უცებ გაახსენდა თავისი პარტნიორი, შედგა და დაჟინებით მიაშტერდა.

ლევინგტონი თამაშის მსვლელობას დასჩერებოდა, თან თვალებს იჩრდილავდა.

- ცოტა დაკლდა. ქვეშას გვერდი აუარა...

თუმცა ვფიქრობ...

მას არაფერი გაუგონია.

ჯეკმა ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა, მძიმეც წატორტმანდა... როცა გონს მოვკო, მოედანზე იწვა და ლევინგტონი ადგა თავს.

- აბა, მშვიდად, ახლა დაწყნარდი!

- რა მოხდა?

- გული შეგიღონდათ, ყმაწვილო... შეიძლება...

- ლძერთო ჩემო! - თქვა ჯეკმა და ამოიოხრა.

- ერთი წუთი დამაცადეთ და მოგახსენებთ! მაგრამ ჯერ ერთი რამ უნდა გკითხოთ.

დოქტორმა ჩიბუხს მოუკიდა და მიწაყრილზე ჩამოჯდა.

- გისმენთ, - თქვა მან მშვიდად.

- თქვენ ეს ორი დღეა მითვალთვალთ. რატომ?

ლევინგტონს თვალები აუცაცაფდა.

- მეტად უხერხული შეკითხვაა. ნათქვამია, კატამ მეფეს შეხედაო, ხომ იცით.

- სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ, არ გეხუმრებით; რასაც გეკითხებით, ეე ამის საბაბიცა მაქვს.

ლევინგტონმა სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

- გულახდილად გეტყვით. მე თქვენში შევიცანი ადამიანი, რომელიც მწვავე ცაძაბულობას მოუცავს და ცნობისმოყვარეობა აღმეძრა, გამეგო, რა სულიერი ტკივილით უნდა ყოფილიყო იგი გამოწვეული.

- შემძლია საკმაოდ მარტივად აგიხსნათ, - თქვა გესლიანად ჯეკმა, - მე შევიშალე.

ჯეკი სასაოწარკვეთილი ჩანდა, მისი განაცხადი რომ ასე უყურადღებოდ დარჩა.

- საოცარია, - ჩაიბურტყუნა ლევინგტონმა. - მართლაც კურიოზია...

ჯეკს ბრაზი მოერია.

- გეუბნებით, გავგიჟდი. ვფიქრობ, თქვენც ასე გეჩვენებათ, მაგრამ ექიმები ხომ საშინლად უგულოები ხართ.

- აბა,აბა, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, თქვენ ჰაიჰარად ლაპარაკობთ. ჯერ ერთი, თუმცა, ხარისხიც კი მაქვს მედიცინაში, მაგრამ პრაქტიკოსი არ გახლავართ. გულახდილად რომ

გითხრათ, — ქმიმიც არ ვარ — არა ვარ ადამიანის სხეულის მკურნალი, სულ ეს არის.

ჯეკმა ყურადღებით შეათვალიერა.

- მაშ, გონების?

- დიახ, გარკვეული აზრით... უფრო სწორად, მე ადამიანის სულის მკურნალი ვარ.

- ოჰო?!

- ვგრძნობ თქვენს ირონიას, და მაინც, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ზოგიერთი ტერმინი, რათა ხაზი გავესვამ ამ ძირითად პრინციპებს, რაც შეიძლება გამოიყოს და იარსებოს დამოუკიდებლად თავიანი ხორციელი სამყოფელისაგან, - სხეულის გარეშე. თქვენ მოგიწევთ ამ ტერმინებში გარკვევა, იცით, ყმაწვილო; ეს მღვდლების გამოგონებული რელიგიური ტერმინები არ გეგონოთ; მოდით, ჩვენ მას სული ვუწოდოთ, ან ქვეცნობიერი „მე", ან ნებისმიერი, რომელიც თქვენ გაწყობთ. თქვენ ეს-ეს არის შეურაცხყოფად მიიღეთ ჩემი ტონი, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მართლაც განმაცვიფრა იმან, რომ ასეთი დინჯი და სრულიად ნორმალური ყმაწვილი, როგორიც თქვენა ხართ, უნდა იტანჯებოდეს მოჩვენებებით, თითქოს გონს უნდა ჰკარგავდეს...

- მე მართლაც გადავედი გონს. ნამდვილად სამკურნალო ვარ.

- მაპატიეთ ამას რომ გეუბნებით, მაგრამ არ მჯერა.

- მე მოჩვენებებით შეპყრობილი კაცი ვარ.

- შეუძლებელია, - თქვა დოქტორმა და კვლავ მოუკიდა ჩამქრალ ჩიბუხს.

- გეუბნებით, მე ისეთი რამეები მესმის, რაც არავის არ ესმის.

- ეს კაცში ერთს შეუძლია იუპიტერის დანახვა. იმიტომ რომ, დანარჩენ ოთხმოცდაცხრაშიტს არ ძალუძს მათი ხილვა, არაკითარი ეჭვის მიზეზი არა გვაქვს, რომ იუპიტერი არ არსებობს და არც იმის მიზეზია, რომ იმ მეასე კაცს შეშლილი ვუწოდოთ.

- იუპიტერის არსებობა დამტკიცებული მეცნიერული ფაქტია.

- სავსებით შესაძლებელია, რომ დღევანდელი ილუზიები და მოჩვენებები ხვალ მეცნიერულად დასაბუთებული გახდეს.

ლევინგტონის პროზაულობამ თავისდაუნებურად იმოქმედა ჯეკზე. მან, საოცარი სიმშვიდე და ხალისი იგრძნო. დოქტორი ყურადღებით დააკვირდა ერთი-ორი წუთით და შემდეგ თავი დაუკრა.

- ასე უკეთესია, - თქვა მან, - თქვენი უბედურება, საერთოდ ყმაწვილებისა, ის არის, რომ ძალიან თავდაჯერებულები ხართ, გგონიათ, რომ თქვენი ფილოსოფიის მიღმა არაფერი არსებობს, და შეკრთებით ხოლმე, როცა აღმოჩნდება ისეთი რამ, რაც ამ აზრს შეგაცვლევინებთ. აბა ერთი. მომიყვით თქვენი ამბავი, რომ გავიგო, მართლა დასამწყვდევი ხართ თუ არა.

რამდენადაც შეეძლო, ჯეკმა გულახდილად უამბო ყველაფერი.

- მაგრამ ვერ გამიგია, - დაამოლოვა მან, - ამ დილით ხუთი წუთის დაგვიანებით რატომ მომესმა ხმა?

ლევინგტონი ერთი-ორი წუთით ჩაფიქრდა.

- რომელი საათია თქვენს საათზე ახლა?

- რვას აკლია თხუთმეტი წუთი, - უპასუხა ჯეკმა.

- ჩემთან ოცი წუთი აკლია. თქვენი საათი ხუთი წუთით წინ ჰიდის. ეს მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი მომენტია ჩემთვის, მეტად მნიშვნელოვანი...

- რა მხრივ? ჯეკს დაინტერესება დაეტყო.

- იცით, აშკარაა, რომ პირველ დილით თქვენ მართლაც გაიგონეთ ასეთი წამოკივლება, რაც, შესაძლოა, ვინმემ იხუმრა კიდეც, მერე კი თქვენ თვით აიძულეთ საკუთარი თავი, მოგჩვენებოდათ ოგივე ზუსტად იმაკე დროს.

- დარწმუნებული ვარ, არ მომჩვენებია.

- არა, რა თქმა უნდა, მაგრამ, იცით, თვითშთაგონება აგვიყოლიებს-ხოლმე. მაგრამ არც

სხვა რამაა გამორიცხული. ეს რომ მოჩვენება იყოს, თქვენ კვიელს რვის ოცდახუთ წუთზე გაიგონებდით, თქვენი საათის მიხედით.

- კეთილი, შემდეგ?

- ჰოდ, ნათელია, არა? ეს კვიელი იკავებს გარკვეულ ადგილს დ: დროს სივრცეში. ადგილია - კოტეჯის მიდამოები, ხოლო დრო - რვის ოცდახუთი წუთი.

- დიახ, მაგრამ რაღა მარტო მე მომესმა? მე არც მოჩვენებებისა მჯერა და არც მოლანდებებისა, - არც აჩრდილების კაკუნისა და სხვა სისულელეებისა. რატომ უნდა მესმოდეს ეს წყეული ხმა?

- აჰ! ამას ახლა ვერ გავარკვევთ. საკვირველი კია, რომ უმეტესად ცხოვრების პირობებს თავს ართმევენ ჭეშმარიტი სკეპტიკოსები. ამ ხაოხს არ აინტერესებს ის იდუმალი ფენომენი, რომელიც აღიარებას ბოულობს. ზოგნი ხედავენ და ესმით ისეთი რამეები, რაც სხვას არ ძალუძს, - ჩვენც კი არ ვიცით, რატომ. ათიოდან ცხრას არ სურს ესმოდეს ან დაინახოს ის, რასაც ის ერთი ხედავს და დარწმუნებული არიან, რომ ილუზიებმა შეიპყრეს - სწორედ ისე, როგორც თქვენ. ელექტრობის მსგავსად, ზოგი ნივთიერება კარგი გამტარულობისაა, დიდხანს ვერც კი მივხედთ, რატომ; და იძულებული გავხდით, იმით დავკმაყოფილებულიყავით, რომ ეს ფაქტი ფაქტად მიგვეღო. დღესდღეობით კი უკვე ვიცით, რატომაცაა ასე. ერთ დღესაც უსათუოდ გავიგებთ, რატომ გესმით ეს ხმები თქვენ და რატომ არ გვესმის მე და ამ გოგონას. ყველაფერს ბუნებრივი კანონები მართავს, ხომ იცით? - არ არსებობს სინამდვილეში იმაზე დიდი ძალა, ვიდრე ზებუნებრივი ძალებია. ამოცანობა იმ კანონებისა, რომლებიც მართავენ ეგრეთწოდებულ ფსიქიურ მოვლენებს, რთულია საქმეა, მაგრამ ამასაც მოვეკლება.

- მე რა ვქნა? - იკითხა ჯეკმა.

ლევინგტონმა ჩაიცინა.

- ახლა, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, კარგად უნდა ისაუზმო და ქალაქში გაემგზავრო; თავს ნუ იტანჯავ იმ რაღაცებზე ფიქრით, რისიც არაფერი გაგეგება. მე, ჩემის მხრივ, ვაპირებ მოვიარო ჰაურობა და ვნახო, რა ხდება ამ კოტეჯის უკან მიდამოებში. შემიძლია დავიფიცო, სწორედ აქ იყრის თავს საიდუმლოება.

ჯეკი წამოდგა.

- კეთილი, სერ. მე მზად ვარ, მაგრამ გაფრთხილებთ...

- დიახ?

ჯეკს უხერხულობისაგან სახე აელეწა.

- იმედი მაქვს, გოგონას არაფერი შეემთხვევა, - ჩაიბუტბუტა მან.

ლევინგტონი ამან გაამხიარულა.

- თქვენ არ გითქვამთ, რომ ლამაზი გოგონაა! კარგი, გამხნევდით. ვფიქრობ, საიდუმლოებამ აქ მის მოსვლამდე დაისადგურა.

ჯეკი იმ საღამოს სახლში დაბრუნდა ცხობისმოყვარეობის ციებ-ცხელებით შეპყრობილი; ის ბრმად მიენდო ლევინგტონს. დოქტორმა ეს ფაქტი იმდენად ბუნებრივად მიიღო, იმდენად ჩვეულებრივად და მშვიდად, რომ ჯეკი განაკვიფრა.

მეორე დღეს თავისი ახალი მეგობარი ჰოლში შეხვდა. დოქტორმა შესთავაზა ერთად ესადილათ.

- ახალი ხომ არაფერია, სერ? - იკითხა აღელვებულმა ჯეკმა.

- მე შევკრიბე ცნობები ამ კოტეჯის ყველა მფლობელთა შესახებ. პირველად ის ერთმა მოხუცმა მებალემ და მისმა ცოლმა დაიჭირავეს. მოხუცი კაცი გარდაიცვალა, ქალი კი თავის ქალიშვილთან გადავიდა საცხოვრებლად. შემდეგ ვიღაც მშენებელმა ჩაიგდო ხელში, განაახლა და ერთ ქალაქელ ჯენტლმენს მიჰყიდა, რომელიც შაბათ-კვირას თუ ჩამოდიოდა. ერთი წლის წინათ მან კოტეჯი ცოლშვარ ტურნერებს მიჰყიდა. კაცი ინგლისელი იყო, მეუღლე კი, ძალიან ლამაზი, უცნაური გარეგნობის ქალი, ნახევრად რუსი. ისინი წყნარად ცხოვრობდნენ, არავის ხვდებოდნენ და იშვიათად თუ გამოვიდოდნენ კოტეჯის ეზოდან. ადგილობრივ მკვიდრთა

მითქმა-მოთქმის მიზედვით, მათ რაღაცის ეშინოდათ, მაგრამ ვერ ვიგებ, ჭორებს ვერ დავეყრდნობით

ჯეკი დაბაბული უსმენდა.

- მოულოდნელად, ერთ დღეს აჭაურობა მიატოვეს, დილაადრიან დაცალეს სახლი და მას მერე არც დაბრუნებულან. მალე აჭაურია აგენტებმა ბატონი ტურნერის წერილი მიიღეს ლონდონიდან. იგი სთხოვდა მათ, სასწრაფოდ გაეყიდათ იქაურობა. ავეჯი გაიყიდა, თვით სახლი კი ბატონმა მოლიერემ შეიძინა. მან სულ ორი კვირა იცხოვრა აქ, შემდეგ მოითხოვა, დგამით გაეწყოთ. ახლა ამ სახლში ჭლექით დაავადებული ერთი ფრანგი პროფესორი ცხოვრობს თავისი ქალიშვილით. ისინი სულ ათი დღის ჩამოსული არიან.

ჯეკმა ეს ამბავი მდუმარედ მოისმინა.

- არა შვონია ამან გზა გაგვიკაფოს წინ, - თქვა მან ბოლოს, - თქვენ როგორ გგონიათ?

- მინდა უფრო მეტი ვიცოდე იმ ტურნერებზე, - თქვა ლევინგტონმა მშვიდად, - გახსოვდეს, მათ დილაადრიან დატოვეს აჭაურობა. რამდენადაც ვხედავ, სინამდვილეში არავის დაუნახავს, როგორ წავიდნენ; ბატონი ტურნერი კი უნახავთ მას შემდეგ, მაგრამ ვერავინ აღმოვაჩინე ისეთი, ვისაც შეიძლებოდა ქალბატონი ტურნერი ენახა.

ჯეკი გაფითრდა.

- იქნებ... თქვენ როგორ ფიქრობთ...

- ნუ ღელავთ, ყმაწვილო. ბიკვდილის ჟამსაც, მით უფრო ძალმომრეობითი სიკვდილისას - ნებისმიერი ადამიანის ზეგავლენის ფაქტორი გარესამყაროზე ძალზედ ძლიერია. იმ გარესამყაროს, შესაძლოა, უნებურად მიანთქოს ის ზეგავლენა, გადასცეს რა წესაბამისად სათანადოდ დაყენებულ მიმღებ ტალღებს, ამ შემთხვევაში - თქვენ.

- მაგრამ რატომ მე? - ჩაიბუტბუტა ჯეკმა.

- თქვენ ძალმომრეობას მიიჩნევთ, როგორც საზრიანსა და მიზანდასახულს, და არა ბრმასა და მეჭანიკურს. მე არ ვთვლი თავს დედამიწის იმ გონიერ ბინადრად, რომელიც ერთადერთი გარკვეული მიზნით დაიარება ამ ქვეყანაზე, მაგრამ რაც ვნახე, წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ წმინდა შემთხვევითობა იყოს. არის ერთგვარი ბრმა ხელის ცეცებით ეშმაკრიტებისაკენ სწრაფვა - ბრმა ძალების ფანტელ მოქმედება, რომელიც მუდამ ბნელით მოცულია იმ დასასრულის მიმართ...

ლევინგტონი შეიმშეშნა - თითქოს რაღაც აკვიატებული ცდუნება ამოიგდოს თავიდან, მთელი მისი გონება რომ მოეცვა და ჯეკს ღიმილით მიუბრუნდა.

- მოდით, დავივიწყოთ ეს საქმე, თუნდაც ამ საღამოს.

ჯეკი ხალისით დაეთანხმა.

კვირის ბოლოს, შაბათს, ენერგიულად შეუდგა ცნობების შეკრებას, ცოტათი იმაზე მეტის შეტყობაც მოახერხა, ვიდრე დოქტორმა. საუზმის წინ გოლფის თამაშიც კი მიატოვა...

ამ ჯაჭვის მორიგი რგოლი ანაზდეულად გამოჩნდა. ერთ დღეს, როცა უკან ბრუნდებოდა, ჯეკს შეატყობინეს, რომ ერთ ახალგაზრდა ლედის ძი ნახვა სურდა. მის გასაოცრად ეს ის გოგონა აღმოჩნდა იმ ბაღში რომ იხილა — ის თვალუუჭეფნა გოგონა, როგორც თავის გონებაში უწოდებდა. გოგონა აღელვებული და თან შემცბარი ჩანდა.

- მაპატიეთ, მესიე, მაგრამ რაღაც მინდოდა მეთქვა, მე... გოგონამ გაუბედავად მიმოიხედა.

- აქ მოდი, - ჩურჩულით უთხრა ჯეკმა და გაიყვანა სასტუმროს ქალთა სადარბაზო ოთახში. ეს იყო უამრავი წითელი პლუშით მორთული მყუდრო ოთახი, - ახლა დაჯექი, მისს...

- მარშოდი მქვია, მესიე. ფელიაზ მარშოდი.

- დაჯექი, მადმუაზელ მარშოდ, და ყველაფერი მიამბე.

ფელიაზი მორჩილად ჩამოჯდა. ამჯერად მას მუქი ცქერანე კაბა ეცვა და პაწია სახის სილამაზე და მომხიბვლელობა კიდევ უფრო მეტად იკვეთებოდა. ჯეკს გული უფრო ძალუმად აუჩქროლდა, როცა მის გვერდით ჩამოჯდა.

- აი, რა - დაიწყო ფელიაზმა, - ჩვენ აქ სულ ცოტა ხნის წინ ჩამოვედით და თავიდანვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიგეთ, რომ ეს სახლი - ეს ჩვენი საყვარელი, პატარა სახლი - მოჯადოებულია. არც ერთი მსახური აქ არ ჩერდება. ეს კიდეც არაფერი, - მე თვითონ ვუვლი სახლს და სადილსაც ვამზადებ...

„ნამდვილი ანჯელოზია“, - გაიფიქრა მოხიბლულმა ყმაწვილმა. „მშვენიერი გოგონაა“. მაგრამ გარეგნულად ჯეკმა მოჩვენებითი საქმიანი ყურადღება შეინარჩუნა.

- მოჩვენებებზე საუბარი აქამდე სისულელე მეგონა. ეს მანამ, ვიდრე ოთხი დღის წინათ... მესიე, აგერ უკვე ოთხი ღამეა ერთი და იგივე სიზმარი ვხედავ. ერთი ლედი მადგას თავს, ლამაზი, მაღალი... ხელში ცისფერი ფაიფურის ლარნაკი უჭირავს; ძალიან დამწუხრებულია და სულ ამ ლარნაკს მაწვდის, თითქოს მევედრება, რაიმე ვიღონო. მაგრამ ამაოდ! ვერ ლაპარაკობს, და მე კი არ ვიცი, რას მთხოვს. ეს პირველ ორ ღამეს მესიზმრებოდა; - გუშინწინ ღამით კი თავის ცისფერ ლარნაკთან ერთად გაუჩინარდა და მოულოდნელად ქალის ყვირილის ხმა შემომესმა, - ნამდვილად მისი ხმა იყო, თქვენ მიხვდებით ალბათ... ოჰ, მესიე! მესიე! ის იმ სიტყვებს ამბობდა, თქვენ რომ იმ დილით მეუბნებოდით: „მკლავენ... მიშველეთ! მკლავენ!“ მე შიშისგან გამომეღვიძა, თან ჩემს თავს ვარწმუნებდი,უბრალოდ კოშმარია-მეთქი... წუხელ კვლავ მესიზმრა. მესიე, რა არის ეს? -თქვენც ხომ იგივე მოგესმათ.

ფელიაზს სახე შეშლოდა. თავისი პატარა ხელები ერთმანეთისთვის ჩაეჭდო და გულისამაჩუყებლად მისჩერებოდა ჯეკს. ეს უკანასკნელი თავს იკავებდა, - თითქოს გულგრილად უსმენდა.

- კეთილი, მადმუაზელ მარშოდ. ნუ სწუხარ. თუ საწინააღმდეგო არ გექნება, გეტყვი, რა უნდა გააკეთო. ეს ყველაფერი ჩემს მეგობარს, დოქტორ ლევინგტონს უამბე; ის აქ ცხოვრობს.

ფელიაზი დაჰყვა მას და ჯეკი გაეშურა ლევინგტონის მოსაძებნად. რამდენიმე წუთის შემდეგ მასთან ერთად დაბრუნდა. ლევინგტონმა გოგონას გამომცდელი მზერა მიაპყრო, როცა ჯეკის ნაჩქარევი მონათხრობი მოისმინა, გოგონას დაუყვავა, გაამხნევა და, თავის მხრივ, მასაც ყურადღებით მოუსმინა.

- მეტად უცნაურია, - თქვა მან, როცა გოგონამ ლაპარაკი დაამთავრა, -მამას უამბე ეს ყველაფერი?

ფელიაზმა თავი გააქნია.

- არ მინდოდა მისი აღელვება. ის ისეც ძალიან ავადაა, - თვალები ცრემლებით ავესო, - მას არაფერს ვუყვები, რომ არ განაწყენდეს ან არ აღელდეს.

- მესმის, -მოუგო ლევინგტონმა თანაგრძნობით, - მე მოხარული ვარ, ჩვენთან რომ მოხვედი, მადმუაზელ მარშოდ. ხომ იცი, ჰარტინგტონსაც იგივე შეემთხვა. ვფიქრობ, რომ სწორ გზას ვადგავართ. სხვა ხომ არაფერი მომხდარა?

ფელიაზი სწრაფად შეირხა.

- რა სულელი ვარ! ეფერეთ, მესიე; შეხედეთ რა ვიპოვე ბუფეტის უკან...

გოგონამ ჭეკეტილი სახატავი ქაღალდის ნაგლეჯი გაეწოდა, სადაც წყლის საღებავებით უხეშად იყო შესრულებული ქალის ესკიზი. ეს იყო მარტივი, უშნოდ ნახატი. ქაღალდზე ასახული იყო მაღალი, ლამაზი ქალი, რომელსაც რაღაცნაირი არაინგლისური სინატიფე დაჰკრავდა სახეზე. ქალი მაგიდასთან იდგა, მაგიდაზე კი ცისფერი ლარნაკი იდო.

- ეს ამ დილით ვიპოვე, - აუხსნა ფელიაზმა, - ბატონო დოქტორო, ეს სწორედ იმ ქალის სახეა, სიზმარში რომ ვიხილე და ეს ცისფერი ლარნაკიც ზუსტად ის ლარნაკია...

- საოცარია, - შენიშნა ლევინგტონმა, - ამ საიდუმლოებათა გასაღები აშკარად ეს ცისფერი ლარნაკია. ვფიქრობ, ეს ძველებურ ჩინური ლარნაკი უნდა იყოს, საუცხოო რელიეფური მოხატულობა აქვს.

- ჩინურია, - განაცხადა ჯეკმა, - ზუსტად ამის მსგავსი ბიძაჩემის კოლექციაში მინახავს - იცით, ის ჩინური ფაიფურის უდიდესი კოლექციონერია და მახსოვს, ამას წინათ ზუსტად ასეთი ლარნაკი მაჩვენა.

- ჩინური ლარნაკი... - ოცნებაში გადაეკარა ლევინგტონი. ერთი-ორი წუთით ფიქრებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ჩაძირული. შემდეგ, მოულოდნელად თავი წამოსწია, თვალებში საკვირველი შეეტი აუკიაფდა, - ჰარტინგტონ, რამდენი ხანია, რაც ის ლარნაკი ბიძათქვენთანაა?

- რამდენი ხანი? ზუსტად არ ვიცი...

- აბა, გაიხსენეთ, ბოლო ხანებში ხომ არ უყიდია?

- არ ვიცი... ჰო, ვფიქრობ, ასეა... ახლა მომაგონდა. მე თვითონ არ მაინტერესებს ფაიფური, მაგრამ გამახსენდა თავისი „ახალი შენაძენი" რომ მაჩვენა და ერთ-ერთი მათგანი სწორედ ეს ლარნაკი იყო.

- დაახლოებით ორი თვის წინ? ტურნერებმა ეს მანანის ხის კოტეჯი სულ რაღაც ორი თვის წინ მიატოვეს.

- დიახ, ვფიქრობ, ასეა.

- თქვენი ბიძა სოფლის აუქციონს ესწრება ხოლმე.

- ის ხშირად მიემგზავრება ეტლით აუქციონზე.

- მაშინ, უჩვეულო არაფერია იმაში, რომ მან სწორედ ეს ფაიფურის ნიმუში აუქციონზე შეიძინა იმ ტურნერის ნივთებს შორის. უცნაური დამთხვევაა ანუ, რასაც მე ვეუწოდებ - ჭეშმარიტების ხელით შეხება. ჰარტინგტონ, თქვენი ბიძისგან ახლავე უნდა გაიგოთ, სად იყიდა ეს ლარნაკი.

ჯეკს სახე შეეცვალა.

- ეს შეუძლებელია, ძია ჯორჯი კონტინენტზე გაემგზავრა; არც კი ვიცი სად, რომ მივწერო მაინც.

- რამდენი ხნით გაემგზავრა?

- ალბათ, ერთი თვით.

სიჩუმე ჩამოწვა. ფელაიზი შეშფოთებული შესცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს.

- ნუთუ არაფრის გაკეთება არ შეგიძლია? - იკითხა მან მოკრძალებით.

- ჰო, არის კიდევ ერთი გზა, - წარმოთქვა ლეონგტონმა შინაგანად დაძაბულმა. ჰარტინგტონ, თქვენ ხელთ უნდა ჩაიგდოთ ის ლარნაკი, აქ მოიტანოთ და, თუ მადმუაზელი ნებას დაგრთავს, ერთ ღამეს იმ კოტეჯში გავათევთ ამ ლარნაკთან ერთად.

ჯეკს ტანში ცრუანტელმა დაუარა. - რა უნდა მოხდეს? - იკითხა მან უხერხულად.

- ვერც კი წარმომიდგენია, მაგრამ გულწრფელად მჯერა, რომ საიდუმლოება აიხსნება და ის მოჩვენებაც ოთახის ადგილს დაიკავებს. სავსებით შესაძლებელია, ლარნაკს ორმაგი ფსკერი ჰქონდეს და იქ რაიმე იყოს დამალული. თუ უჩვეულო არაფერი აღმოჩნდა, მაშინ ჩვენს საკუთარ გამჭრიახობას უნდა მივმართოთ.

ფელაიზმა ხელები ერთმანეთს ჩასჭიდა.

- შესანიშნავი აზრია, - წამოიძახა მან.

მას აღფრთოვანებისაგან თვალები აუკიაფდა. ჯეკი იმდენად აღფრთოვანებული არ ჩანდა - ფაქტიურად, ის შინაგანად ძალიან დამფრთხალი იყო, მაგრამ არაფრით არ დაუშვებდა, ფელაიზი რაიმე ეჭვიანობა გადაჰკროდა. დოქტორი ისე იქცეოდა, დარწმუნებული იყო მისი თვალსაზრისი ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს იდგა.

- როდის შეძლებთ ლარნაკის მოტანას? - მიუბრუნდა ფელაიზი ჯეკს.

- ხვალ!

ჯეკს ბოლომდე უნდა მიეყვანა ეს საქმე; ის ეჭვიანი ხმა მეხსიერებიდან არ ამოდიოდა, მოსვენებას არ აძლევდა. და ახლა მისი ერთადერთი საფიქალი იყო, როგორმე გადაერჩინა გოგონა.

მეორე საღამოს ბიძამისის სახლში ლარნაკი რომ იხილა, ნამდვილად დარწმუნდა, ეს სწორედ ის იყო, წყლის საღებაკებით დახატული რომ ნახა, მაგრამ, ყურადღებით რომ შეათვალიერა, არავითარი საიდუმლო ფსკერი აღმოაჩნდა.

თერმომეტი საათი იქნებოდა, როცა ის და ლეონგტონი კოტეჯს მიუახლოვდნენ. ფელაიზი მათ უკვე ელოდა და კარი მანამ გააღო, ვიდრე ისინი დაკაკუნებდნენ.

- მობრძანდით, - დაიჩურჩულა მან, - მამაჩემს ზემოთ სძინავს, არ გავაღვიძოთ; ყოველ შემთხვევაში.

იგი მათ ერთ პატარა, მყუდრო ოთახში შეუძღვა. სპირტქურა ბუხრის ცხაურში ჩაედგა; გოგონა გადაიხარა და ყავაზედ შემოდგა.

ჯეკმა ვახსნა საგულდაგულოდ შეფუთული ჩინური ლარნაკი. ფელაიზმა განცვიცარებისაგან პირი დააღო.

- დიახ, დიახ, - მოუთმენლად გაიძახოდა გოგონა, - სწორედ ეს არის. მე ამას ათასში გამოვარჩევდი.

ამასობაში ლევინგტონი ემზადებოდა. მან პატარა მაგიდიდან ყველაფერი აალაგა და შუა ოთახში დადგა; ირგვლივ სამი სკამი შემოუწყო. შემდეგ, ჯეკს გამოართვა ცისფერი ლარნაკი და მაგიდის შუაში დადგა.

- ახლა, - თქვა მან, - მზადა ვარ. გამორთე შუქი და სიბნელეში შემოვუსხდეთ მაგიდას.

დაემორჩილნენ. ლევინგტონის ხმა კვლავ გაისმა სიბნელეში.

- ნურაფერრზე იფიქრეთ ანუ ყველაფერზე ნუ იფიქრეთ. თავს ძალას ნუ დაატანთ. შესაძლოა, ერთ-ერთ ჩვენგანს მისტიკური სამყაროსთან კავშირის უნარი აღმოაჩნდეს. თუ ასე მოხდა, ის პიროვნება ტრანსში მოექცევა. გახსოვდეთ, საშიში არაფერია. შიში გულს არ გააკაროთ და მიჰყევით...მიჰყევით დინებას...

ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. ყოველ წუთს ეს სიჩუმე მოლოდინით თანდათან უფრო მრავლისმეტყველი ხდებოდა, მაგრამ რასაც ჯეკი გრძნობდა ეს შიში არ იყო, იგი უფრო პანიკას ჰგავდა. ეანაც დარწმუნებული იყო, რომ ფელაიზიც იგივეს გრძნობდა. უცებ გოგონას დაბალი და შეძრწუნებული ხმა გაისმა.

- რაღაც საზარელი უნდა მოხდეს, ვგრძნობ...

- შიში განდევნეთ, - თქვა ლევინგტონმა, - თქვენზე მოქმედ ძალას წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ.

სიბნელესა და სიჩუმეში უფრო იკვეთებოდა და უფრო და უფრო ახლოვდებოდა რაღაც გაურკვეველი მუქარის შეგრძნება.

ჯეკმა იგრძნო ყელში რაღაც ეჩხირებოდა... სული ეხუთებოდა... უბედურება ახლოვდებოდა...

მერე თანდათან დამშვიდდა და მოდუნდა... დინებას მიჰყვა... ქუთუთოები დაუძძიდა... ირგვლივ ყველაფერი მიწყნარდა... უკუნმა დაისადგურა...

გონს რომ მოეგო, მზე კაშკაშებდა... ჩიტები ჭიკჭიკებდნენ... იწვა და ცის კამადონს შესცქეროდა... სად იყო, ვერ გაერკვია.

შემდეგ ყველაფერი აღუდგა გონებაში: მაგიდასთან იჯდა... პატარა ოთახი... ფელაიზი და დოქტორი... რა მოხდა?

ჯეკი წამოჯდა, თავი უსიამოვნოდ გუგუნებდა; იქაურობას თვალი მოავლო, - კოტეჯის შორიახლო წოლილიყო. ახლომახლო არავინ ჩანდა. მან საათი ამოიღო. მისდა განსაცვიფრებლად, პირველის ნახევარს უჩვენებდა.

ჯეკი წამოხტა და, რაც შეიძლებოდა, სწრაფად მოჰკურცხლა კოტეჯისაკენ. ისინი ალბათ შეშფოთებული იქნებიან მისი მარცხით, ტრანსიდან გამოსული ღია ცის ქვეშ რომ აღმოაჩნდა.

კოტეჯის კარზე ბრახუნი ატეხა, მაგრამ პასუხი არავინ გასცა; იქედან სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არ იგრძნობოდა. უთუოდ დასახმარებლად წამოვიდნენ, ან შეიძლება... ჯეკი უზარეული შიშმა შეიპყრო... რა მოხდა წუხელ?

სასწრაფოდ სასტუმროსკენ გაეშურა. შესასვლელში ისეთი ძლიერი მუჯლუგუნი იგრძნო ფერდში, ლამის ფეხები მოიკვეცა. რომ შებრუნდა, მის წინ იდგა თეთრთმიანი მოხუცი ჯენტლმენი, რომელიც სიხარულისგან მძიმედ სუნთქავდა.

- არ მელოდი, ჩემო ბიჭუნი, რაო, არ მელოდი? - მიმართა მან გამომწვევად.

- ოჰ, ძია ჯორჯ, მეგონა, აქედან შორს, სადმე იტალიაში, იმყოფებოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჰო-ო! მაგრამ მე არ წავედი.. დოუვერთან გავჩერდი წუხელ. ვიფიქრე, ავტომობილით ავიდოდი ქალაქში და გზად შენც მოგინახულებდი, და რა ვიხილე... რაო, მთელი ღამე შინ არა ხარ? შესანიშნავია...

- ძია ჯორჯ, - ჯეკმა ძალუმად ჩასჭიდა ხელი, - ერთი მეტად უჩვეულო რამ უნდა გიამბო. შეიძლება, არც კი დაიჯერო.

მან ყველაფერი უამბო.

- და, ღმერთმა იცის, იმათ რა დაემართათ, - თქვა ბოლოს ჯეკმა.

ბიძამისს თითქოს დამბლა დაეცაო, - ლარნაკი... - აღმოხდა ბოლოს, — ციხფერი ლარნაკი! სად არის?

ჯეკი დაბნეული მისჩერებოდა, სიტყვების კორიანტელში ჩაძირული თანდათან გამოერკვია.

სეტყვასავით დაატყდა თავს ეს სიტყვები: - მინგების დინასტიის დროინდელია... უნიკალურია... ჩემი კოლექციის გემმაა... ათი ათასი ფუნტი სტერლინგი მაინც ღირს... ამერიკელმა მილიონერმა, ჰოგენჰეიმერმა —, შემომთავაზა... მსოფლიოში ერთადერთია.

- ეშმაკმა დალახვროს, სერ, რა უყავით ჩემი ციხფერი ლარნაკი?!

ჯეკი შენობაში შეიჭრა. მას ლევინგტონი უნდა მოეძებნა. ახალგაზრდა ლედიმ ერთი უგულოდ გადახედა:

- დოქტორი ლევინგტონი გუშინ ღამით ავტომობილით გაემგზავრა. წერილი დაგიტოვათ.

ჯეკმა გახსნა წერილი, სადაც მოკლედ და კინკრეტულად ეწერა:

ჩემო ახალგაზრდა მეგობარო!

ნუთუ ზებუნებრივი ძალების დრო წავიდა? სამუდამოდ არა - მითუმეტეს, მაშინ, თუ თანამედროვე მეცნიერულ ენაზე იოხენჯუბ. მიიღეთ ეთილი სურვილები ფელაიზისა, მისი ინვალიდი მამისა და თვით ჩემგან. ჩვენ თორმეტი საათი წინა გვაქვს, რაც სავსებით საკმარისი უნდა იყოს...

მარად თქვენი
ემბროუზ ლევინგტონი,
სულის მკურნალი.

ინგლისურიდან თარგმნა
ეთერ მოისწრაფიშვილმა.

ქეთევან ნადირაძე

თმდო. შორდანიას მრთი წერილის გ�

თეიდორე დავითის ძე ეორდანია — ისტორიკოსი, ლიტერატორი, ქართველ საზოგადოთა ცნობილი მკვლევარი, ხაზოგადო მოღვაწე. დაიბადა 1854 წელს, 1868 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1875 წელს კი თბილისის სასულიერო სემინარია. სასწავლებლად გიმგზავრა მოსკოს, სადაც წარჩინებით დაამთავრა სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით და 1870 წლისთვის დაბრუნდა სამშობლოში. აქ მუშაობას იწყებს თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად, ზედამხედველად. 1888 წ. დაინიშნა თბილისის საეკლესიო მუზეუმის გამგედ. 1889 წ. აირჩიეს საეკლესიო-სარკოლოგიო სიბჭოს წევრად. 1896 წლიდან გადაყავეთ დასავლეთ საქართველოში, ჯერ გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების ინსპექტორად, მოგვიანებით იმერეთის საეპარქიოს მეთვალყურედ. გარდაიცვალა 1916 წლის 22 ოქტომბერს. დაკრძალულია დიდების ხაზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ისეთია ძალიან მოკლედ მისი ბიოგრაფია. ამის უკან კი დგას პიროვნება, რომელმაც მოელი თავისი ცხოვრება საქართველოს წარსულის შესწავლას მიანდო.

ფართო იყო თ. ეორდანიას ინტერესების სფერო, როგორც ყველა იმდროინდელი მოღვაწისა, რომელთაც დიდი ამაგი მიუძღვით ქართული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობის დაძლევისა და განვითარების საქმეში. მან შეკრიბა და გამოაქვეყნა საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ორი წიგნი, „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა" (ხან ტომად), რომელიც შინაარსის მრავალფეროვნებით, დოკუმენტების სიუხვით და მათი კრიტიკული ანალიზით ხასიათდება. მის კომენტარებში მრავალი საყურადღებო ადგილი გამოთქმული. დიდია ამ შრომის მნიშვნელობა, რომელის გარეშეც დღეს ფრიად გაუჭირდებოდათ ისტორიის მკვლევარი, თუკი გავითვალისწინებთ რომ აქ შეხვედა ბევრი მასალა სხვადასხვა ადგილად მოიპოვება და ახლა „ქრონიკები" დედნის ფუნქციის ასრულებს.

თ. ეორდანიამ ხაინტერესო გამოკვლევები დატოვა „ქართლის ცხოვრების" შესახებ, საეკლესიო ისტორიაში, საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ისტორიის საკითხებზე და სხვა.

თ. ეორდანიას მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა აუცილებელია XIX საუკუნის დასასრულის ქართული ისტორიული აზრის უკეთ გაგებისთვის. მეტად დიდი სიმკაცრე იქნებოდა, მისი მოღვაწეობა მხოლოდ დღევანდელობის მოთხოვნათა გათვალისწინებით შეგვეფასებინა. ჩვენ მოკრძალებითა და პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ თ. ეორდანიას ნააზრევში იმ დადებითს, რაც ნამდვილად ხელს უწყობდა ეპოქის მიერ აღძრული მნიშვნელოვანი საკითხების სწორ გაშუქებას. ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ჩვენი წერილის მოკრძალებული მიზანია თ. ეორდანიას ერთი დებულების შეძლებისდაგვარად დაცვა თანამედროვეთა მიერ მისი სრული იგნორირებისგან.

ვვინეა განვიხილოთ თ. ეორდანიას კრიტიკული წერილი ს. ავალიანის წიგნზე. სადაც იგი წარმოგვიდგება, როგორც სოციალური ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი.

ს. ავალიანის წიგნი „Крестьянский вопрос в Закавказье", ოთხ ტომად 1912 წელს გამოქვეყნდა ჟ. ოდესაში. ამ ნაშრომში განხილულია ბაგლეხთ რეფორმის მომზადება და გატარება ამიერკავკასიაში. პირველი ტომის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ქართული ბატონყმური ურთიერთობის განხილვას საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და XIX ს. რეფორმამდელ ხანაში. შესწავლილია ქართული ბატონყმური სამართალი და მისი წყაროები, გაბატონებული კლასი, ვლენთა კატეგორიები და სხვ.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ს. ავალიანის ეს ნაშრომი ძირითადად დადებითადაა შეფასებული. დავით გურგენიძეი ამ ნაშრომის შესახებ აღნიშნავს, რომ ეს არის სერიოზული გამოკვლევა და წინ გადადგმული ნაბიჯი მაშინდელი ქართული ისტორიოგრაფიის დონესთან შედარებით. გივი ჯიმბერიაც თვლის, რომ ნაშრომში ძირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდად სწორადაა გაგებული ბატონყმური ურთიერთობა და კლასების ურთიერთდამოკიდებულება.

ჩვენს მიზანს არ შეიადგენს ს. ავალიანის ამ მონოგრაფიის განხილვა. გვიანტერესებს იგი იმდენად, რამდენადაც 1915 წ. გაზეთ „ახალ ქართველში" გამოქვეყნდა თედო ეორდანიას წერილი „მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე". ბატონყმობა საქართველოში (შენიშვნა), სადაც მან ალნიშნული ნაშრომს უარყოფით შეფასება მისცა. ამის მიზეზი კი იყო ის, რომ თ. ეორდანიამ ბატონყმური ურთიერთობის, ავალიანისეული ახსნა საქართველოს წარსულის დამცირებად მიიჩნია.

ს. ავალიანთან გლეხისა და მონის მდგომარეობა საქართველოში გათანაბრებულია. იგი თვლიდა, რომ არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა გლეხებიას უფლება ისე დაცემული, როგორც ძველ საქართველოში რუსების გამგონებამდე. რუსეთის ხელისუფლების დამყარებამ კი ქართველ გლეხებს ჯერ შეადგინა მისცა, შემდეგ ალაგმა ბატონები და ბოლოს სრულად გამოგლეჯა ხელიდან და გათავისუფლა.

თ. ეორდანია ამ საკითხს იდეოლოგიური კუთხით მიუდგა, იმდროინდელი საქართველოსათვის მსგავსი აზრები მავნებლობად მიიჩნია. იგი წერდა: „მეკთველ ქართველს ღრმად ჩაეფესვნა გულში წარსულისადმი ალმოუფხვრელი სიძულვილი; ხოლო დაბრუნდა წოდებისა და მისის ჩამონათვალისაში — ზიზღი.

სამაგიეროდ წოდნი მეტად გაიპარტახა ის გადაგვარებულ ნაწ�უცნო თესლებისას, რომელიც ჩვენმა მწერლობამ მოსათვალა პუროშეკ-ტიშვილ-ინაკეთის სახელი. ეხლი ბოლ ხულ ამის ცდაში ყოფილ, რომ ქართველ ეროვნულს ყოველივე ღირსება ჩამოართვან, ეროვნული კულტურაც უარყონ, ველორენად აღიარონ და მთელ განათლებულ ქვეყნებში სათრეველად, სასაკილოდ გახდონ, გული მოეკლან". შემდეგ იგი მსჯელობს ბატონყმობის შესახებ და ასკვნის: „ქართული ბატონ-ყმობა არ იყო რუსული ტრეპარტნიკობა. როგორც უკანასკნელი თითქმის უდრიდა სრულს მონობას, ქართული ბატონყმობა ანუ დამოკიდებულება გლეხებსა და ბატონებს შორის ნება-ყოფლობით იყო, უფრო ზნეობრივი ოჯახური კავშირი ორისავე მხრისთვის სასარგებლო". თუმცა წერილის მომდევნო ნაწილში აღიარებს, რომ XIX ს. რეფორმამდელ ხანაში საქართველოში რუსეთის მსგავსი ბატონყმობა არსებობდა, ოღონდ ის აქ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების გავლენის ნაყოფად მიაჩნდა.

დ. გურიანაშვილი თ. ეორდანიას ზემოთ აღნიშნულ გამოკვლევას უარყოფითად აფასებს: მას სურს ქართულ ბატონყმობაში სრული მარმნობა დანახოს და კლასთა ბრძოლა მიჩქმალოს. მისი გამოკვლევა დღევანდელი თვალსაზრისით არავითარ ღირებულებას არ შეიცავს — წერს იგი.

თედო ეორდანიას მცდელობა დაამტკიცოს, რომ საქართველოში ისტორიულად ბატონობა და ყმობა შორის „მამაშვილური" ურთიერთობა არსებობდა, განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ასეთი „თეორია" ხელს შეიწყობდა ქართველი საზოგადოების კონსოლიდაციას.

„თეორია" ქართული ბატონყმობის „მამაშვილური" ურთიერთობის შესახებ არ იყო მხოლოდ თ. ეორდანიასეული. XIX ს. 80-იან წლებში ქართველმა მოღვაწეებმა წამოაყენეს დებულება, რომ ჩვენი ეროვნული ვინაობის დაკვანისათვის აუცილებელია ყველა მიმართულების გაერთიანება, რომ ყველას ვალი, წოდებათა მიუხედავად, ერთი დროშის ქვეშ დარაზმვა. ასეთი იდეა ხშირად დაბადებული სხვა ერებშიც, როცა მათ გარეშე ძალა ეშურებოდათ.

რიდეხანაც ილია ჭავჭავაძემ საზოგადოებრივ კლასებს მოუწოდა „საერთო ნიადაგზე" თანამშრომლობისაკენ, მას მხარი დაუჭირეს დიდმა ავტორიტეტებმა — აკაკიმ და იაკობ გოგებაშვილმა. საერთო ნიადაგზე თანამშრომლობის შესაძლებლობა რომ უფრო რეალური გაეხადა, ზოგიერთმა მწერალმა, პუბლიცისტმა, დაიწყო მტკიცება საქართველოში წოდებათა ბრძოლა არსებოდეს ყოფილა და მათ შორის მუდამ მამაშვილური დამოკიდებულება არსებობდაო.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა წოდებათა შორის „მამაშვილური" დამოკიდებულების თეორიის მავნე ხასიათზე და იგი წერდა: „ბევრს ბჭობია რომ ეს ვითომდა და ჩვენი ისტორიის თვისება ჩვენი განსაკუთრებული ხათრიბისა და ნიჭის დამაბეკეცებელი იყოს. ის კი არ იციან, რომ ევროპელ მეცნიერებს სწორად ამ წოდებათა შორის ბრძოლით მოაქვს თავი. ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ინდოევროპელთა ერებს შესწევთ იმდენი ნიჭი და საზოგადოებრივი ცხოვრების უნარი, რომ სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად წოდებრივი ბრძოლით ცხარეულნაო".

შემდეგ კი ივ. ჯავახიშვილი დასძენს: „როგორც ვხედავთ, დიდად ხაკვირარი არ ყოფილა ეს ვითომდა ქართველების თვისება, მამაშვილური განწყობილება წოდებათა შორის.

მართალია, თ. ეორდანიას ზოგადად მცდარად აქვს შეფასებული ბატონყმობის არსი, მაგრამ იგი იძულებულია, მეცნიერული ანგარიშნი გაფენოს რეალობას და მართებული დასკვნები გააკეთოს. ჩვენის აზრით, ნაშრომი „მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე" მდიდარია ხაბუთებით, დოკუმენტური მასალით, მათი ლოგიკური ანალიზით. ეს ნაშრომი ეფუძნება ეორდანიასთვის, როგორც ისტორიოსნისა და პუბლიცისტისათვის, საერთოდ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ამიტომაც მისი ნაშრომები უმეტეს შემთხვევაში ნდობასა და მხარდაჭერას იმსახურებს. თ. ეორდანიას მოცემულ წერილშიც მრავალი მართებული აზრია გამოთქმული, რომლებიც გარკვეული კორექტივებით დღესაც მისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება სამეცნიერო ლიტერატურაში, რის ჩვენებასაც ქვემოთ შეეცდებიმი.

თ. ეორდანია სიგელ-გუჯრების, თავის „ქრონიკებში" გამოქვეყნებული სიბუნების და ჭარბოული სამრეთლის ძეგლების განმხილველ ხაუკუნელზე არკვევს გლეხთა კატეგორიებს, მათ გადასახადებს, ჩონებასა და უფლებებს.

თავდაპირველ ეგნიდან ალვნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არის ელეხთა ელასის წოდებასთან, კატეგორიებთან და მათ ფუნქციებთან დაკავშირებით. ჩვენ შეეხებით ამ განსხვავებებს იმდენად, რამდენადაც ისინი კავშირში არიან თ. ეორდანიას ნააზრევთან.

თ. ეორდანია მწარმოებელ კლასს ორ წოდებად ყოფს, „ეგლი" და „ეგლები". იგი მათ ერთმანეთისაგან ასხვავებს ეკონომიკურ-უფლებრივი მდგომარეობით. ამგვარი ნიშნით დაყოფა ეგლეხთა წოდებისა ანსოლუტურად მიღებულია სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ როდესაც თ. ეორდანია წერს, რომ „ეგლები" თავისუფალი მწარმოებელია, ეს უკვე არასწორია. მას შემდეგ, რაც საკარისელოში დამოკიდებ ფეოდალურობაკის პროცესი და ეგლეხი უკვე მიწაზე მიმაგრდა, მან ეკონომიკური და პირადი თავისუფლება დაკარგა, თანაც „ეგლები" მწარმოებელი კლასის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად გადაიქცა. თ. ეორდანია „ეგლებში" რამდენიმე კატეგორიას გამოაყოფს და შემდეგნაირად განმარტავს:

1. „მსახური — (ქალი ან კაცი) რომელსაც ბატონი თითო სოფლიდან თითოს გამოიყენებს. მისი მთელი ოჯახი ბატონი. იგი სასახლო პირია ბატონის სახლში.

„მსახურის"[1] განსაზღვრებასთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრებაა, საყოველთაოდ გაზიარებული კი არც ერთი: ა) მსახური გარდამავალი საზოგადოებრივი ფენა ეგლეხებს, და აზნაურს შორის (ნ. ურბნელი, ნ. ბერძენიშვილი, გ. ლორთქიფანიძე, მ. ბერძენიშვილი) ბ) მსახური გამაკონტროლო კლასს ეკუთვნის (ბ. რაფანი) გ) მსახური გლეხთა მაღალი კატეგორიაა (ალ. ხახანაშვილი, დ. გვრიტიშვილი, ნ. ზოშიაშვილი, დ. მეგრელაძე, გ. სანაძე). ეს ბოლო განსაზღვრება ეეთხვეა თ. ეორდანიას შეხედულებას. დ. გვრიტიშვილი მსახურზე წერს: „იგი უმეტესია ეგლეხთა კატეგორიაში თავსდება, მაგრამ მისი ბოგალეობა შედარებით სპეციალია და ამიტომ მდგომარეობით განსხვავდება. მსახურთა კატეგორია შეესებას ღებულობდა თარხან ეგლეხებისაგან დ. ა. შ.

2. აზატი და თარხანი — გადასახადებისაგან თავისუფალი ეგლეხი, მას ბრალოდ ბატონთ სამსახურთი და ლაშქრობა-ნადირობა აკისრია.

ნაწილი მეცნიერებისა აზატს, ანუ თარხანს აკლავ კატეგორიად მიიჩნევს (დ. გვრიტიშვილი, გ. ალოფაშვილი, ო. სოსელია, მ. ხანაძე), ნაწილი კი მსახურთან აიგივებს (გ. ჯაბანური ლ. ახალიანი, მ. ფუსელიშვილი): მაგრამ ორივე შემთხვევაში ძირითადი დანასიათება ეს შემდეგნაირია: სამბატონო გადასახადებისგან მთლიანად ან ნაწილობრივ „თავისუფალი"; სამბატონო სამსახური და ლაშქრობა-ნადირობა[2].

3. ბიზანი და ბიეანი — მათ საკომლო არ გააჩნიათ, ამიტომ საქვეყანო გამაბალებელ ბეგებისაგან თავისუფალი არიან, იმდიან ეიალას (ან ბეგარას) ან სამბატონო მიწებიდან, რომელსაც ხნავენ ხაკალნიდ.

შემდეგ ცალკე განმარტავს — ბიზანი დროებითი მოსახლეა, ხტეგარი (გამაკეცული), რომელიც მუდამ უკან დაბრუნების ფიქრშია. გამაკეცულს მიზეზად ასახელებს: ბიმშოლობას, ტეტრია შემოსეეას, ეიოიანობას.

ხულხან-ხაბა ირბელიანი განმარტავს: ბოგანო — „უბეგარაკო ეგლეხი". ბიზანი ხალეალიტერატურაში ასეა დანასიათებული — ერთი ბატონისაგან მეორესთან გაკეცული ეგლეხი. ბატონის მიწაზე ზის და ეალას უხდის. იგი ყოველდეე უკან ნაუვანას მოელის და ამიტომ ინტენსიურ მეურნეობას ვერ ბიმიდეს.

თ. ეორდანიას „ყმა"-ში ორი კატეგორია აკეთს გამოყოფილი:

1. „მკვიდრი ყმა" — თავადის მამულზე ზის მეგზეიდრეობით იმდის ბეგაოან, მაგ. არ შეუძლიაო უბატონოდ მიწიდან ალეა. მისი ქონება ბატონისაა. არის ხასეიანი ხალიანეკ ხნავს, რომ მას თავისი შრომით მოგებული საკუთრებაკ აქვს. მაგრამ, ჩვეულებრივ, რაც გააჩნია, ბატონისაგან აქვს მოეებული. ამიტომაკ ოჯახ ყმას ბატონი ბაეიდის, გააჩუქებს, ეიელში მიჩაცემს.

ეხანიო როგორ ადასიათებს „მკვიდრს" დ. გვრიტიშვილი.

„მკვიდრ" — ფეოდალის ყმათა ხაერთო რაოდენობის ძირითადი ფონდი. თაობიდან თაობაზე „ბატონის მიწაზე" იქდა. მკვიდრი ყმისა და ფეოდალის ურთიერთობა ხაუკუნეთა განმავლობაში ვანიხაზღვრებოდა ე.წ. „ბატონყმობის რიგით". მაგრამ მას შემდეგ რაც წარმოიქმნა ხალეაგდოთა სისტემა, მწარმოებელი კლასის მდგომარეობა ძლიერ დაძაბოდა. დაიწყო ყმის გაეიდვა ბატონისათვის სასურველი ფორმით.

„ნაყიდი ყმა" — ყველაზე დაბალი წოდება. მისი მდგომარეობა თითქმის უუფლებოა. ბატონი მას სპეციალის მიხედვით მოქცევს.

გ. ჯაბანური განსაზღვრებით „ნასყიდი ყმა" ეწოდება ეგლეხს, რომელიც უმამულოდ გაეიდეს. თუმცა მას მეგზეარენ ზზრაილ ისეე ბიზანს ხვამს. ბატონს შეუძლია იგი ნებისმიერ დროს გაეიდოს. ნასყიდი ალბანოდ ალ ბატონეულობა ყველაზე უუფლებო ეგლეხა.

[1]. დ. გვრიტიშვილი — ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ტ. II, 1965 წ. გვ. 62-63.

[2]. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.IV 1973 წ. გვ. 191.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ყორდანია ცალკე ახახლიებს სამურზაყანოსა და აფაზეთის გლეხობას. იგი აქ ორ კატეგორიას გამოყოფს: „ფელ-მამრრე“, რომელიც მისი განმარტებით გამომდინარე, „ქვედრ ყმაო“ უტოლდება და „ფეიოში“. „ფეიოში“ — თვისუფალ გლეხობას წარმოადგენს და დიდი უპირატესობით სარგებლობს. მას ბატონი კარგად თუ არ მოექცეოდა, შეეძლო მიხვედ წასულიყო. იგი ახრულებდა ბატონისთვის მრავალ სამუშაოს (თოხნა, ხვნა,...), მაგრამ ეს ძალდაუტანებლად ხდებოდა. მას საკუთარი მიწაც და საკმაო ქონებაც ჰქონდა.

სპეციალურ ლიტერატურაში „ფეიოში“ განმარტებულია შემდეგნაირად: „ანბაიე“ (აფაზეთში) ანუ „ფეიოში“ (სამურზაყანოში“), — XVI-XVII ს. ძირითადად პირადად თავისუფალი მწარმოებელია, მაგრამ ფეოდალურ ურთიერთობათაგან თავისუფალი არაა. ის ფეოდალის მიწაზე ზის (ზოგჯერ საკუთარი — ნასყიდი მიწაც აქვს) და აქედან გამომდინარე, ვალდებულებანიც აკისრია. მას ფეოდალისაგან წასვლის უფლება აქვს, თუმცა ბატონის წინააღმდეგობას აწყდება.

თ. ყორდანია გლეხის მფლობელობას ახე განსაზღვრავს:

გლეხი ზის ხაკომლიზე. მის სრულ სამეურნეო ერთეულს სრული ხაკომლი წარმოადგენს. ხაკომლო შედგება: ხამოსახლო მიწა (ხახლიაზ-ბოსლიანი, სხვადასხვა საგლეხო შენობებით მოწყობილი), ვენახი, ხამოსტნე, ჭალა. გლეხი ხაერთო (ე. ი. ხათემო — კ. ნ.) მიწებიდან ხარგებლობს წყლით, ტყით, ხაძოვრებით. წილი უდევს ხასაფლაოში, ეკლესიაში, წიმკვილში. ხაკომლო ხსვადასხვა ზომისაა. მაგ. ქართველი ჭი-80 დღიურს ბერენ. გლეხს აგრეთვე აქვს ნასყიდი მიწები, რომლის სრული ბატონ-პატრონია. ზასყიდი მიწის სიდიდე განსაზღვრული არაა.

გლეხის სამეურნეო ერთეულის ყორდანიეული განსაზღვრება ძირითადად სწორია და თანამედროვე განსაზღვრებას ემთხვევა. აგრეთვე ხაინტერესო დაკვირვებაა. აქვს ხაგლეხო გადასახადებთან დაკავშირებით. მაგალითად, იგი აღნიშნავს — მართალია გლეხს ხაერთო ჯამში მრავალი გადასახადი ეკისრა, მაგრამ მალისა და ლაშქარ-ნადირობის ზემოთ გადახადები განაწილებული იყო ამა თუ იმ გლეხზე. ასეთივე აზრია გამოთქმული თანამედროვე სპეციალიტერატურაში.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მასალიდან დავინახეთ, რომ თ. ყორდანია არსებითად სწორად მსჯელობს გლეხთა კლასის შესახებ. ამიტომაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოს თ. ყორდანიას ჩვენს მიერ განხილული ნაშრომი არავითარ მეცნიერულ ღირებულებას არ შეიცავს. გასაგებია, რომ დღეკანდელ ისტორიოგრაფიაში მრავალი გამოკვლევა თუ მონოგრაფია არის დაწერილი ბატონყმობის, კერძოდ, გლეხთა კლასის, კატეგორიების, მისი ეტაპობრივი და ეკონომიკური განვითარების შესახებ. „ვალ-ცალკეე“ შესწავლილი XV-XVII ს. კახეთის, ქართლის, დასავლეთ საქართველოს გლეხთა ისტორიები. მაგრამ უნდა გავიფვალისწინოთ ის ყამრი, რაც იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა, კერძოდ კი სოციალური ისტორიის კვლევაში და მაშინ ამ წერილის სრული უგულებელყოფის უსაფუძვლობაში დავრწმუნდებით.

---

[1] ნარკვევები ტ. IV. გვ. 199.

[2] „ახალი ქართული“ 1915 წ. ოკტომ. ნაშრომი №33.

[3] იხილეთ —ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან (ავტორები. დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია), თბილისი, 1967 წ. გვ. 24. 90-94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯორჯ სოროსი

საბჭოთა სისტემა: თავისუფალი საზოგადოებისკენ

აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს, რომელთა მისწრაფებასაც მხარს ვუჭერდი.

შესავალი

ამჟამად კაცობრიობას გადამწყვეტი, მისი ისტორიის შემობრუნების ხანა უდგას. მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რომ შეიქმნა, მთლიანად უნდა გადაკეთდეს. კომუნისტურმა დოგმამ დაკარგა ძალაუფლება ადამიანებზე. ამ დოგმაზე აგებული საბჭოთა იმპერია იშლება. პროცესი, ათეულობით წლის განმავლობაში სიჩქარეს რომ ანვითარებდა, იმდენად დაჩქარდა, რომ რევოლუცია შეგვიძლია ვუწოდოთ. მოვლენები ისე სწრაფად იცვლება, რომ თვალს ვერ მიადევნებ. ჩვენს თვალწინ იცვლება აღმოსავლეთ გერმანია, მას არ ჩამოშორებიან ბულგარეთი და ჩეხოსლოვაკია. სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპაში ბოლო მიეცა კომუნისტურ სისტემას. ახლა თვით საბჭოთა კავშირის ბედი წყდება. ის, თუ როგორ გადაწყდება ეს საკითხი, მთელი მსოფლიოს მომავალ პოლიტიკურ იერზე იმოქმედებს.

ამ ვითარების ორი დაბოლოება არსებობს: ან საბჭოთა კავშირი გახდება თავისუფალი სამყაროს ნაწილი, ანდა იგი განაგრძობს დაშლას. ჩემი ფიქრით, ეს უახლოესი დროის ამბავია. ხომ არ შეიძლება პროცესები უსაშველოდ გაგრძელდეს, ამიტომაც, ალბათ, უახლოეს თვეებში უფრო მეტი რამ მოხდება, ვიდრე მომავალ წლებსა და ათწლეულებში.

ისტორიას ახსოვს ასეთი მომენტები. ერთი იყო 1945 წელი, მეორე — 1919. მაგრამ ყველაზე თვალნათლივი პარალელი 1848 წელთან გაიკლება, ვინაიდან მაშინ უკანასკნელად რევოლუციურმა ციებ-ცხელებამ ერთად გაათანგა მრავალი ქვეყანა და ხალხის უშუალო ნებამ განსაზღვრა ხელისუფლების ხასიათი. კიდევ ერთი მსგავსებაა 1848 წელთან: მაშინაც და ახლაც ხალხის ნებასურვილი ეროვნული საკითხის კონტექსტში ვლინდება. მაგრამ სხვადასხვა ეროვნული მდინარება ერთ საერთო კალაპოტში ტბორდება იმ მისწრაფებით, რომ გათავისუფლდეს ხელისუფლების ტანჯვა-ჩაგრისაგან. ეს ეროვნული მოძრაობის საერთო თვისება — ის მეგობრობის კავშირითაა შედეუღაბებული.

ძველი სისტემის განადგურება, ასე თუ ისე, გადაწყვეტილი საკითხია. შეიცვლება ძველი სტრუქტურები ახლით, რათა სხვადასხვა ეროვნებამ მშვიდობით იცხოვროს, როგორც კეთილმა მეზობლებმა ერთ მიწაზე? ან შესაძლოა, ქვეყნის დაშლა მანამდე გაგრძელდეს, სანამ სამოქალაქო ომში არ გადაიზრდება?

სამწუხაროდ, თუ ეს პროცესი ყველაზე ნაკლები წინააღმდეგობის გზით გაგრძელდება, ჩემი ვარაუდი სავსებით შესაძლებელია გამართლდეს. ახალი სისტემის შესაქმნელად დრო და ძალაა საჭირო, მტკიცედ ჰჯრა, დასავლეთის დახმარება გადასწევს სასწორის პინას კონსტრუქციული გადაწყვეტილებისკენ. ამ რწმენით ვხელმძღვანელობდი ჩემს საქმიანობაში და ამის ჩვენება მწადია ამ წიგნში. ჩემი მონაწილეობის ხარისხი იმ ისტორიულ პროცესში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელზეც ვლაპარაკობ, მისი ზრდის კვალობაზე გაიზარდა. მორიდებულად დავიწყე გამომეჩიჩქნა პატარა ბზარები კომუნისტური სისტემის მონოლითურ კედლებში, მჯერდა, რომ ჩამორჩენილი სისტემისათვის პატარა ბზარიც კი გამანადგურებელი იქნებოდა. იმის შესაბამისად, როგორ ღრმავდებოდა ბზარები, ეზიანებოდა მონოლითს ბოლომდე გასდევდა, მეტი მონდომებით ვეჭიდებოდი, ვიდრე ეს სამუშაო ჩემი დროისა და მცდელობის უმეტეს ნაწილს წამართმევდა.

სულ აკამომდე პროცესის მონაწილეს რეალურ არ მაძლევდეს იმის საშუალებას, სახალხოდ გამომეთქვა ჩემი შეხედულებები, ვინაიდან მონაწილისა და მეთვალყურის როლები ურთიერთსაწინააღმდეგო [illegible] ერთ ადამიანში. [illegible] ერთ ადამიანში. გარეგანად ეს მაკავდნა, რომ კომუნისტური ღიგების დამლის სისწრაფე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა იყო და ეს შეხედულებები, რომელთა გამოთქმა უკვე შეიძლებოდა ერთ ქვეყანაში, მეორეს-თვის ხაადრევად მეჩვენებოდა. ეს მეზღუდავდა, ძნელად ეფლეთვანეულად გაკრა ამ ბედდგ, რაც ტიანანმინის მოედანზე ტრაგიკული მოვლენების შერე მომიხდა ჩემი ჩინური ფონდის, ჩინეთში ბეჭედის გულახდილობისა და რეფორმის ფონდის საქმიანობის შეჩერება.

შინაგანი კონფლიქტი უფრო მდგრადია. როგორც მონაწილე მართლაც იღმაფერენოა და იმეფით ვიყავი ალსავსე. არსებობდა საქმიანობის არე და ყველაფერი საუცხოოდ გამომდიოდა, რასაც ვიქმოდი. მაგრამ როგორც მეთვალყურე, უფრო და უფრო ეჭსემისტი ვხდებოდი, რადგანაც გარდაქმნას ხელშესახები ბედეგი არ ეროქვეა. მეშინოდა, ჩემი უიმედობა რომ გავამყლავნო, ვაითუ ამან ჩემს მონაწილის საქმიანობას ხელი შეეკაროს-მეთქი. ამიტომაც ვიმალობინებდი, ჩემი, როგორც ფინანსური ანალიტიკოსის, ბედეგი.

ეს კონფლიქტი აიმოსავლეთ გერმანიის, ბერლინის ეტაპზე გადაწყვეტა. მე, როგორც მეთვალყურე, მივხვდი, რომ ამ მოვლენებს ბოლო უნდა მოიგებოდა და, თუ დასავლეთი რადიკალურად არ შეცვლიდა თავის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, მალე მოვლენები საბჭოთა კავშირში ძალიან ცუდად განვითარდებოდა. საკმაო სიზუსტით მივუთითებდი მომავალ უსიამოვნებათა წყაროს: ეს იქნება ბალტიისპირეთი და ყველაფერი ადგილობრივი სავალუტო საკითხის ირგვლივ სტუნაკები. ჩემთვის ისევე ნათელი გახდა, რომ ის ღონისძიებები, რომლებიც შემეძლო მიმეღო, იმ მიზნით, რათა გავლენა მომეხდინა დასავლეთის პოლიტიკაზე, საგრძნობად გადასულიყო. ფაქტობრივად დაკავშირებული ჩემი საქმიანობის მნიშვნელობა. ამგვარად, ჩემს ორი ინოსტატეს ერთად ოქცა და გადაეწყვიტე, რომ არა მარტო შეიძლება, არამედ აუცილებელია საკუთარი შეხედულებები გამომეთქვა. ამის გამო გადაეწყვიტე ამ წიგნის დაწერა.

ეს უნდა იყოს „მომეტლეტერი" წიგნი, ვინაიდან არა მაქვს მისი წერის დრო. მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ წიგნი ძალიან მალე დაკარგავს აქტუალობას. ამასთან ჩემი ფონდების საქმიანობასთან დაკავშირებით — ეგვიპტეში, პოლონეთსა და საბჭოთა კავშირში (უკრაინის, ეესტონეთისა და ლიტვის დამოუკიდებელი ფილიალებითურთ), რომ არაფერი ვთქვათ უკვე ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთზე, ჩემი მცდელობით, გაკლენა ვიქონიო დასავლეთის პოლიტიკაზე, ისე ვარ დაკავებული, რომ ლიტერატურულ შრომისათვის დრო სულ არ მრჩება. ამის გამო ერთდროულად ვწერენ და ვმოქმედებდ.

არც თუ მთლად შეუძლებელი ამბავია, როგორც ეეიძლება მოგვეჩვენოს. წერა მოქმედებას ნიშნავს, ვიღიარებთ ამბის თუ არა, და, შესაძლოა, საქმისათვის უკეთესია კი იყოს, რომ მონაწილეა ვარ და მეთვალყურეც, არ უნდა შეექმნას ხელოვნური განსხვავება როლებს შორის.

მთელი ჩემი მოწიფული ცხოვრება იმის ფიქრში გავატარე, რა ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდათ მეთვალყურესა და მონაწილეს, და მე ვსწავლობდი მათ სხვადასხვა კონტექსტში. ამის შედეგად ჩამომიყალიბდა ერთგვარი ფილოსოფია, რომლითაც ვხელმძღვანელობდი ჯერ როგორც ფინანსისტი, მერე კი ისტორიის მონაწილე.

ჩემი მთავარი ინტერესი თვით ისტორიული ვითარებაა. ფილოსოფია მეორე ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს. ეს კარგია როგორც ჩემოვის, ისე ჩემი მკითხველებისათვისაც. ვერ ჩავეფლობი აბსტრაქციაში. მაინც ფილოსოფია გადამწყვეტ როლს შეასრულებს ჩემ არგუმენტაციაში. ფილოსოფია მთავარი იქნება არა მარტო ჩემი განმარტებებისა და წინასწარმეტყველებისათვის, არამედ პოლიტიკისათვისაც, რომლის პროპაგანდას ვაპირებ.

საგულისხმოა, რომ თეორიული სქემა, რომელიც მჭირდება თანამედროვე ისტორიული სიტუაციის რაღაც პერსპექტივაში მოსათავსებლად, ემთხვევა იმ კონსტრუქციას, რომელიც „ცნობიერების ტვირთში“ შემოგთავაზეთ. ვეცადე დამეპირისპირებინა ორი სოციალური სისტემა — თავისუფალი და დაზუქული საზოგადოებები. ვამტკიცებდი, თითოეულ სოციალურ სისტემას თავისებური ტიპის აზროვნება შეესაბამება-მეთქი. აზროვნების კრიტიკული ტიპი თავისუფალ საზოგადოებას შეეფერება, ხოლო ტრადიციული (ან დოგმატური) დაზუქულ საზოგადოებას ესადაგება, თითოეული სოციალურ სისტემას აკლია სრულყოფილება, თითოეულს რაღაც აკლია — რაღაც, რომელსაც მარტოოდენ საპირისპირო სისტემაში ვიპოვით. ამგვარად, ნამდვილად რთული არჩევანია სოციალური ორგანიზაციის ორ პრინციპს შორის. ამჟამად ისტორიის განსაკუთრებული მომენტი, არჩევნის მომენტია. მასზე, რა არჩევანს გავაკეთებთ, ბევრად იქნება დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი.

1989 წლის 24 ნოემბერი

ჩემი მოლაყბილეობა

ვიდრე თეორიულ სისტემას გადმოვცემდე, ჯობდა უნდა ავიხსნათ ჩემი საქმიანობა, ვერ მოგცემთ ყველა წვრილმანის ისტორიული სიზუსტის გარანტიას, განსაკუთრებით თარიღებისა, ვინაიდან განზრახ არ ვიწერდი არაცერს, წერილობით არ აღენიშნავდი მოვლენებს. უფრო ის მაინტერესებდა, რასაც ვიქმოდი, ვიდრე იმის ჭვრეტა, როგორ ვაკეთებდი ამას. ვიგრძენი, რომ ხიფანგი მქონდა დადებული და შეეცალდე გავსხლტომოდი. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც მაქვს საშინელი მეხსიერება. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მუდამ წინ ვიცქირებოდე და არა უკან.

ქველმოქმედებას ამ ათიოდე წლის უკან მივყავი ხელი. მაშინ ერთი საერთაშორისო საინვესტიციო ფონდის წარმატებული მენეჯერი ვიყავი და უფრო მეტ ფულს ვმოულობდი, ვიდრე მისი დახარჯვა შემეძლო. და მე დავიწყე ფიქრი, რა მიქნა ამ ფულისთვის. მომწონდა ფონდის დაარსების აზრი, რადგან ყოველთვის ასე მეგონა, თუკი ამის საშუალება მექნებოდა, აუცილებლად გამეკეთებინა რაიმე სხვისთვის. ურაკეკ, ეგოისტი ვიყავი, მაგრამ, ჩემი აზრით, მხოლოდ საკუთარი ინტერესები ძალიან ცოტა იყო ჩემი საკმაოდ გაბერილი „მე“-სთვის. მართალი გითხრათ, ბავშვობიდანვე რაღაც მესიანური ფანტაზია მთრგუნავდა. მესმოდა, ბოლომდე არ უნდა დავყოლოდი, თორემ საგიჟეთში ამოვყოფდი თავს. მაგრამ როცა მაგრად დავდექი ფეხზე, მომიდა, ფინანსური შესაძლებლობის კვალობაზე ჩემი თავისთვის მესიანოდენებინა და ზოგიერთი ეს ფანტაზია განმეხორციელებინა.

მაგრამ თავდაღნე სიძნელეებს გადავეყარე. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ვცდილობდი, რომელიმე კეთილშობილი საქმისათვის მომეკიდა ხელი, რომელზედაც ღირდა ფულის დახარჯვა, უცებ გავიცნობიერე, რომ არც ერთ თემს არ ვეკუთვნოდი. უნგრელ ებრაელად დავრჩი, ამერიკელი ვერ გავხდი. რაც შეეხება უნგრეთს, იქიდან დიდი ხანია წავედი. ჩემი ებრაული წარმოშობა, უბრალოდ, ჩემთვის ებრაული წარმოშობა იყო, ვერ ვუერთგულე მოდგმას, გული არ მიმიწევდა დაეხმარებოდი ისრაელს. პირიქით, ვამაყობდი, რომ ეროვნულ უმცირესობას ვეკუთნოდი, აუტსაიდერი ვიყავი, და შემეძლო სხვა თვალსაზრისზე დავმდგარიყავი. კრიტიკულად აზროვნების უნარი ერთადერთი დადებითი მხარე იყო ჩემ საშიშ უნგრელი ებრაელის დამამცირებელ ყოფაში მეორე მსოფლიო ომის დროს. მივხვდი, რომ მთელი სულით და გულით მხარს ვუჭერ თავისუფალი საზოგადოების კონცეფციას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიც ადამიანები ჩემსავით თავისუფლად იცხოვრებენ, არ იძენენ ან შეურაცხყოფილნი ან უსამართლოდ დევნილნი. ამის კვალობაზე ჩემ საქმეს თავისუფალი საზოგადოების ფონდი ვეწოდე. ამ ფონდს შემდეგი მიზნები აქვს: ეხარი დაუჭიროს თავისუფალი საზოგადოებების სიცოცხლისუნარიანობასა და სტაბილობას, დაეხმაროს დაბშული საზოგადოებების გათავისუფლებას.

საკმაოდ სეპტიკურად ვიყავი განწყობილი ქველმოქმედებითი საქმიანობისადმი. იმ დროს, ღარიბი სტუდენტი რომ ვიყავი ლონდონში, ჩემთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. მაშინ მზრუნველობა ებრაულ საბჭოს მივმართე თხოვნით, მოეცათ ფულადი დახმარება, მაგრამ მათ უარი მითხრეს, ამიხსნეს, მხოლოდ მათ ვეხმარებით, ვინც რაიმე ხელობა იცის, სტუდენტები კი ამ კატეგორიას არ ეკუთვნიანო. ერთხელ შობის დღეებში მებარგულად ვმუშაობდი ეიგზალში და ფეხი მოვიტეხე. ვიფიქრე, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ამ ნაძირალებმა ფული უნდა მომცენ-მეთქი. მივედი მათთან და ტყუილები დავაბარხე. ვუთხარი, არალეგალურად ვმუშაობდი, როცა ფეხი მოვიტეხე, ამიტომ არა მაქვს უფლება, სახელმწიფო შესაწევრით ვისარგებლო-მეთქი. ამჯერად არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ და უარი ვერ მითხრეს, მაგრამ კარგა მაგრად მაწვალეს. ყოველ კვირას ავდიოდი ყავარჯნებით მესამე სართულზე ფულის მისაღებად. იმ ხანებში ერთი ჩემი მეგობარიც ილებდა მათგან ფულად დახმარებას. იგი მათ ატყუებდა, თითქოს რაღაც ხელობის შესწავლას აპირებდა. მაგრამ გამუდმებით კარგავდა სამუშაოს. რამდენიმე ხნის მერე მათ უარი მითხრეს დახმარების მოცემაზე. მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარეს გულისამაჩუყებელი წერილი გავუგზავნე, რომელშიც ვწერდი, რომ, რა თქმა უნდა, შიმშილით არ მოკვდებოდი, მაგრამ მწყინს, რომ ებრაელები ასე ეპყრობიან თავიანთ გაუბედურებულ მოყვასს-მეთქი. თავმჯდომარე დამპირდა, რომ ყოველ კვირაში გამომიგზავნიდნენ დახმარებას ფოსტით და მათთან მისასვლელი ღარაფერი მჭირდა. თავაზიანი თანხმობა ვუთხარი, ფეხზე თაბაშირი მომხსნეს, ავტომანქანით სამხრეთ საფრანგეთში ამოვყავი თავი, მაგრამ საბჭოს ფულზე უარი მაინც არ მითქვამს.

ბევრი რამ განმაცდევინა ჩემი ცხოვრების ამ ეპიზოდმა, და როცა საკუთარი ფონდი დავაარსე, ეს გამოცდილება დიდად დამეხმარა. მაშინ მიეხვეი, რომ მთხოვნელების ამოცანა, ფონდიდან ფულის წაღება, ხოლო ფონდისა — არ მისცეს ეს ფული მას. ებრაელების მზრუნველთა საბჭოს ყველაფერი გამოიძია, მაგრამ ის გამორჩა, რომ სახელმწიფო დახმარების სამმართველოდანაც ვიღებდი ფულს. სწორედ ამის გამო დავატეხე ჩემ წერილში თავმჯდომარეს ასეთი მორალური წყველა-კრულება, თუმცა ნამდვილად ვტყუოდი. იმასაც მიეხვდი, რომ ქველმოქმედებას, ისევე, როგორც ყველა დანარჩენ ადამიანურ საქმეს, გაუთვალისწინებელი და უსიამო შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ქველმოქმედებასთან დაკავშირებული პარადოქსი ისაა, რომ იგი რეციპიენტებს, ჩემი მეგობრისა არ იყოს, ქველმოქმედების ობიექტებად აქცევს. ეს ორნანიად შეიძლება თავიდან აიცილოს კაცმა. ერთი გზაა უსაზღვროდ ბიუროკრატიზირება, როგორც ფორდის ფონდი, მეორე გზა — არავინ უწყოდეს შენი არსებობა, გასცეს სუბსიდიები და არავინ იცოდეს, როს ხარ ამქვეყნად, არ გამოაცხადო არავითარი კონკურსი, დარჩე ანონიმად. მე მეორე გზა ავირჩიე.

ქველმოქმედებითი საქმიანობა სამხრეთ აფრიკაში, ჰეიტაუნის უნივერსიტეტში დავიწყე. ორგანიზაციაც ავირჩიე, თავისუფალი საზოგადოების იდეას რომ ეხმიანებოდა. სტიპენდიები დავიწყეს შავკანიანი სტუდენტებისათვის. მაგრამ ამ პროექტმა ვერ გაიმართლა, ვინაიდან უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ჯერ აღმოჩნდა ისეი რადიკალური, როგორც იცხადებდა და ჩემი ფული უნივერსიტეტში მიღებულ სტუდენტებს მოვახმარე, ნაწილობრივ კი მისაღებ სტუდენტებს. ყოველ შემთხვევაში, ამას ზიანი არ მოუტანია.

იმჟამად ადამიანის უფლებების პრობლემაც მაწუხებდა, რაკი ჰელსინკის კავშირის დაცვის მეთვალყურეობა ჯგუფის სპონსორი და წევრი ვიყავი. ჩემმა ახლად დაარსებულმა თავისუფალი საზოგადოების ფონდმა სტიპენდიები დაუნაწილა ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოსავლეთ ევროპიდან გამოსულ სხვანაირად მოაზროვნე ინტელექტუალებს და სწორედ ამ

პროგრამამ მიბიძგა დამეარსებინა ფონდი უნგრეთში. მალე დადგა ჩვენს წინაშე კანდიდატების შერჩევის პრობლემა. იძულებული ვიყავით ზეპირ რეკომენდაციებს დავყრდნობოდით, რაც, რა თქმა უნდა, არ არის ყველაზე მართებული გზა. მაშინ გადავწყვიტე შემექმნა უნგრეთში შემრჩევი კომისია და დამეარსებინა ღია კონკურსი. მიეძართე უნგრეთის კონსულს ვაშინგტონში, რომელიც დაუკავშირდა თავის მთავრობას და, ჩემდა გასაოცებლად, თანხმობა მივიღე.

უნგრეთში მოსალაპარაკებლად როცა წავედი, ჩემს განკარგულებაში იყო სიიდუმლო იარაღი: თავისუფალი საზოგადოების ფონდის სტიპენდიანტებს დახმარება სწყენოდათ. მთავრობის მხრივ, ჩემი პარტნიორი მოლაპარაკებაზე ფერენც ბარტა იყო, მისი სპეციალობა საგარეო ეკონომია გახლდათ. იგი, როგორც ბიზნესმენ-ემიგრანტს, ისე მეპყრობოდა და ძალიან უნდოდა ჩემთვის ხელი გიმეძართა. მან უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიაში მიმიწვია და მალე დავდეთ ხელშეკრულება აკადემიასა და ნიუ-იორკში ახლად შექმნილ სოროსის ფონდს შორის (სასწალლოდაა „თავისუფალი საზოგადოების ფონდი“ ალბათ, სასურველ რეაქციას არ გამოიწვევდა). შეიქმნა ორმხრივი კომიტეტი, რომელსაც სათავეში ორი თანასთავმჯდომარე ჰაუდგა. ერთი მათგანი აკადემიის წარმომადგენელი იყო, მეორე — მე. კომიტეტი შევიდნენ დამოუკიდებლად მოაზროვნე უნგრელი ინტელექტუალები, რომელთა კანდიდატურები ორივე მხარემ მიიწონა. ორთავე მხარემ მიიღო იმის უფლება, ვეტო დაედო კომიტეტის ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე. უნდა შექმნილიყო აგრეთვე დამოუკიდებელი სამდივნო, რომელიც აკადემიის ეგიდით იმოქმედდა.

გამიმართლეს თანაშემწეებმა. ჩემს პირად წარმომადგენლად მიკლიეს ბასარეილა დავნიშნე, რომელიც იმრე ნადის მთავრობის პრემიერი იყო 1956 წლს და იმრე ნადისთან ერთად გასამართლეს. მაშინ იგი მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა ერთ-ერთ აკადემიურ ინსტიტუტში და, თუმცა, ოფიციალურად კომიტეტი შესცალა ან შეიძლო, ნება მისცეს ჩემი პირადი წარმადგენელი ყოფილიყო. იგი არაოფიციალური ოპოზიციის ერთ-ერთი უძველესი პოლიტიკური მოღვაწე იყო, ამავე დროს ამპარტი პატიეს სკემდა. ჩემთან გახლდათ აგრეთვე ძალიან კარგი იურისტი ლაიოშ დორიბაჩი, ჩვენი საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანი, ასევე სხვები, რომლებმაც ჩემზე კარგად უწყოდნენ ფონდის დანიშნულება.

ძალიან რთული მოლაპარაკება გვქონდა ხელშეკრულების მოწერამდეც და მოწერის შემდგომაც. მთხელეებმა იფიქრეს, საქმე ამერიკელ ძიასთან, ემიგრანტთან გვაქვს, რომელსაც სიკეთე უნდა მოეტანა თავისი ყოფილი ქვეყნისთვის; განსაკუთრებით კერკეტი კაკალი გამოდგა დამოუკიდებელი სამდივნოს საკითხი. ვერ შევთანხმდით. მოხელეებს უნდოდათ, კომიტეტს მიეღო გადაწყვეტილებები. სამდივნო ამ გადაწყვეტილებებს იწერდა და შესასრულებლად შესაბამის ინსტანციებს გადასცემდა. ეს შესაბამისი ინსტანციები, გასაგებია, შინაგანი უშიშროების სისტემის განუყოფელი ნაწილი იყო. საქმე როცა შეფერხდა, უნგრეთის არაოფიციალურ მეფეესთან და კადარის უახლოეს მრჩეველთან გეორგ ეკელთან ერთად ეს ეკითხა გადაწყვეტე. ვუთხარი: „ვერაფერზე შევთანხმდით, უნდა გავემზადარო“. მიპასუხა: „იმედი მაქვს, შეუფერებელი არ ლარჩენილხართ“. ვუთხარი, კი ვარ ნაწყენი, იმდენი თვე მოვანდომე ამაო მოლაპარაკებას-[illegible]. კარის ზღურბლზე ვიდექით, როცა მოულოდნელად მკითხა: „რა გნებავთ, რომ ფონდმა იმუშაოს?“ „დამოუკიდებელი სამდივნო“. „კარგი, მივიფიქრე, რითი დაგეხმაროთ“. ამის შემდეგ დავთმეთ: ნება მოგვცეს დამოუკიდებელი სამდივნო გვქონდეს, ყველა საბუთს აკადემიაც მოაწერდა ხელს და ჩვენი სამდივნოც.

აკადემიის კანდიდატს შეხვედრისას ვუთხარი: „იოლი სამუშაო არ გელით, ორ ბატონს უნდა ემსახუროთ“. „მარტო ორს?“ — გამაკა პასუხი. ეს პასუხი ისე აღვიქვი, თითქოს სიტყვა გადამიკრა, ენა უშიშროების სამსახურშიც უნდა მივიტანოო. და მაინც ჩვენ შორის კეთილი სამუშაო ურთიერთობა დამყარდა. ჩემს მიერ არჩეული სამდივნოს ერთი წევრი პოლიტიკური საქმიანობისთვის მოიხსნა. ოფიციალური მხარე მასი სამუშაოზე მოწყობის წინააღმდეგი იყო, ამას იმით ხსნიდა, „ლაჟა“ აკბიალი. მაგრამ მაინც მოგვცეს იმის უფლება, დროებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვეტოვებინა. ერთ წლის შემდეგ მან სამდივნოს წევრის ოფიციალური სტატუსი მიიღო და კარგად მუშაობდა.

ფონდმა ნოვატორული და დამოუკიდებელი პროექტების კონკურსი გამოაცხადა. ამასთანავე ვწყვეტდით დოლარების უნგრულ კოლუტაზე გადაცვლის საკითხს. შესაძლოა, ჩვენი ყველაზე წარმატებული პროგრამა საზოგადოებრივი ბიბლიოთეკებისა და აკადემიური ინსტიტუტების ფორინტებით ნაყიდი ჟურნალებისა იყო. მიღებული ფორინტები სუბსიდიებისთვის გამოვიყენეთ ქვეყნის შიგნით. დავაარსეთ სტიპენდიები მწერლებისა და მეცნიერებისთვის, მაგრამ რა სასაღლოა უნდა იყოს, ნება არ მოგვცეს გამოვიყო სუბსიდიები საზღვარგარეთ გასამგზავრებლად, ვინაიდან ეს სტიპენდიების ოფიციალური კომიტეტის მონაწილეა იყო, რომელსაც მკაცრად აკონტროლებდა უშიშროების სამსახური. განვაგრძობდი ფონდის მეშვეობით სტიპენდიების გაცემას და ამას არც ვმალავდი. ბოლოს და ბოლოს განათლების სამინისტრომ, სტიპენდიების განაწილებას რომ ადევნებდა თვალყურს, დათმო. გადავწყვიტეთ, განცხადებები ორ-ორ ცალად მოგვეღო და ჩვენი დამოუკიდებელი კომიტეტის: მიერ გაცემულ სტიპენდიებს ავტომატურად მოიწონებდა ოფიციალური კომიტეტი.

საბედნიეროდ, პარტიული პროპაგანდის აპარატმა უკრძალა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გაეშუქებინათ ფონდის საქმიანობა. მხოლოდ იმის ნება დაგვრთეს, განცხადებები გამოგვქვეყნებინა გაზეთებში და ჩვენი შეთანხმების შესაბამისად დაგვმეშვა ყოველწლიური ანგარიში. ამის შედეგად საზოგადოებრიობამ უცებ ვერ გაიგო ჩვენი არსებობა. წესად შემოვიღეთ მხარი დაგვეჭირა პრაქტიკულად ნებისმიერი სტიქიური, არასამთავრობო ინიციატივისათვის. ვაძლევდით სუბსიდიებს ექსპერიმენტულ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამოყვარულო თეატრალურ დასებს, ციტრაზე დაკვრის ასოციაციებს, ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მხატვრებსა და მხატვრულ გამოფენებს, აგრეთვე სხვადასხვა კულტურულ და კვლევით პროექტებს. ფონდის სახელწოდება ყველაზე მოულოდნელ ადგილებზე იჩენდა თავს. ფონდმა რაღაც მიიღო ხარისი შეიძინა იმის წყალობით, რომ მასზე ძალიან ცოტას წერდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. გარკვეული პოლიტიკური თვითშეგნების დადამიანებისათვის ფონდი სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ინსტრუმენტი გახდა, ფართო საზოგადოებისათვის კი იგი ციურ მანანად იქცა.

ჩვენ გულდასმით გავისიგრძეგანეთ ჩვენი საქმიანობა, რათა მთავრობის მოსაწონ პროგრამებს გადაეწონათ ის პროგრამები, რომელთაც შეეძლოთ იდეოლოგიის მოხელეთა ეშვი გამოეწვათ. ხელისუფლების დამოკიდებულება სხვადასხვანაირი იყო. ისინი, ვისაც ეკონომიკის პრობლემები აწუხებდათ, „ბომბრენი" იყვნენ, ვისაც კულტურისა — „წინააღმდეგი". სერიოზულ წინააღმდეგობას ძალიან იშვიათად ვაწყდებოდით. ასეთ შემთხვევებში უფრო ვინდომებდით. სიკეთის თესვა, ალბათ, ეფთილშობილი საქმეა, მაგრამ ბოროტებასთან ბრძოლა მომხიბლავიცაა და სამხიარულოც.

ერთი ასეთი კონფლიქტი 1987 წელს მოხდა. როგორც ეტყობოდა, თვით გენერალური მდივანნი კადარი გაჯავრდა, როცა ჩვენი განცხადება წაიკითხა ყოველკვირეულ გაზეთში, რომელიც რეგულარულად გვიბეჭდავდა ინფორმაციას ჩვენს სტიპენდიებზე. ეს გრანტი გამოყოფილი იყო ისტორიული გამოკვლევებისთვის, რომელიც კადარს არ მოეწონებოდა. გაზეთის აუკრძალეს ჩვენ საქმიანობაზე ინფორმაციის გაგრძელების გამოქვეყნება. გარდა ამისა, ისე მოხდა, რომ როდესაც კულტურის მინისტრმა გაგზავნა ცირკულარი, რომელიც უკრძალავდა სასწავლო დაწესებულებებს, სამინისტროსთვის ბეგრი აევლოთ და პირდაპირ მიემართათ ფონდისათვის, მე პროტესტი განვაცხადე ორივე ამ აქციის წინააღმდეგ და, როცა ჩემს პროტესტს ჯეროვანი რეაქცია არ მოჰყოლია, განვაცხადე, უნგრეთში არ ჩამოვალ და ფონდის საქმიანობას მანამდე შევაჩერებ, სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება-მეთქი. ამას 1987 წელს საბირჟო კრახიც დაერთო. უნგრეთის რადიოს კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამომართვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტელევიზორით და მკითხა, ფონდს რომ ხელი ვაქვს ხომ არ დაგიკარგავთო. ავუხსენი ამბავი, რატომ არ მივდიოდი უნგრეთში. ინტერვიუ რადიოთი გადაიცა და ხელისუფლება შეშფოთდა. რაც მინდოდა, იმას მივაღწიე და ახლა შემეძლო უნგრეთში ჩასვლა. მაგრამ ვიდრე პრემიერ-მინისტრს შევხვდებოდი, პროპაგანდის განყოფილების უფროსმა, ბატონმა ბერეკმა, პირდაპირ აკრძალა ჩემგან ინტერვიუ აეღოთ. აკრძალვა ერთი კვირის მერე დაირღვა, როდესაც უნგრეთის ტელევიზიამ კომუნისტური ეთიკეტის შესაბამისად უჩვენა მოსკოვის ტელევიზიის მიერ გადაღებული ჩემი გრომიკოსთან შეხვედრა კრემლში.

დროთა განმავლობაში ეჭვეთ გავიგეთ, რა იყო უფრო მნიშვნელოვანი და რა არა. მიკლომ ბასარელია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდულ პროგრამებს. ჩვენ მხარი დავუჭირეთ ზოგიერთ თვითმმართველობით კოლეჯს (სტუდენტური საერთო საცხოვრებლები, სადაც სტუდენტებმა შეიმუშავეს საკუთარი სასწავლო პროგრამები), მოგვიანებით მათგან წარმოდგა ახალგაზრდა დემოკრატების ასოციაცია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა დემოკრატიაზე გადასვლაში.

ჩემგან არ ეგების ფონდის სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის შეფასება. მხოლოდ სუბიექტურად შემიძლია ამის თაობაზე მსჯელობა. წარმატებამ ყველა იმედს გადააჭარბა. შეიქმნა ენერგიითა და გაბედულებით სავსე ორგანიზაცია, რომელიც შეუფერხებლად მუშაობდა. ორგანიზაციული პერიოდის შემდეგ მასზე დიდ დროს აღარ ვკარგავდი, თავისთავად მუშაობდა. ძალიან გვსიამოვნებდა გადაწყვეტილებების მიღება, რაკი ვიცოდით, რომ შესრულდებოდა. ჯდეგ მეტ სიამოვნებას გვანიჭებდა, როცა შემთხვევით გავიგებდით რაღაც კარგ საქმეებს, რასაც ფონდი უჩემოდ აკეთებდა. ერთხელ ბუდაპეშტიდან მოსკოვს გამომგზავრებული გზაში ერთ ზიოშას გამოველაპარაკე, ჩემ გვერდით იჯდა თვითმფრინავში. გამაოცა მისმა განათლებამ. ეთნოგრაფი აღმოჩნდა, ზიოშურ ხალხურ ცეკვებს რომ აგროვებდა. როდესაც ჩემი სახელი გაიგო, მითხრა, ამ მგზავრობას ფონდი აფინანსებსო. ხოლო მოსკოვში აეროპორტში ოციოდე უნგრელი ეკონომისტი ვნახე, რომლებიც ჩინეთში მიემგზავრებოდნენ სტაჟირებაზე, რასაც ფონდი აფინანსებდა. და ყოველივე ეს ერთ დღეს მოხდა.

უნგრეთის ფონდის წარმატებით აღფრთოვანებულმა გადაწყვიტე მომესინჯა, ხომ არ მომწყიდა ჩინეთი ასეთი ფონდისათვის. 1986 წელს მე შევხვდი ლიან ჰენგს, „რევოლუციის ვეფხვის" ავტორს, სწორედ მის ჩინეთში გამგზავრებამდე. მან კარგი კონტაქტები დაამყარა რეფორმატორებთან და ამის შედეგად თვრამეტმა ჩინელმა ეკონომისტმა მიიღო უნგრული ფონდის მიწვევა, სწვეოდნენ უნგრეთსა და იუგოსლავიას ამ ქვეყნებში რეფორმების შესწავლის მიზნით. ვიზიტი მეტისმეტად წარმატებული აღმოჩნდა, ვინაიდან კონტაქტები ოფიციალური არხებით არ მომდინარეობდა და ჩინელმა ეკონომისტებმა ძალიან კარგი წარმოდგენა მიიღეს, რა ხდებოდა სინამდვილეში. მე შევხვდი მათ უნგრეთში და ფონდის კონცეფცია განვიხილე ეკონომიკური რეფორმის ინსტიტუტის ხელმძღვანელთან ჩენ იძისთან. შემდეგ ჩინეთს გავემგზავრე ლიან ჰენგთან ერთად, რომელსაც ვთხოვე, ჩემი პირადი წარმომადგენელი ყოფილიყო და დავაარსე ფონდი უნგრული მოდელის მიხედვით. ჩენ იძის ინსტიტუტი ჩემი პარტნიორი გახდა. ბაო დუნმა, ჯაო ძიანის მთავარმა თანაშემწემ, სწრაფად მოაგვარა საქმის ბიუროკრატული მხარე და ფონდი მაშინვე დამტკიცდა.

მასაც და ფონდსაც ბევრი უსიამოვნება შეხვდა, რადგან მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა სეადეს ფონდი მასზე თავდასხმის საბაბად გამოეყენებინათ. მოამზადეს დაწვრილებითი დოსიე, რომელშიც ამტკიცებდნენ, თითქოს ცსს აგენტი და ანტიკომუნისტი ვიყო. ბაო დუნმა პირიქით შეუტია მათ და დაწვრილებითი მასალა წარადგინა ჩემი სხვა ფონდების თაობაზე, დაამტკიცა, რომ სუფთა ვიყავი. ეს არ იყო ძალიან რთული საქმე, ვინაიდან არასოდეს გამისიდუმლოებია ჩემი გაწმენდა. სიტყვამ მოიტანა და იმხანად მოსკოვში დავაარსე ფონდი. თვითონ გრომიკომ შემიწყო ხელი. ოფიციალურად მიმიღო კრემლში. მაგრამ ერთმა დიდმა პარტიულმა საბჭომ პეკინში გადაწყვიტა გაეუქმებინა ფონდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფული აინაზღაურებინა. საჭირო შეიქმნა ჯო ძიანის პირადი ჩარევა, რათა გაეუქმებინა ეს გადაწყვეტილება. მან მოახერხა ჩენ იძის თანათავმჯდომარის თანამდებობიდან წასვლა, ხოლო ეკონომიკური რეფორმის ინსტიტუტის ნაცვლად ჩვენი პარტნიორი გახდა კულტურული გაცვლა-გამოცვლის საერთაშორისო ცენტრი, რომლის თავმჯდომარე უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი დიდი მოხელე აღმოჩნდა.

არ ვიყავი კულისებსგარეთა მანევრების კურსში, მაგრამ არ მაკმაყოფილებდა ფონდის მუშაობა. მაგრად გამოვლანძე საწყალი ჩენ იძი იმისთვის, რომ მეტისმეტად ბევრი ფული დიატოვა საკუთარი ინსტიტუტისთვის და მიამიტურად მიხაოდა, როცა ის წავიდა. მაგრამ ხელმძღვანელობის შეცვლამ დიდი ვერაფერი შეცვალა.

თავზარი დამეცა, როცა მთხოვეს მენახა ერთ-ერთი ჩემი დაფინანსებული პროექტი: გადასატანი ბიბლიოთეკა, რომელშიც მუშაობდნენ „ნორჩი პიონერები". ყველაფერი ძალზე ოფიციალური იყო: ბავშვებს მუნდირები ეცვათ, ინსტრუქტორებს გახვევებული სახეები ჰქონდათ, უაზრო სიტყვებს წარმოთქვამდნენ ეს სულელური „ცოცხალი სურათები", რომლებიც წარმოადგენდნენ, როგორ მუშაობდა ბიბლიოთეკა. მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ ფონდის მდივანი გულოჩვილებულად და ამაყად ცრემლებს ღვრიდა.

მომდიოდა იმ ადამიანების უკმაყოფილო ხმები, რომელთაც საქმე ჰქონდათ ფონდთან. ერთმა ჩინელმა, ფონდისაგან გრანტი რომ მიიღო, მითხრა, ფონდს სახელმწიფო უშიშროების სამსახური მართავსო. მალე ამის შემდეგ ჯო ძიანი სამსახურიდან დაითხოვეს; ამით ვისაგებლე და შევწყვიტე ჩინეთში ფონდის საქმიანობა.

ტიანანმინის მოედანზე მოვლენების შემდეგ ფონდი ჯო ძიანისა და ბაი დუნის ერთ-ერთი მთავარი ბრალდებული იყო. ჯოს სამი ბრალდება წაუყენეს. პირველი — „ბურჟუაზიული გადახრა", ვინაიდან ძალიან აქეზებდა სტუდენტებს, მეორე — სახელმწიფო საიდუმლოებათა გაცემა, რადგანაც უთხრა გორბაჩოვს, დენ სიაოპინს ჯერ კიდევ დიდი ხელისუფლება აქვსო. და, ბოლოს, მესამე ბრალდება — სახელმწიფო ღალატი, ვინაიდან ფონდი ამაუშავა. სახელმწიფო ღალატს ყოველთვის სიკვდილით დასჯა მოსდევს. როდესაც ეს გავიგე ჩენ იძისაგან, რომელმაც მოასწრო გაქცევა, დენ სიაოპინს წერილი მივწერე, ვთავაზობდი ჩინეთში ჩემ ჩასვლას და ნებისმიერი ინფორმაციის წარდგენას, რაც საჭირო იქნებოდა. ჩემი წერილი „პარტიული დოკუმენტების ბიულეტენში" გამოქვეყნდა, რომელიც ძალიან დიდი ტირაჟით გამოდის; ეს იმის დასტური იყო, რომ ბრალდება გაჭრა.

ახლა უკან რომ მივიხედე, ვხედავი, რომ შეცდომა მომპივდა: ჩინეთში ფონდი გავხსენი. ჩინეთი არ იყო ამისთვის მზად, რადგანაც არ ჰყავდა დამოუკიდებელი ან სხვანაირად მოაზროვნე ინტელიგენცია. ადამიანები, რომელთაც სუბსიდიებს ვაძლევდით, მთლად გულახდილნი და ანატომასანი არ იყვნენ ჩემთან, ვინაიდან მათი ცირითადი მოვალეობა საკუთარი ფრაკეცის წინაშე მოვალეობა იყო. ფონდს არ შეეძლო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია გამხდარიყო, ვინაიდან ასეთი რამ ფაქტობრივად არსებობდა. ბევრად აჯობებდა დოტაციის მიცემა უშუალოდ ჩენ იძის ინსტიტუტისთვის, რომელიც დახმარების ღირსი იყო.

ტიანანმინის მოედანზე ტრაგიკულ მოვლენებამდე ყველას, ვისაც უნდოდა რაიმე შეეცვალა საზოგადოებაში, პარტიაში უნდა ემოქმედათ. ოპოზიციური, სხვაგვარად მოაზროვნე, დამოუკიდებელი ინტელიგენცია ვერ წარმოიქმნება, ვინაიდან საზოგადოება მთლიანად პარტიას ემორჩილებოდა და ამას ვერ მოითმენდა. მაგრამ ტიანანმინის მოედანზე სისხლიანი მოვლენების შემდეგ პარტიამ დაკარგა ხალხის ნდობა. ახლა საზოგადოება არ გარიყავს პარტიიდან ან სამსახურიდან გაგდებულს. ჩინეთში უკვე შეიძლება სხვაგვარად მოაზროვნე ინტელიგენციის წარმოქმნა.

თუ 1989 წლის ჩინეთის რევოლუციას ამ თვალსაზრისით შევხედავთ, იგი ზუსტად იმეორებს 1956 წლის უნგრეთის რევოლუციას. ვიმედოვნებთ ჩინეთის ამდენი დრო არ დასჭირდება, რამდენიც უნგრეთს მოუნდა, რომ რევოლუციამ ნაყოფი გამოიღოს. უნგრეთი გამიჯნული იყო გარესამყაროსგან, ჩინეთი კი თავისუფალი რჩება. ახლა შეუძლებელი იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible] ჭაბერი კონტროლი დავაწესოთ აზროვნებაზე. ჩინეთი კი ძალიან [illegible] ბრეზნევის კონსერვატორები დიდხანს ვერ გაძლებენ.

ლენინ, ტროცკი და ძალა, კომუნისტური სისტემის გარდამნსა რომ შევალიე, განუზომლად გაიზარდა, [illegible] საბჭოთა კავშირში ფონდის დაარსება გადაეწყვიტე. ეს აზრი გორბაჩოვს საბორჭოთა ტელეფონით ლაპარაკს დროს მომივიდა გორკაში 1986 წლის დეკემბერში. „როდესაც სთხოვ, [illegible] ეროვნული თავისი საქმიანობა სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მოსკოვში“ (მოგვიხმეთ საბორჭოთა მითხრა, სატელეფონო ხაზი საგანგებოდ ამის დასარეკად გაიყვანეს წინა დღიდან. ის ფაქტი, რომ იგი საზღვარგარეთ არ გაასახლეს, იმას ნიშნავდა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

იმედი მქონდა, საბორჭოთ ჩემი პირადი წარმომადგენელი იქნებოდა საბჭოთა კავშირში. მოსკოვს ტელეტიპად გავემგზავრე 1987 წლის მარტის დამდეგს. ორი სარეკომენდაციო წერილი მომცა ჰოლანდიელმა ალერდინკმა, ვინაც ფონდიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ურთიერთ კონტაქტებს აპყარებს. ერთი წერილი ანნ-ს ერთ მაღალ თანამდებობის მოხელეს გაუთვნოდა, მეორე — მოხელე ბრუკეს, არამანდ ჰამერის ნდობით აღჭურვილ პირს საბჭოთა კავშირში. მეც მეწერა ზ. ბოგერთი დისიდენტისა და დამოუკიდებლად მოაზროვნეთა სახელები, რომელნაც არ ეშინოდათ უცხოელებთან ურთიერთობა. ვითარება დიდად არ განსხვავდებოდა იმისგან, როცა ათი წლის წინათ პირველად ჩამოვედი საბჭოთა კავშირში. ტელეფონმა მაშინვე დარეკა, როგორც კი ნომერში შევედი. მოხელე ბრუკი იყო. ბრწყინვალედ ლაპარაკობდა ინგლისურად და ანნ-ში მითარგმნიდა. ანნ-ის მოხელემ ახლახან დაარსებული ორგანიზაცია — სსრკ კულტურის ფონდი ახსენა, რომელსაც რაისა გორბაჩოვა პატრონობდა. მოდი, ვცადო-მეთქი და ვითხოვე, შეეკრებინენ ვინმესთან კულტურის ფონდიდან. მოხელე მაშინვე შეეთანხმდა ჩემ შეხვედრაზე თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი მისსიოვს, ხანშესულ კაცს, ფართო სასიამოვნო სახე რომ ჰქონდა და უფრაესად თავაზიანად იქცეოდა. მოვუყევი, როგორ მუშაობდა ფონდი უნგრეთში და ვეჭვენე ჩვენი მასალები. მან ძალიან ყურადღება გამოიჩინა ამის მიმართა და ერთი საათის მერე უკვე დეტალებს ვიხილავდით.

რამდენიმე არაოფიციალური სასიტერესო შეხვედრა მეც მქონდა. პოლიტბიუროს ყოფილი წევრის მიქიანის შვილიშვილმა გამაცნო თავისი საუკეთესო მეგობარი, ოდესელაც ბრწყინვალე მეცნიერი რომ ყოფილა და მეცნიერებიდან წასულა. იგი თავის თავს „სპეკულანტს“ უწოდებდა და ფაქტობრივად მარგინალი იყო. მეც ვავიანეს ერთი [illegible] მეცნიერი, რომელიც გადაუდგა მეტროს საადგურზე დამნიშნა პაემანი. [illegible] გამოჩენილ დისიდენტებს სასარგებ, ბრიგორიანცსა და ლევ ტოლოკონეკს, [illegible] პროექტმა მათ დიდი ეჭვები აღუძრა. სახაროვმა მითხრა, თქვენი ფული მხოლოდ [illegible] ხაზინას შეაკუმშავ. მან უარი თქვა ფონდში მონაწილეობაზე, მაგრამ დამპირდა, [illegible] მმართველობის წევრების არჩევაში დამეხმარებოდა. მე ვუთხარი მიასნიკოვს კულტურის ფონდიდან, თუ თქვენ გინდათ განვავრცო ფონდის დაარსება, ოფიციალური მოწვევა უნდა გამომიგზავნოთ-მეთქი.

მეორეკერ რომ ჩამოვფრინდი მოსკოვში, აეროპორტში სულ ახლახან დანიშნული კულტურის ფონდის თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმირ აქსიონოვი დამხვდა. საკმაოდ ახალგაზრდა გახლდათ. ჩვენ შორის მაშინვე კარგი ურთიერთდამოკიდებულება დამყარდა. იგი მიხაილო მესაროვიჩის, რთული სისტემების თეორიის წამყვანი ფიგურისა და ჩემი მეგობრის თაყვანისმცემელი აღმოჩნდა. ამან მაშინვე დაგვაახლოვა. ის ფონდის იდეის ნამდვილი ენთუზიასტი გახდა. „რომ არ გამოჩენილიყავით, უნდა გამოგეგონეთ“, — მითხრა მან. რიგრიგობით ვხვდებოდი სამმართველის სავარაუდო წევრებს, მაგრამ თავს მთლად კარგად ვერ ვგრძნობდი, მაწუხებდა, რომ საჭირო კავშირი ვერ დაკამყარე სამოქალაქო საზოგადოებასთან. მართალი გითხრათ, ეჭვი შემეპარა, არსებობდა თუ არა საერთოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში სამოქალაქო საზოგადოება.

გარდატეხა აგვისტოში მოხდა, როდესაც დიდი დელეგაცია საბჭოთა კავშირიდან ნიუ-იორკში გავლით იმყოფებოდა და საბჭოთა-კავშირ-ამერიკის მეგობრობის კონფერენციაზე მიდიოდა ჩაპადიკში. მათ შორის იმყოფებოდა ტატიანა ზასლავსკაია, ვისი გაცნობაც მსურდა. მთელი დელეგაცია შინ მივიპატიჟე, და ჩემმა მეუღლემ სიუზანმა 150 კაცის სადილი გამართა. აი, ეს იყო სანახაობა. ძალიან მჭიდროდ ვისხედით, მაგრამ, ეტყობა, მიიუბა ყველას მოეწონა. მხოლოდ დელეგაციის მეთაური, კოსმონავტი ქალი დარჩა უკმაყოფილო, რომ ტატიანა ზასლავსკაია მარჯვნე დავისვი. დავთქვეთ კვლავაც შეეხვედრილიყავით ჩაპადეკში, სადაც დიდხანს ვილაპარაკეთ და აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი რამ საერთო გვქონია. განვიხილეთ მმართველი შემადგენლობა და მომეჩვენა, რომ საჭმე დაიძრა მკვდარი წერტილიდან. ერთ ჩემ მიღებაზე შეეხვდი ფონდის ნიუ-იორკის განყოფილების მომავალ შემსრულებელ დირექტორს, ნინა ბუისს, რუსული ლიტერატურის ცნობილ მთარგმნელს.

1937 წლის 22 სექტემბერს ეთლანად ჩამოყალიბდა სამმართველო. სამმართველოში შევიდნენ: იური ფფანასიევი, ისტორიკოსი; გრიგორი ბაკლანოვი, ჟურნალ „ზნამია“ მთავარი რედაქტორი; დანიილ გრანინი და ვალენტინ რასპუტინი, მწერლები, თენგიზ ბუაჩიძე, ქართველი ფილოლოგი; ბორის რაუშენბახი, კოსმოსის კვლევის სპეციალისტი და რელიგიური ფილოსოფოსი, და ტატიანა ზასლავსკაია, სოციოლოგი. მიისნიკოვი და მე თანათავმჯდომარეები გავხდით, ორთავეს ვეტოს უფლება გვქონდა, ხოლო აქსიონოვი და ნინა ბუისი ჩვენს მოადგილეებად დაინიშნენ.

მმართველის ყველა წევრი შესანიშნავი ადამიანები არიან. ისინი წამყვანი ფიგურები გახდნენ საბჭოთა კავშირში, ყოველთვის ყურადღების ცენტრში იმყოფებიან, მუდამ უამრავი სამუშაო აქვთ, ზოგიერთს ხელს არ უწყობს ჯანმრთელობა, მაგრამ რეგულარულად დადიოდნენ სხდომებზე და დიდხანს რჩებოდნენ. ჩვენი უკანასკნელი სხდომა კვირადღეს იყო დანიშნული, ვინაიდან ეს ერთადერთი დღეა, როცა თავისუფალი დღე აქვთ. სულ სხვადასხვა შეხედულებების ხალხია. ბაკლანოვი და რასპუტინი ბარიკადების: სხვადასხვა მხარეზე არიან: სამმართველოს სხდომა ერთადერთი შემთხვევაა, როცა თანხმდებიან გვერდიგვერდ დასხდნენ მაგიდასთან.

აი, მიისნიკოვის შეწყობა კი გაძნელდა. იგი ტიპური ბიუროკრატი აღმოჩნდა. თავიუანვე, როგორც კი ვუთხარი, წევრების ასარჩევად მმართველობას დისიდენტებთან უნდა მოლაპარაკება-მეთქი, იგი მტრულად განეწყო. დიდი ლაპარაკი გვქონდა, მრავალი მკვეთრი სიტყვა ითქვა, მაგრამ სადილზე ყველაზე თავაზიანი იყო. ზრდილობით აღსავსე, ყველა შესაძლებელობის იყენებდა წინააღმდეგობის შესაქმნელად, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თმობდა, ვინაიდან მარჯვის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა.

გადავწყვიტე, მენახა ვინმე, ერთმანეთს უკეთესად რომ გავუგებდით. კულტურის ფონდის თავმჯდომარე აკადემიკოსი ლიხაჩოვი იდეალურ კანდიდატურად მეჩვენებოდა და ღენინგრადს წავედი მასთან შესახვედრად. ეს არის ოთხმოცდაორი წლის ყოფილესად ინტელიგენტური და განათლებული კაცი, სტალინური ბანაკები რომ გამოიარა. იგი, ცხადია, მიისნიკოვზე უკეთესი თანათავმჯდომარე იქნებოდა. როცა ეს ვთხოვე, ვიღაკას დაუძახა ცენტრალურ კომიტეტში. მთელი საუბრის განმავლობაში ლიხაჩოვს სიტყვა არ უთქვამს, ზხოლოდ თავს უქნევდა. გასაკვირი, ერთი იმ ცნობილი კრემლიდან დაძეკვის მოწმე გავხდი, როცა ვისაც ელაპარაკებიან, მხოლოდ უსმენს. როდესაც ლიხაჩოვმა ყურმილი დადო, ასე მითხრა: „ვერაფერს გააწყობ, თანათავმჯდომარე მიისნიკოვი უნდა იყოს“.

მიუხედავად ამისა რაღაც ნაირად ფრთები გავშალეთ. მანეთები ჩვენი საქმიანობისთვის კომპიუტერების რაღაც რაოდენობით გაკვლით მივიღეთ.

ის, რა ვეძებეთ შენობა ჩვენი ოფისისთვის, ეს სხვა ამბავია. დიდი ძებნისა და ბრძოლების შემდეგ მეჩვიდმეტე საუკუნის პალატებში აღმოჩნდედთ, რომელიც მიგდებული და სარესტავრაციო არქიტექტურული ძეგლი აღმოჩნდა. კულტურის ფონდმა იგი ჩვენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადმოგვცა.

დავაარსეთ დამოუკიდებელი ფონდი, რომელიც საბჭოთა კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებდა, დავარქვით საბჭოთა ამერიკული ფონდი „კულტურული ინიციატივა“, და მე და მიასნიკოვი შევედით მზრუნველთა საბჭოში მმართველობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ჩარევის უუფლებოდ. აქსიონოვი და ნინა ბუისი გახდნენ ჩვენს ნაცვლად თანათავმჯდომარეები.

კულტურის ფონდი პირდაპირ აღარ არის დაკავშირებული ფონდთან, მაგრამ მისი მოხელეები შორიდან უმღიან ხელს. მშვიდობის ფონდი შევიდა „კულტურულ ინიციატივაში“, როგორც ფულადი სპონსორი საბჭოთა მხრიდან, დაგვპირდა რომ ხუთ მანეთს დადებდა ჩემ მიერ დადებულ თითო დოლარზე. ამანაც ურიცხვი გართულება გამოიწვია: ჩვენ 1988 წლის მაისში მოვაწერეთ ხელშეკრულება, მაგრამ პირველი შემოსავალი მათგან მხოლოდ 1989 წლის მიწურულს შემოვიდა.

მაგრამ ეს სირთულეები არაფრად ჩაგვიდია და თამამად მოვკიდეთ ხელი ჩვენ საქმიანობას. გამოვაცხადეთ ინიციატივის კონკურსი და პირველად მიღებული 2000 განცხადებიდან 40 ავარჩიეთ დაფინანსებისათვის. იქ იყო სტალინის პერიოდის ზეპირი გადმოცემის ორი პროექტი, არასამთავრობო ორგანიზაციის არქივი, ქალაქის დაგეგმარების ალტერნატიული ჯგუფი, ვეტერანთა ასოციაცია, მომზმარებელთა ჯგუფი, ინვალიდთა ეტლების გამომშვები კოოპერატივი და რამდენიმე საკვლევი პროექტი, რომლებიც დაკავშირებულია ციმბირის გაკრობის პირთან მისულ ენებთან, ბოშურ ფოლკლორთან, ბაიკალის ტბის ეკოლოგიასთან და ა. შ.

იოლი არც ფონდის ოფიციალური წესდების მიღება იყო. არის კიდევ ერთი ფონდი, რომელიც დიდი მზრდაჭერით სარგებლობს, — კაცობრიობის გადარჩენისა და განვითარების საერთაშორისო ფონდი, რომელმაც უარი თქვა უწესდებოდ ემუშავა. ერთი წლის განმავლობაში იბრძოდნენ საკუთარი წესდებისათვის და ბოლოს მიიღეს იგი. ვფიქრობთ, მოეცათ ჩვენთვის იმის ნება, რომ ამ წესდების საფუძველზე მოგვემზადებინა წესდება, და მაინც არაფერი გამოვიდა, 18 სამინისტროდან ავიღეთ უფლება, რასაც ę თვე მოუნდა. მაგრამ ღირდა ამის გაკეთება. ეს იმხელა შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ეს წესდება შეიძლება ოსტინდოეთის კომპანიის წესდებას შევადაროთ. მაშინ, როცა 1989 წლის თებერვალში მივიღეთ წესდება, უკვე მზად ვიყავით გამოგვექვეყნებინა ჩვენი პირველი წლიური ანგარიში.

ადვილად არაფერი კეთდებოდა. თითოეული წვრილმანი უდიდესი პრობლემა იყო. მაგრამ ესეც საინტერესოდ და სამხიარულოდ გვიჩვენებდოდა. მრავალი კარგი ადამიანი გავიცანი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სიაზლოვეს ვგრძნობ რუს ინტელიგენციასთან. მამაჩემი რუსეთში იყო რუსეთის რევოლუციის დროს, ძირითადად ციმბირში, გაქცეული სამხედრო ტყვე გახლდათ და ალბათ, მისგან შევიწოვე რუსული სულის ნაწილი. იოლად ეუალოვდები ადამიანებს საბჭოთა კავშირში, თუმცა რუსულად არ ვლაპარაკობ. ლილი ბუისი ბრწყინვალე გიდი და თარჯიმანი აღმოჩნდა, აღსავსეა იუმორით, მიმსუბუქებს ჩემს ამერიკულ საქმით მიდგომას. ერთგვაროად საბჭოთა კავშირში უკეთეს ადამიანურ დამოკიდებულებას ვამყარებ, ვიდრე შეერთებულ შტატებში. ჩვენ, ალბათ, ერთსა და იმავე იდეალებს ვიზიარებთ, ფასეულობათა ერთნაირი სისტემა გვაქვს. ჟურნალი „ზნამიაში“ დაბეჭდილმა ჩემმა წერილმა „გორბაჩოვის კონცეფციამ“, მეთვრამეტე ადგილი მომაკუთვნა პუბლიცისტთა პოპულარობის სიაში. ვამაყობ ამით.

ძალიან დიდი დრო და ძალები დავხარჯეთ, მაგრამ ბოლოს ჩვენი ფონდი ჩამოყალიბდა. ჩვენი მეჩვიდმეტე საუკუნის გაქუცული სასახლე ყასავთან ზეზუნეს საღამოს ცხრა საათზეც კი. შემსრულებელი დირექტორი სერგეი ჩერნიშოვი ყოველდღე თექვსმეტ საათს მუშაობს. ამ უკანასკნელ ხანს შტატი ახალი ნიჭიერი ადამიანებით შეივსო. ნინამ სამ. თვე დაჰყო მოსკოვში, და ბოლო ჩამოსვლისას მომეჩვენა, რომ უნგრული ფონდი, შესაძლოა, არ იქნება ერთადერთი მართლაც მშრომელი ფონდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავხსენით ფილიალები რესპუბლიკებში, თავდაპირველად კიევს ვეწვივ. ძალიან კარგი კონტაქტები დავამყარე. ჩვენს პირველ შეხვედრაზე წამყვანმა უკრაინელმა ინტელიგენტუალებმა თავიანთი იდეები წამოაყენეს. მათ უბრავლესობას გული გავიტეხე და ძალიან განვიცდიდი, რომ იძულებული ვიყავი ერთთავად „არა" მეთქვა. მაგრამ მერე მითხრეს, ეს ძალიან მოგვეწონაო. „საბჭოთა მოხელე არასოდეს ამბობს „არას". თქვენ „არა" ათი წუთის მანძილზე ათჯერ გვითხარით. უბრალოდ, დავისვენეთ". სალამის უკრაინელი პოეტის დმიტრო პავლიჩკოს სამოცი წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე წამოიყვანეს. რამდენიმე ასეული კაცი შეიყარა დიდ დარბაზში, ისმენდნენ ლექსებსა და სიმღერებს, მერე პავლიჩკომ უპასუხა კითხვებს.

ჩემი შემდგომი მგზავრობისას ესტონეთი და ლიტვა მოვინახულე. ეს უფრო ოფიციალურ სახელმწიფო ვიზიტს ჰგავდა: კერძო თვითმფრინავით ჩამოვფრინდი და გადამღები ჯგუფი „სამოცი წუთი" ყველგან დამყვებოდა. თუმცა ბევრი რამის გაკეთება მოვასწარი. ამკაბად გქმნით ავტონომიურ ფილიალებს ამ სამ რესპუბლიკაში. განზრახული მაქვს ასევე განყოფილებების გახსნა სვერდლოვსკში, ლენინგრადსა და ირკუტსკში, რათა რუსეთის ფედერაცია არ დარჩეს გვერდვლილი.

ფონდის ორგანიზაციის ჩემმა საქმიანობამ იმის უნიკალური შესაძლებლობა მომცა, თვალი მედევნებინა საბჭოთა კავშირში სამოქალაქო საზოგადოების ეკოლეკციისათვის. როდესაც იქ ჩავედი 1987 წლის მარტში, ვერ აღმოვაჩინე სამოქალაქო საზოგადოება. და არა მხოლოდ ჩემი გამოოცდელობის გამო: თვით საბჭოთა ინტელიგენტუალებმა არ იცოდნენ, რას ფიქრობენ ადამიანები, რომლებიც მათ ვიწრო წრეს არ ეკუთვნიან. დამოუკიდებელი აზროვნება იატაკქვეშ აზროვნებდა. ყველაფერი ეს შეიცვალა. ახლა ყველამ იცის, ვინ რას ფიქრობს. პოზიციები გაირკვა და განსხვავება დამაჩნდა საზოგადოებრივი განსჯის დროს. ყოველივე ეს სიზმარს მოგვაგონებს.

გორბაჩოვმა როცა „საჯაროობა" შემოიღო, შეარყია აზროვნების ოფიციალური სისტემა. აზროვნება მაშინვე გათავისუფლდა დოგმისაგან, და ადამიანებს უფლება მისცეს გამოეთქვათ თავიანთი ნამდვილი შეხედულებები. ამის შედეგად კვლავ მოხდა განხეთქილება აზროვნებასა და სინამდვილეს შორის. უფრო მეტიც, განხეთქილება უფრო ფართო აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა, ვინაიდან მაშინ ინტელიგენტუალურმა ცხოვრებამ ფრთა გაშალა, ხოლო მატერიალური პირობები გაუარესდა. ჩვენ წინაშე იყო შეუთავსებლობა ორ დონეს შორის, რაც მომხდარ ამბავს სიზმარეულს ხდიდა. აზროვნების დონეზე — საერთო აღფრთოვანებასა და სიხარულს ვხედავდით; სინამდვილის დონეზე ჯარბობს გულგაცრუება: მომარაგება უარესდება და კატასტროფა კატასტროფას მოსდევს. ერთადერთი, რაც ორივე დონისთვის ნიშნეულია, გაურკვევლობა და დაბნეულობაა. ზუსტად არავინ იცის, სისტემის რომელი ნაწილია გარდაქმნის პროცესში, და ჯერ კიდევ რომელი მუშაობს; მოხელეები ვერც „ჰოს" თქმას ბედავენ და ვერ „არასი" ამგვარად, თითქმის ყველაფერი შესაძლებელია და თითქმის არაფერი არ ხდება.

„კულტურული ინიციატივის" ფონდიც ასეთივე ირეალური ხასიათისაა. თითქმის ყველაფერი ნებადართულია, მაგრამ შეუძლებელია რაიმეს განხორციელება. უნგრეთში განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედება რომ ვისწავლე, თავზარი დამეცა, როცა საბჭოთა კავშირში ფონდის საქმიანობის შეზღუდვის ნიშნები ვერ აღმოვაჩინე. ზოგიერთ ჩვენ სხდომაზე ესწრებოდა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, მაგრამ იგი იფანასიევის, ჩვენი მმართველობის ყველაზე რადიკალური წევრის დიდი თაყვანისმცემელი იყო, და მასთან არავითარი სირთულე არ წარმოქმნილა, არასოდეს შეგვეკამათებოდა. ძალიან კარგი იყო ამის დაჯერება, მაგრამ მეორე მხრივ, დიდი ხანია არ ვყოფილვარ უნგრეთში.

იყო ერთი პერიოდი — დაახლოებით ცხრა თვე, — როცა იმდენად ვიყავი დაკავებული ფონდის ორგანიზაციით საბჭოთა კავშირში, რომ სულ მივივიწყე ფონდი ჩემ საშობლოში. როდესაც ხელახლა ვეწვივე უნგრეთს, 1988 წლის შემოდგომაზე, აღმოვაჩინე, რომ მან ძალიან გაასწრო საბჭოთა კავშირს. მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიების გაფორმება, და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომუნისტური პარტია აშკარად იშლებოდა. ხელისუფლება ისეთი კეთილგანწყობილები ექცეოდა ფონდს, განათლების სამინისტროს ძალები ფონდის შემოტანა შემოშთავაზა, ჩემი ერთი წლის ხელფასს, რომ ფულიდან ჩვენ ძალიან ბევრი ბინაც, ოთახ საკუთარი სტატუსისთვის მხარი დაეჭირა. დავთანხმდი.

ფონდი საქმეში ისევ ვითარებაში ალმოჩნდა. მაგრამ ამბორიული კაბალა დიდად სვარბობდა ჩემს ფინანსურ წვლილს. ანგარიშგებისთვი შესაძლებლობა გადაგვიშალა, რაზეც წინათ ვერ ვიმეორებ ამ ფინანსურ ამბავზე. ბევრ ფონდის ეპირველი მიზანს, მას უნდა გაეხადგურებინა ადგილობრივი ორგანიზაციები. ფონდ ალტერნატიული წყაროს გადაცემით კულტურული ინსტიტუტებისა. ეს ინსტიტუტებიც ფონდ ამ ამბავი ყოფილა, ხელი შეგეწყო ამ-სათვის, გემეშავა ამისათვის და გეხმარა ხდება შენ თავლწინ.

ადგილ-ერთ ადგილ-ერთ ადგილ-ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწვეული პლებისციტი. ამით გაჩიანურდება საქმე და შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოიტანოს. „სამწუხაროდ, პარტიული ბელადები არ მეთანხმებიან მაგრამ როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, განსაზღვრული პროგრამა-ტიკა, ეაქვს და მინდა ამით ვისარგებლო“, — თქვა მან. ეს ძალიან გულახდილი იყო ნათქვამი და ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ (1990 წლის 11 იანვარია), რუმინეთში მივემგზავრები, მერე კი ბულგარეთში. განზრახული ნაქვს იმ ფონდების ქსელის დაფინანსება, რომლის ძირითადი მისია იქნება რეგიონში კარგი ურთიერთგაგებისთვის მზარდაჭერა და თანამშრომლობის გაფართოება. ისინი მთლიანად ავტონომიური იქნებიან: თვითონ გადაწყვეტენ, როგორ ითანამშრომლონ ერთმანეთთან, მაგრამ თუკი საერთოდ არ უნდათ თანამშრომლობა, არ მივცემ ფულს.

სულ ამ რამდენიმე ხნის წინათ ვცდილობდი ჩემთვის ვყოფილიყავი: მესმოდა, რომ ჩემი საქმიანობისაგან ასე მეტი სარგებლობა იქნებოდა. სწორედ ის, რომ ჩვენი ფონდის თითქმის არავითარი რეკლამა არ იყო უნგრეთში და დასავლეთის პრესას ინტერვიუს არ ვაძლევდი. მაგრამ ამ რამდენიმე ბოლო წლის მანძილზე ვითარება შეიცვალა. ცნობილი გავხდი, როგორც საზოგადო მოღვაწე; აქტიურად პოლიტიკოსად ვიქეცი, სახელმწიფო მოღვაწის როლი ვიკისრე. ეს, ერთგვარი გაგებით, არანორმალური ვითარება იყო, ვინაიდან არც ერთ ქვეყანას არ წარმოვადგენდი. მაგრამ მალე შევეგუე ამ ვითარებას. მამაჩემი, 17 წლის რევოლუციი რომ გადაიტანა, მეუბნებოდა, რევოლუციური ეპოქების დროს ყველაფერი შესაძლებელიაო და ყოველთვის მახსოვდა მისი შეგონება.

თარგმნა ბიორბი მაჭუტაძემ

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38. განყოფილებები: 98-86-43, 99-64-40; სპორტექტორი — 98-64-38.

გადაეცა ასაწყობად 15.07.91 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.10.91 წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 1429. ტირაჟი 30.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло», 380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ფასი 1 მან. 20 კაპ. ინდექსი 76286

1989/124

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ ჟურნალი

„ცისკარი“

ერთი ნომერი ღირს
2 მანეთი
წლიური ფასი
24 მანეთი

დაიწყო ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 1992 წლისათვის.

ძალალდის მწვავე დეფიციტის გამო შეიძლება „ცისკარი“ ჯიხურებში აღარ გაიყიდოს!

ამიტომ ვინც ჩვენი ჟურნალის მკითხველი ბრძანდებით, გთხოვთ, დროულად დაიჭიროთ, მა-დარიგი და გამოიწეროთ „ცისკარი“.

ძვირფასო მკითხველო! გახსოვდეს, რომ „ცის-კრის“ ბედი, მისი არსებობა, მხოლოდ და მხოლოდ თქვენზე, ხელისმოწერებზეა დამოკიდებული.

იმედი გვაქვს თქვენი თანადგომისა და მხარ-დაჭერისა.